



## ლიზა ჯეიმს სმიტი "ვამპირის დღიურები: გამოლვიძება"

წიგნი I

სამოყვარულო თარგმანი, "ვამპირის დღიურების" ქართველი ფანები The Vampire Diaries Georgian Fans . თარგმანში მონაწილეობდნენ ქართული ფან-კლუბის, მთარგმნელთა გუნდი.

"ვამპირის დღიურები: გამოლვიძება"

2011 წელი

<http://www.facebook.com/TheVampireDiariesGeorgianFans>

### ანოტაცია.

ელენა - „ოქროს“ გოგოა, რომელიც მიჩვეულია იმას, რომ ბიჭები უჩოქებენ. სტეფანი - შავგვრემანი ლამაზმანია, რომელიც თვალს არიდებს მზეს და ავერ ელევა შავ სათვალეს. სტეფანი ერთადერთია, ვისზეც ელენას „შარმი“ არ მოქმედებს, თუმცა იგი ცდილობს თავისი ბნელი წარსულისაგან დაიცვას გოგო. დეიმონი - სტეფანის სექსუალური და დაუნდობელი ძმია, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე დაუთმო ძმის სიძულვილს, რომელმაც მას ოდესღაც უღალატა. ახლა მას ელენა სჭირდება და იგი ყველაფერზე წავა, რომ მის სხეულსა და სულს დაეუფლოს. ვამპირის დღიურები - მშვენიერი ელენას ისტორიაა, რომელიც ორი ძმის - ვამპირის სასიკვდილო შეტაკების მიზეზი გახდა.

## ლიზა ჯეიმს სმიტი "ვამპირის დღიურები: გამოღვიძება"

მოულოდნელად გაისმა ნელი სიმღერა. სტეფანი თვალს ვერ აშორებდა ელენას. მწვანე თვალები ნელ-ნელა უმუქდებოდა დაუფლებული სურვილისაგან. გოგონამ უცებ იგრძნო, რომ მას უსიტყვოდ შეეძლო გულში ჩაეკრა და ეკოცნა იგი.

- "ვიცეკვოთ?" - ჰკითხა ელენამ.

<< ცეცხლს ვეთამაშები, მაგრამ ვერ ვხვდები რატომ >>, - უცებ გაიფიქრა "ოქროს" გოგონამ.

ამ მომენტში, მან გააცნობიერა, რომ შეშინებულია. გულმა მოუსვენრად დაუწყო ცემა. მას მოეჩვენა, რომ ეს მწვანე თვალები მისი სულის სიღრმეში ცდილობენ შეღწევას, და ამან უფრო შეაშფოთა. ადამიანის ცნობიერებაში უძველესი დროიდან ჩანერგული "უცნობი" ინსტინქტი, ელენას გაქცევისკენ მიუთითებდა.

მიუხედავად ამისა, იგი ადგილიდან არ გაინძრა.

## თავი 1

სექტემბერი.

ძვირფასო დღიურო!

დღეს აუცილებლად რაღაც საშინელება მოხდება.

თვითონაც არვიცი ეს რატომ დავწერე. რაღაც სიგიჟეა...იმედგაცრუების არანაირი საბაზი არ არის. სამაგიეროდ, მილიონი მიზეზი მაქვს გასახარებლად. მაგრამ მაინც.....

დილის ექვსის ნახევარზე გავიღვიძე წარმოუდგენელი შიშის შეგრძნებით. ვაგრძელებ იმის მტკიცებას, რომ ეს ყველაფერი საფრანგეთსა და ამერიკას შორის დროთა სხვაობის გამო ხდება. მაგრამ ეს ამგვარი შიშისა და ნერვიულობის საბაზად არ ივარგებს....

გუშინ წინ, როცა დეიდა ჯუდიტთან და პატარა მარგარეტთან ერთად აეროპორტიდან სახლში ვბრუნდებოდი, რაღაც უჩვეულო გრძნობა დამეუფლა. როდესაც მანქანამ ჩვენს ქუჩაზე შემოუხვია, უცებ გავიფიქრე: "სახლში გველოდებიან დედა და მამა. დარწმუნებული ვარ, რომ ეზოში დაგვხვდებიან ან სასტუმრო ოთახში ფანჯარასთან დგანან. ალბათ სასტიკად მოვენატრე."

კი, კი ....ვიცი...წარმოუდგენელი სიგიჟეა....ვერაფერს იტყვი..

მაშინაც კი, როცა ეზოში არავინ დაგვხვდა, ამ გრძნობამ არ მიმატოვა. კიბეებზე ავირბინე და კარებზე კაკუნი დავიწყე. როდესაც, დეიდა ჯუდიტმა კარები გააღო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით სახლში შევვარდი და უცებ "გავშეშდი".

ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ახლა კიბეზე დედა ჩამოვა, ხოლო მამა კაბინეტიდან დამიძახებს.

შემდეგ, დეიდამ მძიმედ დაააგდო ჩემოდანი, ამოიოხრა და თქვა:

"აი, ჩვენ უკვე სახლში ვართ."

მარგარეტს გაეცინა. მე მოულოდნელად დავიბენი. ცხოვრებაში არ მომსვლია ამგვარი რამ. არასოდეს მიგვრძნია თავი ასე დაკარგულად.

ეს ჩემი სახლია. მე დავბრუნდი. მაგრამ ირგვლივ ყველაფერი რატომ მეუცხოვება? თითქოს აქედან არ ვარ.

აი, ჩემი საწოლი, ჩემი სკამი, კარადა სარკით....მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად სხვისი მეჩვენება, თითქოს პირველად ვხედავდე.

გუშინ, საერთოდ არ მქონდა გასაუბრებაზე წასვლის ძალა.

მერედიტმა ჩემთვის სასწავლო ცხრილი აიღო, მაგრამ რატომღაც მასთან საუბრის სურვილი არ მქონდა. ყველას, ვინც მირეკავდა, დეიდა ჯუდიტი ეუბნებოდა, რომ ბიორითმების დარღვევის გამო გადაღლილი ვიყავი და მეძინა.

ამის მიუხედავად, ყველა დღეს უნდა მენახა...ჩვენ მოვილაპარაკეთ, სკოლის წინ, გაჩერებაზე შეხვედრის თაობაზე. ნუთუ ამიტომ ვარ შეშინებული? ნუთუ მათი მეშინია?

ელენა გილბერტი მოსწყდა დღიურს. ბოლო წინადადების გადაკითხვისას, თავი დაიქნია. შემდეგ მან უცებ მოისროლა დღიური, რომელიც ფანჯრის მახლობლად დავარდა.

ყველაფერი სისულელეა!

როდიდან მას, ელენა გილბერტს, ხალხთან შეხვედრის ეშინია? და საერთოდ, როდის იყო, რომ მას საერთოდ რამის ეშინოდა?

ელენა წამოდგა და გაღიზიანებულმა შეიკრა კიმიანო. მას სარკისკენ არც გაუხედავს, რადგან ისედაც იცოდა, თუ რას ნახავდა იქ. რათქმაუნდა საკუთარ თავს, - ელენა გილბერტს, ტანწერწეტა და ქერა ლამაზმანს, რობერტ ლის სახელობის სკოლის მოდის ახალი ტენდენციების წარმომადგენელს, ყველასათვის სასურველსა და მისაბამს. მაგრამ ახლა, რატომღაც მოიწყინა და ტუჩები დაპრუწა.

<<ცხელი აბაზანა, ფინჯანი ყავა და წესრიგში ვიქნები >> - გაიფიქრა ელენამ.

ნამდვილად, ამგვარი დილის რიტუალი მის განწყობაზე დადებითად აისახა. იგი არ ჩქარობდა, პარიზიდან ჩამოტანილ ტანსაცმელს ათვალთვლებდა. მან აირჩია ვარდისფერი მაისური და თეთრი შორტები - ამ ტანსაცმელში იგი ჰგავდა, ნაყინს ჟოლოს სიროპით.

<<ნაყინზე უარს ნამდვილად არ ვიტყვოდი >> - გაიფიქრა ელენამ და სარკემ მისი იდუმალი ღიმილი აირელა.

მისი შიში დროებით სადღაც გაქრა.

- ელენა? სად ხარ? სკოლაში დაგაგვიანდება! - მოისმა ქვევიდან დეიდა ჯუდიტის ხმა.

ელენამ კიდევ ერთხელ დაივარცხნა თმა და შეიკრა იგი ვარდისფერი სამაგრით. ჩანთას წაავლო ხელი და ქვემოთ ჩავიდა.

იქ, ოთხი წლის მარგარეტი საუზმობდა, დეიდა, როგორც ყოველთვის გაზ-ქურასთან იდგა და ამ დროს რაღაც იწვოდა. ჯუდიტი, ეკუთვნოდა იმ ქალთა უმრავლესობას, რომლების მუდამ რაიმეთი იყვნენ შემფოთებულები. ელენამ ლოყაზე აკოცა მას:

“ყველას დილა მშვიდობის. არ ვისაუზმებ, მეჩქარება.”

“არა - არა. ასე ვერ წახვალ...არ შეიძლება...ელენა, კარგად უნდა იკვებო...”

“აუცილებლად წავიხემსებ გაკვეთილებამდე”, - მხიარულად უპასუხა ელენამ.

კიდევ ერთხელ აკოცა დეიდას და გასასვლელისკენ გაემშურა.

“ მაგრამ ელენა...”

“სკოლის შემდეგ , ალბათ ბონისთან ან მერედიტთან წავალ , ასე რომ , სასადილოდ არ მოვალ. კარგად. ”

“ ელენა ! ”

ამ დროს ელენა უკვე კართან იყო და კარების მიჯახუნებით დაასრულა ეს საუბარი და დეიდას პროტესტები.

როდესაც , იგი ეზოში აღმოჩნდა , უცებ გაჩერდა.

დილით დაუფლებული შიშის გრძნობა , ისევ დაუბრუნდა. გამოჩნდა ნერვიულობაც იმის შესახებ, რომ დღეს აუცილებლად რაიმე საშინელი მოხდებოდა.

ქუჩა ცარიელი იყო. ვიკტორიანის მაგვარი მაღალი სახლები, წარმოუდგენლად უთქმელნი იყვნენ , თითქოს შიგნიდან ცარიელნი ყოფილიყვნენ , გადასაღებ მოედანზე მიტოვებული დეკორაციების მაგვარად.

ელენამ თავი გაიქნია და ცაში აიხედა.

მოულოდნელად მან იგრძნო ვიღაცის დაკვირვებული მზერა. რაღაც შავმა , უცებ ჩაიქროლა სახლის მახლობლად მდგარ ხის ტოტებში. ელენამ დაკვირვებით შეხედა და ყვავი, შავი ყვავი დაინახა. ფრინველი გაუნძრევლად იჯდა ხის ტოტზე და გოგონას უყურებდა. ელენა მოჯადოვებულის მსგავსად შესცქეროდა ყვავს და უცებ იგრძნო , რომ ნელ - ნელა წითლდება . ეს ყველაფერი იმ უცნაური ფრინველის გამო ხდებოდა , რადგან იგი განსაკუთრებულად უყურებდა გილბერტს. ზუსტად ასე , ამტერდებოდნენ ელენას ბიჭები , როცა მას ბიკინი ან გამჭირვალე ზედა ეცვა. ყვავი, თითქოს მზერით აშიშვლებდა მას.

იქამდე , სანამ ელენა მიხვდა რას აკეთებდა მას ხელში უკვე ქვა ეჭირა.

“ გაეთრიე ! ” - გაბრაზებულმა უთხრა ფრინველს.

“ წადი აქედან ! გაეთრიე ! ” - იყვირა მან და ბოლო სიტყვების წარმოთქმნის შემდეგ , მთელი ძალით ქვა გაუქანა.

ფოთლები ირგვლივ დასცვივდა ხეს , მაგრამ ფრინველი უნებლივად ჩამოფრინდა. იგი ელენას თავზე გადაიფრინა მძიმედ , ისე , რომ გოგონა შიშისაგან ჩაიკეცა.

გილბერტი ნელ - ნელა წამოსდგა და ირგვლივ მიიხედა - მოიხედა. თვითონაც ვერ მიხვდა , ასე რამ შეაშინა. ახლა, როცა საშინელი ყვავი გაფრინდა , ცამ ჩვეული იერი

მიიღო. ელენამ ამოისუნთქა. უცებ ერთ -ერთი სახლის კარი გაიღო და იქიდან მხიარულად გამოსცვივდნენ ბავშვები.

ელენა გაიღიმა და კიდევ ერთხელ ამოისუნთქა. მზის სხივებისგან ჩვეული სითბო იგრძნო. როგორ შეიძლებოდა , ასეთი სულები ყოფილიყო ? იყო მშვენიერი შემოდგომის დღე , რომელიც არაფერ ცუდს არ ჰპირდებოდა მას....

არაფერი ცუდი მოსალოდნელი არ იყო , გარდა სკოლაში დაგვიანებისა. ალბათ ყველა უკვე შეიკრიბა და მხოლოდ ელენას ელოდებოდნენ.

<< ბოლო - ბოლო ვეტყვი , რომ საშინელ ყვავს ქვით ვაფრთხოვდი და ამიტომაც დამაგვიანდა >> - გაიფიქრა და თვითონაც გაიღიმა.

ასეთი გამართლება თავის - თავად გახდება ჭორაობის საბაზი .

უკან მიუხედავად , იგი გაემურა სკოლისკენ , სადაც მეგობრები ელოდებოდნენ.

\* \* \*

ყვავი ხმაურით მოთავსტდა ხის მწვერვალზე . სტეფანმა უცებ ახედა და როდესაც ფრინველი დაინახა , შვებით ამოისუნთქა.

მისი მზერა კვლავ მიუბრუნდა სისხლისკენ დაცლილ ფერმკრთალ სხეულს, რომელიც ხელებში ეჭირა და მის სახეზე გულრწველი მწუხარება აისახა. მას არ უნდოდა ამ კურდღლის მოკვლა. მას , რომ სცოდნოდა საკუთარი შიმშილის ნამდვილი "ზომა" , რაიმე უფრო დიდზე ინადირებდა. ზუსტად ეს ფაქტი აშინებდა მას , იგი წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავდა ამ "ზომას" და აქედან გამომდინარე ვერც იმას , რისი გაკეთება მოუწევდა დასანაყრებლად. კარგია , რომ ამჯერად მსხვერპლის რაოდენობა ერთ კურდღელს უდრიდა.

ჯინსებსა და მაისურში , სტეფან სალვატორე ნამდვილ სკოლის მოსწავლეს ჰგავდა , რომელიც სინამდვილეში არ იყო.

აქ, ტყის სიღრმეში, სადაც ვერავინ ნახავდა , იგი "წასახემსებლად" მოვიდა. ახლა, იგი ფრთხილად ილოკავდა ტუჩებსა და კბილებს, რათა მათზე სისხლის ლაქები არ დარჩენილიყო. სტეფანს გარისკვა არ უნდოდა, ეს მასკარადი ისედაც ძვირად უღირდა.

რადაც მომენტში ვამპირი დაფიქრდა , - იქნებ ღირს ჩანაფიქრზე უარის თქმა? იქნებ , სჭობს იტალიაში დაბრუნდეს , თავის სამალავში , სადაც ამდენი წელი გაატარა? რა საბაზი გააჩნდა იმისა , რომ დღის ცხოვრებას დაბრუნებოდა ?

სტეფანი დაიღალა "სიბნელეში" ცხოვრებისაგან, მაგრამ ყველაზე მეტად - მარტოობისაგან.

მას წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რატომ აირჩია მაინც და მაინც ფელს-ჩერჩი, შტატ ვირჯინიაში. ეს იყო ახალგაზრდა ქალაქი - ყოველი შემთხვევისთვის სტეფანის წარმოსახვაში ასე იყო. ყველაზე ძველი შენობა - ნაგებობები აშენებული იყო ნახევარი

საუკუნის წინათ , მაგრამ ომის აჩრდილები დღესაც ისეთივე რეალური იყო , როგორც გაშენებული სუპერმარკეტები.

სტეფანი პატივისცემით ეკიდებოდა წარსულს. იგი ფიქრობდა , რომ ამ ხალხთა შორის იპოვიდა თავის ადგილს.

არა , ყველაფრის მიუხედავად , სამუდამოდ აქ ვერ დარჩება.

ვამპირის სახე მტანჯველმა ღიმილმა შეცვალა. ასეთ შესაძლებლობაზე ვერც იოცნებებს. ვერსად და ვერასოდეს , სტეფან სალვატორე ვერ იპოვის იმ ადგილს, სადაც დამკვიდრდება და თავს ისე იგრძნობს , როგორც საკუთარ "სახლში".

თუ რათქმაუნდა , "სიბნელეში " დაბრუნებას არ გადაწყვეტს....

სტეფანმა ხაზი გადაუსვა ამ ფიქრსაც და იმ ბნელსაც , რომელშიც ამდენი წელი მოღვაწეობდა. მან გადაწყვიტა ცხოვრება თავიდან დაეწყო.

იგი მიხვდა , რომ ხელში ჯერ კიდევ კურდღლის გვამი ეჭირა . მან ფრთხილად დადო იგი ფოთლებზე , ხოლო შორიდან მელას ნაბიჯები შემოესმა.

<<წინ, მონადირე - ძმაო , - გაიფიქრა მან , - საუზმე გელის .>>

მხარზე კურთუკი გადაიკიდა და ყურადღება ისევ იმ ყვავზე გადაიტანა , რომელმაც "შეაწუხა". ფრინველი ისევ - ისე ხის ტოტზე იჯდა და თვალს ადევნებდა მას. აქ რაღაც ხდებოდა.....

სტეფანმა გადაწყვიტა ყვავის აზროვნებაში შეწრა , მაგრამ დროულად შეჩერდა.

<<გახსოვდეს შენი პირობა, - გაიფიქრა ვამპირმა, - ძალა უნდა გამოიყენო მაშინ , როცა ამის საჭიროება არის. მხოლოდ მაშინ , როცა სხვა გამოსავალი არ გაქვს. >>

ამ ფიქრებით იგი გაეშურა იმ ადგილს, სადაც მანქანა დატოვა. მხოლოდ ერთხელ მობრუნდა , და დაინახა კურდღლის გვამს როგორ ეცა ყვავი. ამ "სურათში" იყო რაღაც ბოროტული და ტრიუმფალური. რაღაც მომენტში სტეფანმა მობრუნება და ფრინველის გაგდება გაიფიქრა, მაგრამ....

<< მას კვების ისეთივე უფლება აქვს, როგორც მელას და ნაწილობრივ მეც - გაიფიქრა მან >>

სტეფანმა გადაწყვიტა , რომ თუ კიდევ სადმე გადააწყდება ამ ყვავს , აუცილებლად შეიხედება მის გონებაში.

ამის შემდეგ მან განაგრძო გზა. სალვატორეს არ უნდოდა დაეგვიანა რობერტ ლის სახელობის სკოლაში , მითუმეტეს სწავლის პირველ დღეს.

## თავი 2

ავტოსადგომზე შესვლისთანავე ელენას ხალხი გარს შემოეხვია. ყველა იქ იყო, მთელი ბრბო, რომელიც მას ივნისის ბოლო რიცხვების მერე არ ენახა, ამას დამატებული ოთხი-ხუთი ლუსერი, რომლებიც ხალხში გარევეთ ცდილობდნენ პოპულარობის მოპოვებას. ელენას ერთმანეთის მიყოლებით ეხვეოდნენ მისალმების ნიშნად თავისი ჯგუფელები.

კაროლინას სიმაღლეში სულ ცოტა ერთი დიუმი მოემატებინა, უფრო გამხდარიყო და ახლა ისე გავდა ჟურნალ ვოგის მოდელს როგორც არასდროს. ის ცივად მიესალმა ელენას, შემდეგ უკან დაიხია და კატასავით დაწვრილებულ მწვანე თვალებით მიაჩერდა.

ბონი საერთოდ არ იყო გაზრდილი, მისი კულულებიანი წითელი თმა ძლივს სწვდებოდა ელენას ნიკაპს, როცა გოგონამ ხელები შემოხვია მას. მოიცა, კულულები? გაიფიქრა ელენამ.

“ბონი! თმას რა უქენი?”

“მოგწონს? მგონი ასე უფრო მაღალი ვჩანვარ.” ბონიმ ისედაც ფუმფულა “ჩოლკა” აიფუმფულა და გაიღიმა, თაფლისფერი თვალები სიხარულისაგან უბრწყინავდა, გულის ფორმის სახე ბედნიერებისგან ქონდა გაბრწყინებული.

ელენამ გზა განაგრძო. “მერედიტ, საერთოდ არ შეცვლილხარ.”

ეს ჩახუტება ორივე მხრიდან გულწრფელი იყო. ყველაზე მეტად მერედიტი მომენატრა, ფიქრობდა ელენა, როცა მაღალ გოგოს უყურებდა. მერედიტი მაკიაჟს არასდროს არ ატარებდა; თუმცა მშვენიერი ზეთისხილისფერი კანისა და გრძელი წამწამების პატრონს, არც სჭირდებოდა არანაირი მაკიაჟი. ახლა მასე ცალი ელეგანტურად გაკეთებული წარბი აემგობა და ელენას დაკვირვებული მზერით ათვალიერებდა.

“თმა ორჯერ უფრო გაგხუნებია მზეზე... მაგრამ სადაა შენი რუჯი? მემეგონა ფრანგულ რივიერაზე გაირუჯებოდი.”

“ზომ იცი, არასდროს ვირუჯები.” ელენამ ხელები აღმართა, ახლა მისი ჯერი იყო.

მერედიტს ფაიფურივით უზადო კანი ჰქონდა, თუმცა ბონისავით ცოტა გამჭვირვალე.

“მოიცა; რაღაც გამახსენდა,” წამოიძახა უცებ ბონიმ და ელენას ხელი სტაცა ხელზე.

“გამოიცანი, რა ვისწავლე ამ ზაფხულს ჩემი ბიძაშვილისგან?” სანამ ვინმე რამის თქმას მოასწრებდა, თვითონვე დაამატა გამარჯვებული ხმით: “ხელისგულზე მკითხაობა!”

ზოგმა ამოიოხრა, ზოგს გაეცინა.

“იცინეთ რამდენიც გინდათ,” თქვა ბონიმ, სულაც არ აწუხებდა რომ დასცინეს. “ჩემმა ბიძაშვილმა მითხრა, რომ მკითხავი ვარ. აბა, მაჩვენე...” მან ელენას ხელისგულს დახედა.

“ცოტა მალე, თორემ დაგვაგვიანდება,” ცოტა მოუთმენლად უთხრა ელენამ.

“კარგი, კარგი. ეს შენი სიცოცხლის ხაზია... თუ გულის ხაზი?” ვიღაც ხმამაღლა აჭიხვინდა.

“წყნარად; სივრცეში შევდივარ. ვხედავ... ვხედავ...” უცებ სახე არაფრისმეტყველი გაუხდა, თითქოს რაღაცამ შეაშინაო. თაფლისფერი თვალები გაუფართოვდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ის ელენას ხელს აღარ უყურებდა. ის თითქოს მის მიღმა იყურებოდა და რაღაც ძალიან საშიშს ხედავდა.

“მაღალ, შავგვრემან უცნობს შეხვდები,” ჩაიბურტყუნა მერედიტმა მის ზურგსუკან. გარშემო ხითხითი ატეხეს.



“შავგვრემანს და უცნობს კი... მაგრამ არა მაღალს,” ბონის შორეული და ყრუ ხმის გაგონებაზე ყველა გაჩუმდა.

“თუმცა,” დაბნეული გამომეტყველებით განაგრძო მან ორიოდ წამის შემდეგ, ”ის იყო მაღალი, ოდესღაც.” საგონებელში ჩაგდებულმა მიანათა თაფლისფერი თვალები ელენას თვალებს. “მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია... არა?” მან ელენას ხელი გაუშვა, უცნაური გაცხარებით. “მეტის დანახვა აღარ მინდა.”

“კარგი, სანახაობა დამთავრდა. წავიდეთ,” რატომღაც გაღიზიანებული ხმით უთხრა ელენამ დანარჩენებს. მან იცოდა, რომ სამკითხაო ხრიკები არაფერი იყო მართლაცდა მხოლოდ ხრიკების გარდა. მაშინ რატომ გაღიზიანდა ასე ძალიან? იმიტომ, რომ დილიდანვე რაღაც ახირებულად იქცეოდა...

გოგონები სკოლის შენობისკენ დაიძრნენ, მაგრამ სწრაფად დაქოქილი მანქანის ძრავის ღმუილმა ადგილზე გააშეშა ისინი.

“ოჰო,” თქვა კაროლინმა, ისიც მანქანას მიშტერებოდა. “მაგარი მანქანაა.”

“მაგარი პორშეა,” უხალისოდ შეუსწორა მერედიტმა.

პრიალა შავი 911 ტურბო ისე ღმუილდა ავტოსადგომზე თავისუფალი ადგილის ძებნისას, როგორც პანტერა ნადავლის დევნისას.

მანქანა გაჩერდა და ყველა მანქანიდან გადმოსულ მძღოლს მიაჩერდა.

“ღმერთო ჩემო!” დაიხურჩულა კაროლინმა.

“მეორედაც თქვი რა,” ამოისუნთქა ბონიმ.

იქიდან სადაც ელენა იდგა, მხოლოდ გამხდარი, დაკუნთული სხეული ჩანდა.

გახუნებული ჯინსები, ვიწრო მაისური, უჩვეულო ფორმის ტყავის პიჯაკი და მუქი ფერის ტალღოვანი თმა.

თუმცა უცნობი მაღალი არ ყოფილა. საშუალო სიმაღლის იყო.

ელენამ ამოისუნთქა.

“ვინაა ეს შენიღბული კაცი?” იკითხა მერედიტმა. და ეს შენიშვნა შესაფერისი იყო- მუქი ფერის სათვალეები სრულიად ფარავდა ბიჭის თვალებს და სახეს ნიღაბით ედებოდა.

“ეს შენიღბული უცნობია,” თქვა ვილაცამ და ყველა ერთად აყაყანდა.

“პიჯაკს ხედავთ? იტალიურია, რომში დამზადებული.”

“შენ რა იცი? რომში არ ყოფილხარ, ნიუ იორკშიც კი არ ხარ ნამყოფი მთელი შენი ცხოვრება!”

“ო\_ო, ელენას ისევ ის მზერა აქვს. მონადირის მზერა.”

“დაბალი, შავგვრემანი და სიმპათიური, ურჩევნია ფრთხილად იყოს.”

“სულაც არაა დაბალი; დასაწუნი არაფერი აქვს.”

ამ ყაყანში კაროლინის ხმა გაკრვევით გაისმა. “ო, კარგი რა, ელენა. მეტი ხომ უკვე გყავს. რაღა გინდა? რა უნდა გააკეთო ორთან ისეთი, რასაც ერთთან ვერ ახერხებ?”

“იგივე, ოღონდ უფრო ხანგრძლივად,” გარკვევით წარმოთქვა მერედიტმა, ყველამ სიცილი ატეხა.

უცნობმა მანქანა დაკეტა და სკოლისკენ წავიდა. ელენამაც სწორედ ამ დროს განაგრძო სკოლისკენ გზა, დანარჩენი გოგონებიც მას მიყვნენ შეჯგუფებულნი. წამიერად გაღიზიანებამ იფეთქა ელენაში. ვერსად ვერ უნდა წასულიყო უკან დადევნებული ბრბოს გარეშე? მაგრამ შემდეგ მერედიტის მზერა დაიჭირა და გაეღიმა თავისდა გასაკვირად.

“დიდგვაროვანთა ვალდებულება,” უთხრა მერედიტმა რბილად.

“რა?”

“თუ აპირებ, რომ სკოლის დედოფალი იყო, მაშინ ეს ტიტული ყველანაირ შემთხვევაში უნდა შეინარჩუნო.”

ელენას წარბები მოექუფრა ამაზე. ამ დროს შენობაშიც შევიდნენ. მათ წინ გრძელი კორიდორი გაჭიმულიყო, მის ბოლოს კი ოფისის კარს მიღმა მიიმალა ჯინსებსა და ტყავის პიჯაკში გამოწყობილი ფიგურა. ელენამ ნაბიჯი შეანელა ოფისის გვერდით ჩავლისას და ბოლოს კარის გვერძე დაკიდებულ განცხადებების დაფასთან გაჩერდა, თითქოს დაკვირვებით ათვალიერებდა მათ. მის გვერდით დიდი ფანჯარა იყო, საიდანაც მთელი ოფისი მშვენივრად ჩანდა.

დანარჩენი გოგოები მოურიდებლად იყურებოდნენ ფანჯარაში და ხითხითებდნენ.

“მაგარი უკანა ხედია.” “უეჭველადარმანის პიჯაკი აცვია.” “შენი აზრით უცხოელია?”

ელენა სმენას ძაბავდა, იმედი ჰქონდა ბიჭის სახელს მოკრავდა ყურს. როგორც ჩანდა შიგნით რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი: მისის კლარკი, ადმინისტრაციული მდივანი, სიაში იხედებოდა და თავს უარის ნიშნად აქნევდა. ბიჭმა რაღაც თქვა და მისის კლარკმა “რა გიყო”-ს გამომხატველი მზერით შეხედა. მან კიდევ ერთხელ ჩააყოლა თითი სიას და საბოლოოდ გააქნია თავი. ბიჭი ის იყო უნდა მობრუნებულიყო, რომ ისევ მისის კლარკს მიუბრუნდა და როცა ქალმა თვალეში შეხედა მას, უცებ გამომეტყველება შეეცვალა.

ბიჭს სათვალე მოეხსნა და ხელში ეკავა. მისის კლარკი შეცბუნებული ჩანდა; ელენამ დაინახა როგორ დაახამხამა მან თვალეები რამდენჯერმე, პირს ისე ალებდა და ხურავდა თითქოს რაღაცის თქმას ცდილობდა.

ელენას ძალიან მოუნდა ბიჭის სახის დანახვა. მისის კლარკმა გაკვირვებული გამომეტყველებით დაიწყო ქალაღდის გროვებში ქექვა. ბოლოს როგორც იქნა იპოვნა რომელიღაც ანკეტა, რაღაც ჩაწერა შიგნით, მოტრიალდა და ბიჭს გაუწოდა.

ბიჭმა უცებ დაწერა რაღაც- ალბათ ხელი მოაწერა- და ისევ მას გაუწოდა. მისი კლარკმა წამით შეავლო თვალი ხელმოწერას და ახლა სხვა ქალაღდის გროვაში დაიწყო ქექვა, ბოლოს როგორც იქნა, გაკვეთილების ცხრილისმაგვარი ფურცელი გაუწოდა. მისის კლარკს თვალი არ მოუცილებია სანამ ბიჭი ფურცელს გამოართმევდა, თავს დაუკრავდა მადლიერების ნიშნად და კარისკენ მობრუნდებოდა.

ელენას უკვე ცნობისმოყვარეობა კლავდა. რა მოხდა მის თვალწინ ახლახანს? ან როგორი სახე ექნებოდა უცნობს? მაგრამ ოფისიდან გამოსვლისას უკვე სათვალეს ირგებდა თვალეზე. ელენამ იმედგაცრუების ტალღა იგრძნო.

თუმცა მან მაინც დაინახა მისი სახის ნაწილი, როცა ბიჭი კართან წამით შეეკონდა. მისი სახის სრულყოფილი ნაკვეთები თითქოს ძველი რომაული მონეტებიდან ან მედალიონებიდან გადმოეტანათ. მაღალი ღაწვები, კლასიკური სწორი ცხვირი... და ტუჩები რომელიც ღამეებს თეთრად გაგათენებინებს, გაიფიქრა ელენამ. ზედა ტუჩი ღამაზად ნაქანდაკევი ჰქონდა, მგრძობიარე და ვნებიანი. დერეფანში უცებ შეწყდა გოგონების ყაყანი, თითქოს ვიღაცას მათრახი გაეტკაცუნებინა.

გოგოების უმეტესობა თვალს არიდებდა უცნობს, უყურებდნენ ნებისმიერ რამეს, მის გარდა. ელენა ადგილიდან არ განძრეულა, ფანჯარასთან ცმუკავდა. რეზინი მოიხსნა და სრიალა თმა მხრებზე დაეფინა.

უცნობს არავისთვის მიუქცევია ყურადღება ისე გაუყვა დერეფანს. გარკვეული მანძილი რომ გაიარა ერთდროულად ამოიოხრა რამდენიმე გოგომ და ჩურჩულიც ატყდა.

მაგრამ ელენას არაფერი გაუგონია.

მან გვერდით ჩამიარა, გაიფიქრა მან გაკვირვებულმა. გვერდით ჩაუარა, ისე რომ წამითაც არ შეავლო თვალი.

სადღაც შორიდან ჩაესმა ზარის რეკვის ხმა. მერედიტი მხარზე ექაჩებოდა.

“რა?”

“გითხარი, რომ შენი ცხრილი მე მაქვს. ტრიგონომეტრია გვაქვს მეორე სართულზე. დროზე წამოდი!”

ელენას ხელი არ შეუშლია მერედიტისთვის, რომელმაც მას დერეფანი გაარბენინა, კიბეზე ააქცუნა და საკლასო ოთახში ამოაყოფინა თავი. ის დაუფიქრებლად შეცურდა ცარიელ მერხში და მის წინ მდგარ მასწავლებელს მიაპყრო მზერა, თუმცა სინამდვილეში ვერც ხედავდა მას. გაოცება ჯერ კიდევ არ განელებოდა.

მან გვერდით ჩაუარა. ისე, რომ თვალიც არ შეავლო. მას აღარც ახსოვდა, ბოლოს როდის მოიქცა ბიჭი ასე მისი თანდასწრებით. საერთოდ ბიჭები თვალს მაინც შეავლებდნენ ხოლმე. ზოგი უსტვენდა კიდევ. ზოგი ლაპარაკს წყვეტდა. ზოგი უბრალოდ აშტერდებოდა.

ასეთი იყო ელენასთვის ჩვეულებრიობა.

ყველაფრის მიუხედავად, რა იყო ბიჭებზე მნიშვნელოვანი? მათი რეაქცია მიანიშნებდა მის პოპულარობაზე, მის მომხიბვლელ გარეგნობაზე. აი, ასეთი რაღაცეებისთვის იყვნენ ისინი საჭირო. ზოგჯერ ისინი მართლა აღაფრთოვანებდა ელენას, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა. ზოგჯერ კი თავიდანვე იდიოტები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

ბიჭების უმეტესობა, გაიფიქრა ელენამ, ლეკვებივით არიან. თავისებურად აღმერთებენ მას, მაგრამ მალე ხუნდებიან. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს თუ შეეძლო ყოფილიყო ამაზე მეტი, გამხდარიყო ნამდვილი მეგობარი. მეტის მსგავსად.

ოჰ, მეტი... გასულ წელს ელენას იმედი ჰქონდა, რომ მეტი იქნებოდა ის ბიჭი ვისაც ამდენი ხანი ეძებდა და აგრძნობინებდა... რაღაც უფრო მეტს. მეტი ვიდრე უბრალოდ გამარჯვების გრძნობა კიდევ ერთი გულის მონადირეების შემდეგ, ვიდრე უბრალოდ სიამაყე დაქალებთან ახალი ნადავლით თავის მოწონების დროს. ის მართლაც გრძნობდა ძლიერ ლტოლვას მეტის მიმართ. მაგრამ ზაფხულის ბოლოსთვის, როცა კარგად დაფიქრდა ყველაფერზე, მიხვდა რომ ეს ისეთივე სიყვარული იყო, როგორითაც ბიძაშვილი ან და უყვარდა.

მის ჰალპერნი ტრიგონომეტრიის წიგნებს არიგებდა. ელენამაც გამოართვა და ისე წააწერა შიგნით თავისი სახელი, ფიქრებიდან არც გამორკვეულა.

მას მეტი ყველა იმ ბიჭზე მეტად მოსწონდა ვისაც იცნობდა. სწორედ ამიტომ აპირებდა მისთვის ეთქვა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა.

წარმოდგენაც არ ჰქონდა წერილით ეს როგორ უნდა გაეკეთებინა. არ იცოდა როგორ უნდა ეთქვა მისთვის ეს ახლა. არა იმიტომ, რომ სკანდალის ატეხვის ეშინოდა, იცოდა ის ვერ გაუგებდა. თვითონაც ხომ არ ესმოდა ბოლომდე საკუთარი თავის.

ეჩვენებოდა, თითქოს ყოველთვის... რაღაცისკენ ილტვოდა. და როგორც კი გაიფიქრებდა, რომ მიიღო რაც ასე სურდა, იმედი უტრუფდებოდა. რაც მას სურდა არც მეტში იყო და არც სხვა ბიჭებში ვისი გულის მონადირებაც მას შეეძლო.

შემდეგ კი ყველაფრის თავიდან დაწყება უწევდა. საბედნიეროდ, ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე ახალი სათამაშო. აქამდე ვერცერთი ბიჭი ვერ აღუდგა წინ მის სილამაზეს, არავის არასდროს გაუბედია მისი უარყოფა. აქამდე.

აქამდე. დერეფანში მომხდარი ინციდენტის გახსენებაზე იგრძნო როგორ მოუჭირა თითები კალამს. ჯერ კიდევ ვერ იჯერებდა, რომ ასე უბრალოდ ჩაუარა გვერდით.

ზარი დაირეკა და ყველა ერთად მიაწყდა დერეფანს, მაგრამ ელენა კართან გაჩერდა. მან ტუჩზე იკბინა და დერეფანში მიმავალი სტუდენტების ნაკადს დაუწყო თვალთვლება. ავტოსადგომზე დანახული რამდენიმე უსაქმური ეცნო.

“ფრენსიზ, მოდი აქ.”

ფრენსიზმა გაბრწყინებული სახით, სიხარულით მიიღბინა.

“მისმინე, ფრენსიზ, გახსოვს ის ბიჭი დილას რომ ვნახეთ?”

“პორშეთი და ნილბისმაგვარი სათვალით? რა დამავიწყებს?”

“მისი გაკვეთილების ცხრილი მჭირდება. ან ოფისიდან მომიტანე, ან მისგან გადმომიწერე თუ საჭირო გახდება. მაგრამ უნდა მომიტანო, გაიგე?”

ფრენსიზი წამით გაკვირვებული სახით უყურებდა, შემდეგ გაცინა და თავი დაუქნია.

“კარგი, ელენა. შევეცდები. ლანჩზე მოგიტან თუ ჩავიგდე ხელში.”

“გმადლობ.” ელენამ მიმავალ გოგონას გააყოლა თვალი.

“იცი, ნამდვილი გიჟი ხარ,” ყურში უთხრა მერედიტმა.

“რაში მჭირდება სკოლის დედოფლობა, თუ ვერაფერში გამოვიყენე როცა დამჭირდება?”

მშვიდი გამომეტყველებით მიუბრუნდა ელენა. “ახლა რა გაკვეთილი მაქვს?”

“ზოგადი ეკონომიკა. აი, შენთვისონ ნახე.” მერედიტმა ცხრილი მისცა. “მე ქიმიკზე უნდა გავიქცე. დროებით!”

ზოგადმა ეკონომიკამ და დილის სხვა გაკვეთილებმა შეუმჩნევლად გაიარა. ელენას იმედი ჰქონდა, რომ ახალ მოსწავლეს მოკრავდე სადმე თვალს, მაგრამ ის მის არცერთ გაკვეთილზე არ გამოჩენილა. სამაგიეროდ მეტი იყო და იგრძნო როგორ ეძგერა მწვავე ტკვილი, როცა მან ღიმილით მიანათა თავისი ლურჯი თვალები.

ლანჩის ზარის შემდეგ, კაფეტერიაში აქეთ-იქით ყველას უკრავდა თავს მისალმების ნიშნად. კაროლინი გარეთ იყო, მაღლა მიმართული ნიკაპით ზურგით მიყრდნობოდა კედელს, თეძოები წინ წამოეწია. ბიჭები, რომლებსაც ის ელაპარაკებოდა, ელენას მოახლოებისთანავე დადუმდნენ და ერთმანეთს მუჯღუგუნები უთავაზეს.

“გამარჯობათ, “სწრაფად უთხრა ბიჭებს და კაროლინის მიუბრუნდა. “არ შემოხვალ საჭმელად?”

კაროლინამ ოდნავ დაუბრიალა თვალები ელენას და პრიალა ჟღალი თმები სახიდან გადაიწია. “რაო, სამეფო სუფრასთან მეპატოყები?”

ელენამ უკან დაიხია. ის და კაროლინი საბავშვო ბაღიდან მეგობრობდნენ და ყოველთვის ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს დადებითი გაგებით. მაგრამ ბოლო დროს რაღაც ეტაკა კაროლინს. თანდათან ის უფრო და უფრო სერიოზულად იღებდა ამ კონკურენციას. მაგრამ ელენა მაინც გააოცა კაროლინის ხმაში გაჟღერებულმა ბოლმამ.

“მერე რა მოხდა, არც შენ ხარ მდაბიო წარმოშობის,” ხალისიანად უპასუხა ელენამ.

“ო, მაგაში კი მართალი ხარ,” უთხრა კაროლინმა და მთელი სახით მობრუნდა ელენასკენ. კატის მწვანე დანისლული თვალები გამჭოლი მზერით უყურებდნენ მას, ელენა გააოცა მათში დანახულმა მტრულმა ნაპერწკალმა. ბიჭებმა მოურიდებლად გაიცინეს და განზე გაიწიენ.

კაროლინს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია. “მას შემდეგ რაც ამ ზაფხულს გაემგზავრე, ბევრი რამ შეიცვალა, ელენა,” გააგრძელა მან. “და შეიძლება შენი სამეფო კვარცხლბეკზე დგომის დღეები იწურება.”

ელენამ იგრძნო როგორ გაწითლდა. მთელი ძალით შეეცადა სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

“შეიძლება,” თქვა მან. “მაგრამ შენს ადგილზე რომც ვიყო, ფულით მაინც არ შევეცდებოდი სამეფო კვერთხის ყიდვას, კაროლინ.” ელენა შებრუნდა და კაფეტერიაში შევიდა.

გულზე მოეშვა როცა მერედიტთან და ბონისთან ერთად ფრენსიზიც დაინახა. ელენამ იგრძნო როგორ დაუცხრა სიწითლე ლოყებზე, მას შემდეგ რაც საკვები აიღო და მეგობრებს შეუერთდა. კაროლინს არ მისცემდა უფლებას, მისთვის ხასიათი გაეფუჭებინა; კაროლინზე საერთოდ აღარ იფიქრებდა.

“მოგიტანე,” თქვა ფრენსიზმა, როცა ელენა დაჯდა და ქაღალდის ნაგლეჯი ააფრიალა.

“და მეც კარგი ამბები მაქვს,” სერიოზული ხმით უთხრა ბონიმ. “ელენა, კარგად მომისმინე. მე და მას ერთად გვაქვს ბიოლოგიის გაკვეთილი და მე ზუსტად მის გასწვრივ ვიჯექი. მას სტეფანი ჰქვია, სტეფან სალვატორი. იტალიელია, ქალაქის ბოლოს მოხუც მისის ფლაუერთან ქირაობს ბინას.” ამოიოხრა მან. “ისეთი რომანტიკულია... კაროლინს წიგნები დაუცვივდა, ის კი ალბაში დაეხმარა.”

ელენას სახე მოეღრცა. “რა მოუქნელია კაროლინი. კიდევ რა მოხდა?”

“მეტი არაფერი. არც გამოლაპარაკებია. როგორც ხედავ მა-ა-ალიან იდუმალი პიროვნებაა. მისის ენდიკოტი, ბიოლოგიის მასწავლებელი, შეეცადა მოეხსნევიანებინა სათვალე, მაგრამ მაინც არ მოიხსნა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რაღაც პრობლემების გამო.”

“რა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო?”

“არ ვიცი. შეიძლება სიკვდილის პირასაა და მისი დღეები დათვლილია. ასე რომ იყოს რა რომანტიული იქნებოდა არა?”

“კი, ძალიან.” უპასუხა მერედიტმა.

ელენამ ფრენსიზის მოტანილ ფურცელს გადახედა და ტუჩი მოიკვნია. “მეშვიდე გაკვეთილი გვაქვს საერთო, ევროპის ისტორია. კიდევ ვის გაქვთ ეს გაკვეთილი?”

“მე,” თქვა ბონიმ. “და მგონი კაროლინსაც. და შეიძლება მეტსაც; მეტი გუშინ რაღაცას ამბობდა, როგორ გაუმართლა, რომ მისტერ ტენერთან მოხვდა.”

გადასარეგია, გაიფიქრა ელენამ, ჩანგალი აიღო და მოხარულ კარტოფილს ჩაარჭო. როგორც ჩანდა მეშვიდე გაკვეთილი უაღრესად საინტერესო იქნებოდა.

სტეფანს უხაროდა, რომ როგორც იყო სასწავლო დღე დასასრულს მიუახლოვდა. მას ძალიან უნდოდა სულ რამდენიმე წუთით მაინც მოშორებოდა ხალხით გადაჭედნილ ოთახებსა და დერეფნებს.

ამდენი ფიქრები. ამდენი განსხვავებული ფიქრებისა და აზრების კორიანტელი თავბრუს ახვევდა მას. უკვე დიდი ხანი გავიდა მასე შემდეგ, რაც ბოლოს ამდენი ხალხის გარემოცვაში გაატარა დრო.

ერთის აზრი კი განსაკუთრებულად მოეჩვენა. ის გოგოც მათ შორის იყო, სკოლის დერეფანში რომ უთვალთვალეზდნენ ვიღაცეები. მას წარმოდგენა არ ჰქონდა როგორ გამოიყურებოდა ის, მაგრამ მისი ინდივიდუალობა ნამდვილად ძლიერი იყო. ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ფიქრების ხმას აუცილებლად იცნობდა.

ასეა თუ ისე, მასკარადის პირველ დღეს გაუძლო. თავისი ძალა მხოლოდ ორჯერ გამოიყენა, თანაც არა მთელი შესაძლებლობით. მაგრამ უკვე დაიღალა და თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც აღიარა რომ მოშვიდა. როგორც ჩანდა კურდღელმა ვერ დააკმაყოფილა.

ამაზე ნერვიულობა მოგვიანებითაც ეყოფოდა. ბოლო გაკვეთილის საკლასო ოთახს მიაგნო და მერხთან დაჯდა. იგრძნო, რომ იმ არაჩვეულებრივი ფიქრების პატრონიც იქ იყო.

ეს ფიქრი მის ქვეცნობიერში გავარვარებული, ოქროსფერი, ნაზი, მთრთოლვარე ძაფივით ელვარებდა. მან მაშინვე შეიტყო გოგონას მდებარეობა, რომლისგანაც ეს ფიქრები მოდიოდა. ის პირდაპირ მის წინ იჯდა.

როგორც კი ეს გაიფიქრა, გოგონა მობრუნდა და სტეფანმა მისი სახე დაინახა. ერთადერთი რაც შეძლო, იყოს ის, რომ შეეცადა შოკი და გოცება დაემალა.

კეტრინი! მაგრამ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ის ყოფილიყო. კეტრინი მოკვდა; არავინ იცოდა ეს, მასზე უკეთესად.

და მაინც, მსგავსება საზარელი იყო. ეს ბაცი ოქროსფერი თმები, ისეთი ქერა, რომ თითქოს ციმციმებდა. ეს ნაღებისფერი კანი, რომელიც მას ყოველთვის გედს აგონებდა, ან ალებასტრს, ღაწვებს ოდნავ მოსდებოდა მოვარდისფრო ფერი. და თვალები... კეტრინის ისეთი ფერის თვალები ჰქონდა, როგორც მას მანამდე არასდროს ენახა; ლაჟვარდოვან ცაზე უფრო ლურჯი, ისეთივე ელვარე, როგორც ლაპის-ლაზულით მოოჭვილი მისი თავსაბურავი. ამ გოგონასაც ზუსტად მისნაირი თვალები ჰქონდა.

და ისინი ზუსტად სტეფანის თვალებს უყურებდნენ როცა გოგონამ გაიღიმა.

ღიმილისგან გაქცევის მიზნით, სტეფანმა მაშინვე დახარა თავი. მას უნდოდა არა მარტო ღიმილს, არამედ ყველაფერს გაქცეოდა რაც მას კეტრინს მოაგონებდა. მას აღარ უნდოდა დაენახა გოგონა, რომელიც მას კეტრინს ახსენებდა, საერთოდ აღარ უნდოდა ეგრძნო ამ გოგოს არსებობა. მზერა მერხს მიაპყრო და მთელი მონდომებით შეეცადა არ გაეგონა ამ გოგოს ფიქრები. და ბოლოს, როგორც იქნა, ის ნელა შეტრიალდა.

გოგონა გულნატკენი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სტეფანი მის ფიქრებს ბლოკავდა, მან მაინც იგრძნო ეს. თუმცა ეს არ ანაღვლებდა. პირიქით, უხაროდა კიდევ, და იმედი ჰქონდა, რომ გოგონას აღარ გაუჩნდებოდა მისთვის ყურადღების მიქცევის სურვილი. გარდა ამისა, მას არავითარი გრძნობა არ გასჩენია გოგონას მიმართ.

სწორედ ამას ეუბნებოდა საკუთარ თავს, უსაქმური მასწავლებლის ხმა შორეულად ესმოდა, ისე რომ ერთი სიტყვაც არ გაუგონია. სამაგიეროდ სუნამოს ფაქიზ სურნელს გრძნობდა- იები, გაიფიქრა მან. გოგონას წვრილი თეთრი კისერი წიგნთან დაიხარა და ქერა თმები ორივე მხრიდან ჩამოეფარა.

სიბრაზესა და იმედგაცრუებასთან ერთად მას მაცდური შეგრძნება გაუჩნდა- უფრო ღიტიინის და ყურებში შხუილის მსგავსი ვიდრე ტკივილის. ეს შიმშილი იყო, თავისებური შიმშილი. არა ისეთი, რომლიც შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა.

მასწავლებელი ქრცვინივით დადიოდა წინდაუკან ოთახში, კითხვებს სვამდა. სტეფანი შეეცადა ამ კაცისთვის არ მოეშორებინა თვალი. თავიდან დაიბნა, რომ არავინ არ იცოდა მასწავლებლის კითხვებზე პასუხი, ის კი კითხვებს ისევ სვამდა. შემდეგ კი მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო მასწავლებლის მიზანი. რომ შეერცხვინა სტუდენტები იმის გამო, რაც მათ არ იცოდნენ.

სწორედ იმ წამს, კაცმა ახალი მსხვერპლი იპოვა, წითელ-კულულებიანი ბუჩქით დამშვენებული გულისფორმის სახიანი გოგონა. სტეფანი ზიზღით უყურებდა როგორ დააყარა მას კითხვები მასწავლებელმა. კაცი გამარჯვებული სახით მოტრიალდა ბავშვებისკენ და მთელ კლასს მიმართა.

“მიხვდით რისი თქმა მინდოდა? თქვენ ფიქრობთ რომ მაგარები ხართ; რომ უკვე მაღალკლასელები გახდით და სადაცაა სკოლას დაამთავრებთ. მე კი გეტყვით, რომ ზოგიერთი თქვენგანი საბავშვო ბაღის დამთავრების ღირსიც კი არაა! სწორედ მისნაირებზე ვამბობ.” მან წითელთმიანი გოგონასკენ გაიშვირა ხელი. “წარმოდგენა არ გაქვთ ფრანგულ რევოლუციაზე. მას რომ კითხო, მარი ანტუანეტა მუნჯი კინოს ვარსკვლავი იყო.”

სტეფანის გარშემო ყველა უხერხულად შეიშმუშნა. ის აღშფოთებას და დამცირებას გრძნობდა მათ ფიქრებში. და კიდევ შიშს. ყველას პატარა, გამხდარი, თრითინასავით წვრილთვალეა კაცის ეშინოდა, იმ ბრგე ბიჭებსაც კი, ვინც მასწავლებელს ბევრად აღემატებოდნენ სიმაღლით.

“კარგი, აბა სხვა ეპოქა ვცადოთ.” მასწავლებელი იმავე გოგოს მიუბრუნდა. “რენესანსის დროს...” უცებ ის გაჩერდა. “შენ ხომ იცი რა არის რენესანსი, არა? XIII- XVII საუკუნეებს შორის პერიოდი, როცა ევროპამ ანტიკური საბერძნეთისა და რომის დიადი იდეები ააღორძინა. ეპოქა, როდესაც ევროპაში ამდენი დიდებული მხატვარი და მოაზროვნე მოღვაწეობდა.” გოგონამ შეცბუნებულმა დაუქნია თავი და მასწავლებელმა ისევ განაგრძო. “ჰოდა, აღორძინების ეპოქის დროს, შენი ასაკის მოსწავლეები რას აკეთებდნენ სკოლაში? აბა? არავითარი იდეა არ გაქვს? რაიმე ვარაუდი?”

გოგონამ გაჭირვებით გადაყლაპა ნერწყვი, სუსტად გაიღიმა და თქვა: “ფეხბურთს თამაშობდნენ?”

ამას კლასში ატეხილი სიცილი მოჰყვა, რის შედეგადაც მასწავლებელი უარესად მოიქუფრა. “ძნელი დასაჯერებელია!” წამოიძახა კაცმა და კლასში სიჩუმემ დაისადგურა. “შენ აზრით ეს სასაცილოა? იმ დროისთვის თქვენი ასაკის მოსწავლეებმა უკვე უზადოდ იცოდნენ რამდენიმე უცხო ენა. ასევე დახელოვნებულნი იყვნენ ლოგიკაში, მათემატიკაში, ასტრონომიაში, ფილოსოფიასა და გრამატიკაში. მათ საკმარისი ცოდნა ჰქონდათ, რომ

სწავლა უნივერსიტეტში გაეგრძელებინათ, სადაც ყველა საგანს ლათინურად ასწავლიდნენ. ფეხბურთი კი უქველად უკანასკნელი რამ იქნებოდა, რასაც..."

“უკაცრავად.”

წყნარმა ხმამ წინადადება გააწყვეტინა მასწავლებელს. ყველა სტეფანს მიაჩერდა.

“რაო? რა თქვი?”

“მე ვთქვი, უკაცრავად,” სტეფანმა გაიმეორა, სათვალეები მოიხსნა და ფეხზე წამოდგა.

“მაგრამ თქვენ ცდებით. მოსწავლეებს რენესანსის ეპოქაში მასწავლებლები აქეზებდნენ, რომ თამაშებში მიეღოთ მონაწილეობა. მათ ასწავლიდნენ, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. და ისინი მართლა თამაშობდნენ ჯგუფურ თამაშებს, როგორცაა კრიკეტი, ტენისი- ასევე ფეხბურთიც.” ის წითელთმიან გოგონას მიუბრუნდა და გაუღიმა, მანაც მადლიერი ღიმილით უპასუხა. შემდეგ მასწავლებელს მიუბრუნდა და დაამატა, “მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მათ ასწავლიდნენ კარგ მანერებს და თავაზიანობას. დარწმუნებული ვარ ეს თქვენს წიგნშიც წერია.”

ყველას გაეცინა. მასწავლებელს სიბრაზისგან სახე აუჭარხლდა. მაგრამ სტეფანი თვალს არ აშორებდა და კიდევ ერთი წუთის შემდეგ ისევ მასწავლებელმა აარიდა მზერა.

ზარი დაირეკა.

სტეფანმა მაშინვე სათვალე გაიკეთა და თავისი წიგნების შეგროვება დაიწყო. მან უკვე მიიპყრო საჭიროზე მეტი ყურადღება და აღარ უნდოდა ქერა გოგოს მზერაც დაეჭირა. გარდა ამისა, სასწრაფოდ უნდა გასცლოდა იქაურობას; ვენებში ნაცნობი მწველი შეგრძნება გაუჩნდა.

კარებს რომ მიაღწია ვიღაცამ დაიყვირა.”ეი! მაშინ მართლა თამაშობდნენ ფეხბურთს?”

სტეფანმა თავი ვერ შეიკავა რომ მხარზემით არ გაეცინა კითხვის ავტორისთვის. “რა თქმა უნდა. ზოგჯერ ომის ტყვეების მოჭრილი თავებითაც.”

ელენა უყურებდა როგორ გავიდა ის საკლასო ოთახიდან. უცნობმა მას განზრახ აარიდა თვალი. მან ელენა განგებ დაამცირა, თანაც კაროლინის თვალწინ, რომელიც ქორივით უყურებდა მათ. თვალეზე ცრემლები მოაწვა, თუმცა გონებაში ერთადერთი მწველი აზრი უტრიალდებდა.

ეს ბიჭი მისი გახდებოდა, თუნდაც სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა ეს. თუნდაც ეს ორივეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, ეს ბიჭი მაინც მისი გახდებოდა.



### თავი 3

განთიადის პირველმა სხივებმა ღამის ცა მოვარდისფრო და მონაცრისფრო ფერებით ააჭრელეს. სტეფანი განთიადს პანსიონის ფანჯრიდან უყურებდა. მან სწორედ ამიტომ იქირავა პანსიონის ის ოთახი, რადგან მას ლუქი ჰქონდა ჭერში და თავისუფლად შეეძლო სახურავზე ასვლა. ახლა ლუქის კარი ღია იყო და გრილი ნესტიანი ქარი უბერავდა ლუქზე მიდგმულ კიბეზე. სტეფანი ჩაცმული იყო, ოღონდ არა იმიტომ, რომ ადრე ადგა. მას არასდროს ეძინა.

ის ახლახან დაბრუნდა ტყიდან, ფეხსაცმლის ლანჩაზე სველი ფოთლები აწებებოდა. მან მაშინვე მოიშორა ფოთლები ფრთხილი მოძრაობით. გუშინ მოსწავლეების რეაქცია არ გამოპარვია თვალთახედვის არიდან და იცოდა, რომ დღესაც დააკვირდებოდნენ მის სამოსსა და ფეხსაცმელს. ის ყოველთვის საუკეთესოდ იცვამდა, განა იმიტომ, რომ ასე ცდილობდა ამაოებას გაჰქცეოდა, არამედ იმიტომ, რომ ასე იყო სწორი. მისი მოძღვარი ასე ეუბნებოდა მას: არისტოკრატი ისე უნდა იცვამდეს, როგორც მას ეკადრება. თუ ასე არ იქცევა, ის ამით სხვების მიმართ უპატივცემულობას გამოხატავს. ყველას თავისი ადგილი აქვს ამ სამყაროში და მისი ადგილი ოდესღაც დიდგვაროვნებში იყო. ოდესღაც.

რატომ იქექებოდა ამ რაღაცეებში? რა თქმა უნდა, უნდა მიმხვდარიყო, რომ სკოლის მოსწავლის როლის თამაში, თავისი მოსწავლეობის პერიოდის დაბრუნებას გავდა. ახლა მოგონებები უფრო მეტი რაოდენობით და სისწრაფით დაატყდა თავს, თითქოს წიგნის ფურცლები იშლებოდა მალ-მალე, მის მზერას თავისი ცხოვრების სხვადასხვა მომენტები იპყრობდა. ერთი მომენტი ნათლად დაუდგა თვალწინ: მამამისის სახე, როცა დეიმონმა განუცხადა, რომ უნივერსიტეტის მიტოვება გადაწყვიტა. ეს არასდროს დაავიწყდება. მას არასდროს ენახა მამამისი ასე გამბვინვარებული...

"რა გინდა თქვა, რომ დაბრუნებას აღარ აპირებ?" ჯუზეპე ჩვეულებრივ სამართლიანი ადამიანი იყო, თუმცა საკმაოდ ფიცხი ხასიათიც ჰქონდა და უფროსი ვაჟის საქციელი მასში გაცეცხლებას იწვევდა.

სწორედ იმ დროს ეს ვაჟი ზაფრანისფერ აბრეშუმის ცხვირსახოცს ისვამდა ტუჩებზე. "ვფიქრობდი, რომ ასეთი მარტივი წინადადება შენთვისაც კი გასაგები იქნებოდა, მამა. ლათინურად ხომ არ გაგიმეორო?"

"დეიმონ..." ძმის უპატივცემულობით შეძრწუნებულმა დაიწყო სტეფანმა. მაგრამ მამამისმა შეაწყვეტინა.

"შენ გინდა მითხრა, რომ მე, ჯუზეპე კონტი დი სალვატორს, მომიწევს დავუპირისპირდე ჩემს მეგობრებს, რომლებიც გაიგებენ რომ ჩემი ვაჟი შციოპარტო-ა? ჩვეულებრივი მუქთახორა? უქნარა, რომელსაც ვერავითარი სარგებლობა ვერ მოაქვს ფლორენციისთვის?" მსახურები ბატონის თვალთახედვიდან გაქრნენ, მისი მბვინვარების შემყურენი.

დეიმონს თვალის არ დაუხამხამებია. "აშკარად. თუ მათ ვინც მხოლოდ იმიტომ გიდგას მხარში, რომ იმედი აქვთ ფულს ასესხებ, შენს მეგობრებს უწოდებ."

"შპორცო პარასსიტო!" დაიღრიალა ჯუზეპემ და სკამიდან წამოდგა. "ის არ იყო საკმარისი, რომ სკოლაში ყოფნის დროს შენ დროს და ჩემს ფულს ასე უაზროდ ფლანგავ? ო, დიახ, ყველაფერი ვიცი, შენს აზარტულ თამაშებზე, დოლით გართობებზე და ქალებზე. და ფული რომ არ გაგეფლანგა შენს მდივანსა და მასწავლებლებში ყველა კურსზე ჩაიჭრებოდი. ახლა კი გინდა, რომ ასე შემარცხვინო. მე გეკითხები რატომ? რატომ?" მან ჰაერშია გაიქნია ფართო ხელი და დეიმონის ყბაზე დაეშვა. "ამას იმიტომ აკეთებ, რომ ნადირობას და გართობას დაუბრუნდე?"

სტეფანი იძულებული იყო ძმას გამოსარჩლებოდა. დეიმონი არც შემკრთალა. ის თითქმის თავხედურად იდგა, მისი ადკაზმულობა მის კეთილშობილ წარმომოშობაზე მიუთითებდა, ყველაფერი მისი მუქი ფერის თმაზე დახურული ელეგანტურად სადა ქუდით დაწყებული, ყარყუმის მოსასხამით და პრიალა ტყავის ფეხსაცმლით დამთავრებული. მისი აპრეხილი ზედა ტუჩი კი წმინდა წყლის ქედმაღლობის გამომხატველი იყო.

ამჯერად ღრმად შეტოპე, გაიფიქრა სტეფანმა და თვალი შეავლო ორ კაცს, რომელთა მზერა ერთმანეთს გადაჯაჭვოდა. ამჯერად შენც კი ვერ მოახერხებ წყლიდან მშრალი ამოსვლას.

სწორედ ამ დროს კაბინეტის კართან მსუბუქი ნაბიჯების ხმა გაისმა. შემობრუნებული სტეფანი მოაჯადოვა ლაპის-ლაზურისფერმა თვალებმა, რომელთაც გარშემო ჩარჩოსავით შემოვლებოდა გრძელი ოქროსფერი წამწამები. ეს კეტრინი იყო. მამამისს, ბარონ ვონ სვართოზილდს, ის გერმანელი პრინცის ცივი მიწებიდან იტალიის სოფელში ჩამოეყვანა, ის იმედოვნებდა, რომ მის ქალიშვილს ეს დაეხმარებოდა გახანგრძლივებული ავადმყოფობისგან განკურნებაში. და იმ დღის შემდეგ, რაც ამ ქალმა იტალიის მიწაზე დადგა ფეხი, სტეფანისთვის ყველაფერი შეიცვალა.

"უმორჩილესად გთხოვთ მომიტევოთ. არ მინდოდა ხელი შემეშალა თქვენთვის." მას ძალიან ნაზი და მკაფიო ხმა ჰქონდა. ის ოდნავ შებრუნდა, თითქოს წასვლას აპირებდა.

"არა, ნუ წახვალ. დარჩი," სწრაფად უთხრა სტეფანმა. მას უნდოდა, რომ მეტი ეთქვა, მისი ხელი ხელებში მოექცია- მაგრამ ვერ გაბედა. მითუმეტეს მამამისის თანდასწრებით. მას შეეძლო მხოლოდ ამ ძვირფასი ქვასავით ელვარე თვალებისთვის დაჟინებით ეცქირა, ისევე როგორც ისინი უცქერდნენ.

"ჰო, დარჩი," უთხრა ჯუზეპემ, სტეფანმა დაინახა როგორ გაუბრწყინდა გაცეცხლებული სახე მამამისს და რომ ამან დეიმონი იხსნა. ის ქალისკენ დაიძრა, თან მოსასხამის გრძელი კალთები გაისწორა.

"მამაშენი დღეს უნდა დაბრუნდეს ქალაქში და გაეხარდება შენი დანახვა. მაგრამ როგორი ფერმკრთალი ლოყები გაქვს, კეტრინ. იმედია ისევ ავად არ გამხდარხარ?"

"ზომ იცით, რომ მე ყოველთვის ფერმკრთალი ვარ, სერ. მე არასდროს არ ვიყენებ ფერუმარისს, თქვენი კადნიერი იტალიელი გოგონებისგან განსხვავებით."

"არც გჭირდებათ," წამოსცდა სტეფანს სანამ საკუთარი თავის შეჩერებას მოასწრებდა. კეტრინმა გაუღიმა. ის ისეთი მშვენიერი იყო. მკერდში რაღაც ასტკივდა.

მამამისმა გააგრძელა, "მთელი დღის განმავლობაში სულ რამდენჯერმე გხედავთ.

შეზინდებამდე იზვიათად გვაძლევთ თქვენს კომპანიით სიამოვნების შესაძლებლობას."

"მე ჩემს ოთახებში სწავლითა და ლოცვით ვარ დაკავებული, სერ," უპაუხა კეტრინმა წყნარად და წამწამები დახარა. სტეფანმა იცოდა, რომ ეს სიმართლე არ იყო, მაგრამ არაფერი უთქვამს; ის არასდროს გასცემდა კეტრინის საიდუმლოს. ქალმა ისევ სტეფანის მამას გაუსწორა მხერა. "მაგრამ ახლა აქ ვარ, სერ."

"დიახ, დიახ, მართალია. აუცილებლად უნდა ავღნიშნო, რომ დღეს მამაშენის დაბრუნებისადმი მიძღვნილი განსაკუთრებული სადილი გვექნება. დეიმონ... საუბარს მოგვიანებით გავაგრძელებთ." როგორც კი ჯუზეპემ რაღაც ანიშნა მსახურს და ოთახიდან გავიდა, სტეფანი აღფრთოვანებით მიუბრუნდა კეტრინს. ისინი იშვიათად თუ ახერხებდნენ ერთმანეთს ჯუზეპეს ან კეტრინის მკაცრი გერმანელი პირისფარემის, გუდრენის გარეშე დალაპარაკებას.

მაგრამ რაც შემდეგ სტეფანმა დაინახა ეს მისი მუცლის აფეთქებას გავდა. კეტრინი ილიმებოდა- იდუმალი ღიმილით, რომელიც არაერთხელ ებოდებინა სტეფანისთვის.

მაგრამ ამჯერად ის სტეფანს არ უყურებდა. ის დეიმონს არ აცილებდა თვალს.

სტეფანს იმ წამს სძულდა თავისი ძმა, სძულდა დეიმონის პირქუში სილამაზე და ვნებიანობა, რომელიც ისე სწვავდა ქალებს, როგორც ჩრჩილებს ცეცხლის ალი. იმ წამს ძალიან მოუნდა დეიმონისთვის გაერთყა და მისი მშვენიერება დაემსხვრია. ამის მაგივრად ის იძულებული იყო გაუნძრევლად მდგარიყო და ეცქირა როგორ დაიდრა კეტრინი ნელა მისი ძმისკენ, როგორ უახლოვდებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ, მისი ოქროსფერი ფარჩის კაბა როგორ შრიალებდა ქვის იატაკზე.

და თუმცა ის დაჟინებით უყურებდა, დეიმონმა ხელი გაუწოდა კეტრინს და გამარჯვების ბოროტი ღიმილით გაიღიმა...

სტეფანი უცებ მკვეთრად მოტრიალდა და ზურგი აქცია ფანჯარას.

რატომ ხსნიდა მომუშებულ იარებს? და თუმცა ეს გაიფიქრა, მაინც ამოიღო მათსურიდან გულზე დაკიდებული ოქროს წვრილი ძეწკვი. ცერა და საჩვენებელი თითებით მოეფერა მასზე დაკიდებულ ზარს, შემდეგ კი სინათლეს მიუმარჯვა.

პატარა წრე დახვეწილად იყო გამოკვეთილი ოქროში, 5 საუკუნესაც კი ვერ გაეხუნებინა მისი ბზინვარება. მას ერთადერთი ქვა ამშვენებდა, ეს მისი პატარა ფრჩხილისხელა ლაპის-ლაზური იყო. სტეფანი დააკვირდა მას, შემდეგ საკუთარ ხელზე გაკათებულ მძიმე ვერცხლის ბეჭედს, რომელიც ასევე ლაპისით იყო მოოჭვილი. მკერდში ნაცნობი ტკივილი იგრძნო.

მას არ შეეძლო წარსულის დავიწყება, და სინამდვილეში არც სურდა ეს. მიუხედავად ყველაფრისა რაც თავს გადახდა, ის მაინც სათუთად უფრთხილდებოდა კეტრინის მოგონებას. თუმცა არსებობდა ერთი მოგონება, რომლის გახსენება მისთვის ნამდვილად არ ღირდა, ეს იყო წიგნი ის ფურცელი, რომელიც არ უნდა გადაეშალა. თუ ის იმ საშინელებას... იმ სიძულვილს გაიხსენებდა, ნამდვილად გაგიჟდებოდა. რადგან ის მართლა გაგიჟდა იმ დღეს, იმ უკანასკნელ დღეს როცა მოუწია მთლიანად ჩადირულიყო თავის წყევლაში...

სტეფანი ფანჯრისკენ გადაიხარა და შუბლით მინის სიგრილე შეიგრძნო. მის მოძღვარს კიდევ ერთი ანდაზა ჰქონდა: ბოროტება არასდროს დაშოშმინდება. შეიძლება გაიმარჯვოს, მაგრამ სიმშვიდეს ვერასდროს მოიპოვებს.

საერთოდ რისთვის ჩამოვიდა ფელს ჩარჩში?

მას იმედი ჰქონდა, რომ აქ იპოვიდა სიმშვიდეს, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. მას ბოლომდე ვერასდროს მიიღებდა საზოგადოება, ის ბოლომდე ვერასდროს დაისვენებდა. იმიტომ, რომ ის ბოროტი იყო. და მას არ შეეძლო ამის შეცვლა.

ელენა იმ დღეს ჩვეულებრივზე ადრეც კი ადგა. მან გაიგონა დეიდა ჯუდიტი როგორ დაფუსფუსებდა თავის ოთახში, შხაპისთვის ემზადებოდა. მარგარეტს ჯერ კიდევ ღრმად ეძინა, საწოლში პატარა თაგუნასავით მოკუნტულიყო. ელენამ თავისი უმცროსი დის ნახევრად-შეღებულ კარს უხმაუროდ ჩაუარა და კიბეებზე დაეშვა, რომ სახლიდან გაეღწია.

იმ დილით ჰაერი სუფთა იყო; კომშის ხეს ახლა მხოლოდ ჩვეულებრივი ნარჩიტები და ბელურები შეფარებოდნენ. ელენამ, რომელსაც დასაძინებლად წასულს საზიზღარი თავის ტკივილი აწუხებდა, სახე მოწმენდილი ლურჯი ცისკენ აღმართა და ღრმად ჩაისუნთქა.

თავს გუშინდელზე ბევრად უკეთესად გრძნობდა. ის მეტს შეპირდა, რომ სკოლამდე შეხვდებოდა, და თუმცა დიდად არ ეპიტნავებოდა მისი ნახვა, რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა.

მეტი სკოლიდან ორიოდ ქუჩის მოშორებით ცხოვრობდა. ეს ჩვეულებრივი სადა სახლი იყო, ქუჩაზე არსებული სხვა სახლებისგან არაფრით გამორჩეული, შეიძლება პარმადის წინ დაგდებული ნაჭერი ოდნავ უფრო გახუნებული იყო, ან საღებავი სხვეებზე მეტად აქერცლილი. მეტი უკვე გარეთ იცდიდა და ელენას წამით როგორც ყოველთვის გულისცემა აუჩქარდა მისი დანახვისას.

ის მართლა სიმპათიური იყო. ამას ეჭვიც არ შეჰქონდა ელენას. ეს ბიჭი არა განმაცვიფრებლად, თითქმის შემაწუხებლად სიმპათიური იყო- როგორც ზოგი, არამედ ამერიკულად ჯანსაღი სილამაზე ჰქონდა. მეტ ჰანიკატი ნამდვილი ამერიკელი იყო. ქერა თმა საფეხბურთო სეზონის გამო მოკლედ შეეკრიჭა, კანი მზისგან დამწვარი ჰქონდა, მისი ბებია-ბაბუის ფერმაში მუშაობის გამო. ლურჯი თვალები პატიოსანი და ალალი გამომეტყველებით უმზერდნენ. მხოლოდ დღეს, როცა მან მკლავები გაუშვირა გოგონას თავიზანი ჩახუტებისთვის, მისი თვალები ოდნავ სევდიანად გამოიყურებოდა.

"შიგნით არ შემოხვალ?"

"არა. მოდი, უბრალოდ გავისეირნოთ," უთხრა ელენამ. ისინი გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ, ისე, რომ ერთმანეთს არ ეხებოდნენ. ნეკერჩხლები და შავი კაკლის ხეები ჩამწკრივებულიყო ქუჩაზე, ჰაერში ჯერ კიდევ ადრიანი დილის მდუმარებას დაესადგურებინა. ელენა თავის ფეხებს დაჰყურებდა ნესტიან ტროტუარზე, უკვე აღარ გრძნობდა თავდაჯერებულობას. არ იცოდა როგორ დაეწყო ის, რისი თქმაც სურდა.

"ჯერ კიდევ არაფერი მოგიყოლია საფრანგეთზე," უთხრა მეტმა.

"ჰო, მაგარი იყო," უპასუხა ელენამ. თან გვერდულად გახედა. ისიც ტროტუარს უყურებდა. "იქ ყველაფერი მაგარი იყო," გააგრძელა მან და შეეცადა ცოტა ხალისიანი ხმა ჰქონოდა. "ხალხი, საკვები, ყველაფერი. მართლა..." მას ხმა აუთრთოლდა და ნერვულად გაიცინა.

"ჰო, ვიცი. მაგარია," მეტმა დაასრულა წინადადება მის ნაცვლად. მეტი გაჩერდა და თავის გაცვეთილ ტენისის ფეხსაცმელს დააშტერდა. ელენამ იცნო შარშანდელი

ფეხსაცმელები. მეტის ოჯახს ძლივს გაჰქონდა თავი; შეიძლება ახალი ფეხსაცმელების საყიდელი ფულიც არ ჰქონდათ. ელენამ თავი აწია, რომ მეტის მშვიდი ლურჯი თვალები ეპოვა.

"იცი, ძალიან ლამაზად გამოიყურები," უთხრა მან.

ელენამ შეშფოთებით დაალო პირი რაღაცის სათქმელად, მაგრამ ისევ ბიჭმა განაგრძო.

"და მგონია, რომ ჩემთვის რაღაც გაქვს სათქმელი." ელენამ თვალი თვალში გაუყარა და გაუღიმა, ცალყბად და სევდიანად. მეტმა ისევ ხელები გაუშვირა.

"ო, მეტ," უთხრა ელენამ და მაგრად ჩაეკრა. შემდეგ უკან დაიხია, რომ სახეზე შეეხედა.

"მეტ, შენ ყველაზე მაგარი ბიჭი ხარ, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ. მე არ ვიმსახურებ შენნაირ პიროვნებას."

"აი, თურმე რატომ გინდა ჩემი თავიდან მოშორება," თქვა მეტმა, როცა გზა განაგრძეს.

"თურმე შენზე კარგი ვყოფილვარ და არ შემეფერები. ამას აქამდეც უნდა მივმხვდარიყავი."

ელენამ მკლავზე მოსცხო. "არა, ამიტომ არა. თანაც მე სულაც არ გიმორებ თავიდან. ჩვენ ვიმეგობრებთ, ხომ ასეა?"

"ოჰ, აბა რა. რა თქმა უნდა."

"რადგან როგორი დასკვნაც გამოვიტანე," ელენა გაჩერდა და ისევ თვალებში ახედა. "ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. სიმართლე მითხარი, ხომ მართლა მეგობარივით გიყვარვარ?"

მეტმა შეხედა მას, შემდეგ თვალები აატრიალა. "აჯობებს ამაზე არ გიპასუხო." თქვა მან. როგორც კი ელენამ სახე დახარა, მან დაამატა, "ამას არაფერი აქვს საერთო ახალ ბიჭთან, ხომ ასეა?"

"არა," მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა ელენამ და სწრაფად დაამატა, "ჯერ არც შევხვედრივარ. არც ვიცნობ."

"მაგრამ, ხომ გინდა გაიცნო. არა, ნურაფერს იტყვი." მან ხელი მოხვია გოგონას და ფრთხილად შეაბრუნა. "წამოდი, სკოლაში წავიდეთ. თუ მოვასწრებთ ფუნთუშას გიყიდი."

მათ გზა განაგრძეს, ამ დროს რაღაც შეასკდა კაკლის ხეს მათ თავზემით. მეტმა დაუსტვინა და ხელი გაიშვირა. "ერთი ამას შეხედე! ამხელა ყვავი არასდროს მინახავს!" ელენამ აიხედა, მაგრამ ყვავი უკვალოდ გამქრალიყო.

იმ დღეს ელენასთვის სკოლა სწორედ რომ შესაფერისი ადგილი იყო თავისი გეგმის სისრულეში მოსაყვანად.

დილას გაიღვიძა თუ არა, უკვე იცოდა რა უნდა ექნა. იმ დღეს მან რაც შეეძლო მეტი ინფორმაცია შეაგროვა სტეფან სალვატორის თემაზე. ეს სულაც არ გასჭირვებია, რადგან რობერტ ი. ლიის სახელობის სკოლაში ყველა მასზე ლაპარაკობდა.

უკვე ყველასთვის იყო ცნობილი წინა დღით ადმინისტრაციულ მდივანთან მომხდარი ინციდენტი. დღეს კი სტეფანი დირექტორის კაბინეტში გამოეძახათ. აშკარად საბუთებთან იყო დაკავშირებული ეს გაუგებრობა. მაგრამ დირექტორს ის ისევ საკლასო ოთახში დაებრუნებინა ( მას შემდეგ რაც, როგორც ამბობდნენ, დირექტორს რომიდან-თუ ვაშინგტონიდან დაურეკეს) და ახლა როგორც ჩანდა ყველაფერი მოწესრიგდა. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც.

შუადღეს, როცა ელენა ევროპის ისტორიის საკლასო ოთახს მიუახლოვდა, ის მისალმების ნიშნად ხმადაბალი სტვენით დააჯილდოვეს. ეს დიკ კარტერი და ტაილერ სმოლვუდი დაყალობდნენ იქვე. ორი სრული იდიოტი, გაიფიქრა ელენამ, არც მათ სტვენას და არც მიშტერებულ მზერას არ მიაქცია ყურადღება. მათი აზრით, მას შემდეგ რაც სკოლის ფეხბურთის გუნდში მოხვდნენ, მაგარ ბიჭებად იქცნენ. ელენას თვალი არ მოუცილებია მათთვის, თვითონაც დერეფანში მოუწია შეყოვნება, სანამ ტუჩის საცხს წაისვამდა, თან კომპაქტ დისკს ატრიალებდა ხელში. მან სპეციალური დირექტივები მისცა ბონის და გეგმაც მზად იყო ასამუშავებლად როგორც კი სტეფანი გამოჩნდებოდა. დისკზე ელენას ზურგსუკან არსებული მთელი დერეფანი ირეკლებოდა.

და მაინც, ელენას თვალთახედვის არიდან გამოეპარა მისი მოსვლა. სტეფანი უცებ მის გვერდით გაჩნდა, ელენა შეეცადა მაშინვე დაემალა დისკი, მან ისევ ჩაუარა. გოგონამ მისი გაჩერება დააპირა, მაგრამ სანამ ამას იზამდა, რაღაც მოხდა. სტეფანი დაიძაბა- მისი ყოველი ნაკვთი სიფრთხილეს გამოხატავდა. სწორედ ამ დროს დიკმა და ტაილერმა ჩაუჭრეს სტეფანს საკლასო ოთახის კარისკენ მიმავალი გზა.

უმაღლესი კლასის იდიოტები, გაიფიქრა ელენამ, თან თვალები დაუბრიალა მათ სტეფანის მხარზემით.

ბიჭები რაღაცას უაზროდ მაიმუნობდნენ, კარებში სპეციალურად გაეხიზნენ, ნელა მიბაჯბაჯებდნენ, თითქოს საერთოდ ვერ ამჩნევდნენ სტეფანის არსებობას.

"უკაცრავად." ეს იგივე ტონი იყო, როგორც ისტორიის მასწავლებელთან ჰქონდა. წყნარი, მაგრამ მკაფიო.

დიკმა და ტაილერმა ერთმანეთს გადახედეს, მერე გარშემო მიმოიხედეს, თითქოს უხილავი სულის ხმა მოესმათ.

"შცოოზი?" ყალბად იკითხა ტაილერმა. "შცოოზი მე? მე სცოოზი?თუ ჯაკუზი?" ორივე ახარხარდა.

ელენამ დაინახა როგორ დაეჭიმა უცნობს კუნთები ვიწრო მაისურის ქვეშ. ძალების უთანაბრობას ჰქონდა ადგილი; ორივე სტეფანზე უფრო მაღალი იყო, ტაილერი კი ორჯერ უფრო მხარბეჭიანიც.

"რამე პრობლემაა?" ელენაც ისევე გააოცა მის ზურგსუკან გაჟღერებულმა ხმამ, როგორც ბიჭები. ის მობრუნა და მეტი დაინახა. ლურჯი თვალები მრისხანებას აფრქვევდნენ.

ელენამ ტუჩზე იკბინა ღიმილის დასამალად, როცა ბიჭებმა ბუზღუნით გაანთავისუფლეს გზა. მეტ, შე ძველო, გაიფიქრა ელენამ. მაგრამ ახლა "ძველი" მეტი სტეფანის გვერდით მიაბიჯებდა ოთახში და ელენას მოუწია უკან მიჰყოლოდა მათ, ახლა უკვე ორ მაისურს მიშტერებული.

როცა ისინი დასხდნენ, ელენა სტეფანის უკანა მერხზე შეცურდა, ამგვარად შეეძლო ისე ეთვალთვალა მისთვის, რომ მას ვერ დაენახა. მის გეგმას გაკვეთილის ბოლომდე მოუწევდა მოცდა.

მეტმა ხურდები ააჩხარუნა ჯიბეში, რაც ნიშნავდა, რომ რაღაცის თქმა სურდა.

"მმ, გამარჯობა," დაიწყო ბოლოს მორიდებულად. "ის ბიჭები, ხომ იცი..."

სტეფანს გაეცინა. თუმცა ელენას მოეჩვენა, რომ ეს სიმწრის სიცილი იყო. "ვინ ვარ, რომ ისინი განვსაჯო?" ამ სიტყვებში ელენამ უფრო მეტი ემოცია დაინახა, ვიდრე მანამდე მისგან მოესმინა, თუნდაც მისტერ ტენერთან საუბრის დროს. და ეს ემოცია, მართლაც

რომ უბედური ადამიანისას გავდა. "ასეა თუ ისე, რატომ უნდა მიველე ვინმეს გულკეთილად?" თითქმის თავისთვის დააბოლოვა მან.

"რატომ არ უნდა მიეღებ?" მეტი სტეფანს მისჩერებოდა. ბოლოს მან ყბები დაჭიმა, ეს ნიშნავდა, რომ გადაწყვეტილება მიიღო.

"მისმინე," გააგრძელა მან. "შენ გუშინ ფეხბურთზე ლაპარაკობდი. ჩვენმა ერთ-ერთმა მოთამაშემ გუნდი დატოვა, მისი შემცვლელი გვჭირდება. სინჯები ნაშუადღევს გვაქვს. რას იტყვი?"

"მე?" როგორც ჩანდა სტეფანი ამას არ მოელოდა. "მმ... არ ვიცი რამდენად შევძლებ."

"სირბილი შეგიძლია?"

"შემიძლია...?" სტეფანი სანახევროდ შებრუნდა მეტისკენ, ელენამ დაინახა თავშეკავებულმა ღიმილმა როგორ აუპრიხა მას ტუჩი. "კი."

"ბურთის დაჭერა?"

"კი."

"ჰოდა სწორედ ეგ გვჭირდება. თუ ჩემ ნასროლ ბურთს დაიჭერ და გაიქცევი, ესეიგი თამაშიც შეგძლებია."

"გასაგებია." სტეფანმა თითქმის მისცა საკუთარ თავს გაღიძვების უფლება. მეტი მას სერიოზული სახით უყურებდა, თუმცა ლურჯი თვალები სიხარულით უბრწყინავდა. ელენამ გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ შურდა მეტის. ორ ბიჭს შორის თბილი ურთიერთობა დამყარდა, ელენა კი მათგან სრულიად გარიყული იყო.

მაგრამ წუთიც არ გასულა, რომ ღიმილი გაქრა სტეფანის სახიდან. მან შორეული ხმით თქვა, "გმადლობ... მაგრამ უარი უნდა გითხრა. მე სხვა ვალდებულებები მაკისრია."

ამ დროს ოთახში ბონი და კაროლინი შემოვიდნენ და გაკვეთილიც დაიწყეს.

მისტერ ტენერის მთელი ლექციის განმავლობაში ელენა საკუთარ თავს უმეორებდა, "გამარჯობა. მე ელენა გილბერტი ვარ, უფროსკლასელთა კომიტეტის წარმომადგენელი. მე დამნიშნეს შენს თანმხლებლად, რომელმაც მთელი სკოლა უნდა დაგათვალიერებინოს. იმედი მაქვს, თავაზიანობას გამოიჩენ და ნებას მომცემ ჩემი დავალება შევასრულო. ხომ არ მისცემ საბაბს კომიტეტის თავმჯდომარეს საყვედური გამომიცხადოს, იმის გამო, რომ არ შევასრულე დავალება?" ბოლო სიტყვები სევდიანი, მუდარის გამომხატველი მზერით უნდა დაგვირგვინებულიყო- ეს იმ შემთხვევისთვის, თუ ის თავის დაძვრენას შეეცდებოდა. თეორიულად ადვილი საქმე ჩანდა. ეს ბიჭიც ჩვეულებრივი ძუძუმწოვარა აღმოჩნდებოდა, ოღონდ ერთ-ერთი იმათგანი, ვის ხელში ჩასაგდებადაც უნდა გარისკო.

შუა გაკვეთილის დროს, გვერდით მჯდომმა გოგონამ ელენას ფურცელი მიაწოდა. ელენამ გაშალა ფურცელი და ბონის მრგვალი, ბავშვური ხელნაწერი იცნო: "რაც შემეძლო შევაყოფნე კაროლინა. აბა, რა ქენი? გაჭრა გეგამა???"

ელენამ თავი ასწია და წინა რიგში მჯდომი, უკან მოტრიალებული ბონი დაინახა. ელენამ ფურცელზე მიუთითა, თავი გააქნია და პირით ანიშნა: "გაკვეთილის მერე."

თითქოს მთელი საუკუნე გავიდა სანამ მისტერ ტენერი უკანასკნელ ინსტრუქციებს მისცემდა მათ ზეპირ გადმოცემებზე და გაკვეთილიდან გაანთავისუფლებდა. ყველა ერთად წამოიშალა. აი, ისიც, გაიფიქრა ელენამ და გულისცემა აჩქარებულმა გადაუჭრა სტეფანს გზა. ისე, რომ სტეფანი მას გვერდს ვერ აუვლიდა.

როგორ ზუსტად დიკვივით და ტაილერივით გამოძვიდა, გაიფიქრა ელენამ და ძლივს შეიკავა ისტერიული ხითხითი. მან სახე წამოწია და თავისი თვალების გასწვრივ სტეფანის ტუჩები დაინახა.

უცებ თავში ყველაფერი აერია. რა უნდა ეთქვა? მან პირი დაალო და როგორღაც მოახერხა, რომ სიტყვები, რომლებსაც ამდენი ხანი ამზადებდა, ბორძიკით ამოეთქვა. "სალამი, მე ელენა გილბერტი ვარ, უფროსკლასელთან კომიტეტის წარმომადგენელი. მე დამავალეს..."

"მაპატიე; არ მცალია." ელენამ მაშინვე ვერც დაიჯერა, რომ მან დაილაპარაკა, რომ მან საუბრის დასრულებაც არ აცალა. მაგრამ პირმა მაინც თავისით განაგრძო ლაპარაკი.

"...რომ დაგათვალაობინო მთელი სკოლა..."

"მაპატიე. არ შემძლია. მე... ფეხბურთის სინჯებზე უნდა წავიდე." სტეფანი უცებ იქვე დაყუდებულ გოცებულ მეტს მიუბრუნდა. "შენ მითხარი სინჯები გაკვეთილების დასრულებისთანავე დაიწყებაო, არა?"

"კი," ნელა უპასუხა მეტმა. "მაგრამ..."

"მაშინ აჯობებს ვიჩქარო. გზას ხომ არ მაჩვენებდი."

მეტმა უმწეოდ გადახედა ელენას და მხრები აიჩეჩა. "რა თქმა უნდა, წამოდი." მეტმა უკან მოიხედა და თვალი შეავლო ელენას. სტეფანი არ მობრუნებულა.

ელენა ცნობისმოყვარე თვალების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, მათ შორის იყო კაროლინიც, რომელიც თავდაჯერებული ღიმილით მოურიდებლად გაუმასპინძლდა. ელენამ იგრძნო როგორ დაუბუჟდა სხეული და ყელში ბურთივით გაეჩხირა ბოლმა. ერთი წამითაც ვეღარ გაუძლებდა იქ დგომას. მობრუნდა და რაც შეეძლო სწრაფად გავარდა ოთახიდან.



## თავი 4

ელენამ სკოლის დერეფანში საკუთარ კარადამდე რომ მიადწია, კუნთები უარესად დაუბუჟდა, ყელში გაჩრილი ბოდმის ბურთი კი ცრემლებად ცდილობდა გარეთ გამოღწევას. მაგრამ ის საკუთარ თავს უფლებას არ მისცემდა, სკოლაში, ყველას თანდასწრებით ეტირა, არასდროს. მას შემდეგ რაც კარადის კარი მიკეტა, გასასვლელისკენ დაიძრა.

სწავლის დაწყებიდან როგორც მეორე დღეს, ის სკოლიდან ზარის დარეკვისთანავე სახლში მიდიოდა, თანაც მარტო. დეიდა ჯუდიტი ვერასდროს გაიგებდა რა მოხდა. მაგრამ როდესაც ელენამ სახლს მიადწია, აღმოაჩინა, რომ დეიდა ჯუდიტის მანქანა ადგილზე არ იდგა, ალბათ ის და მარგარეტი მარკეტში წავიდნენ პროდუქტების საყიდლად. ელენა შინ შევიდა, ორგვლივ მდუმარებას და სიმშვიდეს დაესადგურებინა.

მართლაც რომ ესამოგონება ეს მდუმარება, ახლს მარტო ყოფნაზე მეტად არაფერი უნდოდა. მაგრამ სხვათაგან, სიმართლე რომ ითქვას, წარმოდგენა არ ჰქონდა რა უნდა ეკეთებინა მარტო.

ახლა, როცა როგორც იქნა შეეძლო ეტირა, რატომღაც არ მოსდიოდა ცრემლები. ზურგანთა ბეჭიდან ჩამოვიწრა და იატაკზე დაგდო, შემდეგ ნელი ნაბიჯებით შევიდა მისაღებ ოთახში.

ეს იყო გემოვნებით მოწყობილი, შთამბეჭდავი მისაღები, ელენას საძინებლის გარდა ეს იყო ერთადერთი ოთახი, რომელიც არ გადაუკეთებიათ. თავდაპირველი შენობა აქ 1861 წელს ააშენეს, რომელიც მთლიანად დაიწვა სამოქალაქო ომის დროს. ერთადერთი ეს ოთახი გადარჩა, თავისი დახვეწილქუქურთმებანი ბუხრით და კიდევ დიდი საძინებელი ზედა სართულზე. ელენას მამის დიდმა ბაბუამ ააშენა ახალი შენობა და მას შემდეგ გილბერტები დასახლდნენ აქ. ელენამ ერთ-ერთი იატაკიდან ჭერამდე აწვდილ ფანჯარაში გაიხედა. ძველებური მინა სქელი და მოყანყალბული იყო, მის მიღმა ყველაფერი დამახინჯებულად და უჩვეულოდ ჩანდა. მას გაახსენდა როგორ ანახა მამამისმა პირველად ეს მოყანყალბული ძველი შუშები. მამის მარგარეტზე ცოტა უფრო პატარა იყო.

ყელში ისევ ბოდმის ბურთი ჰქონდა გაჩრილი, მაგრამ ცრემლები მაინც არ მოსდიოდა. მის გონებაში ყველაფერი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. მას არავის დანახვა არ სურდა, მაგრამ თავს მაინც მტკივნეულად მარტოდ გრძნობდა. მას უნდოდა ეფიქრა, მაგრამ მცდელობის მიუხედავად, აზრები ისე ეფანტებოდა, როგორც თავგები გაურბიან თეთრ ზუს.

თეთრი ზუ... მტაცებელი ფრინველი... მძორისმჭამელი... ყვავი, გაიფიქრა მან. "ყველაზე დიდი ყვავი რომელიც ოდესმე ენახა," მეტმაც ხომ ასე თქვა.

თვალეში ისევ სევდა ჩაედვარა. საწყალი მეტი. მან ხომ გული ატკინა, მაგრამ მან ყველაფერი არაჩვეულებრივად გაუგო. ის სტეფანსაც კი ისე თავაზიანად ექცეოდა.

სტეფანი. გული მტკივნეულად შეეკუმშა და თვალეზიდან წყვილი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა. აი, როგორც იქნა ატირდა. ის ტიროდა სიბრაზის, დამცირების, იმედგაცრუების- და კიდევ რის გამო?

სინამდვილეში რა დაკარგა დღეს? რას გრძნობდა სინამდვილეში ამ უცნობის, სტეფან სალვატორის მიმართ? მისი სახით გამოწვევა გაუგზავნა ბედმა, დიახ, და მხოლოდ ეს ხდოდა მას სხვა ბიჭებისგან განსხვავებულს, სანტერესოს. სტეფანი მართლს ეგზოტიკური და... ამაღლეზელი პიროვნება იყო.

სასაცილოა, მაგრამ ბიჭებს ხშირად უთქვამთ ელენასთვის, რომ სწორედ თვითონ იყო ასეთი. ასევე მათგან, ან მათი მეგობრებისგან ან დებისგან იგებდა, თუ როგორ ნერვიულობდნენ ისინი მასთან შეხვედრის წინ, როგორ უოფლიანდებოდნენ ხელისგულები, და მუცელში თითქოს ჰეპლები დაფუთფუთებდნენ. ელენას ასეთი

რადგები ყოველთვის გასართობ სისულელედ მიჩნდა. არცერთ ბიჭს, რომელსაც ოდესმე შეხვედრია, არასდროს გამოუწვევია მსგავსი მღელვარება მასში.

მაგრამ დღეს, როდესაც სტეფანს ელაპარაკებოდა, პულის შესამჩნევად აუჭარდა და მუხლებში სისუსტე იგრძნო. ხელისგულებიც კი დაეცვარა ოფლისგან. მუცელში კი პეპლების ნაზი ფუთფუთი კიარა თითქოს ღამურების ფრთების ფართხუნი იგრძნო.

ნუთუ მხოლოდ იმიტომ დაინტერესდა ახალი ბიჭით, რომ ის მასში მღელვარებას იწვევდა? არც ისე დამაჯერებელი მიზეზია, ელენა, უთხრა საკუთარ თავს. არადამაჯერებელი კი არა, თითიდან გამოწოვილი მიზეზი.

მაგრამ მისი ტუჩები. მისი ნაქანდაკვი ტუჩები, რომლის დანახვაზეც მუხლები აუცახცახდა, არა ნერვიულობის, არამედ სრულიად განსხვავებული გრძობის გამო. და ეს კუპრივით შავი თმა- მოუნდა თითებით შეეგრძნო მისი თმის სინაზე. მისი მოქნილი, ბრტყელ-კუნთებიანი სხეული, გრძელი ფეხები და... მისი ხმა. სწორედ მისმა ხმამ გადააწყვეტინა გუშინ, რომ რაღაც არ უნდა დასჯდომოდა ეს ბიჭი ხელში ჩაეგდო. მისტერ ტენერთან საუბრისას ცივი და ზიზღნარევი ხმა ჰქონდა, მაგრამ ელენას მოეჩვენა, რომ საკუთარ თავს აიძულებდა ასეთი ხმა ჰქონოდა. ელენა დაინტერესდა შეიძლებოდა თუ არა ხმაც ისეთი პირქუში ჰქონოდა, როგორც თვითონ იყო, ან როგორ წარმოთქვამდა მის სახელს, ნაზი ჩურჩულით აამოძრავებდა ბაგებს... "ელენა!"

ელენა შეხტა, ოცნებებიდან გამოერკვა. მაგრამ, რა თქმა უნდა სტეფან სალვატორს არ დაუმახია მისთვის, ეს დეიდა ჯუდიტმა შემოაღო სახლის კარები.

"ელენა? ელენა!" მარგარეტმა სიხარულით დაიჭყიპინა. "სახლში ხარ?"

ელენას ისევ სევდამ წამოუარა. სამზარეულოში მიმოიხედა. ახლს ნამდვილად ვერ გაუძღებდა დეიდამისის აღელვებულ კითხვებს და მარგარეტის გულწრფელ სიხარულს. მითუმეტეს, რომ წამწამები ჯერაც არ შემოიშობდა, თვალბზე კი სახიფათოდ მოადგა ცრემლების ახალი ნაკადი. მან ელვის სისწრაფით მიიღო გადაწყვეტილება, როგორც კი წინა კარი გაჯახუნდა, ის უკანა კარით გასხლტა გარეთ.

უკანა კარის პარმადიდან ისკუპა და ეზოში აღმოჩნდა, თუმცა ყოყმანობდა. ნაცნობთან არავისთან არ უნდოდა წასვლა. მაგრამ სად უნდა წასულიყო ისეთ ადგილზე სადაც არავინ შეაწუხებდა?

პასუხი თითქმის იმწამსვე გაჩნდა გონებაში. რა თქმა უნდა. ის დედის და მამის სანახავად წავიდოდა.

წინ მართლაც რომ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი, თითქმის ქალაქის მეორე ბოლოში უნდა წასულიყო, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში ის ადგილი ძალიან ახლობელი გახდა ელენასთვის. მან ვიკერის ხიდი გადაჭრა, გორაკზე აირბინა და შემდეგ პატარა ველზე დაეშვა.

სასაფლაოს ამ ნაწილს კარგად გაეძლო დროისთვის; ეს ძველი სექცია იყო, რომელსაც სხვა სექციებზე მეტად უვლიდნენ, აქ ბალახი თანაბარ სიმაღლეზე იყო გაკრეჭილი და ყვავილების თაიგულები მკვეთრ ფერებად ჩანდა მდელიოზე. ელენა მარმარილოს დიდ საფლავის ქვასთან ჩაჯდა, რომელზეც გვარი "გილბერტი" იყო ამოკვეთილი.

"გამარჯობა, დედა, გამარჯობა, მამა," დაიჭურჭულა მან. წინ გადაიხარა, რომ საფლავზე ყვავილები დაეწყო, რომელიც გზად მომავალმა დაკრიფა. შემდეგ ფეხები მოკეცა. გაუნძრევლად ოჯდა.

აქ ხშირად მოდიოდა უბედური შემთხვევის შემდეგ. მარგარეტი ავტოავარიის დროს მხოლოდ ერთი წლის იყო; არც ახსოვდა მშობლები. სამაგიეროდ ელენას არ ავიწყებოდა. აღარ შეუჩერებია საკუთარი თავი, რომ არ ჩაფლულიყო მოგონებებში, ყელში გაჩრილი ბურთი უფრო გაიბერა და ცრემლებიც უფრო ადვილად წამოუვიდა. ჯერ კიდევ ძალიან ენატრებოდა ისინი. დედა, ასეთი ახალგაზრდა და ლმაზი და მამა, გულკეთილი ღმილით.

თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან გაუმართლა, რომ დეიდა ჯუდიტი ედგა მხარში. ყველს დეიდა არ მიატოვებდა სამუშაოს და არ გამოიქცევოდა პატარა ქალაქში, რომ დაობლებული დიშვილებისთვის მიეხედა. და რობერტი, დეიდა ჯუდიტის საქმრო, მარგარეტს უფრო მამინაცვალვით ეპყრობოდა, ვიდრე შესაძლო ბიძასავით.

მაგრამ ელენას თავისი მშობლები ახსოვდა. ზოგჯერ, დაკრძალვიდან მალევე, ის მოდიოდა აქ, რომ ჯავრი ეყარა მათზე, მხოლოდ იმიტომ გაბრაზებულს, რომ ისინი ასე დაუნდობლად მოექცნენ და მოკვდნენ. ეს მაშინ იყო, როცა დეიდა ჯუდიტს ჯერ არც ისე კარგად იცნობდა და თავს ისე გრძნობდა, თითქოს დედამიწის ზურგზე აღარსად იყო მისი ადგილი.

ახლა სადაა მისი ადგილი? დანტერესდა. მარტოვი პასუხი იყო, აქ, ფელს ჩარჩში, სადაც მან მთელი ცხოვრება გაატარა. მაგრამ ამ ბოლო დროს, ეს მარტოვი პასუხი მცდარი ეჩვენებოდა. ბოლო დროს ისეთი შეგრძნება უჩნდებოდა, რომ არსებობდა სხვა ადგილი, რომელსაც ის დანახვისთანავე იცნობდა და თავის სახლს უწოდებდა.

მის წინ მიწაზე ადამიანის ჩრდილი დაეცა, გოცებულმა ასწია თავი. წამით თავს წამოდგარი ორი ფიგურა უჩვეულოდ ეუცხოვა. გახევებული აკვრდებოდა.

"ელენა," აფორაქებული ხმით უთხრა თემოებზე დონჯებ შემოწყობილმა, დაბალმა ფიგურამ. "ზოგჯერ შენზე მართლს სერიოზულად ვფელავ."

ელენამ თვალები დააფახულს და ოდნავ გაიცინა. ბონი და მერედიტი იყვნენ. "რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ ცოტა ხნით მაინც მოახერხოს მარტო დარჩენა?" უთხრა მათ, როცა მის გვერდით მოკალათდნენ.

"უნდა გვითხრას, რომ წავიდეთ," შესთავაზა მერედიტმა, მაგრამ ელენამ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა. მერედიტს და ბონის ხშირად უწევდათ აქ მოსვლა მის საპოვნელად, ავარიიდან თვეების შემდეგაც კი. ელენამ უცებ მადლოერება იგრძნო მათ მიმართ ამის გამო. სხვაგან თუ არა, მისი მეგობრების გვერდით მაინც იყო მისი ადგილი, რომლებსაც მართლა უყვარდათ. მერე რა, თუ ნამტირალე თვალბს შეატყობდნენ, პირიქით სიამოვნებით გამოართვა ბონის დაქმუქნული ნაქერი და ცრემლები მოიწმინდა. ცოტა ხანს სამივე მათგანი უხმოდ იჯდა და უყურებდა როგორ არხევდა ქარი სასაფლაოზე ჩამწრკივებული მუხის ფოთლებს.

"ვწუხვარ, რომ დღეს ასე მოხდა," თქვა ბოლოს ბონიმ ნაზი ხმით. "მართლა საშინელება იყო."

"შენი გვარი გილბერტთან ერთად "ტაქტიც" არის," თქვა მერედიტმა. "ყველსფრს არც ისე ცუდად ჩაუვლას, ელენა."

"შენ იქ არ ყოფილხარ." ელენამ თითქოს ყველსფერი ისევ გადაიტანა მომხდარის გახსენებისას. "ეს ნამდვილად საშინელება იყო. მაგრამ ახლა უკვე აღარ მანაღვლებს." დაამატა უემოციოდ. "მასთან ყველსფერი დამთავრდა. ის ბიჭი უკვე აღარ მანტერესებს."

"ელენა!"

"მართლს გეუბნებით, ბონი. თავი აშკარად... ამერიკელებზე უკეთესი ჰქონდა. ასე, რომ ამერიიდან შეუძლას აიღოს ის თავისი მაგარი სათვალეები და..."

მერედიტმა და ბონიმ ჩაიხითხითეს. ელენამ ცხვირი მოიწმინდა და თავი გააქნია. "ასეა თუ ისე," უთხრა მან ბონის და განზრახ შეცვალა სასაუბრო თემა. "მისტერ ტენერი დღეს რაღაც უხასათოდ ბრძანდებოდა."

ბონის ნაწამები სახე ჰქონდა. "იცი, რომ მან მე ამირჩია პირველ მოსწავლედ, ვინც ზეპირი მოხსენება უნდა მოუმზადოს? თუმცა დიდად არ მანაღვლებს; იმიტომ, რომ დრუილების თემა ავირჩიე და..."

"რისი თემა?"

"დრუ-ი-დე-ბის. უცნაური ბებრების, რომლებმაც სტოუნჰენჯი ააგეს. ისინი ჯადოქრებად ითვლებოდნენ ძველ ინგლისში. მე მათი შთამომავალი ვარ, სწორედ ამიტომ ვარ მკითხავი."

მერედიტმა ჩაიფრუტუნა, მაგრამ ელენამ უხასათოდ შეუბღვირა თითებს შორის გარკული ბალახის ღეროს.

"ბონი, გუშინ მართლა დანახე რამე ჩემ ხელისგულზე?" ჰკითხა მან უცებ.

ბონის ყოყმანი დაეტყო. "არ ვიცი," თქვა ბოლოს. "მე... მე მაშინ მეგონა რომ დავინახე. მაგრამ ზოგჯერ ჩემ წარმოსახვას შეცდომებამდე მიყავარ."

"ბონი იცოდა, რომ აქ იქნებოდი," მოულოდნელად თქვა მერედიტმა. "მე ყავახანაში შევლას ვაპირებდი, მაგრამ მან თქვა," ის სასაფლაოზეა."

"მართლა მე ვთქვი?" ბონი გულწრფელად გაოცებული, თუმცა იმავდროულად აღფრთოვანებულიც ჩანდა. "აი, ხომ ხედავ. ჩემ ედინბურგში მცხოვრებ ბებიას ხილვები აქვს, მეც ასე ვარ. ეს ყოველთვის გადადის მემკვიდრეობით."

"თან დრუიდების შთამომავალი ხარ," სერიოზულად უთხრა მერედიტმა.

"მართალია. შოტლანდიაში ჯერ კიდევ მისდევენ ძველ ტრადიციებს. ვერც კი დაოჯერებთ, ბებიაჩემი ზოგჯერ ისეთ რაღაცეებს აკეთებს. მას თავისი ხერხი აქვს იმის გასაგებად, თუ ვისზე დაქორწინდები ან როდის მოკვდები. მე მითხრა, რომ ადრე მოკვდები."

"ბონი!"

"მართლა მითხრა. კუბოში ახალგაზრდა და ლამაზი ვიქნები. რა რომანტიკულია, არა?"

"ჩემი აზრით საზიზღრობაა..

## თავი 5

ცაზე სავსე მთვარე ანათებდა როცა სტეფანი პანსიონატში ბრუნდებოდა. მას თავბრუ ძლიერად ეხვეოდა – როგორც დაღლილობის დროს, როგორც გადაჭარბებული სისხლის დაღვევისას. უუკვე დიდი ხანია სტეფანი თავს არ აძლევდა იმის უფლებას, რომ ამდენი სისხლი დაეღია, თუმცა სასაფლაოზე ამოხეთქილმა მხეცურმა ძალამ შეიპყრო ის მთლიანად და ისედაც დასუსტებული კონტროლი კიდევ უფრო დაუსუსტა. სტეფანი კარგად ვერ ხვდებოდა საიდან მოვიდა ასეთი ძალა, ის გოგოებს სიბნელიდან აკვირდებოდა როცა მოულოდნელად გოგოებმა უგუნური საქციელი ჩაიდინეს. სტეფანი ერთი მხრივ შეშინებული იყო, რომ გოგოები მდინარეში ჩაცვივდებოდნენ და მეორემხრივ უნდოდა გამოეცადა ძალა. ეპოვა წყარო საიდანაც ეს ძალა მოდიოდა. საბოლოოდ ის გაყვა იმ გოგოს კვალს, მაგრამ არ იყო დარწმუნებული იმაში დაუშვებდა თუ არა მას რამეს. რაღაც შავი ფრინველის ფრეთების შრიალის ხმა იყო რომელიც ტყისკენ მიფრინავდა. როცა გოგოები გადავიდნენ ხიდის მეორე მხარეს სტეფანი მათ მაინც აკვირდებოდა მანამ სანამ მათ ქალაქისკენ არ გააგრძელეს გზა. ამის მერე კი ის ისევ სასაფლაოზე დაბრუნდა.

ახლა ის მთლიანად დაიცალა. ძირს აბრეშუმის ლენტე ეგდო, რომელიც ადამიანურ მზერას სიბნელეში ნაცრისფერი ეგონებოდა, მაგრამ სტეფანი მის ნამდვილ ფერს ხედავდა. ნელა აიღო ხელში და მისი თმის სუნი იგრძნო და ამ დროს მოგონებებმა მოიცვა ის. სტეფანი ახლაც კი ცუდად გრძნობდა თავს როცა მისგან უკვე შორს იყო. მასთან ერთად ერთ შენობაში ყოფნა, იგრძნოს მისი სიახლოვე და ისუნთქოს მისი უნიკალური არომატი მისთვის თითქმის აუტანელია. სტეფანს ესმოდა მისი სუნთქვა, გრძნობდა მის სითბოს, შეიგრძნობდა მისი პულსის ყოველ დარტყმას. და საბოლოოდ მიხვდა რომ ნებდებოდა. ის საკუთარი ნებით იწამებდა თავს, ტკბებოდა ტკვილით, როცა შეისუნთქავდა მისი თმისამაგრის არომატს და თავს აძლევდა უფლებას ეოცნება მასთან კიდევ ერთხელ შეხვედრაზე. როგორი ნაზი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი კისერი, თავიდან რა ნაზად შეეხება სტეფანის ტუჩები მის კისერს, უბრალოდ კოცნისთვის, სანამ ასე კოცნით არ მივი იქამდე, როგორი ალერსით მიუახლოვდება იმ ადგილს სადაც კანის ქვეშ ასე ძლიერად ცემს პულსი, როცა საბოლოოდ მისი ტუჩები ერთმანეთს დაშორდება, როგორ იყვირებს გოგონა...

არა. სტეფანმა თავის თავი ტრანსიდან დაიხსნა. გრძნობდა როგორ არათანაბრად ფეთქავდა გული და მთელი სხეულით კაკანკალებდა. ევროპის ისტორიის გაკვეთილი დავიწყებას მიეცა. მის ირგვლივ მოსწავლეები ისხდნენ და მხოლოდ იმედილა ჰქონდა, რომ მას არავინ არ აკვირდებოდა. როცა ის მას დაელაპარაკა, სტეფანმა იგრძნო რაღაც ისეთი რისი გადმოცემაც სიტყვებით შეუძლებელი იყო. სხეულს თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა, რაღაც მომენტში სტეფანს შეეშინდა, რომ ის თავზე კონტროლს დაკარგავდა, დაიჭერს ამ გოგოს და მისი სისხლით ყველას თვალწინ დატკბება. სტეფანს აღარც კი ახსოვს როგორ შემო მისგან მაშინ თავის დაღწევა. რაღაც დროის შემდეგ იგრძნო, რომ

მთელ ენერგიას ფეხბურთზე ხარჯავდა. თავისი ძალის გარეშეც კი სტეფანი ყოველთვის შეუდარებლად თამაშობდა ფელბურთს. მას კარგი მზერა, რეფლექსები და ძალა ჰქონდა. სტეფანს ვიღაცამ ზურგზე მეგობრულად დაუტყაპუნა ხელი და უთხრა:

– გილოცავ! კეთილი იყოს შენი მობრძანება ჯგუფში.

სამართლიან თვალეში ჩახედვისას სტეფანს შერცხვა. <რომ იცოდე ვინ ვარ ასე არ გამიღიმიდდი - გაიფიქრა მან – გოგონა რომელიც შენ გიყვარს, შენ ხომ მართლაც გიყვარს ის? ჩემი ფიქრის ობიექტია. >

და ის სტეფანის ფიქრებში მთელი დღე დარჩა, მიუხედავად მისი თავდაუზოგავი მცდელობისა გონებიდან განედევნა.

სასაფლაოზე აღმოჩენილი სტეფანი ისევ შეხვდა ამ გოგოს და დააკვირდა მას. ცდილობდა საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ მისმა ცხოველურმა ძალამ გოგოები პანიკაში ჩააგდო. ამის შემდეგ ის დაბრუნდა სახლში.

სტეფანი ვერ იხსენებდა როგორ მოხდა ეს ყველაფერი, როგორ მისცა თავს უფლება, რომ ეს მომხდარიყო. პირველ რიგში სტეფანში მონადირის ინსტინქტმა გამოიღვიძა. დადევნების სურვილი, მათი შიშით სიამოვნება და ტრიუმფალურად მოკვლა. შუაუკუნეების შემდეგ ასე პირველად იგრძნო ნადირობის სურვილი. ყელში ცეცხლი იგრძნო, ვენებსაც თითქოს ცეცხლი მოეკიდა, ყველა ფიქრი წითელი გახდა, სტეფანს არ შეეძლო სისხლის გარდა სხვა რამეზე ფიქრი. სტეფანი აღტკინებული იყო, მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა გოგონების მიმართულებით. მას ფიქრიც კი არ უნდოდა იმაზე რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ არ იგრძნობდა მოხუცის სუნს. როცა სტეფანი ხიდთან მივიდა მან ისევ შეიგრძნო ადამიანის სუნი.

ადამიანის სისხლი. უნივერსალური ელექსირი, აკრძალული ღვინო. უფრო მათრობელი ვიდრე ნებისმიერი სპირტიანი სასმელი.

წყევლა! სტეფანი იმდენად დაიღალა საკუთარ თავთან ბრძოლით, ბუნებრივ მოთხოვნასთან დაკავშირებით. ხიდის ქვეშ მდინარის ნაპირთან, მოულოდნელად შეამჩნია რაღაც უფორმო გროვა, შემდეგი რამდენიმე წამის განმავლობაში სტეფანი, როგორც კატა უახლოვდება თავს დასაჭერად, ისე მიუახლოვდა მოხუცს, სტეფანმა მოხუცს კბილები დაანახა...

ახლა როცა პანსიონატის კიბეს აუყვავა, ცდილობდა არ ეფიქრა იმ გოგონაზე, რომელიც ასე ძალიან იზიდავდა მას თავისი სხეულით, სიცოცხლისმოყვარულობით. ის ყველაზე სასურველი იყო სტეფანისთვის, მაგრამ მას ამ ყველაფრისთვის წერტილი უნდა დაესვა. სტეფანს შეეძლო ამ გოგოსთვის კომპარულ სიზმრად ქცეულიყო, მას კი ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა.

– ვინ არის? ეს შენ ხარ სტეფან? – იკითხა ხრინწიანმა ხმამ.

მეორე სართულზე არსებული ერთერთი ოთახის კარი გაიღო და იქიდან გამოიხედა მოხუცის თავმა.

\_დიახ მისის ფლაუერ, ბოდიშთ, რომ შეგაწუხეთ.

\_ჩემ შესაწუხებლად უფრო მეტია საჭირო ვიდრე საფუხრების ხმა, დაკეტე შემოსასვლელი კარი?

\_დიახ მისის ფლაუერ, თქვენ... თქვენ უსაფრთხოდ ხართ.

\_ეს კარგია, აქ ყურადღებით უნდა იყო. არასდროს იცი რა შეიძლება მოხდეს იმ ტყეში, ასე არაა?

\_ლამე მშვიდობისა მისის.

\_ძილინებისა ბიჭუნა. – მოხუცმა მიხურა კარი.

თავის ოთახში შესული სტეფანი, წამოწვა საწოლზე და ჭერს მიაშტერდა. ლამე ის ჩვეულებრივ ისვენებდა ხოლმე, ამ საღამოს სტეფანი ნამდვილად დაიღალა, მზეზე ყოფნა იმდენ ენერგიას მოითხოვდა. მის გონებაში მოგონებები გაცოცხლდნენ. კეტრინი ისეთი ლამაზი იყო იმ დღეს შადრევანთან. რა ბედნიერი იყო სტეფანი იმ დღეს მის გვერდით ჯდომით ამაყობდა და გახარებული იყო, რომ ერთადერთი იყო ვინც იცოდა მისი საიდუმლო...

\_და შენ არასდროს არ შეგიძლია მზეზე სიარული?

\_რა თქმა უნდა შემიძლია, მანამ სანამ ეს ბეჭედი მიკეთია. – კეტრინმა აწია თეთრი ხელი და ბეჭედი დაანახა. – მაგრამ მზე ძალიან მღლის, თანაც განსაკუთრებული ძალით არასდროს გამოვირჩეოდი.

სტეფანი კეტრინის ლამაზ, ნაზ, სხეულს დააკვირდა და მისი სიტყვების სისწორეში დრწმუნდა.

\_პატარაობისას ხშირად ავადვმყოფობდი – გამოტყდა კეტრინი – და საბოლოოდ ექიმმა თქვა რომ მე მალე მოვკვდებოდი, მახსოვს როგორ ნერვიულობდა მამაჩემი, როგორ ვიწევი საწოლზე დასუსტებული. სუნთქვაც კი ენერგიას მართმევდა, სენტიმენტალური იყო ამ ქვეყნის დატოვება. – მან ნაზად გაიღიმა.

\_შემდეგ რა იყო?

\_მე შუალამისას გავიღვიზე და ვიგრძენი, რომ გუდრუნი, ჩემი მოახლე, საწოლთან დგას. მერე კი მან უკან დაიხია და მე უცნობი მამაკაცი დავინახე, რომელიც მან მოიყვანა. მას კლაუსი ერქვა. სოფელში ამბობდნენ, რომ ის ბოროტი კაცი იყო, მე გუდრუნს ვთხოვე მისი გაგდება, მაგრამ ის უბრალოდ იდგა და მიყურებდა, როცა კლაუსი მომიახლოვდა და მისი ტუჩები ჩემ ყელს შეეხო, მომეჩვენა, რომ მას ჩემი მოკვლა უნდოდა.

სტეფანი მას შიშით და გაოცებით უყურებდა, როცა კეტრინმა კიდევ ერთხელ გაუღიმა.

-მაგრამ ყველაფერი არც ისე საშინელი აღმოჩნდა, თავიდან ცოტა მტკივნეული იყო, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მერე გრძნობები სასიამოვნო გახდა, მერე კი კლაუსმა

უფლება მომცა დამელია მისი სისხლი და მე თავი ძლიერი ვიგრძენი, ისეთი ძლიერი როგორც არასდროს ვყოფილვარ. ჩვენ ერთად ვიყავით დილამდე, როცა მოვიდა ექიმი, მან თავიდან არცკი დაიჯერა, რომ მე ვიჯექი და ვლაპარაკობდი, მამაჩემმა თქვა, რომ ეს ნამდვილი სასწაული იყო, ის ბედნიერებისგან ტიროდა, - ამ დროს კეტრინის სახე მოიქუფრა – ერთ მშვენიერ დღეს მე მამაჩემის დატოვება მომიწევდა, ის დაინახავდა, რომ დრო გადიოდა, მე კი ერთი დღითაც არ ვბერდებოდი.

\_და შენ არასდროს დაბერებდი?

\_არა, აი ამაშია მთელი სასწაული, სტეფან მე მუდამ ახალგზარდა ვიქნები და არასდროს მოვკვდები. შეგიძლია ესეთი რამ წარმოიდგინო??

სტეფანს სხვანაირი კეტრინი ვერც წარმოედგინა, შესანიშნავი, უცოდველი, უბრალოდ იდეალური.

\_მაგრამ? მაგრამ თავიდან შენ ეს არ მოგეჩვენა საშიშად?

\_თავიდან ცოტა არ იყოს კი, მაგრამ გუდრუნმა ამიხსნა ყველაფერი. სწორედ მან მირჩია ამ ბეჭდის დამზადება, სანამ მე ვიწექი მას თანდათანობით პატარა ცხოველები მოჰყავდა, რომელსაც მისი შვილი ზრდიდა.

\_ადამიანები? ადამიანები არ მოყავდა?

კეტრინს სიცილი აუტყდა.

\_რა თქმა უნდა არა. ყველაფერი რაც მე მჭირდება შემიძლია ღამე მტრედებისგან მივიღო. გუდრუნი ამბობს, რომ თუ მე მომინდება მართლაც ძლიერი გავხდე ადამიანის სისხლი უნდა დავლიო, კალუსიც ცდილობს ხანდახან ჩემ დათანხმებას, მას ისევ უნდა სისხლი გავცვალოთ, მაგრამ მე გუდრუნს ვუთხარი, რომ არ მინდა ძლიერი ვიყო, რაც შეეხება კლაუსს... – ამ დროს მან სხვა მხარეს გაიხედა. მერე არც ისე ხმამაღლა განაგრძო – მე ვთვლი რომ ეს ასე ადვილად არ ხდება, მე ადამიანის სისხლს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავლევ თუ ვიპოვი გადმომცემს. ადამიანს რომელიც მთელი უსასრულობა ჩემთან ერთად იქნება. – მან სერიოზულად შეხედა სტეფანს.

სტეფანმა მხიარულად გაიცინა. ის ძალიან ბედნიერი და ამაყი იყო. მას ძლივს შეეძლო შეეკავებინა აღფრთოვანება და სიხარული.

მაგრამ ყველაფერი ასე იყო მანამ სანამ სტეფანის ძმა დეიმონი არ დაბრუნდებოდა უნივერსიტეტიდან. მანამ სანამ დეიმონმა არ დაინახა კეტრინის მწვანე თვალები.

სტეფანი საწოლზე იწვა და მის გონებაში კიდევ ერთი წარსულის მოგონება ამოტივტივდა.

სტეფანი თითქოს ხედავდა სურათებს, ერთმანეთის მიყოლებით, ის ხედავდა მისი ძმის სახეს, ნიღაბი არაადამიანური სიძულვილის, კეტრინის თვალები, დეიმონთან ერთად მოცეკვავე კეტრინი, თავის ახალ თეთრ კაბაში...

\_დეიმონ... კეტრინ... არაა.. არაა...!



სტეფანი საწოლზე დამჯდარიყო. მისი სუნთქვა ნელნელა გათანაბრდა. კომმარული სიზმარი. უკვე დიდი ხანია სტეფანს კომმარები აწუხებს, ხანდახან საერთოდ არ ძინავდა, რამდენიმე წუთი ბოლო სცენა მის გონებაში მეორდებოდა. სრულიად მოულოდნელად სტეფანი ფანჯარასთან აღმოჩნდა. მან სიბნელეში გაიხედა, საღამოს სუსხი იყო.

<დეიმონ> გაიფიქრა მან.

არა ის არ გრძნობდა პასუხს. სტეფანმა ჩაისუნთქა და ფანჯარას მოშორდა, ალბათ მას შეეშალა რაღაც, შეიძლება მას სასაფლაოზეც მოეჩვენა და სახიფათო არაფერი ხდებოდა, ფელს-ჩერჩი იყო ჩუმი და მშვიდი. სტეფანს ქალაქისთვის უნდა მიეზამა. მას ძალიან ჭირდებოდა ნორმალური ადამიანური ძილი.

\*\*\*

5 სექტემბერი (პრინციპში უკვე 6 – ახლა დაახლოებით ღამის 1 საათია)

ჩემო საყვარელო დღიურო!

ალბათ უმჯობესი იქნებოდა საწოლში თუ დავბრუნდებოდი. რამოდენიმე წუთის წინ მე გამეღვიძა, მომეჩვენა, რომ ვიღაც ყვირის, მაგრამ ახლა სახლში სიმშვიდეა, რამდენი უცნაური რამ მოხდა გუშინ საღამოს, ჩემი ნერვები ამდენს ვეღარ უძლებს, მე გავიღვიძე იმ გადაწყვეტილებით, რომ სტეფანის ხელში ჩასაგდებად აუცილებლად უნდა გავაკეთო რამე, მაშ ასე, გეგმა ბ. პირველი ფაზა ხვალ იწყება.

ფრენსიზის თვალეები ანათებდა, როცა ის მიუახლოვდა სამი გოგოს მაგიდას:

– ელენა შენ ეს აუცილებლად უნდა გაიგო!

თავაზიანად მაგრამ არასკმარისად თბილად ელენამ მას გაუღიმა, და ფრენსიზი მისკენ გადაიხარა:

– მე მინდა გკითხო, შეიძლება შემოგიერთდეთ? მე ზუსტად ახლახან გავიგე წარმოუდგენელი ამბები სტეფან სალვატორზე.

– დაჯექი – თავაზიანად უთხრა ელენამ – მაგრამ – დაამატა მან ისე რომ ბულკს თან კარაქს უსვამდა. – სტეფან სალვატორის ამბები ჩვენ დიდად არ გვაინტერესებს.

– მართლა? – გაოცებულმა შეხედა ფრენსიზმა. შემდეგ კი ბონის და მერედიტს გადახედა.

– გოგოებო ალბათ თქვენ ხუმრობთ!

\_სულაც არა, ჩვენ უკვე სხვა გვყავს გონებაში – მშვიდად აუხსნა მერედიტმა

\_მართალია –კვერი დაუკრა ბონიმ –ამბები სტეფან სალბატორზე, ნუ როგორ გითხრა უკვე მოძველდა.

ფრენსიზმა გაოცებულმა შეხედა ელენას:

\_მეკი მეგონა, რომ თქვენ ყველაფერი გაინტერესებდათ მასზე.

\_უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო. – აუხსნა ელენამ – ბოლოსდაბოლოს ის ჩვენი სტუმარია და მე მინდოდა როგორც საკადრისია ისე მივსალმებოდით ფელს-ჩორჩში. მაგრამ მე რა თქმა უნდა არ ვუღალატებ ჟან-კლუდს.

\_ჟან-კლუდი – დაეთანხმა მერედიტი.

\_ჟან-კლუდი – გაითამაშა ბონიმაც.

ელენამ თავისი ჩანტიდან ფრთხილად ამოიღო ფოტო.

\_აი ის დგას კოტეჟის წინ, სადაც მე და ჩემი ოჯახი გავჩერდით, მას მოაქვს ჩემთვის ყვავილები და ამბობს... აჰჰ.. – ის ეშმაკურად იღიმება –ეს უმჯობესია არ გავიმეორო.

ფრენსიზმა დაკვირვებით შეისწავლა ფოტოსურათი, მასზე იყო გამოსახული ახალგაზრდა სიმპატიური ბიჭი, მაისურის გარეშე.

\_ის ხომ ჩვენზე დიდია? ასე არაა?? – დაინტერესდა ფრენსიზი.

\_ის 21 წლისაა, რა თქმა უნდა.. დეიდაჩემი ამას არასდროს დაუჭერს მხარს \_ მწუხარეთ განაგრძო ელენამ – ასე რომ მე და ჟან-კლუდი საიდუმლოდ ვინახავთ ჩვენ ურთიერთობას, მანამ სანამ სკოლას არ დავამთავრებ, მანმადე ჩვენ მხოლოდ წერილების გაგზავნა შეგვიძლია ერთმანეთისთვის.

\_რა რომანტიულია, - ამოისუნთქა ფრენსიზმა – გპირდები მე არავის არ მოვუყვები ამ აბავს. მაგრამ სტეფანი?

ელენამ ის ღიმილით დაასაჩუქრა.

\_როცა საქმე მიდგება ევროპელებზე – მან მრვალმნიშვნელოვნად აღნიშნა ეს – მე ყოველთვის იტალიელს ვამჯობინებ ფრანგს. – ის მერედიტისკენ შებრუნდა –ასე არაა?

\_ექვგარეშეა – ელენამ და მერედიტმა მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმეს ერთმანეთს და მერე ფრენსიზისკენ შებრუნდნენ – ასე არაა?

\_ხოო რა თქმა უნდა – სწრაფად დაეთანხმა ფრენსიზი გოგოებს – შენ მართალი ხარ – გაუღიმა ელენას და გასასვლელისკენ წავიდა.

როგორცკი ფრენსიზი თვალს მიეფარა ბონიმ თქვა:

\_არაა! მე მოვკვდები ეს ჭორი თუ სასწრაფოდ არ გავიგე!

\_მართლა? შემიძლია გითხრა რა უნდა ეთქვა ფრენსიზს, დადის ჭორი, რომ სტეფანი აგენტია ნარკომანიასთან ბრძოლის წინააღმდეგი კომპანიიდან.

\_ვინ? – ბონიმ გაცეცხულმა შეხედა, მერე კი მის ბაგეს სიცილი მოსწყდა. – ეს ხომ სისულელეა, რომელი აგენტი ჩაიცვამდა ასე და შავ სათვალეს გაიკეთებდა? მე მინდა ვთქვა, რომ ის ხომ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მიიზიდოს ხალხის ყურადღება. – შემდეგ გაჩერდა და დაფიქრდა – მაგრამ იქნებ სწორედ ამიტომ აკეთებს ამ ყველაფერს? ის ხომ მართლაც მარტო ცხვრობს? ელენა რა მოხდება თუ ეს სიმართლეა?

\_ეს არაა სიმართლე –უთხრა მერედიტმა.

\_საიდან იცი?

\_საიდან და იქიდან, რომ ეს ჭორი მე გავავრცელე. \_ ბონის სახის ცვილელბისას მერედიტმა ბევრი იცინა და მერე დაამატა - ელენამ მთხოვა.

\_ვააა, ნამდვილად მაგრად მოიფიქრე! შეიძლება, რომ მე ყველას მოვუყვე თითქოს ის ისე ავადაა, რომ სიკვდილის პირასაა?

\_არაა არ მინდა. აი ჟან-კლუდზე კი რაც გინდა ის შეგიძლია თქვა.

\_და ვინაა ის სინამდვილეში? – დაინტერესდა ბონი.

\_მეზაღე, ის ცოლიანია და ორი შვილიც ჰყავს.

\_ცუდია – სერიოზულად თქვა ბონიმ – და შენ სთხოვე ფრენსიზს მასზე არავისთან არაფერი მოეყოლა...

\_აჰაა.. – ელენამ საათს დახედა –ესეიგი სადღაც ორ საათში მასზე მთელი სკოლა ალაპარაკდება.

გაკვეთილების შემდეგ გოგონები ბონისთან წავიდნენ სახლში. ისმოდა წკუმუტუნის მაგვარი ყეფა და საკმარისი იყო კარი გაეღო ბონის, რომ მათ შეეგება საკმაოდ მოხერებული პეკინესი. მას ბონის გარდა ვერავინ ვერ იტანდა.

გოგონები ჩაბნელებულ მისაღებ ოთახში შევიდნენ სადაც ბონის და მაგიდასთან იდგა. ის მხოლოდ 2 წლით უფროსი იყო ბონიზე, მაგრამ უკვე მუშაობდა ფელს-ჩერჩის კლინიკაში.

\_ბონი კარგია, რომ მალე მოხვედი, გამარჯობა ელენა, მერედიტ.

გოგონებიც მიესალმნენ მას.

\_რამე მოხდა? – დაინტერესდა ბონი - დაღლილი ჩანხარ.

მერი პასუხის მაგივრად გოგონებს გამომწვევად დააკვირდა და კითხვა შეუბრუნა:

\_ბონი გუშინ გვიან დაბრუნდი სახლში, სად იყავით გოგონებო?

\_სასაფ... უფრო სწორად ხიდთან ვიყავით.

– ასეც ვიფიქრე. – მერიმ ღრმად ჩაისუნთქა. – ახლა კი ყურადღებით მომისმინე ბონი, აღარ გაბედო იქ ხეტიალი, განსაკუთრებით ღამე!

– კი მაგრამ რატომ? – გაკვირვებულმა იკითხა ბონიმ.

– იმიტომ, რომ გუშინ იქ ვიღაცას თავს დაესხნენ! და იცით სად? ზუსტად მდინარის ნაპირას, ხიდის ქვეშ.

ელენამ და მერედიტმა დაეჭვებულებმა შეხედეს მერის. ბონი კი ელენას ხელზე ჩააფრინდა.

– ვიღაცას თავს დაესხნენ? ვის? რა მოხდა?

– ზუსტად არ ვიცი, დღეს დილით აღმოაჩინა მესაფლავემ, ვიღაც ლოთი, რომელსაც ალბათ ხიდის ქვეშ ეძინა, ღამე თავს დაესხნენ. როცა ლოთი იპოვეს ის თითქმის მკვდარი იყო. ახლაც უგონოდაა. სავსებით შესაძლებელია, რომ ის მოკვდება.

ელენამ შეშინებულმა იკითხა:

– რას გულისხმობ როცა ამბობ, რომ მას თავს დაესხნენ?

– მე – თქვა მერიმ ისე, რომ თითოეულ სიტყვას ხაზს უსვამდა. – ვგულისხმობ, რომ მას ყელზე დიდი ნაკბენი აქვს, მან ბევრი სისხლი დაკარგა, თავიდან ვფიქრობდით, რომ ეს რომელიმე მონადირე ცხოველმა გააკეთა, მაგრამ ახლა ექიმი ლოუენი ამბობს, რომ დამნაშავე ადამიანია და პოლიცია ფიქრობს, რომ ვინც ეს ჩადინა სასაფლაოზე იმალებოდა. – მერიმ გოგოებს შეხედა და გააგრძელა – ასე, რომ თუ თქვენ მართლა იყავით ხიდთან ან სასაფლაოზე, ელენა გილბერტ, თავდამსხმელი შესაძლოა თქვენთან ძალიან ახლოს ყოფილიყო, ხვდებით რას ვგულისხმობ?

– არ ღირს ჩვენი შეშინება – თქვა ბონიმ – მერი ჩვენ ყველაფერს მივხვდით.

– ძალიან კარგი, გოგოებო არ გეწყნოთ მე ჩემ ოთახში უნდა გავიდე, ცოტა ხანი დავისევნო, ბოდიშით არ მინდოდა ასე მკაცრად გამომსვლოდა. – და ის გავიდა მისაღები ოთახიდან.

გოგონები მარტო დარჩნენ ოთახში და ერთმანეთს გადახედეს.

– მის ადგილას ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩენილიყო, – აღნიშნა მერედიტმა – განსაკუთრებით კი შენ ელენა. შენ ხომ სასაფლაოზე მარტო წახვედი.

ელენას დაბურმგლა შიშისგან. ის თითქოს ისევ სასაფლაოზე აღმოჩნდა, დეტალურად გაახსენდა ის რამე, ცივი ქარი და თითქოს ლობერტ ლის სახელობის სკოლიდან ისე შორს იყო.

– მომისმინე ბონი – ნელა თქვა ელენამ. – შენ იქ არავინ დაგინახავს? დას გულისხმობდი როცა თქვი, რომ მე ვიღაც მელოდებოდა?

ბონიმ გაურკვევლად შეხედა.

\_რას გულისხმობ? მაგდაგვარი არაფერი მითქვამს.

\_როგორ არა თქვი.

\_არა, მე არ მითქვამს.

\_ბონი ჩვენ ორივემ გავიგეთ როგორ თქვი. შენ ძველ საფლავს უყურებდი, მერე ელენას შეხედა და თქვი რომ... \_ ჩაერია მერედიტი.

\_წარმოდგენა არ მაქვს რას ამბობთ. ასეთი არაფერი მითქვამს. \_ ბონის სახეზე ბრაზი გამოეხატა, მაგრამ მის თვალებში ცრემლები მოჩანდა. \_ მე აღარ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი.

ელენამ და მერედიტმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს. მზე კი ამ დროს მთის ქვეშ ჩაიმალა.

## თავი 6

26 სექტემბერი.

ძვირფასო დღიურო!

ვწუხვარ, რომ ამდენი დრო გავიდა, მე კი იმის ახსნაც არ შემიძლია რატომ არ ვწერდი, ალბათ იმიტომ, რომ მომხდარის შესახებ საუბარი მაშინებს.

ამ დღეებში პატარა "უსიამოვნება" მოხდა. როცა მერედიტთან და ბონისთან ერთად სასაფლაოზე ვიმყოფებოდი, ამ დროს იქვე მახლობლად უსახლ-კარო ბერიკაცს თავს დაესხმნენ და კინაღამ მოკლეს. დამნაშავე ახლაც თავისუფალია. ხალხს ჰგონია რომ ბერიკაცი 'გაგიჟდა', რადგან გონზე მოსვლის შემდეგ ბოძვა დაიწყო, სიბნელეში მოძრავ თვალების და სხვა სასწაულების შესახებ. მე მახსოვს იმ საღამოს რაც მოხდა, კითხვები არ მასვენებს და ეს მაშინებს.

რადაც დროის მანძილზე ხალხი შეშინებული იყო, ყველა ბავშვს აკრძალული ჰქონდა სიბნელის დადგომის შემდეგ გარეთ გასვლა. 3 კვირა გავიდა და ყველა ნელ-ნელა დაწყნარდა, რადგან თავდასხმის შემთხვევები არ განმეორებულა. დეიდა ჯუდიტი ამბობს, რომ ეს რომელიმე "ზომჟის" ნახელავია. ტაილერის მამამ ჩათვალა, რომ ბერიკაცმა თვითონ ავნო საკუთარ თავს, - თუმცა ძალიან კი მაინტერესებს როგორ შესძლებდა ამას.

მთლიანობაში მე გეგმის განხორციელებით ვიყავი დაკავებული. ჯერ - ჯერობით ყველაფერი არც თუ ისე ცუდად მიდიოდა, მე ყოველდღე ვღებულობდი ვარდებსა და წერილებს ჯან კლოდისაგან (საქმეს გვიადვილებდა ის მდგომარეობა, რომ მერედიტის ბიძა ფლორისტი იყო). ყველას მგონი დაავიწყდა, რომ ოდესღაც სტეფანით ვიყავი დაინტერესებული. კეროლაინიც კი აღარ მიქმნიდა პრობლემებს. სიმართლე რომ ვთქვა, არც ვიცი რითი იყო დაკავებული კეროლაინი მთელი ამ დროის მანძილზე და არც მაინტერესებს. მე მას ვეღარ ვხედავ ლანჩის დროსა და გაკვეთილების შემდეგაც კი, მგონი იგი სამუდამოდ ჩამოშორდა თავის "კომპანიას". ერთადერთი რაც მაინტერესებს - არის სტეფანი.

ბონისა და მერედიტსაც არ ესმით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იგი ჩემთვის.

გრძნობების განხილვის მეშინია, რადგან შეიძლება იფიქრონ რომ გავგიჟდი.

სკოლაში სიმშვიდისა და უდარდებლობის ნიღბით დავდივარ, თუმცა.....შინაგანად უარესად ვხვდები.

დეიდა ჯუდიტი ანერვიულდა. სულ იმას ამბობს, რომ ბოლო დროს ცუდად ვიკვებები და ამაში მართალია. კონცეტირებას ვერაფერზე ვახდენ, ისეთ სასიამოვნო წვრილმანზეც კი, როგორცაა ჰელოუინის ორგანიზება. ვერაფერზე ვფიქრობ სტეფანის გარდა და ვერ ვხვდები რატომ.....

იმ საშინელი დღის შემდეგ არ დამლაპარაკებია. მე შენ მოგიყვები რადაც უცნაურსა და საინტერესოს. გასულ კვირას ისტორიის გაკვეთილზე თვალები ავწიე და შევამჩნიე, რომ მიყურებდა. ჩვენ ერთმანეთის მახლობლად ვზივართ, ის გვერდულად დაჯდა რომ უკეთ ვენახე, რადაც მომენტში შევშინდი და გულმა "გიჟურად" დაიწყო

ცემა. რაღაც დროის მანძილზე ერთმანეთს ვუყურებდით , უეცრად კი ის გაბრუნდა. ეს შემთხვევა ორჯერ განმეორდა.

სტეფანი არ ჰგავს არც ერთ ბიჭს ჩემი გარემოცვიდან.

იგი მარტოსული და იდუმალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუნდაც ეს თავისით აერჩია. სტეფანი ძალიან კარგად თამაშობს ფეხბურთს, მაგრამ გუნდიდან არავის ემეგობრება მეტის გარდა. იგი მარტო მას ელაპარაკება. გოგოებიდანაც არავის ეკონტაქტება , ეტყობა ჭორმა ნარკოტიკებთან მეზომოლე აგენტის შესახებ გაამართლა. სალვატორე სადღაც ქრება გაკვეთილებისა და ვარჯიშების შემდეგ, არც ერთხელ არ მინახავს სასადილოში და არც არავის ეპატიჟება პანსიონატში.

როგორ უნდა ვიპოვო ის ადგილი , საიდანაც ვერ გამექცევა? ეს იყო გეგმა ბ-ს მთავარი "შეფერხება".

ბონი დაცინვით მეუბნება ; "სადმე ჭეკაქუხილში მოყევით და ერთმანეთი სხეულით გაათბეთ ".მერედიტი მთავაზობს , რომ მისი პანსიონატის წინ შემთხვევით "მანქანა გამიფუჭდეს". ამგვარი უაზრო შეთავაზებებით ჭკუიდან ვიშლები .ვცდილობ რამე უფრო ღირსეული და რეალური მოვიფიქრო , მაგრამ ამაოდ.

ყოველდღე ჩემი განცდები უფრო და უფრო ცუდად მხდის. საათს ვგავარ , რომელსაც ვიღაც სულ უფრო "მაგრად" ქოქავს. თუ კი სასწრაფოდ რამეს არ მოვიფიქრებ.....

მინდოდა დამეწერა "მოვკვდები".

გამოსავალი მოულოდნელად, თავისით მოვიდა .

მეტის წინაშე ელენა თავს დამნაშავედ გრძნობდა, ეს ჭორები ჯან-კლოდის შესახებ ტანჯავდნენ მას. ყმაწვილი არ ელაპარაკებოდა მას "საიდუმლოს" გაგების შემდეგ . რამდენიმეჯერ როცა ლიტერატურის კაბინეტის კარებთან შეეფეთნენ ერთმანეთს , მეტს თვალეზივ არ აუწევია....

- "მეტ.."- დაიწყო ელენამ.

მას უნდოდა ეთქვა , რომ ყოველივე ეს ტყუილია, რომ იგი არასოდეს შეხვდებოდა სხვას მასთან ლაპარაკის გარეშე. კიდევ , მას უნდა ეთქვა ,რომ ტკივილის მოყენება არ უნდოდა და რომ ახლა თავს ცუდად გრძნობს. მაგრამ არ იცოდა საიდან დაეწყო საუბარი.

- "მაპატიე " - თქვა ელენამ და გაბრუნდა რომ კლასში შესულიყო.

- "ელენა..."- მიმართა მეტმა და გოგონა შემოუბრუნდა მას.

ახლა, ის ყოველი შემთხვევისთვის უყურებდა მას. მისი თვალეზი ელენას ათვალეირებდნენ, შემდეგ მან თავი გაიქნია და ჰკითხა ;

- "იმ ფრანგთან ყველაფერი სერიოზულად გაქვს?"

- " არა " - ფრთხილად უპასუხა ელენამ - " მე ის გამოვიგონე - ალიარა მან - ეს იმიტომ გავაკეთე , რათა ყველას გაეგო რომ არანაირი საქმე არ მაქ..... - აქ ელენა შეჩერდა.

- " სტეფანს გულისხმობ. გავიგე. - მეტმა თავი დაუქნია.- მისმინე ელენა , მას ცუდად გამოუვიდა , მაგრამ არამგონია აქ რაიმე პირადული იყოს . ყველასთან ასე იქცევა."

- " შენს გარდა..."

- არა. ხანდახან მესაუბრება , მაგრამ პირადულზე არასოდეს. იგი არასოდეს ახსენებს ოჯახსა და რაიმე დამოუკიდებელ გაკვეთილებზე. ისეთი შეგრძნებაა თითქოს.....მის გარშემო კედელია . არამგონია ოდესღაც ვინმე შემოუშვას თავის იდუმალ ცხოვრებაში. ეს ძალიან ცუდია , რადგან ვგრძნობ რომ იგი "უბედურია". ასეთი საუბარი ელენასთვის მოულოდნელი იყო , "ასეთ დეტალებს" არც ელოდა. სტეფანი ყოველთვის გამოიყურებოდა თავშეკავებულად და მკაცრად. მეორეს მხრივ , ზოგჯერ ელენაც ასე გამოიყურებოდა სხვების თვალში. ნუთუ ამ ნიღბის ქვეშ მყოფი სტეფანი სინამდვილეში ისეთივე უბედურია როგორც გილბერტი? ამ დროს მას რაღაც იდეა მოუვიდა , რომელიც ძალზედ ადვილი იყო. არანაირი რთული გეგმები , საშინელი ჭკუაქუხილი და გაფუჭებული მანქანები.

- "მეტ, - მშვიდად დაიწყო ელენამ, -არ გგონია , რომ საჭიროა ვინმემ ეს კედელი გადალახოს? ცუდი არ იქნება სტეფანისთვის , ამას ვგულისხმობ . მგონი ამაზე უკეთესი გამოსავალი არ უნდა არსებობდეს მისთვის?" - იგი დაძაბულად უყურებდა ბიქს ,იმის იმედით რომ სწორედ გაუგებდა.

მეტი გაჩუმებული უსმენდა ელენას, შემდეგ ცოტა ხნით თვალები დახუჭა და თავი დაუქნია.

- "იცი ელენა, - წარმოთქვა მან , - აუტანელი ხარ . ხალხს ისე ატრიალებ , როგორც მოგესურვება და ყველაზე საშინელი ის არის , რომ ამას ვერც აცნობიერებ. აი ახლა მთხოვ სტეფანის გამოჭერაში დახმარებას , მე კი ისეთი სულელი ვარ ,რომ შეიძლება დაგთანხმდე."

- "სულელი კი არა ჯენტლმენი ხარ. დახმარებას გთხოვ , რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში თუ თვლი , რომ ეს სწორია. არ მინდა ტკივილი მოგაყენო არც შენ და არც სტეფანს."

- "მართლა?"

- მართლა. მესმის ეს ყველაფერი როგორ გამოიყურება..... მე უბრალოდ მინდა...  
"- აქ ელენა ისევ შეჩერდა.

როგორ აუხსნას ის , რაც თვითონაც არ იცის?

- "შენ უბრალოდ გასურს ,რომ სამყარო ელენა გილბერტის გარშემო ბრუნავდეს  
"-ემწარა მეტი, - იმის მიღება გინდა რაც არ გაქვს."

შოკში მყოფი ელენა უკან დაიხია და გაკვირვებით შეხედა მეგობარს. თვალებზე ცრემლები მოაწვა.

- "არა , არ გინდა - აქვე დანებდა მეტი , - გეყოფა ელენა , ასე ნუ იქცევი . მაპატიე. - მძიმედ ამოისუნთქა,- კარგი , რა უნდა გავაკეთო? მოვიტაცო და სახლში მოგიყვანო?"

- "არა , - უპასუხა ელენამ ,-არაა საჭირო. უბრალოდ გააკეთე ისე , რომ შემდეგ კვირას კლასელთა შეხვედრის საღამოზე მოვიდეს."

- "შენ უბრალოდ გინდა ,რომ ცეკვებზე მოვიდეს?"

ელენამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

- "კარგი. ყველანაირად ვეცდები ეს თხოვნა შეგისრულო. იცი ელენა..... შენს გარდა არავის დაპატიჯება არ მინდა."

- "კარგი , - წამიერი დუმილის შემდეგ უპასუხა ელენამ , - გმადლობ."



- " არ გინდა ელენა, მაღლობას ნუ მიხდი. ეს წვრილმანია."
  - ელენა ჯერ კიდევ ფიქრებში იყო , როცა მეტი გაბრუნდა და გზა განაგრძო.
  - "სწორად დადექი"- ბრძანა მერედიტმა და ელენას თმაზე მოქაჩა.
  - " მე ჯერ კიდევ ვფიქრობ , - მოისმა ბონის ხმა ,რომელიც ფანჯარასთან იჯდა , - რომ ორივე შეუდარებელი იყვნენ."
  - "ვისზე ამბობ?" - დაბნეულად იკითხა ელენამ.
  - " ვითომ არ იცი , - უთხრა ბონიმ , - ორივე შენი ბიჭუნა , რომლებმაც თამაშის ბოლო წუთებში შეუდარებელი იყვნენ. როცა სტეფანმა ის პასი დაიჭირა , მეგონა გული წამივიდოდა."
  - " ბონიიი , ძალიან გთხოვ... - დაიწყო მერედიტმა.
  - " მეტი....ეს ბიჭი .... საოცრად მოძრაობს"
  - " არც ერთი მათგანი არაა ჩემი " ბიჭი",- მკაცრად თქვა ელენამ.
- მერედიტმა ელენას თმა ულაქმაზეს ვარცხნილობათ აქცია. მისი კაბა არაჩვეულებრივი იყო. თვითონ ელენას საკუთარი თავი ფერმქთალად და ცივად ეჩვენებოდა.
- გუშინ , როდესაც იგი ოფიციალურად განაცხადეს დედოფლად , ელენა მარტო ერთ რამეზე ფიქრობდა , რომ ახლა სტეფანი ცეკვაზე უარს ვერ ეტყვის. და ახლა, როცა იგი სარკეში იყურებოდა ისევ ამაზე ფიქრობდა და ოცნებობდა.
- " დღეს იმას მიიღებ ,რაც გასურს -აწყნარებდა ბონი , - და..... მომისმინე ელენა. როცა საბოლოოდ მიატოვებ მეტს შეიძლება ვანუგეშო?"
  - " რეიმონდი?"
  - " მას მერედიტი მიხედავს. მეტი მართლა მომწონს. იმ დღიდან ,როცა სტეფანი ამოიჩემე ...მეტი ზედმეტი აღმოჩნდა და მე ვიფიქრე...."
  - " გააკეთე როგორც გინდა. მეტი იმსახურებს ამას."
  - აი, - თქვა მერედიტმა როცა ელენას ვარცხნილობა დაასრულა,- დედოფალი შემოგვხედე..... მშვენივრად გამოვიყურებით.."
- სამივე მეგობარი მისაღებ ოთახში ჩავიდა , როგორც ამას აკეტებდა ყოველი ცეკვების დროს მეშვიდე კლასიდან - თუ არ ჩავთვლით იმას , რომ მათთან ერთად კეროლანიც იმყოფებოდა. უცებ ელენა მიხვდა , რომ წარმოდგენაც არ აქვს ვისთან ერთად მვიდოდა დღეს კეროლანის.
- დეიდა ჯუდიტი და რობერტი ,რომელიც უახლოვეს მომავალში ბიძია რობერტი უნდა გამყდარიყო ,მარგარეტთან ერთად ქვემოთ ისხდნენ.
- " გოგოებო ....რა ლამაზები ხართ, - თქვა აღელვებულმა დეიდა ჯუდიტმა. დასაძინებლად გამზადებული მარგარეტი უფროს დას მოეხვია და უთხრა :
  - " ძალიან ლამაზი ხარ .."
- ამ დროს კარზე დააკაკუნეს . ეს იყო მეტი , მერედიტის მეგობარი ედ გოფი და რეიმონდ ერნანდესი. ელენა თვალებით სტეფანს ეძებდა.
- " ალბათ უკვე იქ არის - უპასუხა მეტმა მის "მუნჯურ" შეკითხვას, - ელენა მომისმინე....
- მეტმა ვერ დაასრულა, რადგან მთელი გზის მანძილზე მანქანაში მყოფი ორი წყვილი არ გაჩუმებულა.

სკოლიდან მუსიკის ხმა ისმოდა. მანქანიდან გადმოსულ ელენას უჩვეულო გრძნობა დაეუფლა.

<< რაღაც აუცილებლად უნდა მოხდეს და მე ამისთვის მზად ვარ. >> -გაიფიქრა მან.

იგი მართლაც ასე ფიქრობდა.

დარბაზში შესულ ელენას ყველა ქათინაურს ეუბნებოდა..... მისი ვარცხნილობა , კაბა,ფერთა შეხამება....ყველაფერი მშვენიერი იყო.

მასთან ტაილერი მივიდა , რომელსაც პუნშის სუნი ასდიოდა. ელენამ თვალი არაარიდა იმის იმედით , რომ ყმაწვილი მოსცილდებოდა.

ელენას არავინ ანაღვლებდა , იგი მხოლოდ მას.....სტეფანს ეძებდა.

საღამოს დედოფალმა მეტს გახედა და შეამჩნია , რომ სადღაც მარცხნივ იყურებოდა. თვალი გააყოლა და დაინახა. უფრო სწორად , დაინახა კი არა იგრძნო მისი მანდ ყოფნა....სტეფანი....

- " ახლა რის გაკეთებას აპირებ ? "

- " უბრალოდ საცეკვაოდ დავპატიჯებ. თუ გინდა , ჯერ შენ გეცეკვები." - უთხრა ელენამ.

მეტმა უარი უთხრა და გილბერტი სტეფანთან გაეშურა. მიუხედავდ იმისა , რომ სტეფანს მხოლოდ პროფილში ხედავდა , მან შეამჩნია რომ ამჯერად სათვალის გარეშე იყო.რათქმაუნდა , თამაშის დროს ისნიდა ხოლმე , მაგრამ ასე ახლოს სათვალის გარეშე აქამდე არ უნახავს.

უცებ სტეფანი შემოტრიალდა და "პირი დაალო"....ელენა მიხვდა რომ მშვენიერი იყო.

- " გამარჯობა "

სტეფანს ულამაზესი მწვანე თვალები ჰქონდა.

- " კარგ დროს ატარებ? " - ჰკითხა ელენამ.

- " უკვე, - << კი >> - ეს სტეფანმა არ თქვა , მაგრამ ელენამ იცოდა რომ ზუსტად ამის თქმა უნდოდა, იქიდან გამომდინარე თუ როგორ უყურებდა.

მოულოდნელად გაისმა ნელი სიმღერა. სტეფანი თვალს ვერ აშორებდა ელენას .

მწვანე თვალები ნელ - ნელა უმუქდებოდა დაუფლებული სურვილისაგან. გოგონამ უცებ იგრძნო , რომ მას უსიტყვოდ შეეძლო გულში ჩაეკრა და ეკოცნა იგი.

- " ვიცეკვოთ ? " - ჰკითხა ელენამ.

<< ცეცხლს ვეთამაშები , მაგრამ ვერ ვხვდები რატომ >> , - უცებ გაიფიქრა "ოქროს" გოგონამ.

ამ მომენტში , მან გააცნობიერა , რომ შეშინებულია. გულმა მოუსვენრად დაუწყო ცემა. მას მოეჩვენა , რომ ეს მწვანე თვალები მისი სულის სიღრმეში ცდილობენ შეღწევას , და ამან უფრო შეაშფოთა. ადამიანის ცნობიერებაში უძველესი დროიდან ჩანერგული "უცნობი " ინსტინქტი , ელენას გაქცევისკენ მიუთითებდა.

მიუხედავად ამისა , იგი ადგილიდან არ გაინძრა.

ელენა სასწაულ განცდებში იყო და ხედავდა, რომ სტეფანი ნებდება/.... მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი დაიმსხვრა.

- " ელენა ძალზედ ტკბილად გამოიყურები - მოისმა კეროლაინის ხმა.

იგი ზგაპრულად გამოიყურებოდა. კისკისით სტეფანს მიუახლოვდა და ხელი მხარზე დაადო.

- "კაზაც ძალიან საყვარელი გაცვია, - იგივე ინტონაციით განაგრძობდა იგი. მისმა ხელი სტეფანის ხელს მოეჭიდა და ამგვარად უხსნიდა ელენას, სად იყო დაკარგული და რას უმზადებდა.

- "სტეფანს ვთხოვე ცოტა ხნით მოვსულიყავით, მაგრამ არ გეწყინოს თუ დღეს ის მარტო მე მეცეკვება კარგი?"

ელენა დაიბნა და მხოლოდ თვალს ადევნებდა ეს "ტკბილი" წყვილი როგორ შორდებოდა მას. იიგი მეტთან მივიდა და ჰკითხა;

- "იცოდი? იცოდი, რომ მასთან ერთად მოვიდოდა?"

- "მე ვიცოდი რომ კეროლიანს ეს უნდოდა. სულ დასდევდა სტეფანს. გასაქანს არ აძლევდა. მაგრამ..."

- "გასაგებია"

ელენა მოიხედა და შეამჩნია, რომ ბონი მისკენ მოდიოდა, მერე დიტიც მაგიდას მოშორდა, ე.ი მათ ყველაფერი დაინახეს.....და ალბათ დანარჩენებმაც. გილბერტი საპირფარეშოსკენ დაიძრა.

გოგოები ცდილობდნენ მის დამშვიდებებს, მაგრამ ამაოდ. ყოველ სიტყვაზე ელენა უფრო ღიზიანდებოდა და ბოლოს საერთოდ "გამოეთიშა" დაქალებს.

დარბაზში შესვლისას იგი ყველას უცინოდა, ყველა მსურველს ეცეკვებოდა და ელაქუცებოდა. მათ შორის ტაილერსაც. მან ბიჭს სადედოფლო თაიგულიდან ვარდი აჩუქა და ამით მისი ყურადღება მოიპყრო, ამის დანახვაზე მეტი გაბრაზდა, ხოლო ტაილერის მიტოვებული, "მეწყვილე" გოგო კი თითქმის ტიროდა.

ირგვლივ ყველა "ზედმეტად" იქცეოდა. გოგოები ხმამაღლა იცინოდნენ, ბიჭებმა კი ხელის ფათუნნი დაიწყეს. მთვრალი ტაილერიც ელენას ლოყას "შტურმავდა".

- "ერთი იდეა მაქვს - თქვა ტაილერმა, - მოდით უფრო მხიარულ ადგილას გადავინაცვლოთ.

- "სად ტაილერ? შენთან სახლში?"

- "არა, მე იმ ადგილს ვგულისხმობ რომელიც დაგვამახსოვრდება. მაგალითად სასაფლაოზე."

ტაილერის მიერ მიგდებული გოგო მოშორებით იდგა.

- "ტაილერ, ეს სიგიჟეა, ხომ იცი იმ ბერიკაცს რა მოუვიდა .....მე არ წამოვალ... - თქვა მან.

- "ასწორებს... ე.ი შენ რჩები, - ტაილერმა ჯიბიდან მანქანის გასაღები ამოიღო და იკითხა, - აბა? ვის არ ეშინია?"

- "მე მზად ვარ. - თქვა დიკმა.

- "მეც" - განაცხადა ელენამ.

ყველანი გაეშურნენ ტაილერის მანქანისკენ. ელენა უკან დაჯდა დიკთან და მის მეგობარ გოგოსთან ვიკი ბენეტთან ერთად.

- "ელენა, - დაიძახა ვიდაცამ სკოლის შემოსასვლელიდან.

- "წავედით, - უბრძანა მან ტაილერს.

მან მანქანა დაქოქა და გაეშურა დიდი სიჩქარით სასაფლაოსკენ.

## თავი 7

ბონი საცეკვაო მოედანზე თვალდახუჭული ირხეოდა და უბრალოდ მუსიკას უსმენდა. წამით თვალი გაახილა და დაინახა, რომ მერედიტი თავის ქნევით ანიშნებდა რაღაცას. ბონიმ უარის ნიშნად გაბზიკა ნიკაპი, მაგრამ როცა მერედიტის შესტიკულაცია უფრო აქტიური გახდა, ბონიმ რეიმონდს ახედა და მერედიტს დამორჩილდა. რეიმონდიც უკან გაჰყვა.

მეტი და ედი მერედიტის უკან იდგნენ. მეტი მოღუშული იყურებოდა, ედი უხერხულად აწურული იდგა. "ელენა წავიდა," აცნობა მერედიტმა.

"ეს თავისუფალი ქვეყანაა," უპასუხა ბონიმ.

"ჰო, მაგრამ ტაილერ სმოლუდთან ერთად წავიდა," უთხრა მერედიტმა. "მეტ, დარწმუნებული ხარ, რომ არ გაგოგონას სად მიდიოდნენ?"

მეტმა თავი გააქნა. "ჩემი აზრით რაც მოუვა ღირსი იქნება- მაგრამ გარკვეულწილად ჩემი ბრალიც იქნება," გულწრფელად აღიარა მან. "მგონი უნდა გავყვეთ."

"ცეკვები მივატოვო?" იკითხა ბონიმ. მან მერედიტს შეხედა, რომელმაც პირით ანიშნა ხომ დაჰპირდი. "ვერ ვიჯერებ," გაბრაზებულმა ჩაიბურტყუნა.

"არ ვიცი როგორ უნდა ვიპოვოთ," თქვა მერედიტმა. "მაგრამ უნდა ვცადოთ." შემდეგ უცნაურად მერყევი ხმით დაამატა. "ბონი, შენ არ იცი ახლს სადაა, ხომ ასეა?"

"რა? რა თქმა უნდა, არ ვიცი; მე ხომ ვცეკვავდი. ალბათ გაგონილი გექნება ცეკვებზე რომ მიდიან რას აკეთებენ ხოლმე."

"შენ და რეი აქ დარჩით," მეტმა უთხრა ედს. "თუ დაბრუნდება, უთხარით, რომ მის სამეზნელად წავედიოთ."

"თუ მივდივართ დროზე წავიდეოთ," უტაქტოდ ჩააკვება ბონიმ. შემდეგ შებრუნდა და კინალამ შავპოჯაკიანს შეასკდა.

"უკაცრავად," უთხრა მან, აიხედა და სტეფან სალვატორი შერჩა ხელთ. მას არაფერი უთქვამს, ბონი, მერედიტი და მეტი კარისკენ გამართნენ, ადგილზე დარჩენილი რაიმონდმა და ედმაკი უბედური გამომეტყველებით გააყოლეს თვალი.

უღრუბლო ცაზე ვარსკვლავები შორეული, მაგრამ ყინულივით მბრწყინავნი ჩანდნენ. ელენაც ამ ვარსკვლავებით გრძნობდა თავს. მისი რაღაც ნაწილი დიკთან, ვიკისთან და ტაილერთან ერთად იცნოდა და ყვიროდა ქარის ზუზუნის თანხლებით, მეორე ნაწილი კი ამ ყველაფერს შორიდან აკვირდებოდა.

ნახევარი გორაკი აარეს და ტაილერმა მანქანა ეკლესიის ნანგრევებთან გააჩერა, მანქანიდან ყველს გადმოვიდა, შუქფარები კი ანთებული დატოვეს. მართალია, სკოლის ავტოსადგომიდან გამოსულს უკან რამდენიმე მანქანა მოჰყვებოდა, მაგრამ როგორც ჩანდა სასაფლაომდე მარტო თვითონ მივიდნენ.

ტაილერმა საბარგული გააღო და სასმელიანი ყუთი ამოიღო. "ყველას გვეყოფა." თქვა და ელენას ლუდი შესთავაზა, რომელმაც თავი გააქნა უარის ნიშნად, თან ცდილობდა ყურადღება არ მიექცია მუცლის სიღრმეში გაჩენილი გულისრევის შეგრძნებისთვის. ის არასწორად თვლიდა თავის აქ ყოფნას\_ მაგრამ ახლს ამას არავითარ შემთხვევაში არ აღიარებდა.

ისინი საფლავისქვებიან გორაკს აუყვნენ, გოგონებს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვათ და ფეხი უბრუნდებოდათ, რის გამოც ბიჭებს ეყრდნობოდნენ. გორაკის წვერს რომ მიადწიეს ელენა ადგილზე გახევდა, ვიკიმ კი წამოიკვილა.

რადაც უზარმაზარი და წითელი ლივლივებდა ჰორიზონტზე. მხოლოდ წუთის შემდეგ გააზრა ელენამ, რომ ეს „რადაც“ მთვარე იყო. იმხელს იყო, თან ისეთი არარეალური როგორც პროპელური დოკუმენტურ ფილმებში, თან გასიებული ბურთი ბუნდოვნად და მკრთალად ანათებდა გარემოს.

„დიდ, დამპალ გოგრას გავს,“ თქვა ტაილერმა და ქვა ესროლს მთვარეს. ელენამ თავს აიძულა ბიჭისთვის გაეღიმა.

„შიგნით არ შევიდეთ?“ ვიკიმ თეთრი ხელი ეკლესიის შესასვლელის ცარიელი ხვრელისკენ გაიშვირა.

სახურავი თითქმის მთლიანად ჩამონგრეულიყო, სამაგიეროდ სამრეკლო ჩანდა დაუზიანებელი, გუმბათივით ამაყად აღმართულიყო ცისკენ. ეკლესიის მხოლოდ სამი კედელი იყო შემორჩენილი, მეოთხე მუხლის სიმაღლემდეა იყო დარჩენილი. ირგვლოვ ყველაფერი რიყის ქვების გროვებით იყო მოფენილი.

ელენას ლოყა სინათლემ გაუნათა, გოგონა გოცეხული შებრუნდა: უაზროდ გაკრეჭილი ტაილერი (ალბათ თავის ქათქათა კბილებს ახარბებდა) სანთებელას ანათებდა სახეზე. „არ გინდა შენც გააჩხაკუნო?“

ელენამ ყველაზე ხმამაღლს გაიცინა რომ სიყალბე დაეფარა. სანთებელს გამოართვა და ეკლესიის გვერდით ერთ-ერთ საფლავს მიანათა. სასაფლავოზე ამის მსგავსი არცერთი საფლავი არ ენახა, თუმცა ადრე მამამისმა უთხრა, რომ ასეთი საფლავები ინგლისში იყო. ის დიდი ქვის ყუთს გავდა, იმხელს იყო ორი ადამიანი თავისუფლად ჩაეტეოდა. საფლავთან მარმარილოს ორი ქანდაკება იდგა სარკოფაგის სახურავზე.

„თომასს ქიფნგ ფელი და ჰონორას ფელი,“ ტაილერმა ისე გრაციოზულად გაიშვირა ხელი თითქმის ელენას აცნობდა მათ. „სავარაუდოდ ბებერმა თომასმა დააარსა ფელს ჩარჩი. თუმცა, მგონი სმოლფუდებიც აქ ცხოვრობდნენ იმ დროს. ჩემი დიდი ბაბუის დიდი ბაბუის დიდი ბაბუა ცხოვრობდა ველზე დრაუნინ ქრიქთან...“

„...სანამ მგლები შექმდნენ,“ დაამატა დიკმა და მგლის იმიტაცაც გაითამაშა თავის ზურგზე გადაგდებით.

შემდეგ დაბოყნა. ვიკიმ ჩაიხითხითა. ტაილერის სიმპათიურ ნაკვეთებს გაღიზიანებამ გადაურბინა, მაგრამ თავს ძალს დაატანა და გაიღიმა.

„რადაც ფერმკრთალები ჩანან ეს თომასი და ჰონორას,“ ხითხითით თქვა ვიკიმ. „მე მგონი ცოტა ფერიანობა არ აწყენდათ.“ ხელჩანთიდან პომადა ამოიღო და ქალი-ქანდაკების ტუჩებზე გადალბნა ალისფერი საცხი. ელენას კიდევ ერთხელ დაეუფლა გულისრევის შეგრძნება. ბავშვობაში ყოველთვის ეშინოდა ამ ფერმკრთალი ქალბატონის და თვალდახუჭული, გულ-ხელდაკრეფილი კაცის. შემდეგ, როცა მშობლები დაეღუპა, გვერდი-გვერდ დასვენებულბმა სწორედ ეს ძეგლები გაახსენა. თუმცა ამჯერად თვალმოუშორებლად უყურებდა როგორ გაუუკთა ვიკიმ თომას ფელს პომადით ულვაშები და ჯამბაზის ცხვირი, თან სანთებელს უნათებდა.

ტაილერიც მათ უყურებდა. „ერთი შეხედე, ასეთი გამოპრანჭულები არიან და ვერსად მიდნან.“ ბიჭი სარკოფაგის სახურავის კიდეს დაეყრდნო ხელებით და შეეცადა გადაეწია. „რას იტყვი, დიკ-სალამოს გასეირნება ხომ არ მოგვეწყობა მათთვის? მაგალითად, ზუსტად ქალაქის ცენტრში?“

ოღონდაც ეს არა, გაიფიქრა შემრწუნებულმა ელენამ ახარხარებული დიკის და მოხითხითე ვიკის შემყურემ.

მაგრამ დიკი უკვე ტაილერის გვერდით იდგა მზადყოფნის ნიშნად, ხელები სარკოფაგის სახურავის კიდისთვის ჩაეკლო.

„სამ თვლაზე,“ თქვა ტაილერმა და თვლა დაიწყო. „ერთი, ორი, სამი.“

ელენა თვალს არ ამორებდა თომას ფელის საშინელ ჯამბაზურ სახეს. ბიჭები დაიმაბნენ და ამოიქმინეს, კუნთები შესამჩნევად დაეჭიმათ ტანსაცმლის ქვეშ. თუმცა სახურავს ძვრა ვერ უყვეს.

„ჯანდაბა, ალბათ დამაგრებულა რადანაირად,“ გაბრაზებით თქვა ტაილერმა და შებრუნდა.

ელენამ შვებით ამოისუნთქა. ცდილობდა არაფერი შეემჩნა და ამიტომ გადაიხარა ქვის სარკოფაგზე დასაყრდნობად- სწორედ ამ დროს მოხდა რადაც.

მას ქვების ხახუნის ხმა მოესმა და იმავდროულად იგრძნო მის მარცხენა ხელს ქვემოთ როგორ გამოძრავდა სარკოფაგის სახურავი. გოგონას საყრდენი ეცლებოდა და სადაც იყო შიგნით ჩავარდებოდა. სანთებელს ალი აცმციმდა, ის კი ყვიროდა და ყვიროდა, ცდილობდა წონასწორობა აღედგინა. ის ღია სამარეში ვარდებოდა, გარშემო კი ყინულოვით ცივი ქარის ბრდღვინვას გრძნობდა. ყურებშიც კვილის ხმა ჩაესმოდა.

შემდეგ კი უცებ გარეთ აღმოჩნდა, მთვარე ისე ნათლად ანათებდა, რომ ყველს დანახვა შეეძლო. ტაილერი ჩაკვროდა მას. ელენამ შეშინებულმა მიმოიხედა.

„გაგიჟდი? რა მოხდა?“ შეაჯანჯლარა ტაილერმა.

„გადაიწია! სახურავი გადაიწია! სახურავი გადაიხსნა და- არ ვიცი- კინლამ ჩავვარდი! ისე ციოდა...“

ბიჭებმა სიცილი ატეხეს. „საწყალი პატარა, შიშისგან კანკალებს,“ თქვა ტაილერმა. „წამო, დიკ, ახლავე შევამოწმო.“

„ტაილერ, არა...“

მაგრამ მაინც შევიდნენ შიგნით. ვიკი შესასვლელთან დაეყუდა, თან მიმავალთ უყურებდა. ელენა შიშისგან ცახცახებდა. ცოტა ხნის შემდეგ ტაილერმა ის თავის დაქნევით მოიხმო.

„შეხედე,“ უთხრა მან, როცა ელენა უხალისოდ შებრუნდა უკან. ტაილერს სანთებელა ეპოვა და ახლს თომას ფელის გულ-მკერდს უშვერდა. „ყველფერი თავის ადგილზეა, ისეა მოკალთებული ამ ქვაზე როგორც ბალღინჯო ხალიჩაზე, ხედავ?“

ელენა სარკოფაგზე იდეალურად დაფარებულ სახურავს დააჩერდა. „მართლა გადაიწია. კინლამ ჩავვარდი...“

„რა თქმა უნდა, როგორც იტყვი, პატარავ.“ ტაილერმა მკლავები შემოხვია და მაგრად მიიკრა გულზე. ელენამ მიმოიხედა და დიკი და ვიკიც იმავე პოზაში დაინახა, მისგან განსხვავებით ვიკის თვალები დაეხუჭა, ალბათ სიამოვნებდა ეს ჩახუტება. ტაილერი თმაზე დაეყრდნო ნიკაპით.

„ახლა ჯობია ცეკვებზე დავბრუნდეთ,“ თქვა ელენამ ნაზი ხმით.

პაუზა გაიწელა. შემდეგ ტაილერმა ამოიოხრა და უპასუხა: „კარგი, პატარავ.“ შემდეგ ვიკის და დიკს მიუბრუნდა „თქვენ რას იხავთ?“

დიკი გაიკრიჭა. „ჩვენ ცოტა ხანს კიდევ დავრჩებით.“ ვიკიმ თვალდახუჭულმა ჩაიხიოხიოთა.

„კარგი.“ ელენას დაანტერესა ეს წყვილი უკან როგორ დაბრუნდებოდა მანქანის გარეშე, მაგრამ უსიტყვოდ მიჰყვა ტაილერს. თუმცა გარეთ წამით გაჩერდა.

„ისე ვერ წავალთ ბაბუაჩემის საფლავი რომ არ განახო,“ უთხრა ტაილერმა. „ო, კარგი რა, ელენა,“ დაამატა შემდეგ, როცა დაინახა, რომ ელენა შეეცადა მისი თხოვნა გაეპროტესტებინა. „გულს ნუ დამწყვეტ. ეს აუცილებლად უნდა ნახო; ეს ოჯახის სიამაყე და სიხარულია.“

ელენამ თავს აიძულა გაეღიმა, თუმცა სინამდვილეში ნამდვილად არ ეღიმიებოდა. თუ დაუთმობდა და მის ნებას დაჰყვებოდა, იქნებ ტაილერს დროზე მოეცილებინა იქაურობისთვის. „კარგი,“ უპასუხა და სასაფლაოსკენ გაემართა.

„მაქეთ არა. აქეთ წამოდი.“ შემდეგ კი ტაილერი ძველი სასაფლაოსკენ გაუძღვა. „რაფერზე ილეღო, აქვე ახლოსაა ბილიკთან. აი, იქ, შეხედე, ხედავ?“ ბიჭმა რაღაცაზე მიუთითა, რომელიც მთვარის შუქზე ელვარებდა.

ელენა ადგილზე გახევდა, გული შიშისგან შეეკუმშა. იქ თითქოს ვიღაც იდგა, გიგანტური ადამიანი მრგვალი მელოტი თავით. ელენას საერთოდ არ სიამოვნებდა, საუკუნოვანი წარსულის მქონე, გახუნებულ, სიძველისგან გადახრილ გრანიტის საფლავის ქვების საზოგადოებაში ყოფნა. მთვარის შუქი უცნაურ ჩრდილებს აჩენდა ბალახზე, ირგვლივ ბლომად იყო სრულიად ზნელი მონაკვეთები.

„ზემოდან უბრალოდ ბურთი ადევს, საშიში არაფერია,“ თქვა ტაილერმა, თან ბილიკიდან გადაიყვანა ელენა და საფლავის ქვისკენ წაიყვანა. ქვა წითელი მარმარილოსგან იყო დამზადებული, ზემოდან დადგმულმა სფერომ

ელენას ჰორიზონტზე მოლივლივე გასიებული მთვარე მოაგონა. ახლაც იგივე მთვარე დაჰნათოდათ თავზე, თუმცა ამჯერად თომას ფელის ქანდაკების ხელბოვით თეთრი ფერი დასდებოდა. ელენა ისევ კანკალმა აიტანა. „საწყალი პატარა, როგორ სცივა. მოდი გაგათბო,“ თქვა ტაილერმა. ელენა შეეცადა ხელის კვრით მოეცილებინა ის, მაგრამ ტაილერი არც ასეთი სუსტი იყო. ის გოგონას მკლავებში იმწყვდევდა და თავისკენ ექაჩებოდა.

„ტაილერ, წასვლს მინდა; ახლავე წამიყვანე...“

„აბა რა, პატარავ, რა თქმა უნდა წავალთ,“ უპასუხა მან. „მაგრამ მანამდე უნდა გაგათბო. ღმერთო, როგორ გაყინულხარ.“

„ტაილერ, შეწყვიტე,“ უთხრა ელენამ. მას უკვე აღიზიანებდა ბიჭის ხელების ფათური, მაგრამ შემდეგ შოკმა მოიცვა, როცა ბიჭის ხელები ოგრძნო შიშველ კანზე.

ელენა თავის ცხოვრებაში არასდროს აღმოჩენილს ასეთ სიტუაციაში, ყოველგვარ დახმარებას ასე მოკლებული. ფეხსაცმლის წვეტიანი ქუსლი დაუმინა ბიჭის ყალბი-ტყავის ფეხსაცმელს, მაგრამ ტაილერმა მოასწრო ფეხის გაწევა. „ტაილერ, ხელები მომამოშორე.“

„კარგი რა, ელენა. ნუ იქცევი მასე, მე ხომ უბრალოდ შენი გათბობა მინდა...“

„ტაილერ, ახლავე წავიდეთ,“ წამოიყვირა ელენამ. რაც შეეძლო შორს ექაჩებოდა ბიჭისგან. ტაილერმა თითქოს წაბორობდა, შემდეგ კი მთელი წონით დააწვა გოგონას. ელენა სუროს და სარეველების გროვაზე დაეცა. გოგონა სასოწარკვეთილებამ მოიცვა. „ტაილერ, მოგკლავ. არ გეხუმრები. ახლავე მომშორდი.“

ტაილერი ლპარაკის გუნებაზე დამდგარიყო, ხან უეცრად ჩაიხიბოთებდა გიჟით, კიდურებს ულოგიკოდ, თითქმის უაზროდ დაფათურებდა. „ო, კარგი რა, ელენა, ნუ სულულობ. უბრალოდ გათბობ. ელენას- ყინულის პრინცესას ვათბობ... ახლა ხომ თბები, არა?“ ელენამ ტუჩებზე რაღაც ცხელი, სახეზე კი სისველე ოგრძნო. გოგონა ისევ ტაილერის ქვეშ იყო გაჩხერილი, ყელში მის ლომუნას გრძნობდა. უცებ ელენას ყურთასმენას ქსოვილის გაფხრეწის ხმა მისწვდა.

„უჰს,“ ჩაიბურტყუნა ტაილერმა. „ამაზე ბოდიშს გიხდის.“

ელენამ გვერდით მიაბრუნა თავი, უცებ მისი ტუჩები ტაილერის ხელთან მოხვდა, რომელიც მოუქნელად ეცაცუნებოდა ლოყაზე. გოგონამ კბილები ჩაასო ხელისგულში და მაგრად უკბინა, სისხლიც გემოც კი ოგრძნო და ტაილერის გოცებულმა შეყვირებამაც არ დააყოვნა. მაშინვე მოაშორა ხელი.

„ჰეი! ხომ მოგიხადე ბოდიში!“ ტაილერი გაბუტული დაჰყურებდა თავის დასახიჩრებულ ხელისგულს.

ხელისთვის თვალი არ მოუშორებია ისე მოიქცეფრს სახე და ხელი მუშტად შეკრა.

ესეც ასე, გაიფიქრა ელენამ კომპარული სიმშვიდით. ან ამ მუშტს მოხლიშავს ან მომკლავს. გოგონამ თავი დარტყმისთვის შეამზადა.

სტეფანს ვერ გადაეწყვიტა სასაფლაოზე წასვლა; მასში ყველს ინსტინქტი ეწინააღმდეგებოდა ამ ქცევას. ბოლოს სასაფლაოზე რომ იყო, ის ღამე ერთი მოხუცისთვის საბედისწერო ღამედ იქცა.

ისევ ძრწოლამ დაუარა ნაწლავებში ამ მოგონების გახსენებაზე. შეეძლო დაეფიქრა, რომ იმ ხიდის ქვეშ მოხუცისთვის იმდენი სისხლი არ ამოუწოვია, რომ მისი სიცოცხლისთვის საფრთხე შეექმნა. თუმცა იმ ღამით უცნაური ძალის ამოფრქვევის შემდეგ ყველსფერი აირ-დაირა. თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ იყო ასეთი ძალის ამოფრქვევა. შეიძლება ეს უბრალოდ მისი წარმოსახვის ნაყოფი იყო, ან შეიძლება თავისივე ნამოქმედარი. გასაკვირი არაა, თუ უცნაური რაღაცეები მოხდება, როცა სურვილი კონტროლსგარეთ გამოდის.

სტეფანმა თვალები დახუჭა. როცა გაიგო, რომ ის მოხუცი ცოცხალ-მკვდარი მიიყვანეს საავადმყოფოში, ენით გამოუთქმელ შოკში ჩავარდა. როგორმისცა ნება საკუთარ თავს ასე წასულიყო ხელიდან? რომ ადამიანი თითქმის მოეკლა, მაშინ როცა, არავის მოუკლავს მას შემდეგ, რაც...

არა, საკუთარ თავს არ მისცემდა ნებას ისევ ეფიქრა ამაზე.

ახლა კი ღამის წყვდიადში სასაფლაოს ჭიშკართან მდგარს საოცრად მოუნდა გაქცევა. დაბრუნება ცეკვებზე, სადაც მან კეროლანი დატოვა, არსება, რომელიც მისთვის არაფერს წარმოადგენდა და სწორედ ამის გამო ის ძალზედ უსაფრთხოდ იყო სტეფანის გვერდით.

მაგრამ სტეფანს არ შეეძლო უკან დაბრუნება, იმიტომ რომ ელენა სასაფლაოზე აღმოჩნდა. ის გრძნობდა მის სიახლოვეს. და ახლა ის გრძნობდა როგორ მატულობდა მისი შიში. ელენა სასაფლაოზე იყო, საფრთხეში, სტეფანს აუცილებლად უნდა ეპოვნა ის. მას უკვე ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი როდესაც მოულოდნელად თავბრუსხვევა დაეწყო, სტეფანი ეკლესიისკენ მიიწევდა, შავი სილუეტი რომელიც იყო ერთადერთი რასაც ის ამჩნევდა. სტეფანი ძალიან სუსტად იყო და წინააღმდეგობას ვერ უწევდა ძლიერ თავბრუსხვევას, მას აუცილებლად უნდა მიეღწია ელენამდე, აუცილებლად. მაგრამ ის ძალიან სუსტად იყო და თუ ის აპირებდა ელენას დახმარებას მას სჭირდებოდა...

ამ დროს მან მიაღწია ეკლესიამდე.

\*\*\*

ტაილერის მხარზემით ელენა მთვარეს ხედავდა.

<როგორი შეზღუდული საწიერია როცა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ბოლოს რასაც ხედავ მთვარეა> გაიფიქრა ელენამ და ყვირილი ყელში გაუჩერდა.

მერე კი თითქოს რაღაცამ დაიჭირა ტაილერი და მიწაზე დაანარცხა. ყოველ შემთხვევაში ელენას ასე მოეჩვენა. მან უკან დაიხია ისე, რომ ცალი ხელით დახეული კაბა ეჭირა მეორეს კი უშედეგოდ იყენებდა რაიმე იარაღის მოსაძებნად. თუმცა მას არ დასჭირდა იარაღი. სიბნელეში რაღაც უახლოვდებოდა და მან გაარჩია ადამიანის ფიგურა, რომელმაც მოაშორა ტაილერი. ეს იყო სტეფან სალვატორი, მაგრამ ასეთი სტეფანი მას არასროს ენახა: მისი თეთრი სახე გაყინული იყო სიბრაზისგან, მწვანე თვალებში კი ცეცხლი ჩანდა, რომელიც კარგს არაფერს მოასწავებდა. გაუნძრევლად კი სტეფანი საშიშ ძალს წარმოადგენდა და ელენა მიხვდა, რომ მისი უფრო ეშინა ვიდრე ტაილერს.

– როცა პირველად გნახე, მივხვდი, რომ ვერასდროს შეეჩვევი ნორმალურ მანერებს – წარმოთქვა მან მშვიდად მაგრამ მკაცრად. ელენას კი ამ დროს რატმაც თავბრუსხვევა დაეწყო.

ის ვერ ახერხებდა თვალი მოეშორებინა სტეფანისთვის, როდესაც შეამჩნია როგორ ცდილობდა ტაილერი წამოღგომას. სტეფანი მოძრაობდა როგორც მოცეკვავე, მისი ყოველი მოძრაობა იყო მსუბუქი.

– მაგრამ მე წარმოადგენაც არ მქონდა თუ ასეთი აღმოჩნდებოდი.

ტაილერის ხელმა სტეფანისთვის ზიანის მიყენება სცადა, როცა ამ დროს სტეფანმა ხელი აიცილა ისე თითქოს საერთოდ არ განძრეულიყო და მუშტი გაართვა ისე თითქოს ხელი საერთოდ არ შეერხა. ტაილერი ისევ წაიქცა. ელენამ შეამჩნია, რომ ტაილერს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, როგორც იქნა ის ადგა და მოწინააღმდეგეს დაუპირისპირდა.

– ჯენტლმენი არასდროს არ ახვევს თავს ვინმეს საკუთარ კომპანას. – მრავალმნიშვნელოვნად თქვა სტეფანმა და კიდევ ერთხელ დაართვა.

ის ისევ წაიქცა და ამ ჯერზე უფრო ნელს წამოდგა, ელენამ შეამჩნია, რომ მას უკვე პირიდანაც მოსდიოდა სისხლი და ისე კნაოდა როგორ დამფრთხალი კურდღელი.

– ჯენტლმენი შეურაცყოფას არ აყენებს ქალს. – განაგრძო სტეფანმა. – და რაც ყველაზე მთავარია, ის არასდროს არ აყენებს ქალს არანაირ ტკივილს.

– სტეფან! – წამოიყვირა ელენამ.



ელენას შიში მოეძალა იმის თუ რა შეიძლებოდა გაეკეთებინა სტეფანს შემდეგ. ყველაზე მეტად სტეფანის ცივი ხმა აშინებდა.

\_სტეფან შეწყვიტე.

სტეფანი სწრაფად შეტრიალდა მისკენ. მის სახეზე გოცევა გამოისახა, თითქოს ელენას არსებობა საერთოდ გადაავიწყდა. რაღაც დროსი განმავლობაში რაც ელენამ და სტეფანმა ერთმანეთს თვალეში ჩახედეს ელენამ შეამჩნია, რომ სტეფანის თვალები გაშავებული იყო მთვარის შუქზე. მისი თვალები თითქოს მტაცებელი ცხოველისას გავდა. შემდეგ შტეფანი ცოტა დამშვიდდა და თითქოს მისი თვალებიც უფრო განათდა.

\_ის კარგად იქნება – თქვა სტეფანმა.

შიშის გრძნობა ნელნელა გაუქრა ელენას. <შოკი – გაიფიქრა მან – მე შოკში ვარ და ნებისმიერ წამს შეიძება ისტერიკა დამეწყოს >

\_შენ ვერავინ გაგაცილებს სახლში? – იკითხა სტეფანზე ჯერ კიდევ გაყინული ხმით.

ელენამ დივზე და ვიკიზე გაიფიქრა რომელიც არავინ იცოდა რით იყვნენ დაკავებული ქანდაკებასთან.

\_არავინ – უპასუხა მან.

\_მე წაგიყვან. – შესთავაზა სტეფანმა.

მან ყურადღებით შეათვალიერა საფლავებს შორის მდგარი ელეგანტური სხეული. სტეფანის სახე მთავარი შუქზე კიდევ უფრო მკრთალი იყო. ელენას აქამდე არც კი შეუმჩნევია, რომ სტეფანი ასეთი არაბუნებრივად ლამაზია. ეს ძალიან არამქვეყნიური სილამაზე თითქოს კიდევ უფრო აღრმავებდა გაუცხოების შეგრძნებას.

\_გმადლობ, ძალიან თავაზიანი ხარ, \_ ძლივს გამოთქვა ელენამ. მას სხვა არაფერი დარჩენოდა.

მათ ტაილური მარტო დატოვეს წინაპრების საფლავებთან. ელენამ კიდევ ერთხელ იგრძნო შიში, როდესაც ბილიკს მიახლოებულბმა, სტეფანმა მას დაწნული ხიდი აჩვენა.

\_ პანსიონთან მანქანის აყვანა მოგვიჩვენეს, \_თქვა მან, \_ ასე უფრო სწრაფად მივალო.

\_ შენ ამ გზით მოხვედი?

\_ არა, მე ხილზე არ გადავსულვარ. მაგრამ ასე უფრო უსაფრთხო იქნება.

ელენა მას მიენდო. ფერმკრთალი სტეფანი უხმოდ მიდიოდა გოგონას გვერდით, ისე რომ არც კი ეხებოდა. მან მოიხსნა ბლეიზერი და მას მხრებზე მოაფარა. ელენა რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ შტეფანი მოკლავდა ნებისმიერს ვინც მას თავს დაესხმებოდა. ელენა და სტეფანი მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებს აყვნენ და ნახევრად ჩაბნელებული დერეფანი გაიარეს. ამ დროს კი ელენას გასაკვირად მან ის ერთ ოთახში შეიყვანა საიდანაც მოერეში გასასვლელი კარი გააღო. ეს თითქოს საიდუმლო გასასვლელი იყო. ელენამ ამ ოთახის იქით შეამჩნია კიბე.

<რა უცნაური ადგილია, - გაიფიქრა მან – ეს ხომ საიდუმლო კიბეა. სახლის შუაგულში.>

კიბეებზე ასულმა ელენა უბრალო ოთახში შევიდა რომელსაც თითქმის მთელი მესამე სართული დაეკავებინა. ოთახი ისევე ცუდად იყო განათებული როგორ კიბეები, მაგრამ ელენამ რაღაცეების შემჩნევა მაინც შეძლო. ამ დროს ელენამ შეამჩნია, რომ სტეფანი მას აკვირდებოდა.

\_აქ არის აბაზანა? სადაც მე შევძლებდი...

სტეფანმა ერთერთ კარზე ანიშნა ელენამ ბლეიზერი მოიხსნა და აბაზანაში შევიდა.

## თავი 8

აბაზანაში შესვლისას ელენა მსუბუქ თავბრუსხვევას და მადლიერებას გრძნობდა. იქიდან კი განრისხებული გამოვიდა. ის თვთინოვე ვერ ხვდებოდა ასეთი ცვლილება როგორ მოხდა, შიშის და გაცეების გავლის შემდეგ ელენა ისევ გრძნობდა ჩვეულებრივ ემოციებს. და პირველი ემოცია სწორედ განრისხება იყო.

დაწყველილი სტეფან სალვვატორი! როგორი ცივი და უგრძნობი იყო, მაშინაც კი როცა მისი სიცოცხლე გადაარჩინა! ელენამ თმიდან უკანასკნელი სამაგრები გამოიძრო და თმა გაიშალა. აბაზანიდან გამოვიდა გაბრაზებული გამოხედვით. სტეფანი ფანჯარასთან იდგა, მას მაინც არ ჩაეცვა თავისი ბლეიზერი, ის ფანჯარასთან იდგა და დამაბული ელოდა. როდესაც ელენა შემოვიდა ოთახში მან მიანიშნა სკამზე სადაც ბარზატის ნაჭერი ეგდო.

– შესაძლოა შენ მოგინდეს ამის მოხურვა.

ბარზატის ნაჭერი მსუბუქი მოსასხამი აღმოჩნდა. ელენამ ის მხრებზე მოისხა. მან შეამჩნია, რომ ლაპარაკის დროს სტეფანი არცკი უყურებდა და მისკენ ერთი ნაბიჯიც არ გადმოედგა. კარადაზე ხანჯალი იდო, იქ ასევე აღმოჩნდა ოქროსფერი სფერო, რაღაცით ციფერბლატის მსგავსი და ასევე რამდენიმე ოქროს მონეტა. ელენამ ერთ-ერთი მონეტა აიღო, ნაწილობრივ მისთვის საინტერესო იყო მონეტა, ნაწილობრივ კი სტეფანის გაღიზიანება უნდოდა.

– რა არის ეს?

დიდი პაუზის შემდეგ როგორც იქნა სტეფანმა უპასუხა.

– ოქროს ფლორინი, ვენეციური მონეტა.

– ეს?

– გერმანული საათი-კულონია მეთუხტმე საუკუნის. – უპასუხა სტეფანმა და შემდეგ დაამატა – მომისმინე ელენა...

მანამ სანამ სტეფანი გააგრძელებდა ელენამ ხელი რაღაც არც ისე დიდი ვერცხლისფერი ზარდახშისკენ გაწია:

– ეს რა არის? იხსნება?

– არა! – სტეფანს კატისებური რეფლექსები ჰქონდა ის ზარდახშას ჩაეჭიდა – ეს პირადი ნივთია. დამაბული ხმით თქვა მან.

ელენამ შეამჩნია, რომ სტეფანი ფრთხილად შეეხო მხოლოდ ზარდახშას ისე, რომ ელენას ხელს არ შეხებოდა.

ის ერთიანად რისხვამ მოიცვა და თავის შეკავება ველარ შეეძლო.

– ფრთხილად! არ შემეხო თორემ დაავადდები.

სტეფანი ფანჯრისკენ შებრუნდა.

სტეფანისგან მოშორებით მდგარმა მაინც შეამჩნია, რომ ის ყურადღებით აკვირდებოდა მის ანარეკლს ფანჯარაში. და ელენა მიხვდა როგორი წარმოედგინა ამ წუთში სტეფანს ის: ღია ფერის თმები რომელიც მხრებზე დაყროდა, თეთრი ხელი რომელიც ბარზატს იჭერს ყელთან, გაცეცხლებული პრინცესა, რომელიც საკუთარ სამეფოში დააბიჯებს.

ელენამ გაიგონა მძიმე ამუსუნთქვა და შეამჩნია როგორ უყურებდა სტეფანი მის მოშიშვლებულ ყელს. მას უცნაური გამოხედვა ჰქონდა. მაგრამ ბიჭის სახე რამდენიმე წამში გაქვავდა და ის ისევ შებრუნდა.

– უმჯობესია სახლში გაგაცილო. – თქვა სტეფანმა.

და ზუსტად იმ წუთში ელენას მოუხდა, რომ მისთვის ტკივილი მიეყენებინა, ეძულებინა ეგრძნო ისეთივე საშინელი განცდები როგორსაც ის გრძნობდა, მაგრამ მას ამასთანავე სიმართლის გაგებაც უნდოდა. ელენას მობეზრდა ეს იაფფასიანი თამაში, მობეზრდა გეგმების დაწყობა, უშედეგოდ ცდები გამოეცნო სტეფან სალვატორის ფიქრები. ამიტომაც ამოთქვა ის რა ფიქრიც დიდი ხანია უტრიალებდა გონებაში:

– ასე ძალიან რატომ გძულვარ?!

სტეფანმა დაკვირვებით შეხედა. რაღაც დროის განმავლობაში ის თითქოს არ აპირებდა პასუხის გაცემას, მაგრამ შემდეგ მან ხაზგასმით თქვა:

– მე შენ არ მძულხარ.

– გძულვარ, – თქვა ელენამ – მე ვიცი, ასე.. ასე ლაპარაკი არ არის ზრდილობიანი, მაგრამ ჩემთვის სულერთია. ვიცი შენი მადლიერი უნდა ვიყო, იმის გამო, რომ დღეს საღამოს გადამარჩინე, მაგრამ ჩემთვის ესეც სულერთია, მე არ მითხოვია შველა! ზოგადად მე არც კი ვიცი როგორ ან რატომ აღმოჩნდი შენ სასაფლაოზე. და მე არ მესმის! არ მესმის რატომ მოიქეცი ასე! მითუმეტეს იმ გრძნობებიდან გამომდინარე რომელსაც შენ ჩემდამი გრძნობ. სტეფანმა ხმადაბლა თქვა:

– მე არ ვგრძნობ შენს მიმართ სიძულვილს.

– თავიდანვე შენ გამირბოდი მე, თითქოს მე... არ ვიცი თითქოს კეთროვანი ვიყო. მე ვცდილობდი მეგობრულად მოგქცეოდი, შენ კი ეს მეგობრობის ხელი თითქოს სახეში გამარტყი. დავიჯერო ჯენტლმენი ასე იქცევა? როცა ვინმე მისთან მისალმებას ცდილობს. სტეფანი ცდილობდა რამე ეთქვა, მაგრამ ელენა აგრძელებდა:

– შენ მე მერიდებოდი, მთელი სკოლის წინ დამამცირე, შენ თითქოს ახლაც არ გინდა ჩემი შემჩნევა. თუ რა თქმა უნდა ეს არ არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ნუთუ მხოლოდ ამ შემთხვევაში შემიძლია გამოგლიჯო რამდენიმე სიტყვა?! და ახლაც კი – განაგრძო განრისხებულმა ელენამ – ახლაც კი არ გინდა, რომ შენთან ახლოს აღმოვჩნდე. რა ადამიანი ხარ სტეფან სალვატორ? რატომ გჭირდება შენი თავის კედლით შემოსაზღვრა? რატომ არ შეგიძლია ვინმეს მაინც ენდო? რა გჭირს ასეთი?

სტეფანი ჩუმად იყო ელენასგან ზურგშექცევით.

– და რა მემართება მე? – დაამატა ელენამ. – რომ შენ არცკი შეგიძლია შემომხედო.

სამაგიეროდ კეროლან ფორბს აძლევ ნებას ყველგან შენთან ერთად იყოს. მემგონი იმის უფლება მაინც მაქვს ვიცოდე. კარგი, მე არასდროს შენ აღარ შეგაწუხებ, ხმას არ გაგცემ სკოლაში, მაგრამ მანამ სანამ მე აქედან წავალ, მინდა სიმართლე გავიგო, მითხარი სტეფან რატომ გძულვარ მთელი არსებით?

სტეფანი მისკენ ნელა შეტრიალდა და ასწია თავი. მისი სევდიანი თვალები ერიდებოდნენ ელენას, გოგონას სხეულში თითქოს ყველაფერი ამოტრიალდა. მას ისეთი შეგრძნება ჰქონდა თითქოს გული დაემსხვრა.

ელენამ შეამჩნია რა ძალისხმევა ჰქონდა სტეფანს, რომ მისი ტონი გაწონასწორებული ყოფილიყო.

– კი ელენა, მართალი ხარ შენ სრული უფლება გაქვს იცოდე.

ამ დროს ისინი ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ და ელენამ გაიფიქრა: “ნუთუ ყველაფერი ასე საშინლადაა?”

\_მე არ გვრძნობ შენ მიმართ სიძულვილს, მე შენ არასდროს არ მძულდი უბრალოდ შენ... შენ მე ვიღაცას მახსენებ.

ელენა გაცხადებულ დარჩა ის ელოდა ყველაფერს ასეთი პასუხის გარდა.

\_მე შენ ვიღაც ნაცნობს გახსენებ?

\_კი ნაცნობს –დაუდასტურა სტეფანმა.

\_მაგრამ სინამდვილეში შენ სხვანაირი ხარ. ის გგავდა შენ, მაგრამ ამავედროულად სრულიად განსხვავდებით თქვენ.

სტეფანმა რაღაც ხმა გამოსცა რომელიც სიცილს გავდა, რომ არ ყოფილიყო ასეთი სევდიანი.

\_შენ მისგან განსხვავებული ხარ... შენ შენ ხარ.

\_თქვენ ახლო ურთიერთობა გქონდათ?

\_კი, ძალიან.

\_რა მოხდა მერე?

\_ის მოკვდა.

\_ეს ალბათ ძალიან მტკივნეულია, \_ ხმადაბლა თანაუგრძნო მან სტეფანს – ბოდიში. სტეფანი გაჩუმდა.

\_სტეფან –თქვა ელენამ.

თითქოს სტეფანმა ვერ გაიგო ელენას სიტყვები, ის თითქოს თავიდან განიცდიდა წარსულ ტკივილს.

ელენამ თავი ვერ შეიკავა და მახრზე ხელი დაადო.

\_სტეფან დამიჯერე, მე ვიცი რა მტკივნეული შეიძლება იყოს ეს.

\_შენ არ შეგიძლია იცოდე ეს! – მოულოდნელად იყვრა სტეფანმა და მისი თავშეკავება სადღაც გაქრა. მან შეხედა მხარზე დადებულ ელენას ხელს თითქოს არ ესმოდა საიდან მოხვდა ეს ხელი მის მხარზე. მისი მწვანე თვალები გაშავდნენ, როცა ის ელენას ხელს შეეხო და აწია რათა ხელი შეეშალა ელენასთვის მას კიდევ ერთხელ შეჰხებოდა, მაგრამ ელენას ხელზე შეხების შემდეგ აღარ შეეძლო მისი დათმობა და მხოლოდ აკვირდებოდა, როგორ მოიქცია ელენას თბილი ხელი ხელებში, თითქოს ისინი საუკუნოდ გაერთიანდა. სტეფანის მზერა ხელიდან ელენას სახეზე გადავიდა, ის მის თვალებს უყურებდა.

\_ელენა – დაიჩურჩულა მან.

ელენამ შეამჩნია მისი დატანჯული სახე და მიხვდა, რომ აღარ შეუძლია საკუთარ თავთან ბრძოლა. მათ შორის არსებული კედელი, რომელიც გადაულახავი ჩანდა როგორც იქნა დაინგრა და ელენამ დაინახა რა ხდებოდა კედელს მიღმა.

სტეფანმა თავი დახარა რათა ელენას ტუჩებს დასწაფებოდა.

\*\*\*

\_მოიცადე, აქ შეჩერდი – თქვა ბონიმ. – მგონი რაღაც დავინახე.

მეტის ფორდმა დაამუხრუჭა.

\_ღმერთო ჩემო. – აღმოხდა მერედიტს. \_ეს ხომ ვიკი ბენეტია.

ვიკის სახე დასვროდა. ხოლო მისი ტანსაცმლიდან ნაგლეჯებიღა დარჩენილიყო.

\_მოდით მანქანაში ჩავსვით – თქვა მეტმა.

მერედიტი კარებს ალებდა. გოგონა ვიკისკენ გაიქცა, რომელიც აშკარად შოკის ქვეშ იყო.

\_ვიკი ყველაფერი რიგზეა? რა დაგემართა?

\_წადით აქედან –თქვა ვიკიმ და მის თვალებში შიში აისახა.

გოგონას ხმა ისე ისმოდა თითქოს ყელში რაღაც ჰქონდა გაჭედული.

\_წადით აქედან ის გვიახლოვდება.

\_რა გვიახლოვდება სადაა ელენა?

\_სასწრაფოთ წადით აქედან.

მერედიტი გზას დააკვირდა. მერე კი აკანკალებული ვიკი მანქანაში ჩასვა.

\_ჩვენ წავიყვანთ აქედან. მაგრამ შენ უნდა მოგვიყვე რა მოხდა. ბონი მომეცი შენი შალი ის კანკალებს.

\_ის შიშისგან კანკალებს, ყველაზე მთავარი კითხვაა სად არიან დანარჩენები. ვიკი ელენა თქვენთან ერთად იყო?

ვიკი ტირიდა.

\_არა... დიკი, - გაურკვევლად თქვა მან. მას უჭირდა ლაპარაკი – ჩვენ ეკლესიაში ვიყავით, ეს იყო საშინელება... ის მოვიდა... ნისლი... მისი თვალები... მე დავინახე სიბნელებში მისი თვალები ისინი იწვოდნენ. ისინი მე მწვავდნენ.

\_ის შეირყა – გამოთქვა აზრი ბონიმ – ან ისტერიკაშია რაც გინდათ ის დაარქვით ამ დგომარეობას.

\_ვიკი ძალიან გთხოვ, მარტო ერთი რამ გვითხარი – ნელა გარკვევით და ხაზგასმისთ უთხრა მეტმა – სად არის ელენა? რა მოუვიდა?

\_არ ვიცი... მე და დიკი მარტო ვიყავით, ჩვენ ერთად ვიყავით როცა ის მოულოდნელად ჩვენ ირგვლივ აღმოჩნდა, მე ვერ შევძელი გაქცევა, ელენამ თქვა რომ საფლავი გაიხსნა, შეიძლება ის იქიდან გამოვიდა, ეს იყო საშინელება!... – დაამთავრა ვიკიმ.

\_ისინი დანგრეულ ეკლესიასთან იყვნენ და ელენაც მათთან ერთად იყო ანუ – შეაჯამა მერედიტმა – ახლა კი... შეხედეთ რას გავს.

მანქანის სალონის შუქში მათ გაარჩიეს ვიკის ყელზე ნაფხაჭნები.

\_რაღაც ცხოველის გაფხაჭნილს გავს. – შესთავაზა ვარიანტი ბონიმ – მაგალითად კატის.

\_იმ მოხუცის ყელზე იარები აშკარად არ იყო კატის ნამოქმედარი – აღნიშნა მეტმა.

\_მეტ პირველ რიგში ვიკი სახლში უნდა წავიყვანოთ, მომისმინე მეტ, ხომ იცი მე შენზე ნაკლებად არ ვნერვიულობ ელენაზე, მაგრამ ვიკის ექიმი სჭირდება ჩვენ კი აუცილებელია პოლიციას მივმართოთ, ჩვენ ვალდებულები ვართ დავბრუნდეთ.

მეტი კიდევ დიდხანს უყურებდა გზას. მერე ამოიოხრა მანქანაში ჩაჯდა და მანქანაც დაქოქა.

მთელი დანარჩენი გზა ქალაქამდე ვიკი სიბნელებში დანახულ თვალებზე ამბობდა რაღაცას.

\*\*\*

ელენამ იგრძნო როგორ ფრთხილად შეეხო სტეფანის ტუჩები მისას, მერე კი... მერე ყველაფერი იმდენად მარტივი აღმოჩნდა. ყველა კითხვას გაეცა პასუხი. შიში, იმედგაცრუება და ტკივილი სადღაც გაქრა. ელენა არა მხოლოდ ვნებას არამედ უდიდეს

სინაზესა და სიყვარულსაც გრძნობდა, ეს გრძნობა იმდენად მძაფრი იყო, რომ ელენას ჰაერი არ ყოფნიდა, გულის ცემა უჩქარდებოდა, აქაურ სამყაროს აშორებდა და იქ გადაყავდა სადაც მხოლოდ ის და სტეფანი არსებობდნენ.

ეს სიყვარული შეიძლებოდა საშიში გამხდარიყო, მაგრამ ახლა სტეფანთან ასე ახლოს, ელენას აღარაფრის ეშინოდა.

და აი როგორც იქნა მან იპოვა ადგილი სადაც თავს გრძნობდა როგორც საკუთარ სახლში.

აი სად არის მისი ადგილი – სტეფანის გვერდით, როგორც იქნა მან იპოვა!

სტეფანი მას ცოტათი მოშორდა და ელენამ იგრძნო როგორ კანკალებდა ის.

\_ააჰ ელენა – ამოთქვა მის ტუჩებში – ჩვენთვის არ შეიძლება...

\_მაგრამ ჩვენ უკვე ვაკეთებთ ამას... – ჩაიჩურჩულა ელენამ და ისევ გაიწია მისი ტუჩებისკენ.

ელენას ეჩვენებოდა, რომ შეეძლო სტეფანის ფიქრების მოსმენა. შეეგრძნო მისი ემოციები.

სიამოვნება და სურვილი არეული იყო მათ შორის. ისინი ერთ მთელად იქცეოდნენ,

ერთმანეთს ეკვროდნენ. ელენა სტეფანის ყველაზე დაფარულ ემოციებსა და ფიქრებსაც კი გრძნობდა, გრძნობდა, რომ სტეფანი მას ყველანაირი ბოროტებისაგან დაიცავდა. სტეფანს უნდოდა შეერთებინა მისი და ელენას ცხოვრება.

ელენა გრძნობდა სტეფანის ტკბილი ტუჩების გემოს. “აი ბედნიერება” გაიფიქრა მან.

ბედნიერების გრძნობით მთელი მისი სხეული გაიჟღენთა, ელენა იძირებოდა საერთო

გრძნობების - ბედნიერების ზღვაში. მათი სიყვარული ანათებდა ისე როგორც მზის სინათლე. ელენა ერთიანად კანკალებდა ბედნიერებისგან, სიყვარულისგან და აუწერელი ვნებისგან. სტეფანი ნელა მოშორდა, თითქოს ეს სულაც არ უნდოდა გაეკეთებინა და მათ წარმოუდგენელი ბედნიერებით ჩახედეს ერთმანეთს თვალებში. სასაუბრო არაფერი ჰქონდათ, სტეფანმა ელენას სახეზე მოუსვა ხელი, იმდენად ნელა, თითქოს გოგონა

ფაიფურის ყოფილიყო, თითქოს ის შეიძლება დამტვრეულიყო მის ხელებში და ამ დროს ელენა მიხვდა, რომ სტეფანი სულაც არ გაურბოდა მას სიძულვილის გამო, არა, სიძულვილის გამო სულაც არა.

ელენას წარმოდგენა არ ჰქონდა რამდენი საათი თუ საუკუნე გავიდა, ისინი ნელა ჩაყვნიენ პანსიონატის კიბეებს, ნებისმიერ სხვა დროს, ის დიდი სიამოვნებით ჩაჯდებოდა სტეფანის შავ შეუდარებელ მანქანაში, მაგრამ ახლა მან მანქანა ძლივს შეამჩნია. სტეფანს ელენასთვის ხელი ჩაეკიდა.

პირველი რაც ელენამ შეამჩნია, მის სახლთან მიახლოებისას, მკვეთრი სინათლე იყო.

\_იქ პოლიციაა – თქვა მან, ძლივს იგრძნო, რომ ისევ შეეძლო ლაპარაკი.

ძნელი იყო საუბარი ამდენი ხნის დუმულის შემდეგ.

\_და რობერტის მანქანაც გარეთ დგას, მეტის მანქანაც იქაა, - ელენამ სტეფანს შეხედა და მისი სიმშვიდე ძალიან მყიფე ეჩვენა. – საინტერესოა რა მოხდა, როგორ ფიქრობ ტაილერმა უკვე ყველაფერი მოყვა?

\_ტაილერიც კი არაა ამდენად იდიოტი – თქვა სტეფანმა.

ელენა ოცნებობდა, რომ მას და სტეფანს საშუალება ჰქონოდათ რაც შეიძლება მეტ ხანს ყოფილიყვნენ მარტო, რომ არასდროს შეჯახებოდნენ სამყაროს.

მაგრამ ამას ვერ გაეცეოდნენ. ისინი გზას მიუყვებოდნენ, მთავარ შესავლელ კარებთან, რომელიც ღია დახვდათ. შიგნით სახლი ბრწყინავდა სინათლისგან. მისაღებ ოთახში შესვლისას ელენამ დაინახა ბევრი ხალხი, რომლებიც ერთდროულად შებრუნდნენ მისკენ. მან უცებ წარმოიდგინა, როგორ ეფექტურად ჩანს შავ ბარხატის მოსასხამში სტეფანთან ერთად. ელენას დანახვაზე დეიდა ჯუდიტმა ბედნიერების ყვირლი მორთო. და გადაეხვია საყვარელ დისშვილს.

– ელენა! კიდევ კარგი, რომ გამოჩნდი, მადლობა ღმერთს, კი მაგრამ სად იყავი? და რატომ არ დარეკე? ნუთუ შენ არ გესმის რისი გადატანა მოგვიხდა ჩვენ ყველას.

ელენა გაკვირვებული იდგა, მას ვერაფერი გაეგო.

– ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ შენ დაბრუნდი – დაამატა რობერტმა.

– ჩვენ სტეფანის პანსიონატში ვიყავით, – თქვა ელენამ – დეიდა ეს სტეფან სალვატორია, ის იქ ოთახს ქირაობს. მან მე სახლში მომაცილა.

– მადლობთ – უთხრა ჯუდიტმა სტეფანს ელენას მხარს ზემოდან, მერე კი ელენას დააკვირდა. – კი მაგრამ რა მოუვიდა შენს კაბას? ან თმას?

– ესეიგი არ იცი? ანუ ტაილერს არაფერი უთქვამს? კი მაგრამ მაშინ რატომაა აქ პოლიცია? – ელენამ სტეფანისკენ გაიწია და იგრძნო, რომ ისიც ასევე მოიქცა, მისი დაცვის სურვილით.

– პოლიცია აქ იმიტომ არის, რომ ვიკი ბენეტს დაესხნენ თავს, – ჩაერია მეტი, ის მერედიტი და ბონი ჯუდიტისა და რობერტის გვერდით იდგნენ, მათ სახეზე გაოცება და დაღლა აღბეჭდილიყო. – ჩვენ ვიკი 2-3 საათის წინ ვიპოვეთ და ამის შემდეგ შენ გეძებთ.

– თავდასხმა? კი მაგრამ ვინ დაესხა თავს?

– არავინ არ იცის – უპასუხა მერედიტმა.

– არაფერი მოსვლია, არ ინერვიულო, ექიმმა თქვა, რომ ის ალკოჰოლურ სასმელს იღებდა, მერე კი რაღაცამ შეაშინა, ასე რომ ყველაფერი შეიძლება მისი წარმოსახვის ნაყოფი აღმოჩნდეს. – თქვა რობერტმა.

– ვიკის ყელზე ნაკაწრები სულაც არაა წარმოსახვა. – აღნიშნა მეტმა თავაზიანად, მაგრამ დამაჯერებლად.

– რა ნაკაწრები? რაზე ლაპარაკობთ? – პასუხი მოითხოვა ელენამ.

– ყველაფერს მოგიყვები – უთხრა მერედიტმა რის მერეც აღწერა ყველაფერი. სად და როგორ იპოვეს ვიკი – ის ამბობს, რომ არ იცოდა სად იყო, ამბობს, რომ დიკთან ერთად მარტო დარჩა, როცა ეს ყველაფერი მოხდა. ხოლო როცა აქ მოვიყვანეთ, ექიმმა თქვა, რომ ვერანაირ ლოკიგურ ახსნას ვერ პოულობს, იმ ნაკაწრების გარდა არანაირი დაზიანება არ აღენიშნება. ისინი კი სრულიად შესაძლებელია, რომ კატის “ჩადენილია”.

– ესეიგი თქვენ ამბობთ, რომ სხვა არაფერი ეტყობა? – მოულოდნელად იკითხა სტეფანმა. მან პირველად დაილაპარაკა იმის მერე რაც სახლში შემოვიდა და ელენა მას ყურადღებით დააკვირდა.

– ის იცოცხლებს? – იკითხა სტეფანმა.

– ექიმმა თქვა, რომ არაფერი საშიში არ სჭირს, – ტქვა მეტმა – არავის არც კი გაუფუქრია, რომ ის შეიძლება მომკვდარიყო.

სტეფანი ენერგიულად შეტრიალდა ელენასკენ.

– მე უნდა წავიდე – ცივად თქვა მან – ახლა შენ უსაფრთხოდ ხარ.

ელენამ ის დაიჭირა როცა ის წასვლას აპირებდა.

\_რა თქმა უნდა მე უსაფრთხოდ ვარ, შენი წყალობით.

\_მართალია – დაეთანხმა სტეფანი, მისი მწვანე თვალები კი არაფერს გამოხატავდა.

\_დამირეკე ხვალ. – ელენამ ხელი მოუჭირა და მთელი სიყვარული გამოხედვაში ჩააქსოვა. ის მთელი გულით ოცნებობდა, რომ სტეფანს მისი გაეგო.

\_კარგი ელენა – უთხრა ისე, რომ თვალებში უყურებდა. და კარისკენ წავიდა.

\_ელენა ბოლოს და ბლოს გვითხარი რა მოხდა. – თქვა დეიდა ჯუდიტმა. ისე, რომ კარისკენ მიმავალ სტეფანს ეჭვის თვალით გახედა.

ელენას სიცილი აღმოხდა, მაგრამ სწრაფად შეიკავა თავი.

\_არა დეიდა სტეფანი არაფერ შუაშია, - აუხსნა მან – პირიქით სტეფანმა გადამარჩინა. ეს ტაილერ... ტაილერ სმოლვუდმა ჩაიდინა.



## თავი 9

არა ის არ იყო კეტრინის "განმეორება". ამ ფიქრით სტეფანი გაეშურა პანსიონატისაკენ.

სწორედ ასე უთხრა მან ელენას, მაგრამ ახლა მიხვდა, თუ რამდენი დრო დასჭირდა ამის გასაგებად. ყოველ მის ამოსუნთქვასა და მოძრაობას ადარებდა თავის "წარსულ სიყვარულს".

ელენას თმა უფრო ღია ჰქონდა, აი წამწამები კი პირიქით უფრო მუქი ვიდრე კეტრინს, მისი წამწამები თითქმის ვერცხლისფერი იყო. სიმაღლით გილბერტი უფრო მაღალი იყო და უფრო თავისუფლად მოძრაობდა, - ამ საუკუნის გოგოები უფრო განვითარებულნი არიან სხეულის კონტროლსა და დამორჩილებაში.

ის თვალებიც, რომლებმაც სტეფანის გული შეხვედრის პირველი წამიდან დაიპყრეს, ძალზედ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. კეტრინის თვალები ჩვეულებრივ ან გაფართოებული ჰქონდა ბავშვური გაკვირვებისაგან ან ქვევით დახრილი, როგორც შეეფერებოდა მეთხუთმეტე საუკუნეში მოღვაწე პატიოსან მანდილოსანს. რაც შეეხება ელენას თვალებს ისინი პირიქით, თამამად ხვდებოდნენ ნებისმიერ გამოხედვას.

სილამაზითა და გრაციით ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ თუ კი კეტრინი იყო თეთრი და ფუმფულა ფისო, ელენა წარმოადგენდა ფითქინა ვეფხვს.

მოულოდნელად სტეფანის წარმოსახვაში გაცოცხლდა ერთ-ერთი მოვლენა წარსულიდან, რომელზეც ფიქრი არ უნდოდა, მაგრამ ამ მოგონებამ მის თვალწინ გაიელვა.

ამ დღეს კეტრინი თეთრ კაბაში იყო გამოწყობილი, კისერზე ულამაზესი მარგალიტებიანი ყელსაბამი ეკეთა, ხოლო ყურებში კი მარგალიტებიანი საყურეები. გოგონა აღფრთოვანებული იყო ახალი კაბით, რომელიც საგანგებოდ მისთვის შეაკერინა მამამ.

კეტრინმა ოდნავ აწია კაბა და შიდა ნაჭერზე დაანახა სტეფანს თავისი ინიციალები, რომელთა არსებობაც მამის დამსახურება იყო. უცებ გოგონა ჩამოჯდა და ჰკითხა სტეფანს;

- "რა მოხდა სტეფან? არც იღიმი....."

სალვატორე გაღიმებას არც სცდილობდა, რადგან ამ "ანგელოზის" ყურებით ძალზედ იტანჯებოდა. იგი ვერ წარმოიდგენდა საკუთარ სიცოცხლეს მის გარეშე.

- "დამინდე კეტრინ, როგორ შევძლო გაღიმება, როდესაც...."

- "როდესაც რა?"

- "როდესაც ვხედავ დეიმონს როგორ უყურებ" - მაშასადამე, სიტყვა ითქვა და მან განაგრძო, - "მის დაბრუნებამდე სულ ერთდ ვიყავით. ჩვენი მამები ამით

გახარებულნი იყვნენ და სამომავლო გეგმებსაც აწყობდნენ. ახლა ზაფხული თითქმის დასრულდა და შენ დეიმონს იმავე ყურადღებას აქცევ, რასაც მე. მამაჩემი გაჩერების უფლებას აძლევს მარტო იმიტომ, რომ შენ სთხოვ. რათომ იქცევი ასე? მე მეგონა, რომ ჩემს მიმართ გულგრილი არ იყავი."

- "სწორედაც რომ ასეა. ნეტავ იცოდე, თუ რას ვგრძნობ შენს მიმართ!"

- "მაშინ რატომ გინდა მისი აქ ყოფნა? შენ რომ არა, მამა დიდი ხანია გააგდებდა სახლიდან..."

- "და ეს ვითარება რათქმაუნდა გაგახარებდა უმცროსო ძმავ, - მოისმა კარებიდან დეიმონის ხმა, რომელიც გარეგნულად მშვიდად იყო, მაგრამ თვალები.....

- "აჰ, ეს არ არის ასე, - გრძნობით თქვა კეტრინმა, - სტეფანი ავს არ გისურვებს."

დეიმონს სახე დამცინავად შეეცვალა და მან გახედა ძმას და ამავედროულად კეტრინს მიუახლოვდა :

- "სრულიად მოსალოდნელია, რომ მისურვებს, მაგრამ რაღაცაში მართალია. ზაფხული დასასრულს უახლოვდება და მალე შენი ოჯახი ფლორენციას დატოვებს, შენც გაყვები.....თუ რათქმაუნდა დარჩენის მიზეზი არ გამოგიჩნდება." <<თუ გამოგიჩნდება ქმარი, რომელთანაც მოგიწევს დარჩენა. >>

ეგ სიტყვები არ წარმოითქვა, მაგრამ ყველა ისედაც მიხვდა. ბარონს ძალიან უყვარდა ქალიშვილი და მისი თანხმობის გარეშე არ გაათხოვებდა. საბოლოოდ ეგ უნდა ყოფილიყო კეტრინის გადასაწყვეტი.....კეტრინს არჩევანი უნდა გაეკეთებინა. ახლა, როცა ამ თემას ღიად შეეხნენ სტეფანმა ვეღარ მოითმინა :

- "კეტრინმა ისედაც იცის, რომ მალე მამა უნდა მიატოვოს....-დაიწყო მან, მაგრამ დეიმონმა შეაწყვეტინა.

- "ხო, რათქმაუნდა სანამ ბერიკაცი რაიმეს მიხვდება. ყველაზე მოსიყვარულე მამებიც კი ეჭვდებიან, თუ რატომ ტოვებენ სახლს მათი ქალიშვილები მხოლოდ ღამ-ღამობით."

სტეფანი იბრჩობოდა სიბრაზისაგან და ტკივილისგან. ე.ი მან ყველაფერი იცოდა.....კეტრინმა გაუმხილა საიდუმლო.....

- "რატომ უამბე კეტრინ? რატომ? რა იპოვე მასში? ეს ადამიანი ხომ არაფერზე ფიქრობს, გარდა საკუთარი სიამოვნებისა. როგორ გაგაბედნიერებს თუ იგი მარტო საკუთარ თავზე ფიქრობს?"

- "ეს პატარა ბიჭი როგორ გაგაბედნიერებს, როდესაც ცხოვრების არაფერი გაეგება?- ჩაერია დეიმონი, -" როგორ დაგიცავს, თუ კი თვითონ არ შეხვედრია რეალობას? იგი თავის სიცოცხლებს წიგნებისა და ნახატების გარემოცვაში ატარებს, ხოდა მიეცი ნება ასე გააგრძელოს."

კეტრინს თვალები ცრემლებით აევსო.

- "თვენ არაფერი გესმით.-დაიწყო მან, -თქვენ გგონიათ მე გათხოვებას და ჩვეულებრივ ცხოვრებას შევძლებ, როგორც ნებისმიერი ფლორეტანელი გოგონა? ცდებით. როგორ შევძლებ ამას, როდესაც ყოველ ჩემს ნაბიჯს უთვალთვალევენ? ან

რომ ხალხი შეამჩნევს ,რომ დრო არაფერს მავნებს? ჩვეულებრივი ცხოვრება ჩემთვის აღარ არსებობს."

კეტრინმა ღრმად ჩაისუნთქა და თქვა:

- " მან, ვინც ჩემი მეუღლე გახდება , უარი უნდა თქვას მზის შუქზე და უნდა აირჩიოს სიბნელეში არსებობა ."

- " მაშინ ის უნდა აირჩიოს ,ვისაც აჩრდილების არ ეშინია. -უპასუხა დეიმონმა და თავისი ენერგიითა და სიმამაცით გააკვირვა სტეფანი, - " შეხედე ჩემს ძმას . ნუთუ ფიქრობ ,რომ მზის შუქზე უარს იტყვის? იგი მიჯაჭვულია მამაზე , მეგობრებსა და თავის ვალზე ფლორენციის წინაშე. სიბნელე გაანადგურებს მას."

- " მატყუარა . - სიბრაზით წამოიძახა სტეფანმა. - მე ისეთივე ძლიერი ვარ ,როგორც დეიმონი და არაფრის მეშინია. კეტრინი ყველაზე მეტად მიყვარს...."

- " მის გამო ფლორენციაზეც უარს იტყვი?"

- "დიახ , ყველაფერზე უარს ვიტყვი მის გამო."

დეიმონა ჩაიცინა და კეტრინს მიუბრუნდა.

- " როგორც სჩანს არჩევანი მთლიანად შენზეა. დაფიქრდი ვის წინადადებას მიიღებ."

- " კვირამდე მოფიქრების დრო მომეცით. იქამდე კი , შეკითხვებით ნუ მაწუხებთ" - თქვა კეტრინმა.

- "ე.ი კვირას?" -გაიმეორა დეიმონა .

- " დიახ, კვირას , გვიან, მე გავაკეთებ ცემს არჩევანს."

ბინდი, ირგვლივ სიბნელე.....

მოულოდნელად სტეფანი გამოფხიზლდა.....არანაირი ბინდი.....უკვე თენდებოდა ,როდესაც იგი ტყეს მიუახლოვდა.

ამ მოგონებებმა სტეფანის გულისცემა ააჩქარეს.

მაშინ , მან უთხრა დეიმონს , რომ ყველაფერზე უარს იტყოდა და ასეც მოხდა. მან სიბნელეში არსებობა და ნადირობა დაიწყო. იგი მკვლელად გადაიქცა ,რომელიც წყურვილის გულისათვის ხალხს კლავდა.

დიახაც , მკვლელად. მაგრამ არა....თქვეს,რომ ვიკი გადარჩა,მაგრამ სრულიად მოსალოდნელია რომ მისი შემდეგი მსხვერპლი იმ ქვეყნად მოხდეს. ამ უკანასკნელ თავს დასხმაში საშინელი ის იყო, რომ სტეფანს არაფერი ახსოვდა....მას ახსოვდა მხოლოდ სისუსტე და ის ეკლესიას როგორ მიუახლოვდა. იგი გონს მოეგო მხოლოდ მაშინ , როდესაც ელენას კვილის ხმა გაიგო. იგი მისკენ გაემშურა და არც უფიქრია იმაზე,თუ რა მოხდა.

ელენა.....უცებ სტეფანს გაახსენდა ეგ ბედნიერება...მის გვერდით ყოფნის წუთები. მაგრამ აქვს თუ არა სალვატორეს მისი ყვარების უფლება? თვითონ ეს გრძნობა საფრთხის ქვეშ აგდებდა გოგონას.

<< მოკვდები,მაგრამ მას თითქმის არ დავაკარებ, - დაიფიცა იგი,- წყურვილმა რომც მომკლას ,მის სისხლს არ დავლევ. ვფიცავ. ელენა სიმართლეს არასოდეს გაიგებს. მას არ მოუწევს ჩემს გამო მზის შუქზე არსებობაზე უარის თქმა. >>

როდესაც ელენას გაეღვიძა , მას ისეთი შეგრძნება ჰქონდა , თითქოს ხანგრძლივი გრიპი გადაიტანა ან თითქოს შობის დილა იყო.

გრძნობები აერია , როდესაც საწოლზე ჩამოჯდა.

ოჰჰჰ,ყველაფერი სტკიოდა. მაგრამ ის და სტეფანი.....მათ ხომ არაფერი არ გაუკეთებიათ. ოჰ, ეს მთვრალი პირუტყვი ტაილერი.....თუმცა, ტაილერი მას აღარ ადარდებდა....

არაფერს ჰქონდა აზრი , გარდაა სტეფანის სიყვარულისა.

ქვემოთ ჩასულ ელენას დეიდა ჯუდიტი და მარგარეტი დახვდა.

- "დილა მშვიდობისა დეიდა, - თქვა გოგონამ და ჩაეხუტა. - შენც ბატო."-მან აიტაცა მარგარეტ და აბზრიალა. - და აჰ.....დილა მშვიდობისა რობერტ .- მიესალმა ელენა და გაეშურა სამზარეულოსკენ.

დეიდა ჯუდიტი უკან გაყვა. მიუხედავად იმისა , რომ თვალები ჩაშავებული ჰქონდა მას უხაროდა დისშვილის ,ასეთ კარგ განწყობაზე ნახვა.

- " ვხედავ დღეს კარგ განწყობაზე ხარ "

- " ო , კი - გამოიცეკვა ელენამ და ჩაეხუტა დეიდას.

- " იცი, რომ შერიფს უნდა გავუაროთ და ტაილერის შსახებ ვუამბოთ ." - უთხრა დეიდამ.

- კი - უპასუხა ელენამ და ფორთოხლის წვენი დაისხა.-" მაგრამ იქამდე ვიკი ბენეტი უნდა ვინახულო. ალბათ თავს ცუდად გრძნობს თუ იმას ჩავთვლით, რომ მისი არავის სჯერა."

- " და შენ გჯერა მისი?"

- " კი მჯერა. იცი რა .....მეც რაღაც შემემთხვა ეკლესიაში.....მომეჩვენა რომ....."

- " ელენა! - მოისმა რობერტის ხმა. -"ბონი და მერედიტი მოვიდნენ შენს სანახავდ."

ელენა გავიდა შემოსასვლელში და წუთიერი დუმილის შემდეგ თქვა:

- "მაღზედ ბედნიერი ვარ თავი რომ დავიცვა, - მოეხვია მათ,- უნდა მრცხვენოდეს გუშინდელის გამო , მაგრამ სამწუხაროდ არ ვნანობ. იქნებ ჩავთვალოთ რომ არაფერი მომხდარა?"

- " უნდა გრცხვენოდეს ასე რომ მიგვატოვე გუშინ, "- თქვა ბონიმ და გოგოები გადაეხვივნენ ერთმანეთს.

- " და ვისთან ერთად! ტაილერთან!!! " - აიტაცა მერედიტმა.

- " კარგი გაკვეთილი მივიღე " - უპასუხა ელენამ დაქ წამით ხასიათი შეეცვალა.

ამ სიტყვებზე ბონის გაეცინა.

- " სამაგიეროდ ყველაზე ლამაზი ბიჭი დაიპყარი. ეს როგორ გააკეთე? როდესაც მასთან ერთად კარებში დაინახე , მეგონა ჰალუცინაციები მაწუხებდა. ეს როგორ მოხდა?"

- " ნუ.....იგი უბრალოდ საჭირო დროს გამოჩნდა "

- " და დაგიცვა. - აიტაცა ბონიმ- რა ამაღელვებელია."

- აუცილებლად მოგიყვებით ყველაფერს , მაგრამ ჯერ ვიკი უნდა მოვინახულო"
  - თქვა ელენამ.
  - " მაშინ ასე მოვიქცეთ....შენ მოგვიყვები ყველაფერს სანამ იცმევ , ხოლო ჩვენ მოგიყვებით სანამ კბილებს გაიხეხავ. ერთი პატარა დეტალიც რომ გამოტოვო სასჯელი გელის.- გაიცინა ბონიმ.
- ელენა გულიანად იცინოდა სანამ სამივე კიბეზე ადიოდნენ.

მის ბენეტს დაღლილი იერი ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა გოგოები შემოიპატიჯა.

- "ვიკის საერთოდ დასვენება სჭირდება,- ნერვიული ინტონაციით თქვა მის ბენეტმა სანამ კიბეზე ადიოდნენ.
  - " ვიკი, ძვირფასო აქ გოგოები გესტუმრნენ სკოლიდან. დიდი ხნით არ გაჩერდეთ."- სთხოვა მან და ოთახიდან გავიდა.
- ვიკი გაფითრებული იწვა და სადღაც შორს იყურებოდა.გოგოების შემოსვლა არც შეუმჩნევია.
- " გუშინაც ასე იყო "- ჩაიჩურჩულა ბონიმ.
- ელენა საწოლს მიუახლოვდა.
- " მომისმინე ვიკი,- დაიწყო მან , მაგრამ ვიკი არც გაინძრა,მაგრამ ელენამ შეამჩნია რომ სუნთქვა სხვაგვარად დაიწყო,- ვიკი გესმის ჩემი? ელენა გილბერტი ვარ.მინდა დაგელაპარაკო იმის შესახებ რაც გუშინ მოხდა. მინდა რომ იცოდე,შენი მჯერა. უბრალოდ მინდოდა მეკითხა....."
  - "არა!!!!!!!"
- მოულოდნელა წაიყვირა ვიკიმ და მთელი სხეულით ცახცახი და ხელების ქნევა დაიწყო.
- " არა!!!არააააა!!!!"- გაჰკიოდა გოგონა.
  - " გააკეთეთ რამე - თქვა ბონიმ,- მისის ბენეტ!!!!მისის ბენეტ!!!!"
- ელენა და მერედიტი ცდილობდნენ ვიკის გაჩერებას, მაგრამ მას კვილი წამითაც არ შეუწყვიტავს,სანამ დედა არ გამოჩნდა.
- " რა უქენით? "- იყვირა მან.
  - " შენ ხარ ყველაფერში დამნაშავე - წაუყვირა ელენას ვიკიმ,- ცუდი ხარ!!!! მომშორდი!"
  - "ვიკი მე უბრალოდ მინდოდა.... - დაბნეულად თქვა ელენამ.
  - " ვფიქრობ ....სჯობს წახვიდეთ...ნუთუ ვერ ხედავთ რა დღეში ჩააგდეთ "- უთხრა მისის ბენეტმა.
- დაბნეულები და გაკვირვებულები , გოგოები დაეთანხმნენ დიასახლის და გამოეცალნენ სახლს.
- " ნამდვილად. - უცებ წარმოთქვა ელენამ,- პანსიონატი."
  - " რა?"
  - " მე ვთხოვე სტეფანს რომ დაერეკა , მაგრამ ჯობს ვესტუმრო . აქვია ის პანსიონატი."

- "სულ რაღაც ოც წუთიანი გასეირნება.- დააზუსტა ბონიმ,- ყოველი შემთხვევისთვის მის ოთახს მაინც ვნახავთ."

- "საერთოდ.- შეეპასუხა ელენა,- ჯობს თქვენე ორმა ქვემოთ დამელოდოთ. სულ რამოდენიმე წუთით ავალ."

კარი მისის ფლაურსმა გააღო. მას საოცრად ნათელი შავი თვალები ჰქონდა.

- "შენ ალბათ ელენა ხარ,- თქვა მან,- დაგინახე სტეფანთან ერთად რომ გადიოდი, დაბრუნებულზე კი შენი სახელი მითხრა."

- "თქვენ დაგვინახეთ? - გაოცებულმა იკითხა ელენამ,- მე ვერ შეგამჩნიეთ."

- "ვერ შემამჩნიე,- დაუდასტურა და ჩაიცინა მოხუცმა,- რა კარგი და ლამაზი გოგონა ხარ , - თქვა მან და ლოყაზე მოეფერა.

- "დიდი მადლობა,- უპასუხა გოგონამ და კიბისკენ გაიხედა,- სტეფანი სახლშია?"

- "თუ ქარმა არ ჩამოაგდო სახურავიდან სახლშია!- ხუმრობით თქვა ქალმა. ელენა ზრდილობიანად გაიცინა.

- "ჩვენ აქ, მისის ფლაურთან დაგელოდებით,- უთხრა მერედიტმა, ბონიმ კი ტანჯულად ააბრიალა თვალები.

როდესაც იგი ოთახს მიუახლოვდა , დააკაკუნა და შესძახა სტეფანს. მოულოდნელად კარი გაიღო და გოგონა სტეფანის მკლავებში აღმოჩნდა.

- "ელენა.....ელენა...."

მაგრამ წამიერი სისუსტის შემდეგ ისევ გამოერიდა გოგოს, ისე როგორც წინა ღამით.

- "არა,- უთხრა ელენამ და იმ მომენტში არ აცნობიერებდა რომ ამას ხმამაღლა იძახდა,- ამის უფლებას აღარ მოგცემ,- აკოცა და მთელი სხეულით მიემხო. თავიდან სტეფანს რეაქცია არ ჰქონდა, მეორე წამს კი მთელი სხეულით აცახცახდა და კოცნაზე უპასუხა. მან თითები ელენას თმაში შეაცურა. ამ მომენტში მათ გარდა არავინ არსებოდა : სტეფანსა, ელენას და მათი ვნებისაგან წარმოქმნილი ცეცხლის გარდა....

როცა მათ შეხედეს ერთმანეთს და ელენამ სტეფანის ცოტათი გასიებული ტუჩები და შეცვლილი იერ სახე დაინახა.

- "ვფიქრობ შემდეგში უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ"- უთხრა სტეფანმა. მომხდართი გაოცებულმა ელენამ თავი დაუქნია.

<< ოღონდ არა ხალხში, არა მაშინ როდესაც ბონი და მერედიტი ქვემოთ მელოდებიან....>>

- "შენ შეგიძლია უბრალოდ მომეხვიო,- უპასუხა გოგონამ.

წამიერი დუმილის შემდეგ:

- "მიყვარხარ- თქვა ელენამ და კანკალი იგრძნო.

- ელენა....- ისევ დაიწყო სტეფანმა და მის ხმაში სარსოწარკვეთილება იგრძნობოდა.

- "რა მოხდა სტეფან? ნუთუ ამაში ვცდებით? ნუთუ არ გიყვარვარ?"

- "მე.....

იგი საცოდავა იყურებდა მას - როდესაც მისის ფლაურსის ხმა მოესმა.

- "ჩემო ბიჭო! ჩემო ბიჭო! სტეფან! - მახილთან ერთად იგი კარებს ფეხსაცმელს ურტყამდა.

- "სჯობს ვნახო რა უნდა."

მარტო დარჩენილმა ელენამ მოულოდნელად სიცივე იგრძნო.

<< სადღაც ცეცხლი უნდა იყოს>> - გაიფიქრა ელენამ და ოთახი შეათვალიერა და ისევ ის ზარდახშა დაინახა.

ელენამ კარს გახედა. თუ სტეფანი მოულოდნელად დაბრუნდება და დაიჭერს....არა ეს რა უნდა გააკეთოს....მაგრამ ელენა მაცდურ ნივთს უახლოვდებოდა.

მან გააღო ზარდახშა. მკრთალი ი სინათლის გამო ელენას ზარდახშა ცარიელი ეგონა და გაეცინა. - "მაინც რის დანახვას ველოდი? სისხლიანი ხანჯლის? თუ კეროლიანის სასიყვარულო ერილების?"

მაგრამ უცებ ელენამ დაინახა ცვრილი ატლასის ხაზი. გოგონამ აიღო და გაოცდა. ეს ის ფორთოხლის ლენტა იყო რომელიც , სკოლის მეორე დღეს დაკარგა.

<< აჰ, სტეფან>>

გილბერტს თვალები ცრემლებით აევსო , გულში კი ძლიერი სიყვარული იგრძნო.

<< ასე უცებ? ასე მალე შეგიყვარდი? სტეფან მიყვარხარ>>

<<უმნიშვნელოა ის, რომ ამას ვერ მეუბნები. მთავარია მე გავიგე>>-გაიფიქრა მან.

მოულოდნელად მან ნაბიჯები გაიგო და ყველაფერი თავის ადგილას დააბრუნა.იგი მობრუნდა კარისკენ.

<<არ აქვს მნიშვნელობა რომ ვერ მეუბნები. მე ამას ორივეს მაგივრად ვიტყვი და ოდესმე შენც მიპასუხებ>>.

## თავი 10

ოქტომბერი, დაახლოებით დილის 8 საათი

ძვირფასო დღიურო, ამას ტრიგონომეტრიის გაკვეთილზე ვწერ და ძალიან ვიმედოვნებ გალპერნი ვერაფერს შეამჩნევს. გუშინ საღამოს ჩემი სურვილის მიუხედავად დრო მაინც ვერ გამოვნახე რომ ახალი ამბები დამეწერა. ძალიან გიჟური და მოულოდნელი დღე გამომივიდა – გამოსაშვები კლასის მოსწავლეების შეხვედრის დღის მსგავსად. დღეს გაკვეთილზე მომეჩვენა რომ ყველაფერი რაც მოხდა და წინა ვიქენდი სიზმარი იყო. შემზარავი სურათები ძალიან საზიზღარი, მაგრამ კარგი, უცნაურად კარგი აღმოჩნდნენ. არ ვაპირებ ტაილერის წინააღმდეგ სარჩელი ოფიციალურად შევიტანო. სიმართლე გითხრა, სკოლიდან და საფეხბურთო გუნდიდან დროებით გარიცხულია, ისევე როგორც დიკი, ცეკვებზე დალევისთვის. მართალია, ამაზე ხმამაღლა არავინ არ საუბრობს, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ბევრი სწორედ მას ადანაშაულებს იმაში რაც ვიკის მოუვიდა. ტაილერი გუშინ საავადმყოფოში ბონის დას დაუნახავს და იძახის რომ სახე სულ ჩალურჯებული ჰქონდა, თვალები ჩაშავებული... ასეა თუ ისე მე ყველაზე მეტად მაინც იმაზე ვნერვიულობ მათი სკოლაში დაბრუნების შემდეგ რა მოხდება. ახლა ალბათ სტეფანის შესაძლებლად უფრო მეტი მიზეზები აქვთ..

სტეფანი. დღეს დილას გავიღვიძე და პანიკაში ჩავვარდი " იქნებეს უბრალოდ სიზმარი იყო? იქნებ გადაიფიქრა? იქნებ ეს ამბავი საერთოდ არც მომხდარა." დეიდა ჯუდიტი საუბრეზე კვლავ ნერვიულობდა იმიტომ რომ ისევ ძალიან ცოტა ვჭამე. მაგრამ შემდეგ სკოლაში წავედი და კანცელარიის გვერდზე მდგომი სტეფანი დავინახე. ჩვენ მხოლოდ ერთმანეთს ვუყურებდით. ჩემი ყველა ეჭვი გაქრა. სტეფანმა ცბიერად გამიღიმა. მივხვდი, რომ იგი კვლავ მართალი იყო, სკოლაში ხვევნა– კოცნა ნამდვილად არ ღირდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვნებიანი ჩახუტებებით მდივნების გახალისებას თუ არ დავაპირებთ. ჩვენს შორის ყველაფერი შესანიშნავადაა, ნამდვილად. ახლა მხოლოდ ისღა დამრჩა ჟან– კლოდი ავუხსნა. ჰაჰაჰა..

მაგრამ, მაინც არ მესმის სტეფანი რატომ არ ანათებს სიხარულისგან ისევე როგორც მე? როცა ერთად ვართ ვხვდები რას გრძნობს, ვიცი რომ ძალიან ვუყვარვარ, ძალიან ვჭირდები. როცა მკოცნის აშკარად შიმშილის ძლიერი გრძნობა უჩნდება, თითქოს ჩემი სხეულის გარდა, ჩემი სულათაც უნდა რომ ისიამოვნოს. შავ ხვრელს გავს, რომელიც.....

ისევ 7 ოქტომბერი, მარგამ სადღაც 2 საათია.

იძულებული ვიყავი შემეწყვიტა, რადგან მის გალპერმა მაინც შეამჩნია, უკვე ხმამაღლა უნდა წაეკითხა, რაც მეწერა, მაგრამ შემდეგ გაკვეთილი გაახსენდა და თავი დამანება. სერიოზულად მომიწევს ფიქრი ისეთ უმნიშვნელო საკითხებზე, როგორც ტრიგონომეტრიაში ორიანია. მე და სტეფანმა ერთად ვისადილეთ, უფრო სწორად, ვისხედით სტადიონის კუთხეში სადაც ჩემი ლანჩი წამოვიღე. სტეფანს არაფერი უჭამია. ჩვენ ერთმანეთს თითქმის არ ვეხებოდით, თითქმის კი არა, საერთოდ, უბრალოდ



ვლავარაკობდით და ერთმანეთს ვუყურებდით. ძალიან მინდა შევეხო, ვიცი სტეფანსაც ეს უნდა, მაგრამ აშკარად თავს იკავებს. გუშინ მის ოთახში საბოლოო დამამტკიცებელი საბუთი აღმოვაჩინე, რომ თავიდანვე შევუყვარდი. გახსოვს გიყვებოდი გოგოებთან ერთად სასაფლაოზე ვიყავი თქო. ხოდა, სტეფანის ოთახში ჩვეულებრივი თმისსამაგრი ვიპოვე, რომელიც იმ დღეს დავკარგე. მან ალბათ აიღო და შეინახა. ჩემს აღმოჩენის შესახებ სტეფანისთვის თქმას არ ვაპირებ, რადგან ვიცი, ამის საიდუმლოდ შენახვა უნდა. მაგრამ ეს ფაქტი ამტკიცებს რომ ძალიან ვუყვარვარ. ასე არაა?

სხვათა შორის, კიდევ ერთი ნაწყენი პერსონა გყავს, კეროლანინი. თურმე ყოველ დღე ხვდებოდა სტეფანს შესვენებებზე ფოტოგრაფიულ კაბინეტში და როცა დღეს იქ არ დახვდა, ძებნა დაუწყო. და ჩვენ ორნი გვიპოვა. საწყალი სტეფანი, კეროლანინი სულ გადაავიწყდა და აშკარად ეტყობოდა რომ უკმაყოფილო იყო. როცა სიბრაზისგან გამწვანებული კეროლანინი წავიდა, სტეფანმა მითხრა, რომ პირველივე დღის მერე "ეტენებოდა". მას შეუმჩნევია რომ სტეფანი არაფერს ჭამდა და თვითონაც ასე იქცეოდა, თან დიეტაზე იყო. სწორედ ასე დაახლოვდენ. სინამდვილეში, სტეფანს კეროლანინზე ცუდი არაფერი უთქვამს, მაგრამ მემგონი ასე მხოლოდ ზრდილობის გულისთვის მოიქცა. თან, დამაჯერა, რომ მათ შორის არაფერი ყოფილა. კეროლანინისთვის დავიწყება ალბათ უარესი იქნებოდა, ვიდრე რომ ეჩხუბათ.

ისე, მაინტრესებს რატომ არაფერს ჭამს სტეფანი, ფეხბურთელისთვის ცოტა უცნაურია. ჯანდაბა, მისტერ ტანერმა ამ წუტას გაიარა ჩემს წინ და ძლივს მოვასწარი დღიური წიგნით დამეფარა. ბონი იცინის, თან ისტორიის წიგნი აქვს აფარებული სახეზე, ვხედავ მხრებს როგორ აქანავებს. სტეფანი კი, რომელიც ზუსტად ჩემს პირდაპირ ზის, ისეთი დამაბულია, თითქოს ნებისმიერ დროს წამოხტება მაგიდიდანო. მეტი ისე მიყურებს, თითქოს იმახის გიჟი ხარო, კეროლანინი კი ანთებული თვალებით მომაჩერდა. მე ძალიან ჩვეულებრივად, უცოდველად ვიქცევი, ვწერ დღიურში და თან მისტერ ტანერს თვალს არ ვაშორებ, ასე რომ, თუ ჩემი ნაწერი დაყრავებული იქნება, მიხვდები რატომაც.

წინა თვეში ძალიან ანერვიულებული ვიყავი, არაფერზე შემეძლო ფიქრი და ფოკუსირება სტეფანის გარდა. უკვე იმდენი საქმე დამიგროვდა რომ მეშინია. ვფიქრობ, სახლის მორთვა ჰელოუნისთვის მე მაქვს დავალებული მე კი ჯერაც არ დამიწყია. ახლა ზუსტად ორ კვირა ნახევარი მაქვს რომ ყველაფერი მოვაწესრიგო, მე კიდევ მხოლოდ სტეფანთან მინდა ყოფნა.

რა თქმა უნდა შემიძლია რომ კომიტეტიდან გამოვიდე, მაგრამ ბონის და მერედიტს რა ვუთხრა? და როგორ შეიძლება აქ მეტის სიტყვები არ გამახსენდეს: " შენ უბრალოდ გინდა რომ მთელი სამყარო ელენა გილბერტის ირგვლივ ბრუნავდეს" .. მართალია, ყოველ შემთხვევაში, თუ ადრე იყო ასე, ახლა ნამდვილად არ მინდა. მე მინდა ... ხო, ხო, ვიცი ძალიან სულელურად ჟღერს მაგრამ მინდა სტეფანის ღირსი ვიყო. დარწმუნებული ვარ ის არ მისცემდა გუნდს ულფლებას თამაში წაეგოთ. მინდა რომ იგი ჩემით ამაყობდეს. მინდა რომ მასაც ისე ძალიან ვუყვარდე როგორც მე მიყვარს ის.

ჩქარა! \_ იყვირა ბონიმ ფიზკულტურის დარბაზში შესასვლელი კარებიდან. მის გვერდით მოლოდინში მისტერ შელბი, სკოლის უფროსი დარაჯი იდგა. ელენამ ბოლოჯერ მოავლო

თვალი საფეხბურთო მოედანს და არც ისე მხიარული ასფალტის გზას გაუყვა, რომელიც ბონისთან მიდიოდა.

" უბრალოდ მინდოდა სტეფანისთვის მეთქვა სად მივდიოდი" \_ თქვა გოგონამ.

მიუხედავად იმისა, რომ

ეს ერთი კვირა ელენა სტეფანთან იყო, მაინც გრძნობდა მისი სახელის გაგონებაზე ჟრუანტელს. მთელი კვირის განმავლობაში სტეფანი გოგონას მზის ჩასვლამდე სახლში აკითხავდა, ტყავის ქურთუკის ჯიბეებში ხელეზმობილი და ჩვეულებრივ აწეული საყელოთი. ის და ელენა ჩვეულებრივ ერთად სეირნობდნენ ან ვერანდაზე ისხდნენ და ლაპარაკობდნენ ნებისმიერ თემაზე. თუმცა ამაზე არავინ არაფერი იცოდა. ელენა ხვდებოდა, რომ სტეფანს არ სურდა ისინი მარტო დარჩენილიყვნენ. ცეკვენბის დღიდან იგი ცდილობდა გარკვეული ზომები დაეცვა. " ჩემს ღირსებას იცავს" აგდებულად გაიფიქრა ელენამ და თან მუცელში ჩხვლეტა იგრძნო.

"ერთ სადამოს შენს გარეშე როგორღაც გადაიტანს. " – უგულოდ თქვა ბონიმ. – ლაპარაკს რომ დაიწყებ, არასდროს დაამთავრებ მე კიდევ სახლში მინდა ვახშამდე მოვასწრო მისვლა.

" გამარჯობათ მისტერ შელბი. " – მიესალმა ელენა დარაჯს რომელიც მოთმინებით იდგა კარებთან. გოგონას ძალიან გაუკვირდა როცა დარაჯმა სერიოზულად შეხედა.

" მერიდიტი სადაა?" \_ იკითხა გოგონამ.

"აქ" \_ ელენას მერიდიტის ხმა მოესმა უკნიდან, იგი მობრუნდა და დაინახა რომ მას ხელში ბროშურები და ძველი რვეულები ეჭირა.

" შენი კარადიდან ავიღე" თქვა მან. " ახლა, მემგონი ყველა მზად ხართ," თქვა მისტერ შელბიმ " კარგით მაშინ კარები შიგნიდან ჩაკეტეთ რომ არავინ შემოვიდეს." ბონი უკვე მზად იყო დარბაზში შესასვლელად, მაგრამ უცებ გაჩერდა. " დარწმუნებული ხართ რომ ახლა იქ არავინაა? ელენამ გოგონას ხელი ჰკრა.

"ჩქარა, მე ჯერ კიდევ მინდა სახლში დროზე მივიდე! "

" არავინაა, თუ რამე დაჭირდებათ დამიძახეთ, აქვე ვიქნები. " – თქვა დარაჯმა. კარი დიდი ხნით მიეჯახუნა.

"დაივწყოთ" – თავდაჯერებულად თქვა მერიდიტმა და ყუთი იატაკზე დადო. ელენამ თავი დააქნია და ცარიელი სივრცეს თვალი მოავლო. ყოველ წელს მოსწავლეთა კომიტეტი მოჩვენებათა სახლს ჰქმნიდა საქველმოქმედო ფონდისთვის ფულის დასაგროვებლად. ბოლო ორი წელიწადი ელენა მერიდიტთან და ბონისთან ერთად მონაწილეობას იღებდა დეკორაციების მოწყობაში მაგრამ თავმჯდომარეობა მისთვის ახალი იყო. მას უნდა მიეღო გადაწყვეტილებები რომლებიც ყველას ეხებოდა და ახლა მას წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობაც არ შეეძლო. მოჩვენებათა სახლი ჩვეულებრივ საწყობში შენდებოდა, მაგრამ, იმ ყველაფერის მერე რაც სასაფლაოზე მოხდა, კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ფიზკულტურის დარბაზი საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. ელენასთვის ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავდა რომ მთელი დარბაზი ჰელოუნამდე 3 კვირით ადრე თავიდან ბოლომდე უნდა შეეცვალა.

" სიმართლე გითხრათ აქ ისედაც ძალიან საშიშია " – შენიშნა მერიდიტმა. " მართლაც, – გაიფიქრა ელენამ, – ამ დიდ და ცარიელ სივრცეში ძალიან ამაღელვებელი სიტუაციაა." მან უცებ შეამჩნია რომ უნებურად ხმას ადაბლებდა.

" მოდით ჯერ გავზომოთ " – შესთავაზა გოგონამ მეგობრებს.

გოგონები მთელს დარბაზში დადიოდნენ და მათ ნაბიჯები გრუხუნით ისმოდა სიჩუმეში.

" ძალიან კარგია, ახლა საქმეს შევუდგეთ " – თქვა ელენამ. ის ცდილობდა დაწყნარებულიყო, თავს არწმუნებდა რომ სისულელე იყო რამის შეგშნებოდა სკოლის ფიზკულტურის დარბაზში, თანაც როცა გუნდი 200 მეტრის იქით ვარჯიშობს. კალმებით და რვეულებით ხელში გოგონები გახსნილ ტრიბუნაზე დასხდნენ. ელენა და მერიდიტი დიზანის საკითხს განიხილავდნენ, თან წინა წლების დეკორაციებს იხსენებდნენ, ბონი კი ამ დროს კალამს " ლექავდა " და ჩაფიქრებული აქეთ-იქით იყურებოდა. თქვა მერიდიტმა – " მოკლედ, ესეც დარბაზი " – თან უბის წიგნაკში რაღაცის ხატვა დაიწყო, – " აქიდან შემოვლენ სტუმრები. გასასვლელთან სისხლიანი სხეული იქნება, და სხვათა შორის ვინ იქნება წელს სისხლიანი სხეული? "

" ტრენერი ლაიმანი, ალბათ. წინა წელს მშვენივრად ანსახიერდება მას. ხო აი აქ, " – ელენამ ნახატს ხელი დაადო, – " აქ შუა საუკუნეების პალატას დავაყენებთ, აქედან ხალხი მიცვალებულთა პალატაში შევა.. "

" მემგონი ჩვენ დრუიდების ოთახიც უნდა გავაკეთოთ, » – თქვა ბონიმ.

" ვისი? " – თქვა ელენამ, მაგრამ როგორც კი ბონის გაიმეორა " დრუ- ი-დე-ბის! " გოგონამ გააჩერა

" კარგი, კარგი, გავიგე, მაგრამ რისთვის? "

" სხვათა შორის სწორედ მათ გამოიგონეს ეს დღესასწაული, თავიდან ჰელოუინი ჩვეულებრივი რიტუალი იყო, როდესაც ჯადოქრები თალგამებზე ადამიანების სახეს ხატავდნენ, რომ ბოროტი სულები განედევნათ. დრუიდებს სჯეროდათ რომ სწორედ ამ დღეს ზღვარი ორ სამყაროს შორის თითქმის ქრებოდა. და ეს ყველაფერი მართლაც ძალიან საშიში იყო. ისინი ადამიანებს წირავდნენ მსხვერპლად, ჩვენ კი ტრენერ ლაიმანი შევწირეთ. "

" ძალიან კარგი იდეაა " – ტქვა მერიდიტმა " სისხლიანი სხეული დრუიდების მსხვერპლი იქნება, ის საკურთხეველზე იწვება, გარშემო სისხლის გუბეები იქნება, და როცა ხალხი მას მიუახლოვდება, ის წამოჯდება.

" ძალიან ბევრს გაუსკდება გული " – თქვა ელენამ, მაგრამ მაიც აღიარა რომ არც ისე ცუდი იდეა იყო და ასეა თუ ისე ძალიან საშიში იქნებოდა. ცოტა არ იყოს ცუდადაც გახდა, რომ წარმოიდგინა, სისხლის გუბეები.. სინამდვილეში კი იქ მხოლოდ სიმინდის ბადაგი " კარო " იქნება. დანარჩენი გოგონებიც ჩაფიქრდნენ. ბიჭების გასახსდელიდან წყლის, კარადების კარებების ხმა და ყრუ საუბარი მოესმათ.

" ვარჯიში უკვე დამრთავდა, გარეთ ალბათ ბნელა. " – თქვა ბონიმ. " ხო და ჩვენი გმირიც იქაა. " – თქვა მერიდიტმა, ელენას შეხედა და წარბები აწია.

" არ გინდა კარის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალო? "

" ძალიანაც მინდა! " – ნახევრად ხუმრობით გამოტყდა ელენა. ცარიელ დარბაზში ოდნავ ჩამობნელდა. ამ დროს ელენამ უნებურად სტეფანი ინატრა მის გვერდით,

" ვიკი ბენეტზე ხომ არაფერი გაგიგიათ? "

" თითქმის არაფერი, მხოლოდ ის რომ ბონის მშობლები მისთვის ფსიქიატრს ეძებენ. "

" სპეციალისტს სულის დაავადებისთვის? რისთვის? "

"რავი, მისი ნათქვამი... მოკლედ ფიქრობენ რომ ყველაფერი მისი ჰალუცინაციებია. და ისე გავიგე რომ ბონი კომმარებს ხედავს. "

" მართლა?" – ღრმად შეისუნთქა ელენამ.

გასახდელში ხმა შესუსტდა. გოგნებმა კარებზე კაკუნი გაიგეს. " ჰალუცინაციები და კომმარები " – გაიფიქრა ელენამ. გოგონას ამ დროს ღამე გაახსენდა სასაფლაოზე, როცა ბონი მათ ემუდარებოდა რომ გაქცეულიყვნენ, აფრთხილებდა რომ რაღაც მოხდებოდა, რაღაც რასაც სხვები ვერ ხედავდნენ.

" მემგონი, ჯობია სამუშაოს დავუბრუნდეთ, " თქვა მერიდიტმა. ელენამ შიში დაივიწყა და თავი დააქნია.

" მემგონი კარგი იქნებოდა სასაფლაო გაგვეკეთებინა " – თქვა ბონიმ თითქოს ელენას ფიქრებს კითხულობდა. " მინდოდა მეთქვა მოჩვენებების სახლში–თქო."

" არა " გაღიზიანებულად თქვა ელენამ " მემგონი ჯობია იქ შევშერდეთ სადაც ვართ, " გააგრძელა უფრო დაწყნარებულად. რაღაც დროის განმავლობაში კალმების და ფურცლების გადაშლის ხმის გარდა არაფერი ისმოდა.

" კარგით ახლა სხვა რაღაცეებს მივხედოთ. ვინ აიღებს საკუთარ თავზე ტრიბუნებს? " – თქვა ელენამ. ამ დროს შუქმა თამაში დაიწყო და ბუნდოვანი გახდა.

" ესეც შენ, " – გაღიზიანებულმა თქვა მერიდიტა. შუქი კვლავ თამაშობდა, ჩაქრა მაგრამ მერე ისევ აინთო, მიუხედავად ამისა უფრო ნათელი არ გამხდარა.

" ვერაფერ ვერ ვარჩევ " – თქვა ელენამ და თავის ნაწერებს დახედა. გოგონამ ბონის და მერიდიტს შეხედა და სახეების ნაცვლად ორი დიდი თეთრი ლაქა დაინახა.

" ალბათ რაღაც დაემართა ერთერთ გენერატორს, წავალ მისტერ შელბის დავუძახებ. " – თქვა მერიდიტმა.

" იქნებ ხვალ გავაგრძელოთ? " – შეწუხებული სახით თქვა ბონიმ.

" ხვალ შაბათია და თან ეს ყველაფერი წინა კვირაში უნდა დაგვემთავრებინა. " – თქვა ელენამ.

" მე შელბის დავუძახებ " – გაიმეორა მერიდიტმა – " ბონი მემგონი შენც ჩემთან უნდა წამოხვიდე. "

" ყველა წავიდეთ..." დაიწყო ელენამ მაგრამ მერიდიტმა გააჩერა,

" ყველანი თუ წვალთ და მას ვერ ვიპოვით უკან ველარ დავბრუნდებით, წამოდი ბონი. "

" მაგრამ ძალიან ბნელა " – თქვა ბონიმ.

" ახლა ყველგან ბნელა, უკვე ღამეა, მაგრამ მე და შენ ერთად არაფერი გვემუქრება " – ტქვა მერიდიტმა და ბონი კარებისკენ "წაათრია".

" შენ აქ არავინ შემოუშვა ელენა.

" " თითქოს მაგის შეხსენება მჭირდებოდეს " – თქვა გოგონამ და კარებისკენ მიმავალ დაქალებს თვალი გააყოლა. როცა გოგნების ჩრდილები გაქრნენ, ელენამ კარები ჩაკეტა. " ფანტასტიკური არეულობა " – ასე იძახდა დედამისი მსგავს სიტუაციებში. ელენა მერიდიტის მიერ მოტანილ ყუთს მიუახლოვდა და საქაღალდეები და რვეულები უკან

ჩააწყო. ფერმკრთალ შუქზე ნივთების გარჩევაც შეუძლებელი იყო. არანაირი ხმა არ ისმოდა, ელენა სუნთქვის გარდა. გოგონა ამ დიდ და ჩაბნელებულ სივრცეში მარტო აღმოჩნდა და მას ვიღაც უთვალთვალებდა.

ელენა თვითონ ვერ ხვდებოდა როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა რომ მის უკან ვიღაც იდგა და კარგად აკვიდებოდა. " თვალეები სიბნელეში" – თქვა იმ მოხუცმა, ვიკიც ახსენებდა მათ და ახლა ეს თვალეები ელენას უყურებდა. გოგონა სწრაფად შემობრუნდა უზარმაზარი დარბაზისკენ და მხედველობა ძლიერ დაძაბა, აქეთ-იქით იხედებოდა და ცდილობდა არც კი ესუნთქა.

მას ეგონდა რომ თუკი რამე ხმაურს ატეხავდა, ის არსება რომელიც ახლა იმალებოდა, მაშინვე თავს დაესხმებოდა. მაგრამ ელენა ვერაფერს ხედავდა და არანაირი ხმა არ ესმოდა. ტრიბუნები საშიშად გამოიყურებოდა და შორეული დარბაზის ბოლო თითქოს ნაცრისფერ ნისლში გაეხვია. " ბნელი ბურუსი" – გაიფიქრა გოგონამ და აშკარად იგრძნო კუნთების დაძაბულობა. " ღმერთო, ეს ჩუმი ხმა საიდანაა? ალბათ წარმოსახვა თამაშობს ჩემთან. იმედია მხოლოდ წარმოსახვა." ელენას ტვინი გაეხსნა და მიხვდა რომ რაც სეიძლება მალე უნდა გაცლოდა იქაურობას. აქ რეალური საფრთხე იმალებოდა და ეს ნამდვილად არ იყო მისი ფანტაზია. ჩრდილში ძალიან საშიში რამ იმალებოდა და მას ძალიან საშინელი განზრახვა ჰქონდა. კვილი ყელში გაეჩხირა, კუნთები რაღაც უხილავმა ძალამ ძალიან დაუძაბა. ელენა ხედავდა ბუნდოვან ფორმას რომელიც სიბნელეში მოძრაობდა და მისკენ მოემართებოდა. გოგონას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თვით უკუნეთი გაცოცხლდა და ახლა, მის წინ გამოჩნდა ფორმა ახალგაზრდა სიმპატიური ბიჭისა, რომელშიც ის იყო ჩასახლებული.

" მაპატიეთ რომ შეგაშინეთ" – მისი ხმა ძალიან სასიამოვნო იყო, რბილი აქცენტით, რომლიც ამოცნობაც ელენამ ვერ შეძლო. მაგრამ ელენას ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ის საერთოდ არ იხდიდა ბოდიშს. შვება ისეთი ძლიერი და მოულოდნელი იყო, რომ ცოტა მტკივნეულიც გახდა. ელენა დაწყნარდა და ხმაურიანად შეისუნთქა.

გარეგნობით ბიჭი ახალი მოსწავლის ან მისტერ შელბის დამხმარეს გავდა. თითქოს ის გახალსიდა როცა ელენამ მისი გულსთვის თითქმის გონება დაკარგა. ჩვეულებრივი მომღიმარი ბიჭი. მაგრამ, არც ისე ჩვეულებრივი... ბიჭი მერისმეტად მომხიბლავი იყო. სანამ იგი ელენას მიუახლოვდებოდა, გოგონამ შეძლო გაერჩია მუქი ფერის თმები ქუდის ქვეშ და იდეალურად გამოყოფილი ნაკვთები. ეს ელეგანტური გარეგნობა ნამდვილი სიზმარია მოქანდაკისთვის. ყმაწვილი სიბნელეში თითქმის შეუმჩნეველი იყო, რადგან ყველაფერი შავი ეცვა : შავი მსუბუქი ფეხსაცმელი, შავი ჯინსი, შავი სივტერი და შავი ტყავის ქურთუკი. ის კვლავინდებურად ილიმებოდა. ელენას შვება ახლა შიშში გადაიზარდა.

" საიდან შემოხვედით? თქვენ აქ არ უნდა იყოთ." –მომთხოვნად იკითხა ელენამ .

" კარიდან შემოვედი " – მისი ხმა ზრდილობიანი იყო, მაგრამ ელენამ ზედმეტი თავდაჯერებულობის ნიშნები შენიშნა. გოგონა ყურადღებით უსმენდა.

– ყველა კარი დაკეტილია" – ელენას ტონში ბრალდადება შეიმჩნეოდა.

" მართლა?" – გაკვირვებულად აწია წარბები და გაიღიმა.

" ყოველ შემთხვევაში დაკეტილი უნდა ყოფილიყო." – უპასუხა ყველაზე ცივი ტონით, რაც კი შეეძლო წარმოეთქვა.

" თქვენ გაბრაზდით' – სერიოზული ტონით უპასუხა მან –" მაგრამ მე ბოდიში მოვიხადე. კიდევ ერთხელ მაპატიეთ თუ შეგაშინეთ. "

" საერთოდ არ ვარ შეშინებული!" – გაბრაზებულმა ხმას აუწია და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თავი სულელურად იგრძნო. ახლა მას თავი პატარა გოგნა ეგონა, რომელიც თავს მასზე გაცილებით დიდს და გამოცდილს უყადრებდა. ამისგან ის უფრო გაბრაზდა.

" მე უბრალოდ ძალიან გაკვირვებული ვარ –" გააგრძელა მან –" და ძალიან გავოგნდი როცა სიბნელეში დაიძალეთ." " სიბნელეში უცნაური რაღაცეები ხდება" განაგრძობდა ბიჭი ელენას დაცინვას, ამას გოგონა მის თვალებში კითხულობდა. ახლა ის მასთან ერთი ნაბიჯით წინ მოიწია და ელენამ შეამჩნია რომ უცნაური თვალები ჰქონდა. შავი, გარშემო ნაპერწკლებით შემოსაზღვრული. თითქოს, მათში ჩახედვისას შეიძლებოდა ჩავარდნილიყავი და ვარდნა სამუდამოდ გაგრძელდებოდა. ელენა უცებ მიხვდა რომ შავ თვალებს მიაჩერდა. რატომ აქამდე არ აინთო შუქი? გოგონას ძლიერ უნდოდა იქაურობას გაცლოდა. მან უკან დაიხია და ახლა მას და იმ ბიჭს შორის დიდი მანძილი აღმოჩნდა. ელენამ დანარენი ნივთების ყუთში ჩალაგება დაიწყო. დღეს საღამოს, ყველანაირ სამუშაოზე ფიქრის დავიწყება შეიძლებოდა. ახლა გოგონას მხოლოდ იქიდან წასვლა უნდოდა. მაგრამ სიჩუმეში ჩადირული თავს უხერხულად გრძნობდა. ახალგაზრდა ბიჭი უბრალოდ გაუნძრევლად იდგა და მას აკვირდებოდა. რატომ არაფერს ამბობს??

"თქვენ აქ ვინმეს ეძებდით?" – ელენა საკუთარ თავზე გაბრაზდა, რომ პირველს მოუწია დალაპარაკება. ბიჭი კვლავ მას უყურებდა, მისი შავი თვალები კი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გოგონაში იჭრებოდა, რისგანაც იგი უფრო უხერხულად გრძნობდა თავს. ნერწყვიც ძლივს გადაყლაპა.

"დიახ" – თქვა ყმაწვილმა და თან ელენას ტუჩებს მიაშტერდა.

" რა?" ელენას უკვე დაავიწყდა რა შეეკითხა. ელენას ყელი და ლოყები იწვოდა, ნეტავ შეეწყვიტა მისთვის ასე ყურება. " დიახ, მე აქ ვიღაცას ვეძებდი." გამეორა ბიჭმა ახლა უფრო ხმაძალდა. ის გოგონას უფრო მიუახლოვდა, რომელიც ძლივს სუნთქავდა. ის ისე ახლოს იდგა. საკმარისად ახლოს, რომ მას შეხებოდა. ელენა ოდეკოლონის და ტყავის ქურთუკის მსუბუქ სუნს გრძნობდა. მისი შავი თვალები გაფართოვდა, ასეთი რამ ელენას ცხოვრებაში არ ენახა. მას მხოლოდ მისი თვალების დანახვა შეეძლო, სანამ ახალგაზრდა მისკენ ნელნელა იწეოდა და თანდათანობით თავს ქვევით წევდა. მას თვალები ეხუჭებოდა, შემდეგ ოგრძნო რომ თავბრუ ეხვეოდა და მისი ტუჩები მოძრაობდნენ. არა ! სწორედ დროზე გასწია თავი და იგრძნო, ვითომ სწორედ ახლა გადარჩა ნაპრალში გადავარდნას. "რას ვაკეთებ? კინალამ მივეცი უფლება ჩემთვის ეკოცნა ადამიანს, რომელიც ცხოვრებაში პირველად რამდენინე წუთის წინ დავინახე. " – გაიფიქრა შოკში მყოფმა ელენამ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი იყო, ამ ყველაფრის შემდეგ მას სულ გადაავიწყდა სტეფანი. ახლა მხოლოდ მას ეკავა მთელი გონება, ვნებამ კი მისი მთელი სხული მოიცვა და ტკივილად გადაიქცა. ელენას მხოლოდ ის უნდოდა რომ სტეფანი რაც შეიძლება მალე ჩახუტებოდა, მასთან ყოფნა უნდოდა. გოგონამ რაც შეიძლება მეტი ჰაერი ჩაინსუნთქა და მის ხმაში როგორც იქნა ღირსება გაჩნდა.

" მე უნდა წავიდე, თუ თქვენ ვინმეს ეძებთ, ჯობია სხვაგან ეძებოთ."

## თავი 11

ელენა ბნელ დერეფანში მიაბიჯებდა, თან ცდილობდა რამე გაერჩია სიბნელეში. უცებ სამყარო თითქოს აფეთქდა და ყველაფერი განათდა. გოგონა მიხვდა რომ მისთვის კარგად ნაცნობ კარადებთან იდგა. შვება ისეთი ძლიერი იყო, რომ კინალამ იყვირა. ვერასდროს იფიქრებდა რომ ასე გაუხარდებოდა, მხოლოდ იმიტომ რომ გარშემო ყველაფერს ხედავდა. ახლაგაზრდა ბიჭი მას გაურკვეველად უცნაურად უყურებდა, ელენა ვერ არკვევდა რა იყო მის სახეზე ასახული. ალბათ, გაღიზინება და თავდაფასება. .. და მეტი რა? რაღაც გამაღიზიანებელს და მწვავეს, რაც ელენას ძალიან აშინებდა. ბიჭი ელოდებოდა სანამ გოგონა კარების სახელურს ხელს მოკიდებდა და დაბალი მაგრამ სერიოზული ტონით თქვა : " შეიძლება უკვე ვიპოვე კიდეც... ელენა ". როცა გოგონა მობრუნდა უკვე ველარაფერი გაარჩია. ის იდგა და აქეთ– იქით კმაყოფილი იყურებოდა.

"ელენა, აქ რას აკეთებ? " ბონი და მერიდიტი მისკენ მოდიოდნენ.

" სად იყავით ამდენი ხანი?"

" ვერაფრით ვიპოვეთ მისტერ შელბი და როცა ვიპოვეთ აღმოჩნდა რომ ეძინა, სერიოზულად." დაამატა ბონიმ როცა ელენას უნდობლობა შეამჩნია.

"მართლა ეძინა, და ვერფარით გავაღვიძეთ. თვალეები მაშინ გაახილა როცა შუქი აინთო. მერე ჩვენ უკან წამოვედით. მაგრამ შენ რას აკეთებ აქ? "

ელენამ ვერ გაბედა სიმართლე ეთქვა.

"დავიღალე ლოდინით."– მარტივად აუხსნა. " თან გადავწყვიტე რომ დღეისთვის უკვე საკმარისად ვიმუშავეთ."

"უცნაურია შენგან ამის გაგონება" – უპასუხა ბონიმ.

მერიდიტს არაფერი უთქვამს , მაგრამ ელენას ცნობისმოყვარე მზერით შეხედა. გოგონას ისეთი შეგრძნება გაუჩნდა თითქოს ის მის სულში იყურებოდა. მთელი უიქენდი და კვირა ელენა მოჩვენებათა სახლის გეგმებზე მუშაობდა. პირად ცხოვრებისთვის დრო სულ არ რჩებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც სტეფანი აკვირვებდა. გრძნობდა რომ ძალიან უყვარდა, მაგრამ ამავე დროს სცდილობდა ელენასთან ერთად მარტო არ დარჩენილიყო. ბევრ საკითხში სტეფანი ისეთივე იდუმალი იყო, როგორც პირველ დღეს. ის არასდროს უყვებოდა გოგონას თავის ოჯახზე ან როგორ ცხოვრობდა სანამ ფელს–ჩარჩში მოვიდოდა. თუ ელენა რამეს შეეკითხებოდა, ის ამ კითხვებს უყურადღებოდ და უპასუხოდ ტოვებდა. ერთხელ შეეკითხა ენატრებოდა თუ არა იტალია და ნანობდა თუ არა აქ რომ ჩამოვიდა. სტეფანს თვალეები გაუნათდა და მის მწვანე თვალეებში ნაპერწკლები გაჩნდნენ.

" როგორ შემიძლია აქ ჩამოსვლა ვინანო? "– ჰკითხა ელენას პასუხად და ისე მაგრად აკოცა რომ გოგონას თავიდან ყველაფერი გაქრა. და ამ დროს ელენამ იგრძნო რას ნიშნავს იყო ყველაზე ბედნიერი. მან სტეფანის ბედნიერებაც იგრძნო. ბიჭს სახე გაბრწყინებული ჰქონდა და ანათებდა როგორც მზე.

"ახ, ელენა. ნეტავ სულ ასე იყოს." – ჩასჩურჩულა სტეფანმა. მაგრამ ისინი ერთმანეთს სულ უფრო და უფრო იშვიათად კოცნიდნენ და დისტანცია მათ შორის დღითიდღე იზრდებოდა.

პარასკევს ისინი, ბონი და მერიდიტი მაკკალოგებთან აპირებდნენ დარჩენას. ცა ნაცრისფერი იყო და წვიმას აპირებდა, როცა ისინი ბონის სახლს მიუახლოვდნენ. ოქტომბრის თვისთვის ძალიან ციოდა, ხეებმა კი ცივი ქარების ძალა უკვე იგრძნეს. წითელი ნეკერჩხლის ნაყოფმა ყვითელი შეფერილობა მიიღო. ბონი მათ კარებთან ესალმებოდა და ეტყობოდა რომ ძალიან უხაროდა.

"ვაშა! ყველა წასულია! ხვალინდელ დღემდე სახლი ჩვენს განკარგულებაშია, სანამ ჩენი მშობლები ლისბერგიდან არ დაბრუნდებიან. გოგონამ მეგობრებს თავის დაქნვით დაუძახა, თან ხელში ძალზედ გაძლობილი ძაღლი ეჭირა, რომელიც თავის დახსნას ცდილობდა.

"არა, იანცზი, არ წახვიდე, არა!" მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო. იანცზი განთავისუფლდა და რაც შეეძლო ჩქარა გაიპარა მთავარი შემოსასვლელი კარიდან, ბაღში გავიდა და მარტო მდგარ არყის ხეს აღფრთოვანებით დაუწყო ყეფა. ცხიმის ნაკეცები მის ზურგზე კანკალებდნენ.

"– ახლა ვინღა აიყვანს ხელში?" – ნიშნის მოგებით იკითხა ბონიმ.

"მემგონი იქ ყვავია." – თქვა მერიდიტმა. ელენა გაშეშდა, შემდეგ ხისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, თან დაკვირვებით იყურებოდა. და მართლაც იქ სწორედ ის ყვავი იჯდა, რომელიც ელენამ უკვე ორჯერ ნახა.

"შეიძლება, სამჯერაც" – გაიფიქრა ელენამ, თან იმ ბნელ ფორმას იხსენებდა სასაფლაოზე რომ დაინახა. ყვავის დანახვისას გოგონას მართლაც ძლიერი შიში იბრყრობდა, ხელები კი ეყინებოდა. ჩიტი კვლავ არაჩვეულებრივი შავი თვალებით, თითქმის ადამიანური თვალებით უყურებდა. ეს თვალები... ნეტავ კიდევ სად ჰქონდა ნანახი?

უცებ სამივენი შეხტდნენ, როცა ყვავმა ფრთები გააფრთხილა და რაღაც უცნაური ხმა გამოსცა. ჩიტი ხიდან აფრინდა და გოგოებისკენ გამოფრინდა. უცებ მან მიმართულება შეიცვალა და პატარა ძაღლისკენ გაეშურა, რომელიც კვლავინდებურად გააფთრებული ყეფდა. სულ რამდენინე დიუმით იყო ძაღლისგან დაშორებული, როცა თავხედმა ყვავმა კვლავ მიმართულება შეცვალა და სახლის უკან გაუჩინარდა. გოგონები გაშეშებული იდგნენ. შემდეგ ბონიმ და მერიდიტმა ნერვიული სიცილი დაიწყეს, რომელშიც მათი დამაბულობა მიმოიფანტა.

"– სიმართლე გითხრათ, ერთხელ მომეჩვენა, რომ ზუსტად ჩვენსკენ მოფრინავდა." – აღნიშნა ბონიმ, რომელიც ძაღლს მიუახლოვდა და სახლში შეიყვანა. ძაღლი კი კვლავ არ წყვეტდა ისტერიკულად ყეფას.

"მეც" – თქვა ელენამ ჩუმად. იგი გოგონებს გაჰყვა და მათთან ერთად სიცილი მაინც არ დაუწყია. მაგრამ როგორც კი ისინი თბილ, ნათელ და ნაცნობ სახლში შემოვიდნენ, ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდა. ძნელი იყო განგაშისა და უხერხულობის გამოხატვა ბონის სახლში ყოფნისას, როცა თან შენს წინ ბუხარი გიზგიზებს და თან ხელში ცხელი შოკოლადის ფინჯანი გიჭირავს. მალევე სამივენი მოჩვენებათა სახლის საბოლოო განხილვაზე გადავიდნენ და ელენა შესამჩნევად დაწყნარდა.

"– საერთოდ ძალიან წინდაუხედავები ვართ" – შენიშნა მერიდიტმა, "– ჩვენ იმდენი ხანი და ისე დეტალურად განვიხილავდით სხვების კოსტიუმებს, რომ ჩვენი საერთოდ არ გავგხსენებია.



"– შემი კოსტიუმი ძალიან უბრალოა, მე დრუიდი ვიქნები, ასე რომ მხოლოდ ტოტებისგან გაკეთებული გვირგვინი და რაიმე ძველი თეთრი ტანსაცმელი დამჭირდება. "– თქვა ბონიმ.

"მე ვიქნები.. ჯადოქარი"– ჩაფიქრებულად თქვა მერიდიტმა. – " მე მხოლოდ გრძელი შავი კაბა დამჭირდება. შენ ელენა?"

ელენამ გაიღიმა : – საერთოდ, ამის საიდუმლოდ შენახვა მინდოდა მაგრამ, კარგით.... დეიდა ჯუდიტმა მკერავთან წასვლის ნება დამართო. ერთერთ წიგნში, რომელსაც ზეპირი მოხსენებისთვის ვიყენებდი, რენესენსის დროინდელი კაბის ნახატი ვიპოვე და გადავაკოპირე. ჩემი ვენეციური აბრეშუმის ღია ცისფერი სამოსი შეუდარებელი იქნება.

– შეუდარებლადაც... და ძვირად ჟღერს.– თქვა ბონიმ.

– მშობლების ბიუჯეტს ვიყენებ. ძალიან ვიმედოვნებ, რომ სტეფანს ჩემი სიურპრიზი მოეწონება.

– და თვითონ სტეფანი რას აპირებს? მოჩვენებათა სახლის მოწყობაში დაგეხმარება? – ინტრიგულად იკითხა ბონიმ.

–არ ვიცი რა გადაწყვიტა.– ცოტა ხანში გამოტყდა ელენა – მემგონი საერთოდ არც კი აინტერესებს ეს ჰელოუნი.

– ძნელია წარმოიდგინო იგი დახეულ სისხლიან ზეწარში სხვა ბიჭების მსგავსად. – გამოტყდა მერიდიტი – ამისთვის ის... ასე ვთქვათ, ძალიან სულგრძელია.

–ვიცი რაც უნდა გავაკეთოთ! – წამოიყვირა ბონიმ – თან ბევრი წვალეზაც არ დაგვჭირდება.

ის უცხოელია და ძალიან ფერმკრთალი. თან ძალიან იდუმალი იერი აქვს. უბრალოდ ჩავაცვათ ფრაკი და გადასარევი გრაფი დრაკულა გამოგვივა.

– რავიცი, შევთავაზებ – თქვა ელენამ.

– სტეფანზე გამახსენდა, – ჩუმად წარმოთქვა მერიდიტმა და თან ელენას თვალს არ აცილებდა. – როგორ გაქვთ საქმეები?

–რავიცი.. არ ვარ დარწმუნებული. – ძლივს უპასუხა ელენამ – ისეც ხდება რომ ყველაფერი გადასარევადაა, და სხვანაირადაც..

ბონიმ და მერიდიტმა ერთმანეთს გადახედეს და შემდეგ მერიდიტმა ჩუმად იკითხა:

–როგორ სხვანაირად?

– ერთი წამით – გოგონამ კიბეებზე აირბინა და იქიდან ცისფერი ბარხატის წიგნი ჩამოიტანა.

– ეს გუშინ ღამით დავწერე, როცა ვერ დაიძინე მაშინ, აქ ყველაფერი იდეალურადაა გადმოცემული. – გოგონამ საჭირო გვერდი მოძებნა და დაიწყო :

17 ოქტომბერი

ძვირფასო დღიურო,

დღეს საღამოს თავს საშინლად ცუდად ვგრძნობ, ჩემი ფიქრები ვინმეს უნდა გავუზიარო. ჩემს და სტეფანს შორის რაღაც გაუგებარი რამ ხდება. ის გულში საშინელ სევდას მალავს, რომელსაც მე ვერ ჩავწვდი, ეს ჩვენ გვაშორებს. ფიქრებს მისი დაკარგვის შესახებ ალბათ ვერც კი გადავიტან. მაგრამ სტეფანი რაღაცის გამო ძალიან უბედურია. გუშინ ჩამეხუტა და მისი მაისურის ქვეშ გლუვი და მრგვალი ნივთი ვიგრძენი. აღმოჩნდა, რომ ეს ცეპზე ჩამოკიდებული ბეჭედი იყო. მე დამცინავად ვიკითხე კეროლიანმა ხომ არ გაჩუქა – თქო.

სტეფანი კი უცებ გაშეშდა და არც კი მიპასუხა. მომეჩვენა რომ ჩემგან ათასი მილით იყო დაშორებული, და მისი თვალები... მის თვალებში ისეთი სევდა დავინახე რომ მიკვირს ცოცხალი როგორ გადავრჩი.

აქ ელენამ კითხვა შეწყვიტა და ბოლო სტრიქონებს გადაავლო თვალი.

მემგონი წარსულში სტეფანს ვიღაცამ ძლიერი ტკივილი მიაყენა და მან კი ეს ჯერ კიდევ ვერ დაივიწყა. კიდევ მგონია რომ მას ძალიან საშიში საიდუმლო აქვს და აშკარად ეშინია და არ უნდა რომ გავიგო.

ეჰ, ნეტავ ვიცოდე რას მიმაღავს და შემდეგ შევძლებდი დამემტკიცებინა რომ შეუძლია მენდოს. და ამის შემდეგ სიკვდილამდე მოვიპოვებ მის ნდობას.

–ნეტავ ვიცოდე, – ჩაიჩურჩულა ელენამ.

–რა? – შეეკითხა მირიდიტმა და ელენამ თავი ასწია. მისი თვალები ცრემლებით იყო სავსე.

–ნეტავ ვიცოდე რა მოხდება. – სწარაფად თქვა ელენამ და დღიური დახურა.- მინდოდა მეთქვა, თუ მეცოდინებოდა, რომ საბოლოოდ ყველაფერი კრახით დასრულდება, იქნებ მასთან დაშორებაზეც მეფიქრა. და თუ მეცოდინებოდა, რომ საბოლოოდ ყველაფერი დალაგდება, ამ ყველაფერზე რაც ახლა ხდება არც კი ვიფიქრებდი. და ახლა როცა ასეთ გაურკვეველობაში ვარ, უფრო და უფრო მიჭირს ამის გადატანა. ბონიმ ტუჩზე იკბინა და უცებ თვალები გაუნათდა.

– მე გეტყვი როგორ შეგიძლია ამის გარკვევა.– შესთავაზა მან – ბებიათა ერთი რიტუალის შესახებ მიაბო, მოკლედ, შეგიძია გაიგო ვიზე გათხოვდები. ამას "უსიტყვო ვახშამი" ჰქვია. ასეა თუ ისე ეს ხერხი მართლა მუშაობს. დედაჩემმა გამოსცადა და მამაჩემი დაინახა. ერთი თვის შემდეგ კი უკვე დაქორწინდნენ. ყველაფერი მარტივადაა და თან რას კარგავ? ელენამ მერიდიტს შეხედა.

– არაფერს, –თქვა მან. – მაგრამ შენ მართლა.. გჯერა.. ამ..

ბონის სახეზე შეურაცხყოფა აისახა.

– ანუ დედაჩემს მატყუარას ეძახი? კარგი რა ელენა, ხომ იცი ცდა ბედის მონახევრეა, რატომაც არა?

– მე რა უნდა გავაკეთო? – იკითხა ცნობისმოყვარეობით ელენამ, თან თითქოს შიშშიც კი იგრძნო.

– ყველაფერი მარტივია, უბრალოდ უნდა მოვასწროთ შუალამემდე მომზადება...

მოკლედ შუალამემდე ხუთი წუთით ადრე ელენა სახლის მისაღებში იდგა და თავს მაღალი კლასის სულელად თვლიდა. უკანა ეზოდან იანცზის ყეფა ისმოდა, სახლში კი არანაირი ხმა არ ისმოდა, თუ არ ჩავთვლით საათის წიკწიკს. ბონის ინსტრუქციების მიხედვით, ელენამ შავი მუხის მაგიდაზე ერთი თევზი, ჭიქა და ვერცხლის ჭურჭელი. შემდეგ ანთო სანთელი, რომელიც ვერცხლის სასანთლეში იდგა მაგიდის შუაში, თვითონ კი სკამის უკან დადგა და მის ზურგს ხელი მოკიდა. ბონის ინსტრუქციების მიხედვით, ზუსად შუალამეს ელენას სკამი თავის მხარეს უნდა გამოეწია და თვისი მომავალი მეუღლე უნდა დაეპატოებინა. ამ დროს სანთელი უნდა ჩამქრალიყო, სკამზე კი ფიგურა უნდა გაჩენილიყო.

თავიდან ელენა მასთან დაკავშირებით უხერხულობას გრძნობდა და არ იყო დარწმუნებული რომ ნებისმიერი ილუზიური ფიგურის დანახვა სურდა, თუნდაც თავისი

მომავალი ქმარის. ცოტა ხანში კი ეს ცერემონია ელენას სულელურად და უწყინარად მოეჩვენა. როგორც კი საათმა წიკწიკი დაიწყეს ელენა გამოცოცხლდა და სკამის ზურგს მაგრამ ჩასჭიდა ხელი. ბონიმ უთხრა ხელი ცერემონიის ბოლომდე არ გაეშვა.

ღმერთო, ეს ყველაფერი მართლაც ძალიან სულელური იყო. იქნებ მართლაც არ უნდა ეთქვა ეს სიტყვები... მაგრამ როგორც კი საათმა 12 საათი აჩვენა, ელენამ უცებ გაკვირვებით საკუთრი ხმა გაიგონა :

– შემოდი. – შესთავაზა ელენამ. ცარიელ ოთახში, სკამი თავისკენ გამოწია. – მოდი, დაჯექი. სანთელი ჩაქრა. ელენას ჟრუანტელმა დაუარა როცა სიბნელე აღმოჩნდა. მან იგრძნო ნიავი, რომელმაც სავარაუდოდ ჩააქრო სანთელი. ეს ნიავი კი აშკარად შუშის, ორივე მხრიდან ჩაკეტილი კარისგა მოდიოდა. ელენა სწრაფად შემობრუნდა, თან ცალი ხელი კვლავ სკამზე ჰქონდა მოკიდებული. მას შეეძლო დაეფიცებინა რომ კარი დაკეტილი იყო, სიბნელეში კი რაღაც მოძრაობდა. ელენა შიშმა მოიცვა, რომელმაც ელენას თავში ყველაფერი არია და ყველანაირი სურვილი დაუკარგა რიტუალის ჩატარებისა. ღმერთო, ეს რა ჩაიდინა? თავი რაში გაიხვია? ელენას გული მკერდში ყრუდ უცემდა და უცებ მოეჩვენა რომ გაუთვალისწინებლად თავი საშინელ კომმარში ამოყო. იქ არამარტო სიბნელე, არამედ სიჩუმეც იყო, როგორც საფლავში. გოგონა ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა, უცებ კინალამ წაიქცა...

– ნება დამრთეთ, – გაისმა ვიღაცის ხმა და სანთელი აინთო. ერთ საშინელ, გულისამრევ მომენტში ელენას მოეჩვენა რომ ეს ტაილერი იყო. უცებ ის სანთებელა გაახსენდა სასაფლაოზე. ელენამ ბიჭის ხელები დაინახა, რომელიც აშკარად ტაილერის მსუქანი მუშტი არ იყო, ეს იყო ფერმკრთალი დახვეწილი თითები, რომელსაც შანდალი ეჭირა. და ახლა კიდევ ერთი წუთით სტეფანი ეგონა მაგრამ შემდეგ სტუმრის სახეს შეხედა.

– თქვენ! – გაიგიჟებულმა შეჰყვირა ელენამ. – თქვენ აქ რას აკეთებთ? – ელენამ შუშის კარებს შეხედა რომელიც ღია აღმოჩნდა. – თქვენ ყოველთვის დაპატიჟების გარეშე შედიხართ უცხო ადამიანების სახლებში?

– მაგრამ შენ მთხოვე მოგსულიყავი. – ხმა ზუსტად ისეთი იყო როგორც გოგონას ახსოვდა, მშვიდი, თავდაჯერებული და ირონიული. ელენას ის ღიმილიც კარგად ახსოვდა. – მადლობა, – დაამატა ახალგაზრდამ და ელენას მიერ გამზადებულ სკამზე დაჯდა. ელენამ ხელი მოაშორა.

– მე თქვენთვის არ მითხოვია მოსულიყავით. – შეეპასუხა გოგონა. დაბნეულმა და გაბრაზებულმა. – და თქვენ ბონის სახლის წინ რატომ დახეტიალობდით? ყმაწვილი გაიღიმა. მისი შავი, ზედმეტად რბილი და თხელი თმა სანთელის შუქს ირეკლავდა, როგორც შავი წყალი. მისი სახე ძალიან ფერკრთალი იყო, მაგრამ ასევე ენით აუწერელი. უცებ მან ელენას თვალებში შეხედა :

– ო, ელენა, შენი ნაზი სილამაზე, ზღვაში მოცურავე ნიცის ნავებს ჰგავს...

– მემგონი ჯობია წახვიდეთ, – ელენას მასთან ლაპარაკი აღარ სურდა. ელენას საკუთარი ხმა თავის სისუსტეს აგრძნობინებდა, თითქოს მუცელში რაღაც ღღვებოდა.

– თქვენ აქ არ უნდა იყოთ, გთხოვთ, წადით. ელენა სანლისკენ გაიწია, უნდოდა ხელში აეღო და ოთახიდან გასულიყო, თან ცდილობდა არ წაქცეულიყო, რადგან თავბრუ ძლიერ

ეხვეოდა. მაგრამ სანამ ელენა მოასწრებდა სანთლის ხელში ალებას მოხდა ძალიან ექსტრაორდინალური რამ. ბიჭმა გოგონას ხელი სწრაფად, მაგრამ არა უხეშად, ნაზად, თავის ცივ თითებს შორის მოაქცია. შემდეგ ხელი ფრთხილად მოაბრუნა და ხელის გულზე აკოცა.

– არ ღირს..– თქვა შოკში მყოფმა ელენამ.

–ჩემთან წამოდი, – უთხრა ბიჭმა და თვალებში ჩახედა.

– არ ღირს– გაიმეორა მან, მის გარშემო კი სამყარო ტრიალებდა.

სუფთა სიგიჟე. სად უნდა წასულიყო? რაზე ლაპარაკობდა? მაგრამ ელენა ისეთ თავბრუსხვევას, ისეთ სისუსტეს გრძნობდა...

ბიჭი სკამიდან წამოდგა, მაგრამ ელენას ხელი არ გაუშვია. გოგონა მისკენ გადაიხარა და იგრძნო როგორ შეეხო ის ცივი ხელები მისი პერანგის პირველ ღილს, ყელთან.

– გთხოვ, არა...

– ყველაფერი კარგად იქნება, თვითონ დარწმუნდები..– საყელო გაუხსნა, მეორე ხელით კი მის კისერს ეჭიდებოდა.

– არა!– უცებ ელენას ძალა დაუბრუნდა. – მე სერიოზულად გეუბნებით, წადით, ახლავე, გაეთრიეთ აქედან!

ბიჭს სახეზე გაბრაზება დაეტყო. ალბათ, მისგან მოდიოდა მუქარის ტალღები, მაგრამ მეორე წუთას მისი თვალები დაწყნარდა და გაცივდა. მის სახეზე ღიმილმა გაიელვა.

– მე წავალ– თქვა მან – ცოტახნით...

ელენას თავბრუ დაეხვა... ახალგაზრდა ყოველგვარი სიტყვების გარეშე მინის კარში გავიდა. როცა კარი, როგორც იქნა, მიეჯახუნა, გოგონა გაშეშდა, ცდილობდა როგორღაც ესუნთქა.

სიჩუმე... მაგრამ აქ ასეთი სიჩუმე არ უნდა ყოფილიყო. ელენამ საათს შეხედა, ის გაჩერებულიყო. მაგრამ ელენა მათ გარჩევას სანამ მოასწრებდაბონისა და მერიდიტის ხმა გაისმა. ელენა დერეფანში გავიდა, თან პერანგი გაისწორა და ყველა ღილი შეიკრა. უკანა ეზოს გარებთან ორი ფიგურა დაინახა.

– ბონი? მერიდიტ? რა მოხდა?

მხოლოდ მაშინ ელენა გოგონებს მიუახლოვდა, ბონიმ თვალები ასწია, რომელიც ცრემლებით იყო სავსე :

– აჰ, ელენა, ის მოკვდა.

შიშისგან გაყინულმა ელენამ, ბონის ფეხებთან მწოლარი სხეული დაინა, ეს ის ძალდი იყო, გაუნძრევლად იწვა, თვალები გახელილი ჰქონდა.

– ბონი... – ღრმად ჩაისუნთქა გოგონამ.

– ის მოხუცი იყო. – თქვა ცრემლებით ბონიმ. – მაგრამ არასდროს მიფიქრია რომ ასე მალე მოკვდებოდა, ჯერ კიდევ ახლახანს ყეფდა.

– მემგონი ჯობია სახლში შევიდეთ– თქვა მერიდიტმა.

ელენამ მას შეხედა და თავი დააქნია. ამ ღამეს სიბნელეში დარჩენა არ ღირდა. სახლში სულების გამოძახებაც არც ისე კარგი იდებოდა იყო. ახლა გოგონამ ეს კარგად იცოდა, თუმცა ვერ აცნობიერებდა რა მოხდა.

მაშინ ისინი მისაღებში შევიდნენ და ელენამ აღმოაჩინა რომ მისი დღიური დაიკარგა.

სტეფანი რბილ, როგორც ბარხატის, ირემის ყელს მოშორდა. ტყეში უამრავი ღამის ცხოველის ხმა ისმოდა. ბიჭი კი ვერ არკვევდა მაინც რა აწუხებდა. მისი ფიქრის ძალა გაიფანტა. სტეფანმა იგრძნო როგორც იწვოდნენ ცხოველის კუნთები სანამ ფეხზე წამოდგომას სცდილობდა.

–წადი, – თქვა მან, გაიღიმა და გაუშვა.

ცხოველი მაშინვე მარტივად ადგა და გაიქცა.

ასე რომ, სტეფანმა საკმარისი მიიღო. ფრთხილად ილოკავდა ტუჩებს. როგორც ყოველთვის მადის დაკმაყოფილების შემდეგ მას მგრძნობელობა დაუბრუნდა. ძნელი იყო შეჩერება. თავბრუს ხვევები, დაახლოებით ისეთი რამ რაც სასაფლაოზე დაემართა, არ განმეორებულა. მაგრამ ის მუდმისვ შიშში ცხოვრობდა.

სტეფანს კიდევ ერთი საშინელი შიში აწუხებდა : იქნებ ერთხელ შიმშილისთვის ვერ გაეძლო და მის მკლავებში უსიცოცხლო ელენას სხეული აღმოჩენილიყო, ორი წითელი ლაქით მის ყელზე და მისი გული სამუდამოდ გაჩერებულიყო. სწორედ ამის უნდა შეშინებოდა. სისხლის წყურვილი, განსხვავებული შიშებითა და სიამოვნებებით, ჯერ კიდევ გამოცანად რჩებოდა სტეფანისთვის. მიუხედავად იმისა რომ მასთან ერთად საუკუნეებია ცხოვრობს ჯერ კიდევ არ ესმის თუ რა არის ის. როგორც ადამიანს, იმაზე ფიქრი რომ ერთხელ ცოცხალი ადამიანის თბილი სისხლი მის ტუჩებს შეეხებოდა, გულისრევამდე მიჰყავდა, თუ რა თქმა უნდა ამის აღწერა ასე შეიძლებოდა.

მოკლედ, ვერანაირი სიტყვები აღწერდა იმ ღამეს... იმ ღამეს როცა კეტრინმა იგი გადააქცია. ამდენი წლის შემდეგაც კი მოგონებები ნათელი რჩებოდა. მაშინ სტეფანს ეძინა და კეტრინი ჩუმად, როგორც მოჩვენება ისე გამოჩნდა. დიახ სტეფანს ეძინა, მარტოს... მაშინ კეტრინს მხოლოდ თხელი ნაჭრის პერანგი ეცვა. ეს იმ დღის წინა ღამეს მოხდა, რომელიც თვითონ აირჩია თავისი არჩევანის გამოსაქვეყნებლად. თეთრი ხელთ საწოლის ფარდები გაწია. სტეფანს გამოეღვიძა და უცებ ლოგინზე წამოჯდა. მას შეეშინდა და უნდოდა რამე ერთვა, მაგრამ კეტრინმა ორი ცივი თითი ტუჩებზე მიადო :

– ჩუმათ, – ჩასჩურჩულა და გვერდზე მიუწვა. სტეფანის სახე კაშკაშა ალით იწვოდა.

აღზნებისგან და არეულ დარეულობისგან. მის საწოლში გოგონა არასდროს წოლილა. ეს კეტრინი იყო! კეტრინი, რომლის სილამაზე თითქოს ზეციდან იყო მოვლენილი. კეტრინი, რომელიც საკუთარ თავზე მეტად უყვარდა. ზუსტად სიყვარულის ძალით დაატანა თავს ძალა ეს გაეკეთებინა. მერე კეტრინი მასთან ისე ახლოს მივიდა, რომ სტეფანი მისი პერანგის სუნსაც გრძნობდა. შემდეგ როგორც იქნა ხმა ამოიღო.

– კეტრინ.. ჩვენ .. მე შემიძია დაგელოდო, სანამ დავქორწინდებით... მე მამაჩემს დაველაპარაკები და ყველაფერს ის მოაგვარებს... ყველაფერი... ძალიან ძალე იქნება...

– ჩუმათ – გაიმეორა მან, სტეფანმა აქ თავი ვეღარ შეიკავა და გოგონა თავის მკლავებში მოაქცია. – ახლა ჩვენ რასაც ვაკეთებთ ქორწილთან არანაირი კავშირირ არ აქვს – გოგონამ სტეფანს ყელზე თითები მოუსვა. იგივე ყველაფერს მიხვდა და უცებ შეეშინდა, მაგრამ გოგონას თითების შეხებამ ის გააქარწყლა. სტეფანს ეს უნდოდა, ყველაფერს იზამდა ოღონდ კეტრინთან ერთად დარჩენილიყო.

– სწნარად იწექი, საყვარელო – თქვა კეტრინმა,

საყვარელო" – ეს სიტყვა სტეფანში ჩაიძირა. როცა ბალიშს მიეყუდა, თან თავი ისე ჩაწია, რომ ყელი თავისუფლად გამოჩენილიყო. შიში სიხარულმა შეცვალა, რომელსა სტეფანი ძლიერ უფრთხილდებოდა, აღარც სუნთქვდა, შიშისგან რომ მას გაანადგურებდა.

კეტრინის თმები რბილად სრიალებდნენ მის მკერდზე. სტეფანმა გოგონას სუნთქვა ტუჩებთან, შემდეგ ყელთან იგრძნო, შემდეგ კი მისი კბილებიც შეიგრძნო.

ამას ძლიერი ტკივილი მოჰყვა, მაგრამ სტეფანი თავს აძლებდა წყნარად წოლილიყო, მხოლოდ კეტრინზე ფიქრობდა, როგორ სურდა მასთან ყოფნა. და თითქმის წამებში ტკივილი გაქრა, და სტეფანმა იგრძნო როგორ გადიოდა მისი სხეულიდან სისხლი. ყველაფერი არც ისე საშინლად გამოვიდა, როგორც მას ეშინოდა. გაჩნდა უფრო დაბრუნების გრძნობა, თითქოს მკურნალობდნენ.

შემდეგ მათი ფიქრები ერთმანეთს შეერწყა, ერთი გახდა. სტეფანს შეეძლო კეტრინის სიხარული, ბედნიერება შეეგრძნო, რაც თბილი სისხლის მიღებით იყო გამოწვეული, რომელიც მას სიცოცხლეს აძლევდა. მან ისიც იცოდა რომ კეტრინიც გრძნობდა მის აღფრთოვანებას, საპასუხო გრძნობას.

შემდეგ რეალობა ნელნელა გაქრა და ზღვარი რელობასა და სიზმარს შორის აღარ არსებობდა. სტეფანს ნორმალურად ფიქრი აღარ შეეძლო, სიმართლე გითხრათ, ფიქრი საერთოდ არ შეეძლო. მხოლოდ გრძნობდა როგორ აჰყავდა ცაში სპირალს, საბოლოოდ წყვეტდა კავშირს დედამიწასთან.

ცოტა ხანში სტეფანმა კეტრინის მკლავებში გაიღვიძა, თან არაფერი არ ახსოვდა. კეტრინი ღიღინებდა და სტეფანს თავი მის საყელოზე ჰქონდა მიღებული. იქ პატარა იარა იყო, გაჭრილი, რომელიც ძალიან გამოკვეთილად ჩანდა ღია ფონზე. სტეფანს არ უგვრძნია არც ნერვიულობა, არც ყოყმანი. როცა კეტრინმა მას ხელი გადაუსვა, სტეფანმა საყვარელი ქალის სისხლის სმა დაიწყო.

ცივი და მშვიდი სტეფანი ცდილობდა მუხლებიდან ჰუჭყი ჩამოებერტყა. სამყაროს ეძინა, ბინდში ჩაძირულს... ბიჭის გრძნობები ხმალივით ბასრი იყო. მას მოუწევდა კვალვ დანაყრება, რადგან მოგონებებმა მადა ძლიერ აღუძვრა. სტეფანის ნესტოები მელიის სუნს გრძნობდნენ და მან კვლავ დაიწყო

## თავი 12

ელენა დეიდა ჯუდიტის საძინებელში, სარკის წინ დინჯად ათვალიერებდა თავის თავს. მარგარეტი მასიური საწოლის ფეხებთან იჯდა და ცისფერი თვალები გაფართოებოდა აღტაცებისა და აღფრთოვანებისაგან.

– ნეტავ ასეთი კაზა მქონდეს თამაშისათვის `საფულე ან სიცოხცლე` - ამოიოხრა მან.

– მე კი თეთრი ფისოს ფორმაში უფრო მომწონხარ, – უთხრა ელენამ და პატარა დაიკოს ნაზად აკოცა ყურთან.

შემდეგ ის მიუბრუნდა დეიდას, რომელიც იდგა კართან და ნემსი და ძაფი ხელში მომარჯვებული ჰქონდა.

– უბრალოდ იდეალურია, – მადლიერებით თქვა ელენამ, – არაფრის შეცვლა არ არის საჭირო.

გოგონა, რომელიც ჩანდა სარკეში, თავისუფლად შეიძლება ყოფილიყო იტალიური რენესანსის ალბომის ფურცლებიდან. მისი ყელი და მხრები მოშიშვლებული იყო და მკვრივი ცისფერი ნაჭერი ყინულივით ეფინებოდა უწვრილეს წელს. გრძელი მკლავები ისე იყო ჩაჭრილი შუაში, რომ თეთრი აბრეშუმის პერანგი ჩანდა, ხოლო ფართო ქვედა ბოლო თითქმის იატაკს ეხებოდა. კაზა იყო უნაკლო და მშვენიერი, მისი ცისფერი ტონები კი ძალიან ამშვენებდა ელენას თვალების იასამნისფერ სილურჯეს.

გოგონას მზერა კომოდზე დადებულ ძველმოდურ საათზე შეჩერდა.

– ოჰ, არა.. უკვე თითქმის შვიდი საათია. სტეფანი შეიძლება ნებისმიერ წამს გამოჩნდეს.

– მაშინ ეს მისი მანქანაა, – ივარაუდა დეიდა ჯუდიტმა, თან ფანჯარაში გაიხედა. – წავალ მას მოვიწვევ სახლში.

– არა უშავს, – გამოეხმაურა ელენა, – მე თვითონ შევხვდები. ნახვამდის, და `საფულე თუ სიცოხცლე`-ს წარმატებულ თამაშს გისურვებთ. – და სწრაფად ჩავიდა კიბეზე.

`ან ახლა ან არასდროს` - გაიფიქრა ელენამ.

კარების სახელურისკენ რომ წაიღო ხელი, ელენას ეუცრად გაახსენდა ის დღე, როდესაც ევროპის ისტორიის გაკვეთილის შემდეგ, უკვე თითქმის ორი თვის წინ, ის სტეფანს გზაზე გადაეღობა. ახლა მას ისევ ის გრძნობები ამოდრავებდა, აღზნებულობა, დაძაბულობა და წარმოსახვა.

`იმედი მქავს ამჯერად ყველაფერი რიგზე იქნება, და არ მოხდება წინანდებურად`,- გაიფიქრა ელენამ.

ბოლო კვირანახევარი ელენა მხოლოდ ამ საღამოზე ფიქრობდა, მისი იმედები ამ მომენტისკენ იყო მიმართული. თუ კი ის და სტეფანი ამ საღამოს ვერგაუგებენ ერთმანეთს, მათ ერთად ყოფნას აზრი აღარ ექნება.

კარები გაიღო. ელენა გრძნობდა გადაულახავ უხერხულობას, მას ეშინოდა სტეფანის სახის დანახვა. მკვეთრი სუნთქვის ხმის გაგონებაზე ელენამ თავი მაღლა ასწია და გრძნობდა მისი გული როგორ იყინებოდა.

დიახ, სტეფანი გაოცებული შეჰყურებდა ელენას. მაგრამ ეს ის გახარებული ადამიანის გაოცებას არ ჰგავდა, ისეთს, პირველ შეხვედრაზე რომ ეტყობოდა სტეფანს.

- შენ არ მოგწონს?- ჩუმად წაილულლულა ვაჟის თვალებში გამოხატული ტკივილის გამო შემინებულმა ელენამ.

სტეფანმა ენერგიულად გაიქნია თავი, ცდილობდა დაეძლია პირველი შოკი:

- არა, არა, რას ამბობ, ეს კაბა მშვენიერია, შენ არაჩვეულებრივი ხარ.

- მაშინ რატომ დგახარ ისე, თითქოს მოჩვენება დაგენახოს? – გაიფიქრა ელენამ, \_ რატომ არ მომხვევი, არ მაკოცებ?

შენც არაჩვეულებრივად გამოიყურები, \_ ჩუმად ამოღერდა ელენამ.

და მართლაც, სტეფანი ბრწყინვალე იყო სმოკინგსა და ლაზადაში, რომელიც შეერჩია ვამპირის იმიჯისათვის. ელენას უკვირდა, რომ ის ასე ადვილად დათანხმდა ამ როლს. ეუცნაურა, როდესაც გოგონამ მას შესთავაზა ეს იდეა, სტეფანს თითქოს გაუხარდა კიდეც. და ახლა ის გამოიყურებდა ძალზე ელეგანტურად, იმდენად, რომ ეს ტანსაცმელი მისთვის უფრო მორგებული იყო, ვიდრე ყოველდღიური ჯინსი.

\_ჯობია წავიდეთ თორემ დავაგვიანებთ – სერიოზული გამომეტყველებით აღნიშნა სტეფანმა.

ელენა გაემართა მანქანისკენ, ვიდრე ისინი მიდიოდნენ სკოლისკენ, ელენა დროდა დრო ფანჯრიდან დაძაბული იყურებოდა. ღრუბელი ძალიან მუქი და სქელი ჩანდა, თუმცა წვიმა არ მოდიოდა. ჰაერი თითქოს ელექტრონებით იყო გაჯერებული, რაც არასასიამოვნო შეგრძნებას იწვევდა, ხოლო სქელი მოწითალო ღრუბლები ცას საშინელ იერს აძლევდა. მშვენიერი ატმოსფერო იყო ჰელოუინისთვის. შემაშინებელი და იდუმალი, თუმცა ელენაში ეს ყველაფერი მხოლოდ შიშის გრძნობას აღძრავდა. თითქოს იდეალური ატმოსფერო იყო ჰელოვინისთვის, ამოუცნობი და შემადრწუნებელი ამინდი, მაგრამ ელენას არსებაში ეს მხოლოდ შიშს იწვევდა. ბონის სახლში მომხდარი ღამის შემდეგ გოგონას აღარ იზიდავდა ზებუნებრივი და აავისმომასწავებელი ამბები.

მიუხედავად იმისა, რომ ბონიმ და მერედიტმა მთელი სახლი ყირაზე დააყენეს, დღიური მაინც ვერ იპოვეს. ელენა ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ დღიური, სადაც თავის ყველაზე საიდუმლო სურვილების შესახებ წერდა დაიკარგა და ველურ გრძნობებს აღუძრავდა იმის გაფიქრება, რომ მას ვიღაც უცნობი კითხულობდა. რასაკვირველია დღიური მოიპარეს – აბა სხვა რა უნდა ეფიქრა? იმ ღამეს ხომ არა ერთხელ გაიღო მაკკალლეგების კარები და სურვილის შემთხვევაში ნებისმიერს შეეძლო სახლში უჩუმრად შემოსვლა. ელენას უნდოდა მკაცრად ეძია შური იმისთვის, ვინც ეს იკადრა.

მუქი თვალები მას ხშირად ეჩვენებოდა ზმანებებში. ეს ის ყმაწვილი იყო, რომელსაც ელენა კინაღამ დანებდა ბონის სასადილო ოთახში, სწორედ ის, რომელმაც რაღაც დროით სტეფანი დაავიწყა. ნუთუ მან მოიპარა დღიური?

სკოლას მიუახლოვდნენ თუ არა ელენა სავარძლიდან წამოდგა. ნაძალადევი ღიმილით, სტეფანთან ერთად დერეფანში მიდიოდა. ფუზკულტურის დარბაზში ძნელად წარმოსადგენი ქაოსი ტრიალებდა. წინასგან განსხვავებით ყველაფერი შეცვლილიყო, მაშინ აქ უფროსკლასელები ირეოდნენ: მოსწავლეთა საბჭოს მონაწილენი, ფეხბურთელები, კლუბ `გასადები`-ს წევრები და დეკორაციებსა და რეკვიზიტებზე ბოლო შტრიხებს აწესრიგებდნენ. ახლა აქ ირეოდა ბევრი ხალხი, უცნობი თუ ნაცნობი.

როდესაც ელენა შევიდა დარბაზში მისკენ რამდენიმე ზომბი მოიხედა. დამცინავი სახეების ვერ მალავდა მათ სულიერ ხრწნას. შემდეგ მასთან შემოაბიჯა გროტესკულად



დაგრეხილმა კუზიანმა, მის უკან კი მიცვალებულივით გაფითრებული კანი და ჩავარდნილი თვალებით ცოცხალი მიცვალებული მოდიოდა. მეორე მხრიდან მასთან მოიპარა მგელი-მოჩვენება, რომელსაც ხახა სისხლით ჰქონდა მოსვრილი, მგელს კი ძალიან თეატრალურად გამოწყობილი კუდიანი დედაბერი მოსდევდა.

უეცრად ელენა მიხვდა, რომ ის ვერაფრით ვერ იცნობდა ამ სიმახინჯეებს საკარნავალო კოსტუმებში. ისინი ირეოდნენ მის ირგვლივ, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ელენას ყინულისფერ-მოცისფრო კაბით, და არ ასვენებნენ წვრილმანი პრობლემებით, რომლებიც უკვე წამოჭრილიყო. ელენამ აიქნია ხელი, მოუწოდა ყველას სიჩუმისკენ და მიმართა კუდიან დედაბერს, რომლის გრძელი მუქი ფერის ძვირფასი თმა ძალიან უხდებოდა შემოტმასნულ შავ კაბას.

\_ რაშია საქმე მერიდიტ? – იკითხა მან.

\_ მწვრთნელი ლამანი ავად გახდა, \_ მკაცრად მოახსენა მერიდიტმა – და ვილაცამ უზრუნველყო მისი ტანერით შეცვლა.

\_ მისტერ ტანერი! – ელენა გაოგნდა

\_ დიახ, და მან უკვე შეგვიქმნა არა ერთი პრობლემა. საწყალი ბონი, მიეზლო სიკეთისთვის. ჯობია იქითკენ წახვიდე.

ელენამ ამოიოხრა და შემდეგ გაიარა იმ მარშრუტით, სადაც იყო მოჩვენებებით სავსე სახლი. ხოლო როდესაც გაიარა საწამებელი საკანი და საშინელი კაბინეტი აწყვეტილი ავაზაკის, იფიქრა, რომ ეს ატრაქციონები ყველაფერი კარგად იყო მოწყობილი. შუქზეც კი ყველაფერი ნატურალურად გამოიყურებოდა.

გასასვლელთან ახლოს დრუიდების დარბაზში კონსტრუირებული იყო კარტონის სტოუნხეჯი. დრუიდების თეთრ მანტიაში გამოწყობილი პატარა და მომხიბლავი ქალბატონი, ხელში მუხის ფოთლების გვირგვინით, საკმაოდ რეალურად მდგარი მონოლითები ფონზე, თითქმის აცრემლებულიყო.

- თქვენ ხომ უნდა იცლებოდეთ სისხლისგან – თხოვნით ამბობდა ის. – ეს ხომ დეკორაციების ნაწილია, თქვენ მსხვერპლი ხართ.

- ჩემგან საკმარისია ეს უაზრო ტანსაცმელი, \_ მოკლედ პასუხობდა მისტერ ტანერი, \_ ჩემთვის არავის უცნობია, რომ ტავიდან ფეხებამდე სიროპში გამთხვრიდნენ.

- რეალურად ის თქვენ არც კი მოგეკრობათ, -არწმუნებდა გესლიან მასწავლებელს ბონი, - სიროპი მხოლოდ ტანსაცმელზე იქნება, თქვენ მსხვერპლი ხართ, \_ ისეთი სახით ამბობდა, თითქოს ეს სიტყვა ტანერს დაარწმუნებდა.

- \_ რაც შეეხება მთელ ამ დეკორაციას, \_ ზიზღით წარმოთქვა მისტერ ტანერმა, \_ მისი ნამდვილობა ძალზე სათუთაა. დიახ, დიახ ძალიან! არსებული პოპულარული მრწამსის საწინააღმდეგოდ, დრუიდები საერთოდ არ აგებდნენ სტოუნხეჯებს, პირიქით, ის წარმოიშვა სპილენძის საუკუნეში, რომელიც...

ელენა გაბედულად გამოვიდა წინ

\_ გაიგეთ მისტერ ტანერ, საქმე ამაში სულაც არ არის

- თქვენთვის შეიძლება ასეცაა, - გააპროტესტა მასწავლებელმა, \_ ამიტომაც რომ თქვენ თქვენს ნერვიულ მეგობართან ერთად ისტორიის ბაიბურში არა ხართ.

- აი ეს ნამდვილად არ წარმოადგენს აუცილებლობას, \_ წარმოტკვა ვირაცის ხმამ და ელენამ დაინახა შტეფანი.

მისტერ სალვატორე, \_ ისეთი ტონით წარმოთქვა ტანერმა, თითქოს ზეიმის დადსრული ყოფილიყოს, \_ ვიმედოვნებ, თქვენ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ახალი და საოცარად ბრძნული ჭეშმარიტებანი? თუ უბრალოდ ფიქრობთ მითავაზოთ? \_ ისტორის მასწავლებლის მხერა მიმართულიყო სტეფანისკენ, რომელიც ძალიან ელეგანტური იყო იდეალურად შეკერილ სმოკინგში. უეცრად ელენას გონება გაუნათდა.

< სინამდვილეში ტანერი ჩვენზე ცოტათი დიდია, გაიფიქრა გოგონამ, \_ უბრალოდ ის ცოტათი დიდი ჩანს თითქმის გამელოტებული თავის გამო, თუმცა თავს ვლებ, რომ ის 30 წლისაც არ არის. >

მერე ელენას რატომღაც გაახსენდა როგორ საშინაოდ გამოიყურებოდა ტანერი გამოსაშვები კლასის შეხვედრაზე, თავის იაფფასიან კოსტუმში.

< დარწმუნებული ვარ – გაიფიქრა გოგონამ – ის არასდროს ყოფილა გამოსაშვები საღამოსთვის მიძღვნილ წვეულებაზე. >

და პრიველად იგრძნო რაღაც სიმაპატიის მაგვარი სულელური ისტორიკოსის მიმართ. სიტუაციიდან გამომდინარე, სტეფანიც რაღაც ამდაგვარს გრძნობდა, მისი ხმა ისევ მშვიდი და შეკავებული იყო:

\_ არა არ ვგეგმავ. მე ვფიქრობ, რომ ამ საქმეში გარკვეული პროპორციებია დარღვეული, ჩვენ რატომ არ... – და ამის შემდეგ ელენამ ველარაფერი გაიგო. ან სტეფანმა კიდევ უფრო ხმადაბლა თქვა რაღაც, მშვიდი ტონით, და მისტერ ტენერმა, როგორც ჩანს მას დაუგდო ყური.

გოგონა ბრბოსკენ შებრუნდა, რომელიც მის ზურგსუკან შეგროვებულიყო: 5-6 სისხლისმწოველი არსება, მაქციები და გორილა.

\_ სიმშვიდეა, ყველაფერს ვაკონტროლებთ – უთხრა მან ამ “არსებებს” და ისინიც სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ.

გაურკვეველი ძალით სტეფანმა შეძლო სიტუაციის მოგვარება, მაგრამ ელენა ახლა მხოლოდ მის კეფას ხედავდა და არ ესმოდა ის რას ლაპარაკობდა.

კეფა... რაღაც მომენტში არასასიამოვნო გამოსახულება ამოტივტივდა მის გონებაში. პირველი დღე სკოლაში. სტეფანი დგას კანცელარიაში, ელაპარაკება მდივანს – მისის კლარკს. მისის კლარკი მაშინ ძალიან უცნაურად მოიქცა, ახლა როცა ელენა მისტერ ტენერს უყურებდა, მან შეამჩნია, რომ მის სახეზე ისეთივე გაცემა იყო არბეჭდილი. ელენა მოულოდნელად ანერვიულდა.

\_ წავედით – უთხრა მან ბონის – წამოდი წინ წავედით.

ისინი გავიდნენ უცხოპლანეტელების კუთხიბ, შემდეგ ცოცხალი მიცვალებულების ადგილი გაიარეს. საბოლოოდ ისინი აღმოჩნდნენ ყველაზე პირველ ოთახში, სადაც სტუმრები შედიოდნენ და მათ მაქცია ესალმებოდა.

ელენა იძულებული იყო ეღიარებინა, რომ კეროლანის სულაც არ გამოიყურება ცუდად კლეოპატრას როლში. შესანიშნავი ნაკვთები მისი ბრინჯაოს სხეულის, ლამაზად ჩანდა და ხაზს უსვამდა მას კაბაც და არც იყო გასაკვირი, რომ მეტის თვალების გოგონას სხეულს მიშტერებოდა.

\_ როგორ ხარ? – მატყუარა სიმშვიდით კითხა ელენამ.

მეტი ნელა შემოტრილდა ელენასა და ბონისკენ. ელენას არ უნახია ის უფროსკლასელებისთვის მიძღვნილი საღამოს შემდეგ, მაგრამ იცოდა, რომ მასსა და

სტეფანს შორის უთანხმოება მოხდა, მის გამო. მიუხედავად იმის, რომ მეტის ამ საკიტხში დადანაშაულება ძნელი იყო, ელენა ხვდებოდა თუ როგორი მტკივნეული იყო ეს ყველაფერი სტეფანისთვის.

– ყველაფერი მშვენივრადაა – უთხრა გაკვირვებულმა მეტმა.

– როცა სტეფანი მისტერ ტენერთან დაამტავრებს ლაპარაკს მე მას აქ გამოვუშვებ. – თქვა ელენამ – მგონი ის შეძლებს მეტი ხალხის მოზიდვას.

მეტმა უინტერესოდ აიცეჩა მხრები.

– რას ელაპარაკება ტანერს? – კითხა მან.

ელენამ გაკვირვებულმა შეხედა ძველ მეგობარს.

გარედან ისევ გაისმა ხმაური და ელენამ გარკვევიდ დაინახა ლამის ცაზე ელვა. რამდენიმე წუთის შემდეგ, უფრო მძაფრი გრუხუნის ხმა.

– ვიმედოვნებ წვიმა მაინც არ იქნება – თქვა ბონიმ.

– ხო – თქვა კეროლანმა, რომელმაც არ თქვა არცერთი სიტყვა, სანამ ელენა

ელაპარაკებოდა მეტს. – ცუდი იქნება თუ არავინ მოვა.

ელენა სწრაფად შერუნდა კეროლანისკენ და მის კატისებურ თვალებში უზომო სიძულვილი შეამჩნია.

– მომისმინე კეროლან, ნუთუ არ შეიძლება ჩაითვალოს რომ ჩვენ გასწორებულები ვართ?

ნუთუ არ შეიძლება დავივიწყოთ ის რაც მოხდა და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ?

რაც მომენტში კეროლანის თვალები გაოცებისგან გაფართოვდნენ, მერე კი ისევ დაწვრილდნენ მან ელენასკენ გადაგდა ნაბიჯი.

– მე არასდროს დავივიწყებ ამას – ჩაიჩურჩულა მან შებრუნდა და წავიდა.

საჩუმემ დაისადგურა. ბონი და მეტი უყურებდნენ იატაკს. ელენა მივიდა შესასვლელ კარებთან, რომ ცივ ნიავს მისი ლოყები გაეგრილებინა. გარეთ მან დაინახა ფეხბურთის მოედანი და მუხის ხეები მის უკან. ის ისევ სავსე იყო უცნაური წინათრგმნობის შეგრძნებით.

~ დღეს სწორედ ის ღამეა, ~ სევდით გაიფიქრა ელენამ, ~ დღეს ღამეა როცა ყველაფერი მოხდება ~

მაგრამ კონკრეტულად რა უნდა მომხდარიყო, მან არ იცოდა.

გალამაზებულ ფიზკულტურის დარბაზში ვიღაცის ხმამაღალი ხმა გაისმა:

– ყველაფერი რიგზეა. რიგი ავტობუსის გაჩერებაზე დაიდრა ედ., ჩააქრე შუქი ~ - უცრად დაბნელდა, ჰაერში გაისმა კვნესა და მანიაკალური ხარხარი, თითქოს ინსტრუმენტებს ჯოჯოხეთის ორკესტრი აწყობდა.

ელენა ამოოხვრით შებრუნდა მეგობრისკენ.

– მოემზადე სტუმრების შიგნით შესაყვანად, - მისცა განკარგულება ბონის.

მან თავი დაუქნია და სიბნელეში გაქრა. მეტ-მოჩვენება მივიდა მაგნიტოფონთან და საერთო ღრიანცელს დაემატა ავისმომასწავებელი მუსიკის ხმა.

კუთხიდან გამოვიდა სტეფანი, მისი თმა და ტანსაცმელი ერწყმოდა სიბნელეს. ცხადად მხოლოდ თეთრი პერანგი ჩანდა.

- ტანერთან ყველაფერი მოგვარდა, ~ განაცხადა მან, ~ კიდევ რით შემიძლია დავკავდე?

- ~ საერთოდ შენ შეგიძლია აქ წაიმუშაო მეტთან ერთად, დაპატიჟო ხალხი

შესასვლელთან. აქ ელენა შეჩერდა. მეტი მეტს თავი არ აუწევია, ის მაგნიტოფონის ხმას

არეგულირებდა. ელენამ შეხედა სტეფანს და დაინახა, რომ მას მშვიდი სახე დაძაბვოდა.-  
ან შეგიძლია ვაჟების გასახდელში შეხვიდე და პერსონალისთვის ყავასა და  
ბუტერბროტებზე იზრუნო. – დალლილად დაასრულა ელენამ.

\_ მე წავალ გასახდელში, \_ გადაწყვიტა სტეფანმა.

სანამ ის შებრუნდა წასასვლელად, ელენამ შენიშნა რომ მას დამაჯერებლობა აკლდა:

- სტეფან, ყველაფერი რიგზეა?

- ყველაფერი კარგადაა, \_ უპასუხა მან, ცდილობდა ალედგინა წონასწორობა, \_ ცოტატი  
დავიღალე, ესაა და ეს. ელენა აკვირდებოდა გასახდელისკენ მიმავალ სტეფანს და გულზე  
სევდა ემატებოდა.

მაშინ ის მეტისკენ შებრუნდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს შემომსვლელების  
ჯაჭვი გაჩნდა კარებთან.

\_წარმოდგენა იწყება – თქვა მეტმა და ნილაბი გაიკეთა.

ელენა ლაბირინთში მოძრაობდა, გზად კი პრობლემებს აგვარებდა. გასულ წელებში ელენა  
ამ საქმით ყველაზე მეტად იხიბლებოდა, ყურადღებას აქცევდა საშიში სცენების  
განვითარებას და სტუმრების შეშინებული სახეების ყურებას, მაგრამ ამ ჯერად ის  
დამაბული იყო, მას ეშინოდა და ეს შიში არ ტოვებდა მას.

<დღეს ის ღამეა> - ისევ გაიფიქრა ელენამ და გული გაეყინა.

მოხუცმა ნაწნავით - ყოველ შემთხვევაში ასე აღიქმებოდა კუზიანი ტანი კაპიშონიან  
ლაბადაში, \_ გაიარა და ელენა დაფიქრდა, ხო მარ ენახა ეს მოხუცი წინა ჰელოვინებზე.  
მოხუცის მოძრაობები გოგონას ძალიან ეცნო.

ბონიმ პასუხად გაუღიმა მაღალ და ტანად კუდიან დედაბერს, რომელიც სტუმრებს  
ეპატოებოდა ობობების სამყოფელში. ბავშვები ხმამამღლა ყვიროდნენ და მთელი ეს  
აურზაური დისკომფორტს ქმნიდა. ბონი ყველას აჩქარებდა დრუიდების დარბაზისკენ,  
სადაც შუქის სხივები ქმიდა სიზმრის ეფექტს. შუბშეკრული შეხვდა თავის ტრიუმფს ბონი,  
როდესაც დაინახა, რომ მისტერ ტანერის თეთრი ტანსაცმელი სისხლით მოსვრილიყო,  
ხოლო მისი თვალები ჭერს მიშტერებოდა,

\_ მაგარიაა! წამოიყვირა ერთმა ბიჭმა ტანერის დანახვაზე

ბონი გვერდზე გადაა, რათა დაენახა სისხლიანი მსხვერპლი როგორ წამოდგებოდა და  
შეაშინებდა ვაჟს. თუმცა მისტერ ტანერი მაშინაც კი არ ამდგარა, როდესაც ბიჭმა მის  
თავთან ხელი ჩაყო სისხლის გუბეში.

ძალზე უცნაურია, - გაიფიქრა ბონიმ, და ნაჩქარევად შეაჩერა სკოლის მოსწავლე, რათა  
მას მსხვერპლისთვის დანა არ აეცალა.

- არ გაბედო, - წამოიყვირა მან და ბიჭს გაუშეშდა გასისხლიანებული ხელი.

ბონის მოეჩვენა რომ ბიჭის ხელი ძალიან წიტელი იყო. და უეცრად ირაციონალური შიში  
იგრძნო, რომ მისტერ ტანერი ესევე დარჩებოდა მწოლიარე, სანამ გოგონა არ აიზულეებს მას  
ადგომას. მაგრამ ისტორიის მასწავლებელი უბრალოდ ჭერს მიშტერებოდა.

- მისტერ ტანერ კარგად ხართ? მისტერ ტანერ, მისტერ ტანერ!

არც ხმა და არც რაიმე შესტი. ფართო თეთრი თვალები გაშტერებოდა.

`ხელი არ ახლო მას, - უეცრად და დაჟინებით ბონის მოესმა ხმა, \_ ხელი არ ახლო, ხელი  
არ ახლო..

ნათურების შუქის ფონზე გოგონამ დაინახა, როგორ წაიღო ხელები წინ და ჩააფრინდა მისტერ ტანერს მხრებში, ანჯღრევდა, ხოლო მასწავლებლის თავი უსიცოხცლოდ უკან გადაუბრუნდა. შემდეგ ბონიმ დაინახა მისი ყელი.

და მან ველურივით დაიკვილა.

ელენამ გაიგონა ყვირილი – ხანგრძლივი, ხმამაღალი და განწირული და მაშინათვე მიხვდა, რომ მოჩვენებათა სახლში არ ხუმრობოდნენ.

ამას მოყვა კომმარა.

სირბილით მისული დრუიდების დარბაზამდე ელენას წარმოუდგა ნამდვილი, ცოცხალი სურათი, მაგრამ არა ისეთი, რომელსაც ვიზიტორებისთვის ამზადებენ. ბონი განწირული ყვიროდა, მერედიტს მას მხრებზე შემოხვეოდა. ზოგი ცდილობდა იქ შეღწევას, ზოგს პირიქით, გამოსვლა სურდა. მისტერ ტანერი ღონემიხდილი ეგდო ქვის საკურთხეველთან, სახე კი..

ის მკვდარია! – სლუკუნებდა ბონი, სანამ მისი სლუკუნი გარდაიქმნა სიტყვებად, – ღმერთო, სისიხლი ნამდვილია, ის მკვდარია. ელენა მე მას შევეხე და ის გარდაცვლილია, გარდაცვლილი.

ხალხი მივარდა კარს. ვირაცამ იყვირა და შემდეგ ეს ყვირილი სხვებმაც აიტაცეს, ყვიროდნენ და ცდილობდნენ სწრაფად დაეტოვებინათ იქაურობა და ამ პანიკაში ერთმანეთს ჭყლეტდნენ.

- ჩართეთ შუქი! – დაიძახა ელენამ და მიხვდა რომ მისი ხმა სხვებმა ცაახშეს. – მერედიტ, სწრაფად მიდი ტელეფონთან და გამოიძახე სასწრაფო დახმარება და პოლიცია.

ბოლოსდაბოლოს ჩართეთ შუქი!

როდესაც შუქმა უეცრად გაანათა, ელენამ მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა ისეთი ვინც სიტუაციის მართვას შეძლებდა. ელენა დამაბული ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო, ის თითქოს ციებ-ცხელებას შეეპყრო და სხეული ყინულივით გაუცივდა. ხოლო ნაწილობრივ თიტქოს დამუნჯდა შიშისაგან. მისტერ ტანერ. დიახ, ის გოგონას არასოდეს მოსწონდა, და ამის გამო ახლა ეს ყველაფერი უფრო საშინელი ხდებოდა.

- გაიყვანეთ აქედან ბავშვები! - თქვა ელენამ – მხოლოდ პერსონალი დარჩეს!

- არა! დახურეთ კარები! არავის მისცეთ უფლება შენობიდან გავიდეს მანამ სანამ არმ ოვა პოლიცია! – თქვა ერთერთმა მაქციამ, რომელიც იხსნიდა ნიღაბს.

ელენა გაცეცხული შებრუნდა და დაინახა, რომ ეს ტაილერ სმოლვეუდი იყო. ტაილერს უფლება მისეცეს სკოლაში დაბრუნებულიყო მარტო ამ კვირაში, მის სხეულზე ისევ ჩანდა სტეფანის დატოვებული კვალი. მის ხმაში ავტორიტე გამოიკრთებოდა და გოგონამ შეამცნია როგორ კეტავდნენ კარებს.

დაახლოებით ათი კაცი იდგა სტოუნდხედთან, მაგრამ მხოლოდ ერთი ამოიცნო ელენამ მათში, რომელიც ეხმარებოდა მოჩვენებათა სახლის ორგანიზებაში. დანარჩენები იყვნენ მოსწავლეები სხვა კლასებიდან, მისთვის არც ისე ცნობილი. ერთერთი მათგანი, რომელიც მეკობრის ფორმაში იყო გამოწყობილი, ტაილერს მიმართა:

\_შენ გინდა თქვა, რომ... შენ ფიქრობ, რომ ვინც ეს ცაიდინა ჯერ კიდევ აქაა?

\_სწორია! ვინც ეს ცაიდინა ჯერ კიდევ აქაა. – ხმამაღლა უთხრა ტაილერმა.

მის ხმაში გაურკვეველი აღზნება იგრძნობოდა, თითქოს ის სიამოვნებას ირებდა ამ სიტუაციით. მერე ხელი შეახო დაღვრილი სისხლის გუბეს:

\_სისხლი ჯერ კიდევ არ შედედებულა, მკვლელობა რამდენიმე წუთის წინ მოხდა და შეხედეთ როგორაა გადაჭრილია მისი ყელი. მკვლელმა ეს გამოიყენა – მან მიუთითა დანაზე.

\_ესეიგი მკვლელი აქაა – შეშინებულმა წამოიყვირა გოგონამ

\_და ძნელი არაა მივხვდეთ ეს ვინ ჩაიდინა! – განახცხადა ტაილერმა – ალბათ ეს ისაა ვინ ვერ იტანდა ტენერს, ის ვისაც მუდმივად უთანხმოება აკავშირებდა ტანერთან, ის ვინც მას ეკამატებოდა, ზუსტად ისე როგორც ამ ღამეს, მე დავინახე!

<ესეიგი ამ ოთახში მაქცია შენ იყავი – გაიფიქრა ელენამ – მაგრამ რას აკეთებდა ტაილერი აქ ის ხო მარ შედის კომიტეტის წევრთა სიაში>

\_ის ვინც ძალადობის მომხრეა – აგრძელებდა ტაილერი – ის ვინც არანორმალური ფსიქოფატია! ის ვინც ფელს-ჩერჩში მკვლელობების ჩასადენად ჩამოვიდა!

\_ტაილერ რას ბოდავ? – კითხრა მოთმინება დაკარგულმა ელენამ. – მგონი შეიშალე! ტაილერმა ხელი კრა ელენას ისე რომ ზედაც არ შეუხედავს.

\_ ასე ამბობს მისი მეგობარი გოგონა, მაგრამ შესაძლოა ის ცოტათი მიკერძოებულია!

- ტაილერ, იქნებ შენ ხარ ცოტათი მიკერძოებული? –ხმა მასებიდან გაისმა და ელენამ ელენამ კიდევ ერთი მაქცია შენიშნა, რომელიც გზას იკვლევდა ამ მასაში.

ეს მეტი იყო.

\_ მე? მართლა? და შენ უბრალოდ რატომ არ მოყვები ყველაფერს რაც იცი სტეფან სალვატორეზე? წარმოშობით სადაურია? სად არის მისი ოჯახი? საიდან მას ამდენი ფული?

- ტაილერი ოდნავ შემობრუნდა და შეკრებილებს მიმართა: იქნებ ვინმემ იცით რამე მის შესახებ?

ყველა ერთხმად დაეთანხმა. ელენა ნათლად ხედავდა უნდობლობას მათ სახეებზე. უნდობლობას რაღაც ამოუცნობისა და განსხვავებულისადმი. შტეფანი კი ნამდვილად განსახვავებული იყო. ის უცხოელი იყო და ახლა მათ სწორედ განტევების ვაცი ჭირდებოდათ.

\_ ჩემამდე მოვიდა ჭორი, \_ დაიწყო გოგონამ კიძანოში.

\_ სწორედაც! ჭორები ჩვენ ყველამ ვიცით, \_ წამოიძახა ტაილერმა, \_ მაგრამ მის შესახებ არავინ არაფერი იცის. თუმცა ერთი რამ მე ვიცი ზუსტად. თავდასხმა ადამიანებზე დაიწყო სწავლის დაწყების პირველივე კვირას, მაშინათვე როგორც კი სტეფან სალვატორე გამოჩნდა.

ირგვლივ ყველა ჩურჩულებდა და ელენა შეშფოთებით მიხვდა მარტივ ჭეშმარიტებას. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი სასაცილო იყო. უბრალოდ დამთხვევა. თუმცა ტაილერი წმინდა წყლის სიმართლეს ამბობდა. თავდასხმები დაიწყო მაშინ, როცა შტეფანი გამოჩნდა.

\_ და მე თქვენ კიდევ რაღაცას გეტყვით!- დაიყვირა ტაილერმა, და ხელის მოძრაობით ყველას სიჩუმისკენ მოუწოდა, \_ თქვენ მხოლოდ მოისმინეთ, კიდევ რაღაცას გეტყვით! – მან არ განაგრძო სანამ ყველამ არ შეხედა, მერე კი ნელა შთაბეჭდილების მომხდენი ხმით თქვა: - სტეფან სალვატორი იყო სასაფლაოზე იმ ღამეს როცა ვიკი ბენეტს თავს დაესხნენ.

\_რა თქმა უნდა ის სასაფლაოზე იყო, შენს სხეულს ეს ახლაც ეტყობა – აღნიშნა მეტმა, მაგრამ მის სიტყვებს აკლდა დამაჯერებლობა.

ამ სიტყვებს ჩაეჭიდა და ტაილერმა განგრძო:

\_ხო და მან კინაღამ მომკლა მე. დღეს კი ვიღაცამ ნამდვილად მოკლა ტენერი. არ ვიცი თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ ჩემი აზრით ეს შტეფან სალვატორმა ცაიდინა. მე ვფიქრობ რომ ის მკვლეელია.

\_კი მაგრამ სად არის ის ახლა? – იკითხა ვიღაცამ მასიდან.

ტაილერმა მიმოიხედა.

\_თუ მან ეს ჩაიდინა ის სადღაც აქ უნდა იყოს – თქვა მან – მოდით მოვძებნოთ.

\_სტეფანს მსგავსი არაფერი გაუკეთებია! ტაილერ შენ უბრალოდ... – დაიყვირა ელენამ, მაგრამ ვერ გადაფარა ბრბოს ხმაური.

ტაილერის სიტყვებმა ყველას მოქმედებისკენ მოუწოდა.

<მოვძებნოთ ის... მოვძებნოთ.. მოვძებნოთ...>

ელენას ესმოდა როგორ გადაეცემოდა ერთიმეორეს მიყოლებით ტაილერის მბრძანებლური მოთხოვნა. ალბა ყველას სახეზე უნდობლობა აღბეჭდვოდა, ელენა მათ სახეებზე ხედავდა გაცოფებას და შურისძიების წყურვილს. ბრბო უკონტროლო იყო.

\_სად არის ის ელენა? – იკითხა ტაილერმა და გოგონამ გარკვევით დაინახა თუ როგორი გამარჯვების სიხარულით აღვსოდა მას მზერა.

ის აშკარად ამ ყველაფრით სიამოვნებას იღებდა.

\_არ ვიცი – გაცოფებულმა უთხრა ელენამ, იმის სურვილით, რომ მისთვის დაერთყა.

\_ის აქ უნდა იყოს! მოვძებნოთ! – იყვირა ვიღაცამ და შემდეგ ერთდროულად დაიძრნენ.

ელენას გული გამალებით ძგერდა. სკოლელები აღშფოთებულ ბრბოდ იქცნენ და ელენას ეშინოდა იმის რისი გაკეთებაც შეეძლო ამ ბრბოს სტეფანის წინააღმდეგ თუ ისინი მას ხელთ მოგიდნებდნენ. მეორე მხრივ, სტეფანის გაფრთხილების მცდელობისას, ის ტაილერს პირდაპირ მასთან მიიყვანს.

ელენამ უიმედოდ მიმოიხედა, ბონი ჯერ კიდევ გაქვავებული უყურებდა მკვდარ სახეს, ელენამ მთელი იმედი დაჟინებულ მზერაში ჩააქსოვა.

<გთხოვს მეტ, - გაიფიქრა მან – შენ ხომ მე დამიჯერებ, შენ ხომ იცი რომ ეს ტყუილია.>

თუმცა ბიჭის თვალებში აშკარა დაბნეულობა ამოიკითხებოდა.

<გთხოვ – გაიფიქრა ელენამ დამაჟინებლად ჩამყურე ამ ცისფერ თვალებში, უნდოდა რომ მეტს მისი გაეგო – გთხოვ მეტ, მხოლოდ შენ შეგიძლია მისი გადარჩენა. გთხოვ, მიუხედავად იმისა რომ შენ Eწვი გეპარება, სცადე მე დამიჯერეო... გთხოვ...>

და ის დამშვიდდა რადგან დაინახა როგორ იცვლებოდა მეტის მზერა, ეჭვი ქრებოდა და ის ადგილს უთმობდა გადაწყვეტილებას. ბიჭი კიდევ უყურებდა ცოტა ხნას ელენას, ბურღავდა თვალებით, მერე კი თავი დაუქნია. როგორც იქნა ის შეტრილდა და გაქრა აბობოქრებულ ბრბოში.

მეტი ენერგიულად არღვევდა ბრბოს სანამ არ მიარწია ფიზკულტურის დარბაზის მეორე ბოლოში. იქ კართან ბიჭების გასახდელთან, იდგნენ ვიღაც ახლები. მეტმა მათ ყურადღება გაუფანტა, გამოსაცვლელის

კარი გააღო და იქ შევიდა.

იქ მეტმა სწრაფად მიმოიხედა, ისე რომ მისი ხმა არ გაეგონათ.

<თუ იმაზე წავიდა – გაიფიქრა მან – სტეფანი გაიგებდა ხმაურს ფიზკულტურის დარბაზში, ალბატ უკვე გაიქცა.>

მაგრამ შემდეგ თეთრ მეტლახზე შეამჩნია შავი ფიგურა.

\_სტეფან! რა მოხდა? – რაღაც შემადრწუნებელი წამის განლავლობაში მეტმა გაიფიქრა, რომ მის წინ კიდეც ერთი მკვდარია.

მაგრამ სტეფანთან დახრილმა შეამჩნია, რომ ის ინძრეოდა.

\_ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ ჩამოჯექი... აი ასე... ყველაფერი რიგზეა?

\_კი – გამოეხმაურა სტეფანი. თუმცა ერთი შეხედვით ის არ იყო კარგად. მისი სახე იყო მკვდარივით თეთრი, გუგები კი გაფართოებოდა. სტეფანი არ იყო კარგად და არც კარგ ფორმაში იყო.

– მადლობთ – მადლობა მოუხადა მეტს.

\_შეგიძლია ცოტა ხანი დამივიწყო, მომისმინე სტეფან შენ აქედან უნდა წახვიდე, გესმის? გეძებენ.

სტეფანი ფიზკულურის დარბაზისკენ შებრუნდა, თითქოს იქაურობას ყურს უგდებდა, ვერაფერი გაარკვია და ისევ მეტისკენ შებრუნდა:

\_ვინ მეძებს და რატომ?

\_ყველა. არა აქვს მნიშვნელობა რატომ, ახლა მხოლოდ ისაა მტავარი, რომ აქაურობას უნდა მოშორდე, მანამ სანამ ისინი მოგაკითხავენ. – იქიდან გამომდინარე რომ სტეფანი აგრძელებდა გაკრვირვებული სახიტ ყოფნას, მეტმა დაამატა: კიდეც ერთი თავდასხმა მოხდა, ამჯერად ტენერს დაესხნენ თავს, ის მკვდარია სტეფან და ყველა ფიქრობს, რომ ის შენ მოკალი.

ახლა სტეფანი მიხვდა როგორც იქნა რაშია იყო საქმე. სტეფანის სახის გამომეტყველებამ მეტი საკმაოდ დააფრთხო. მან მკლავებში ჩაავლო ხელი და მაგრად შეანჯღრია.

\_მე ვიცი რომ ეს შენ არ ჩაგიდენია – დაარწმუნა მეტმა სტეფანი – დანარცენებიც გაიგებენ ამას, მაგრამ ახლა ჯობია აქედან წახვიდე.

\_წავიდე... კარგი.. – თქვა სტეფანმა როგორც ცანს ის დაუბრუნდა თავის თავს. – მე აქედან წავალ...

\_სტეფან...

\_მეტ...- მწვანე თვალებში შავი ალი გიზგიზებდა და მეტი უცებ მიხვდა, რომ არ შეუძლია მათ მოწყდეს – ელენას ყველაფერი რიგზე აქვს? მოუარე მას, გთხოვ.

\_სტეფან რას გულისხმობ? შენ არ ხარ დამნაშავე, ეს სულელური დანაშაული იმ წუთშინვე მოგეხსნება როგორც კი...

\_უბრალოდ იზრუნე მასზე...

მეტმა უკან დაიხია, და ჯერ კიდეც უყურებდა ამ მომაჯადოებელ თვალებს, მერე აუჩქარებლად თქვა.

\_კარგი ვუბრუნებ მასზე – და ჩუმი მზერით გააცილა სტეფანი, რომელიც გასასვლელისკენ წავიდა.

### თავი 13

ელენა მასწავლებლებისა და პოლიციელების ალყაში მოქცეულიყო და თითქოს ელოდა შანს მათგან გაქცევის. მან იცოდა, რომ მეტმა მოახერხა სტეფანის გაფრთხილება – ეს მან მეტის სახეზე ამოიკითხა, მაგრამ მასთან მიახლოება და ლაპარაკი ვერ მოახერხა.

საბოლოოდ როდესაც ყველას ყურადღება გვამზე გადაერთო, ელენამ თავი დააღწია ბრბოს და მეტთან მივიდა.



-მშვიდობაა, სტეფანმა მოასწრო აქედან წასვლა. – შეატყობინა მეტმა, ისე რომ არ მოუშორებია თვალი პოლიციისთვის. – მან მოხოვა შენთვის მიმეხედა, რომ შენ აქ დარჩენილიყავი.

-ჩემზე უნდა იზრუნო? – ელენა შეიპყრო შიშისა და ეჭვის გრძობამ. თითქმის ჩურჩულით თქვა – მესმის – კიდევ ცოტა იფიქრა და განაგრძო კარგად შერჩეული სიტყვებით – მომისმინე მეტ, მე ხელები უნდა დავიბანო, ბონიმ სისხლით დამსვარა. აქ დაიცადე. მე მალე დავბრუნდები.

მეტს გაპროტესტება უნდოდა, მაგრამ ელენასთან შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა. ელენამ მიაღწია გოგოების გამოსაცვლელამდე. გამოსაცვლელ ოთახში აღმოჩენილი, მან გაიარა ის და აღმოჩნდა მსუბუქად განათებულ დერეფანში. იქიდან კი ის სიბნელეში გავიდა.

<დაუნო – ფიქრით ლანძღავდა საკუთარ თავს სტეფანი, ისე რომ იღებდა წიგნს და ესროდა მას კედელს. – დაუნო! ბრმა, უტვინო კრეტინი! როგორ შეიძლებოდა ასეთი იდიოტი ვყოფილიყავი?

აქ ფელს-ჩერჩში ადგილის მოძებნა? ყოფილიყავი საზოგადოების წევრი? არა ის ნამდვილად შეშლილი იყო, როცა იფიქრა, რომ ესეთი რამ შესაძლებელი იყო! სტეფანმა ერთ მძიმე ცემოდანს დაავლო ხელი და ბუმბულივით მოისროლა ფანჯრისკენ. რა სისულელეა! რა სისულელეა!

ვინ ნადირობს მასზე? ყველა. მეტმა ასე თქვა: < მოხდა კიდევ ერთი თავდასხმა... ყველა ფრიქობს რომ ეს შენ მოკალი ის...>

როგორ შეიძლებოდა იმის ახსნა რაც მოხდა? სტეფანმა მაშინ იგრძნო სისუსტე მერე კი ის მთლიანად სიბნელეში მოიცვა! როცა ის გონს მოეგო გასახდელის იატაკზე მეტმა ყველაფერი აუხსნა. ამ შემთხვევაში ადამიანს მარტო სისხლი კი არა სიცოცხლეც წაართვეს. ეს როგორ უნდა აეხსნა? რათქმაუნდა ეს ის იყო, სტეფანი იყო ისტორიის მასწავლებლის მკვლელი!

ზუსტად სტეფანი მკვლელი იყო! ბოროტი არსება რომელსაც ადამიანის სახე ჰქონდა. მას მისჯილი ჰქონდა სამუდამო სიბნელეში ცხოვრება! ნადირობა და შთქნთქმა. და თუ ნადირობს რატომ არ უნდა მოკლას? ის ბუნებით მკვლელია! ამას ვერაფერი და ვერავინ შეცვლიდა! სტეფანს თავისუფლად შეეძლო ტავისი ბოროტი მხარე გადმოენთხია იმ ქალაქის მოსახლეებზე ვინც ახლა მასზე ნადირობდა.

თავიდან... მან იგრძნო წარმოუდგენელი წყურვილი... ვენებს ცეცხლი წაეკიდათ, მას სჭრიდებოდა წყურვილის დაკმაყოფილება... რაც შეიძლება სწრაფად...

პანსიონატში ბნელოდა. ელენამ დააკაკუნა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. საშინლად ქუხდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ერთი წვეთი წვიმაც კი არ წამოსულა.

მესამე ცდის შემდეგ, ელენამ კარის გაღება სცადა და ის გაიღო. გოგონა სახლში შევიდა და კიბეებზე ასვლა დაიწყო. მეორე სართულზე სიბნელე გამეფებულიყო. ელენა მსუბუქი სინათლის სვეტს აყვა მესამე სართულზე და კარებზე დააკაკუნა.

\_სტეფან... – გამოთქვა მან, შემდეგ კი უფრო ხმამაღლა დაუმახა – სტეფან ეს მე ვარ. პასუხი არ იყო. გოგონა კარის სახელურს ჩაებლაუჭა და გააღო კარი, მან ოთახში შეიხედა: \_სტეფან...

ოთახი ცარიელი და საშინლად არეული აღმოჩნდა, ოთახი ისე გამოიყურებოდა თითქოს ქარიშხალი გადაეტანოს. ჩემოდნები რომლებიც ადრე მოწესრიგებულად იდო კუთხეში, ახლა უწესრიგოდ მიეყარათ, ერთი ფანჯარა ჩამტვრეული აღმოჩნდა. სტეფანის მთელი ქონება, მთელი ავლა-დიდება, რომელსაც იგი უფრთხილდებოდა, რომელიც ელენას თვალში სტეფანისთვის მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო, ნაგავივით არასაჭიროდ იყო მიყრილი.

ელენა შიშმა შეიპყრო. მსუბუქი თავბრუსხევა იგრძნო და ტაილერის სიტყვები გაახსენებდა: <ის ვინც მოძალადეა – თქვა ტაილერმა . >

<ჩემთვის სულერთია, - გაიფიქრა ელენამ – ჩემთვის ყველაფერი სულერთია, სტეფან მე ძველებურად ისევ მინდა შენი ნახვა. მაგრამ სად ხარ?>

ჭერისკენ მიმავალი კარი ღია იყო და იქიდან ცივი ჰაერი შემოდოდა.

<იქ ისე მაღლაა – გაიფიქრა ელენამ. > ის არასდროს ასულიყო ამ კაბიზე და არ ენახა თუ რა ხდებოდა იქ მაღლა, გრძელი კაბა ურთულედა ასვლას. როგორც იქნა ელენა ნელა აუყვა კიბეებს, გავიდა ლუქის იქით, მუხლებზე მდგარი სახურავზე აღმოჩნდა, მერე კი ფეხზე წამოდგა. შეამჩნია თუ არა სავი ფიგურა კუთხეში სასწრაფოდ მის მხარეს დაიწყო მოძრაობა.

\_სტეფან, მე არ შემეძლო რომ არ მოვსულიყავი... – დაიწყო ელენამ და მოულოდნელად გაწყვიტა სიტყვა.

ზუსტად ერთდროულად ცაზე გაიღვა და კუთხეში ფიგურაც სწრაფად შეტრიალდა. ახლა კი ისე აღმოჩნდა, რომ ყველა საშინელი წინათგრძნობა, ყველა შიში და კომმარი, რომელიც ელენას ოდესმე უგვრძნოდა ან გამოუცდია, მოულოდნელად ახდნენ. მას არცკი შეეძლო ეყვირა – ეს სანახაობა უკვე სიკეთისა და ბოროტების ზღვარზე იყო.

<ოოო ღმერთო ოღონდ ეს არა...> - გაიფიქრა ელენამ.

მის გონებას კატეგორიულად უნდოდა იმის ამოშლა გონებიდან რასაც მისი მზერა ხედავდა. ის უბრალოდ არ დაიწყებს ამის ყურებას, ის არასდროს დაიჯერებს... და მაინც ელენას არ შეეძლო ამ ფიქრის გონებიდან ამოშლა. მიუხედავად იმისა ის დახუჭავდა თუ არა თვალებს, ეს სანახაობა არ იშლებოდა მისი გონებიდან. ყოველი დეტალი, ყოველი საშინელი დეტალი აღბეჭდილიყო მის გონებაში.

სტეფანი.

სტეფანი ისეთი ელეგანტური თავის ყოველდღიურ სამოსში, შავ ქურთუკში, სტეფანი ისეთი სიმპატიური მისი შავი თმით, სტეფანი გამოჭერილი ამ სიბნელებში. სტეფანი რომლის სხეულიც უცნაურ პოზაში იყო, სტეფანი რომელიც ცხოველს გავდა.

და სისხლი. ეს ნაზი ფერმკრთალი პირი, მთლიანად ამოსვრილიყო სისხლში. ტუჩები საშინლად წითელი ჩანდა ფერმკრთალი კანის ფონზე.

\_ო ღმერთო, არა! – ამოთქვა ელენამ.

გოგონა ძლივს ხვდებოდა რას ეკთებდა, მისი გონება დაბინდულიყო, გოგონას გონებას უბრალოდ არ შეეძლო ამ კომმართან გამკლავება. არა ის ამ ყველაფერს უბრალოდ არ დაიჯერებს. სხეული დაჭიმული ჰქონდა. გული აჩქარებოდა, თავბრუ ესხმოდა.

\_ო ღმერთო არა...

\_ელენა! – ყველაზე საშინელი იყო სტეფანის თვალების დანახვა, დაენახა როგორ იცვლებოდა სასტიკი გამოხედვა სასოწარკვეთილსა და დაკგარულით. – ელენა ძალიან გთხოვ, არ გინდა...

\_ო ღმერთო არა! – ელენა უკან დაიხია და კინაღამ გადავარდა როცა სტეფანმა მისკენ გადადგა ნაბიჯი. – არა!

\_ელენა ძალიან გთხოვ ფრთხილად.

ეს არსება, ეს საზიზღარი, შემზარავი არსება, სტეფანის თალებით ელენას აუხლოვდებოდა. ელენამ ისევ უკან დაიხია როდესაც სტეფანმა მისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ეს სასტიკი ხელები რომლებს სისხლში იყო ამოსვრილი, ისე ნაზად ეფერებოდა მის თმებს!

\_ არ მომეკარო! – იყვირა ელენამ.

ელენამ სახურავის ძველ ნაწილში გადაინაცვლა, აქ ყველაფერი იმდენად ძველი იყო, რომ რაღაცამ დაიტკაცუნა და ელენას ფეხქვეშ კრამიტები გამოეცალა, გოგონამ ვარდნა დაიწყო. ამო მომენტში ელენამ გაარჩია სახლი, ის ვარდებოდა ვარდებოდა, ვარდებოდა და მისი ყვრილი არღვევდა ჰაერს.

მაგრამ რატომღაც დამანგრეველი დავარდნა არ მომხდარა. მოულოდნელად ელენა შეიპყრო ხელებმა, რომელიც მას სიცარიელეში იჭერდა. გაისმა დამაყურებელი ხმაური, და ხელები მის სხეულს შემოეხვია, თითქოს მთელი კატასტროფის გადმოტანა საკუთარ თავზე უნდოდესო და საბოლოოდ როგორც იქნა ყველაფერი დაწყნარდა.

ელენა გაუნძრევლად იწვა ამ ხელებს შორის მოქცეული. ცდილობდა გაეცნობიერებინა რა მოხდა. ცდილობდა კიდევ ერთი დაუჯერებელი ამბავი გაეანალიზებინა. ის გადმოვარდა სამსართულიანი სახლის სახურავიდან და ცოცხალი იყო. ახლა ელენა გულის ფეთქვას შორის ხედავდა პანსიონატის ბაღს და აიმა ადგილს სადაც მისი მკვდარი სხეული უნდა დავარდნილიყო.

როგორც იქნა ელენამ შეხედა მას ვის მკლავებშიც ის იყო მოქცეული. სტეფანი.

ამ სადამოს ის ძალიან შეშინდა თანაც არა ერთხელ. მან ბევრი დარტყმა გადაიტანა და ახლა მას შეეძლო მხოლოდ საოცრად განცვიფრებულად ეყურებინა სტეფანისთვის.

სტეფანის თვალებში კი საშინელი სევდა აღბეჭდილიყო. ეს თვალეები რომლებს წითლად ელავდა ახლა დაცარიელებული და შავი გამხდარიყო. ზუსტად ასეთ რაღაცას უყურებდა ელენა პირველად მის ოთახში, ოღონდ ახლა ყველაფერი ბევრად უფრო საშინლად იყო. ახლა თვალეები სავსე იყო საკუთარი თავის სიძულვილით. ელენას არ შეეძლო ამ ყველაფრის გადატანა.

\_სტეფან – ჩაიჩურჩულა მან, იმ გრძნობით, რომ მისი ტკივილი და სევდა ელენას გულშიც აღწევდა.

ელენა ისევ ხედავდა წეითელ ლაქებს მის ტუჩებზე, მაგრამ ახლა ის ისეთი მარტო იყო... იყო ასეთი მარტო, ასეთი უცხო...

\_აჰ სტეფან – წაიჩურჩულა ელენამ.

მაგრამ მისი სიტყვებს არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია და იკარგებოდა უძირო თვალეებში.

- წავიდეთ, \_ ჩუმად თქვა სტეფანმა და შეუძღვა მას სახლში.

როდესაც მათ მიაღწიეს დანგრეულ სამეფოს ჰგავდა, ასეთს ჰგავდა სტეფანის ოთახი, ის საშინელმა უხერხულობამ შეიპყრო. ის, რომ ეს ყველაფერი ელენამ დაინახა, მისთვის აუტანელი იყო. მეორე მხრივ ეს უკეთესიც იყო, რადგან ახლა უკვე გოგონას შეეძლო წარმოედგინა როგორი იყო სინამდვილეში სტეფანი და რისი დატრიალება შეეძლო.

ელენა ნელა მიუახლოვდა საწოლს და ჩამოჯდა. შემდეგ ჩახედა სტეფანს ჩამუქებულ თვალებში.

– მოყევი, – მხოლოდ ეს თქვა.

სტეფანმა უხალისოდ გაიღიმა და შენიშნა ელენა როგორ შეკრთა. ამის გამო მან კიდევ უფრო ვერ აიტანა საკუთარი თავი.

– რა გინდა რომ იცოდე? – ჰკითხა სტეფანმა. – ვინ გააკეთა ეს ყველაფერი? ეს მე ვიყავი.

– შენ ძლიერი ხარ – თქვა ელენამ, ისე რომ მისთვის თვალი არ მოუშორებია. – და სწრაფი.

– ადამიანზე ძლიერი – თქვა სტეფანმა ისე რომ ამ სიტყვებს ხაზი გაუსვა.

სტეფანს უკვირდა ამ ყველაფრის შემდეგ რატომ არ გარბოდა ელენა, რატომ არ უყურებდა იმ სიძულვილით აღსავსე მზერით, რომელითაც რამდენიმე წუთის წინ უყურებდა?

სტეფანი უკვე ნაკლებად ფიქრობდა იმაზე თუ რა დასკვნებს გამოიტანდა მისი სიტყვებიდან ელენა.

– ჩემი რეფლექსები ბევრად უფრო სწრაფია და მე ბევრად უფრო ამტანი ვარ. ვერაფერს ვერ შეცვლი მე მონადირე ვარ. – სწრაფად დაასრულა მან.

სტეფანი გრძნობდა ელენას მზერას და მას აღელვებდა რას იფიქრებდა გოგონა მასზე.

– შენ შეგიძლია ჭამო და დალიო... – თქვა ელენამ.

– ზოგადად მე არაფერი მჭირდება. – მშვიდად თქვა სტეფანმა. – მე არაფერი მჭირდება, შეიძლება იტყვა მე ამ სამყაროდან არ ვარ. შენთვის ელენა მე ფაქტიურად მკვდარი ვარ. ახლა მან შეამჩნია, რომ ის კანკალებდა. თუმცა ელენას ხმა მშვიდი ეჩვენა.

– მომიყევი – თქვა ისევ ელენამ – გამიგე სტეფან მე მაქვს უფლება ვიცოდე რა ხდება.

სტეფანმა იცნო ეს სიტყვები და ისინი ისეთივე სიმართლე იყო როგორც მაშინ პირველ ჯერზე.

– მართალი ხარ. – თქვა სტეფანმა. – მე დავიბადე მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს. შეგიძლია დაიჯერო ასეთი რამ?

ელენამ ირგვლივ მიმოფანტულ ნივთებს გადახედა.

– კი – ხმადაბლა თქვა მან – მე მჯერა.

– და შენ გინდა მეტი იცოდე? როგორ გავხდი ასეთი? – როცა ელენამ თავი დაუქნია სტეფანი ფანჯრისკენ შეტრიალდა.

როგორ უნდა მოეყოლა მისთვის ყველაფერი? ის ხომ ამდენი ხანი გაურბოდა კითხვებს მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდა. სტეფანს უნდა მოეყოლა სიმართლე ელენასთვის, ისე რომ არაფერი დაემალა, რასაც ის არავის უსურვებდა. სტეფანს მართლაც უნდოდა სიმართლის გამხელა. თუნდაც ყველაფრის გამხელის შემდეგ მას ზურგი შეექცია სტეფანისთვის. სტეფანი უემოციოდ ლაპარაკობდა. მან მოუყვა ელენას მამამისზე, საკუთარ სამყაროზე, ის უყვებდა თავის განათლებაზე, მმაზე რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მისგან და აიმ გაურკვევლობებზე რომლებიც მათ შორის არსებობდა.

– არც კი ვიცი დეიმონმა როდის დაიწყო ჩემი შეძულება – გამოუტყდა სტეფანი – როგორც მახსოვს ასე იყო ყოველთვის, შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ დედაჩვენი ჩემზე

მშობიარობის მერე ვერ გამოჯანმრთელდა. ის ჩემი დაბადებიდან რამდენიმე წელში გარდაიცვალა. დეიმონს ის ძლიერ უყვარდა და ყველთვის მეჩვენებოდა, რომ ის დედის სიკვდილში მე მადანაშაულებდა. – აქ ის შეჩერდა – შემდეგ კი, მოგვიანებით, ერთი გოგო გამოჩნდა.

\_იმაზე ამბობ, რომ მითხარი შენი თავი მას მახსენებსო? – კითხა ელენამ, რაზეც სტეფანმა თავი დაუქნია.

– ზუსტად ის.

\_რომელმაც ბეჭედი გაჩუქა?

სტეფანმა ვერცხლის ბეჭედს შეხედა თითზე, შემდეგ ელენას დააკვირდა და ნელა ამოიღო ძეწკვი რომელზეც ბეჭედი ეკიდა.

\_ხო, ეს მისი ბეჭედი იყო – უთხრა მან – თილისმის გარეშე მზის შუქი მოგვკლავს. დავიწვებით.

\_ესეიგი ის... მას მოსწონდი?

\_მან გარდამქმნა ასეთად.

შემდეგ სტეფანმა ელენასმოუყვა კეტრინის შესახებ. მოუყვა როგორ უყვარდა კეტრინი მას და დეიმონს.

\_ის იყო ზედმეტად ფაფუკი, გაჟღენთილი სიყვარულით, ის ამ სიყვარულს ყველას უძღვნიდა ჩემი ძმის ჩათვლით, საბოლოოდ ჩვენ ის არჩევანის წინაშე დავაყენეთ, მას უნდა აერჩია ჩვენს შორის ერთერთი და მაშინ ის ჩემ საძინებელში მოვიდა.

იმ ტკბილი და ამავედროულად მწარე ღამის მოგონებისას, ისევ შეძრა სტეფანი. კეტრინი მივიდა მასთან და სტეფანი ისეთი ბედნიერი იყო, ის ცდილობდა ელენასთვის ყველაფრის მოყოლას, სიტყვებს არჩევდა, მთელი ის ღამე სტეფანი ბედნიერი იყო და დილითაც კი როცა კეტრინი მის გვერდით ვეღარ იპოვა ის შეპყრობილი იყო ბედნიერების უმაღლესი განცდით...

მომხდარი თავსუფლად შეიძლება ყოფილიყო სიზმარი, მაგრამ ორი იარა ყელზე სავსებით რეალური იყო. სტეფანს ეჩვენებოდა რომ ეს ჭრილობა მას ტკივილს არ აყენებდა, უფრო მეტი, ისინი ხორცდებოდნენ, ახლა მათ ფარავდა სტეფანის ყელიანი ზედა.

კეტრინის სისხლი მის ვენებში იწვოდა და ამის ერთხელ გაფიქრებაზეც კი სტეფანის გული აჩქარდა. კეტრინმა მას გაუყო ძალა, მან სტეფანი აირჩია.

მას აღმოაჩნდა ღიმილი დეიმონისთვის, მაშინ როდესაც ისინი ერთმანეთს დათქმულ ადგილას შეხვდნენ, მთელი დღე დეიმონი სადღაც გამქრალი იყო, მაგრამ პატარა ბაღში სწორად თავის დროზე აღმოჩნდა. დეიმონი იდგა ჭიშკართან, ისწორებდა მანქეტებს, კეტრინი კი იგვიანებდა.

\_როგორც ჩანს ის დაიღალა – ვარიანტი შესთავაზა სტეფანმა. ის ცდილობდა ხმაში არ გამოკრთომოდა სირცხვილნარევი კმაყოფილება. – შეიძლება მას ახლა მეტი დასვენება ჭირდება ვიდრე სხვა დროს.

დეიმონმა გამომცდელად შეხედა ძმას.

\_შეიძლება – უპასუხა ისეთი ტონით თითქოს ამაზე მეტის თქმა სურდა.

მაგარამ შემდეგ ფეხის ხმა მოისმა და კეტრინიც გამოჩნდა, თეთრ კაბაში ის შესანიშნავი იყო და ანგელოზს გავდა.

ორივე ძმისთვის აღმოაჩნდა გოგონას ღიმილი, სტეფანმა საპაუზოდაც გაუღიმა, დამზერა გაუცვალა ერთობლივ საიდუმლოსთან დაკავშირებით.

\_თქვენ მთხოვეთ გამეკეთებინა არჩევანი – დაიწყო კეტრინმა – ახლა როცა ორივე აქ ხართ, გეტყვით თუ რა გადავწყვიტე.

მან აღმართა ხელი რომელზე ბეჭედი ეკეთა, სტეფანმა ქვას შეხედა, და მასში ღამის წყვილი დაინახა თითქოსკეტრინი ღამეს თან დაატარებდა.

\_თქვენ ორივე ხედავთ ბეჭედს – თქვა მან – და ორივემ იცით, რომ მის გარეშე მოვკვდები, ასეთი თილისმების მომზადება არც ისე ადვილია, მაგრამ საბედნიეროდ, ჩემი მოახლე გუდრუნის ძალიან მიხვედრილია. ფლორენციაში კი ბევრია ვერცხლის სპეციალისტ.

სტეფანი უსმენდა და ბოლომდე ვერ ხვდებოდა რაზე ლაპარაკობდა კეტრინი.

\_სტეფან – უთხრა კეტრინმა ისე რომ თვალეზში ჩახედა – მე შენთვის საჩუქარი მაქვს – მან აიღო ბიჭის ხელი და რაღაც დაუდო ხელის გულზე.

სტეფანმა დაინხა, რომ ეს ბეჭედი იყო, კეტრინის ბეჭდისგან განსხვავებით არა ოქროსი არამედ ვერცხლის და მისი ბეჭედი უფრო დიდი იყო.

\_ჯერჯერბოით შენ ის არ გჭირდება, იმიტომ, რომ მზეზე არ მოკვდები – ხმადაბლა თქვა კეტრინმა, თბილი ღიმილით – მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შენ იგრძნობ აუცილებლობას მისი ტარების.

სტეფანი სიამაყის და აღფრთოვანებისგან დამუნჯდა და გაიწია, რომ კეტრინს ჩახუტებოდა, მოექცია საკუთარ მკლავებში, თუნდაც ახლავე დეიმონის წინ, მაგრამ კეტრინი მას უკვე ზურგს აქცევდა.

\_აი შენთვის ბეჭედი – განაგრძო მან, სტეფანმა იფიქრა, რომ სმენა ღალატობდა, ასეთი სითბო და სიყვარული კეტრინის ხმაში გამორიცხული იყო დეიმონის მიმართ ყოფილიყო. – ძალიან ძალე შენც დაგჭირდება ეს.

დამაყრუებელი სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს ქვეყნიერების აღსასრული დადგა.

\_კეტრინ... – სტეფანი ძლივს ახამდა სიტყვებს ერთმანეთს – როგორ აძლევ მას ბეჭედს? მას მერე მარც ჩვენ გავიყავით...

\_რა გაიყავით? - თქვა მკაცრად და შეტრიალდა სტეფანისკენ – გუშინ ღამე ის ჩემთან მოვიდა. არჩევანი გაკეთებულია – და დეიმონა ჩამოიწია სარაჩოკა რათა დაენახებინა სტეფანისთვის ორი პატარა იარა ყელზე.

სტეფანი გასთერებული უყურებდა დეიმონის იარებს, ზუსტად ასეთივე ნიშანი ჰქონდა მასაც ყელზე. მან გაურკვევლად გადაიქნია თავი.

\_კი მაგრამ კეტრინ... ეს ხო მარ იყო სიზმარი... შენ მოხვედი ჩემთან...

\_მე ორივესთან მოვედი და ამან მე ძალიან დამასუსტა, მაგრამ მე ბედნიერი ვარ, ნუთუ თქვენ არ გესმით? – როცა ორივე ძმა დაშოკილი უყურებდა მას – ასეთია ჩემი არჩევანი! მე მიყვარხართ ორივე და ვერცერთ თქვენგანზე ვიტყვი უარს. ახლა ჩვენ სამნი მუდამ ვიქნებით ერთად, ბედნიერები.

\_ბედნიერები... – ამოიოხრა სტეფანმა.

\_დიახ ბედნიერები! ჩვენ საუკუნოდ ვიქნებით გამცვლელიები, ბედნიერი მეგობრები! – კეტრინის ხმა ბედნიერად ჟღერდა, - ჩვენ მუდამ ვიქნებით ერთად, დაუსრულებლად, დაუბერებლად! ასეთია ჩემი არჩევანი!

\_ბედნიერი... მასთან ერთად? – დეიმონი გმინავდა ბოლმისგან – მასთან ერთად? ამ ბიჭთან ერთად რომელიც მუდამ ჩვენ შორის იდგება? სიკეთის განსახიერებასთან ერთად? მე უკვე მერევა გული! ჯანდაბა გზა ჰქონია მისი დანახვა და ხმის გაგონებაც კი არ მინდა!

\_ზუსტად ანალოგიურს ვგრძნობ ძმაო შენს მიმართ, – თქვა სტეფანმა, რომლის გულიც ცდილობდა საგულედან ამოვარდნას.

ყველაფერში დამნაშავე დეიმონი იყო. ზუსტად დეიმონმა მოუშხამა კეტრინს გონება, ისე, რომ მას აღარ ესმოდა რას ჩადიოდა.

\_მე მაქვს შესაბამი გადაწყვეტილება – თქვა ბიჭმა.

დეიმონმა გაიგო ძმის სიტყვები.

\_მაშინ ამოიღე შენი ხანჯალი! თუ რათქმაუნდა იპოვი მას!

\_დეიმონ, სტეფან, გთხოვთ! გთხოვთ არ გინდათ! – იყვირა კეტრინმა და ჩადგა ძმებს შორის, მისი თვალები სავსე იყო ცრემლებით – დაფიქრდით რას ამბობთ? თქვენ ხომ ძმები ხართ!

\_მე დამნაშავე არ ვარ – კბილებში გამოსცრა დეიმონმა.

\_ნუთუ არ შეგიძლიათ შეთანხმების დადება? ჩემს გამო დეიმონ... სტეფან! გთხოვ!

\_არა – მკაცრად თქვა მან – არ შეგიძლია, ან მე კეტრინ ან ის. მე არასდროს გავუნაწილებ მას შენს თავს.

მაშინ კეტრინმა გაუშვა მას ხელი და ცრემლები ლაპალუპით წამოვიდა მისი თვალებიდან, კეტრინი უკანმოუხედავად გაეცალა იქაურობას.

\_მაშინ დეიმონმა აიღო კეტრინის მიცემული ბეჭედი და გაიკეთა თითზე – განაგრძო სტეფანმა გრძნობების მოზადვაებისგან გადაღლილმა – და მითხრა <ის მაინც ჩემი იქნება ძამიკო> მერე კი წავიდა. – სტეფანი ელენასკენ შებრუნდა.

გოგონა საწოლზე იჯდა და სტეფანს გაოცებულ თვალებს არ აშორებდა. თვალებს რომლებიც კეტრინისას ძალიან გავდა, განსაკუთრებით ახლა როდესაც ისინი სავსე იყვნენ შიშითა და გაოცებით, თუმცა ელენა არსდა არ გარბოდა.

\_დაა... მერე? მერე რა მოხდა? – იკითხა ელენამ

არა ოღონდ ეს არა, მას გახსენების ატანაც კი ძლივს შეეძლო მითუმეტეს ამაზე საუბარი, როგორ შეეძლო ელენასთან ამაზე ლაპარაკი? როგორ შეეძლო სიბნელე დაენახებინა?

\_არა – ამოიოხრა სტეფანმა – არ შემიძლია.

\_ახლა მოგიწევს მომიყვე – თქვა ელენამ – გაიგე სტეფან, ეს ხომ არაა ისტორიის დასასრული? ხომ ასეა? ზუსტად დანარჩენი იმალება შენი კედლის მიღმა, ზუსტად ამას მალავ ჩემგან. მაგრამ მე უნდა გავიგო, ახლა შენ არ შეგიძლია გაჩერდე.

კომმარო თავიდან იწყებოდა, სტეფანის გონებაში ყველაფერი აღდგა, კომმარო რომელიც იმ დღეს დასრულდა და დაიწყო.

სტეფანამ იგრძნო როგორ ნაზად შეეხო ელენას თითები მის ხელს, რამაც ის ახალი ენერგიით და ძალით აავსო.

\_მომიყვი.

\_გინდა იცოდე რა მოხდა მერე? რა მოუვიდა კეტრინს? – თქვა სტეფანმა, ელენამ თავი დაუქნია და მისი თვალები სევდით აივსო. – კარგი მოგიყვები. მომდევნო დღეს კეტრინი მოკვდა, მე და ჩემმა ძმა დეიმონმა – ჩვენ მოვკალით

**თავი 14**

ელენამ იგრძნო როგორ დაეზურმგლა ტანი.



– ეს ხომ ტყუილია? – არათავდაჯერებულად დაიწყო მან, ცდილობდა მოგონებები თავიდან განედევნა... სახურავზე, სისხლი სტეფანის ტუჩებზე. ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ არ გაქცეულიყო. – კარგი რა, მე ხომ შენ გიცნობ, შენ ამას არ იზამდი...

სტეფანმა ყველანაირი პროტესტი დააგინორა. ის მწვანე ყინულვით ბრწყინვალე თვალებს მზის შუქზე არ აშორებდა ელენას. მაგრამ ის ელენას არ უყურებდა. ის მის შიგნით იყურებოდა, სადღაც ძალიან შორს.

– იმ ღამეს, ლოგინში ვიწექი და ყველანაირი წინააღმდეგონის მიუხედავად კეტრინს ველოდებოდი. ჩემში უკვე შევნიშნე რაღაც ცვლილებები. შემძლო სიბნელეში ხედვა. სმენაც გამძლიერდა.

მაშინ ვიყავი ძლიერი, როგორც არასდროს. ვგრძნობდი უშუალო ენერჯის... და ძალიან მშოიოდა. ასეთი შიმშილის წარმოდგენაც კი არ შემძლო. სადილზე აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი საჭმელი და სასმელი მე არ მანაყრებდა. უბრალოდ არაფერი მესმოდა. შემდეგ ერთერთი მოსამსახურის კისერი დავინახე და მივხვდი რაში იყო საქმე. – სტეფანმა ხმაურთანა და ჩაისუნთქა. მის თვალებს წამება ეტყებოდათ. – იმ ღამეს მთელი ჩემი ძალებით ვეწინააღმდეგებოდი შიმშილს, ამისთვის კი მთელი ჩემი ნებისყოფა დამჭირდა. იმ ღამეს კეტრინზე ვფიქრობდი და ვლოცულობდი რომ მოსულიყო... ვლოცულობდი! – მის საუბარს სიცილი დაეტყო. – თუ რა თქმა უნდა ჩემნაირი ნაგავი უნდა ლოცულობდეს.

ელენას ხელის გულები სტეფანს მტკიცედ ეჭირა. თუმცა გოგონა ითმენდა, ცდილობდა სტეფანისთვის ძალა შეემატა.

– გააგრძელე სტეფან

რამდენიმე ხანი ისეთი გრძნობა დაეუფლა, ვითომ სტეფანს საერთოდ არ შეეძლო გაგრძელება. თითქოს მას დაავიწყდა ელენას არსებობა და ამ ისტორიას საკუთარ თავს უყვებოდა.

– მეორე დილას მოთხოვნა უფრო იზრდებოდა. თითქოს ჩემი ვენები გაშრა და ნესტს ითხოვდა. ვიცოდი რომ დიდი ხანი ვერ გავძლებდი. კეტრინის ოთახთან მივედი. მინდოდა მეთხოვნა. შევხვეწებოდი... – აქ სტეფანი შეტოკდა, ნელა გააგრძელა – მაგრამ დეიმონი უკვე იქ იყო, მისი ოთახის შესასვლელთან იცდიდა. მას აშკარად ეტყობოდა, რომ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. ამაზე მეტყველებდა ელასტიური სიარული, მისი კანის ნათება,,, დეიმონი თავისი თავით კმაყოფილი იყო, როგორც კატა, ნაღებით დანაყრებული. მაგრამ კეტრინი მანაც ვერ მიიღო. << რამდენიც გინდა აკაკუნე, ის ბებერი ეშმაკი, მოსამსახურე მანაც არ შეგიშვებს, უკვე ვცადე. იქნებ ერთად მოვეროთ? >> მითხრა დეიმონმა. მე არ ვუპასუხე. მისმა კმაყოფილმა და ეშმაკურმა სახემ ყველანაირი სურვილი დამაკარგვინა მეპასუხა. კარებზე დავაკაკუნე რომ გამეღვიძებინა... – აქ სტეფანი შეჩერდა, მერე უხალისოდ გააგრძელა თხრობა. – მინდოდა მეთქვა <<გამეღვიძებინა მკვდარი>>. – აქ სტეფანი კვლავ გაჩუმდა მაგრამ მერე ისევ გააგრძელა – კარი მოსამსახურემ, გურდუნმა, გამიღო. მისი სახე პრიალა თეთრ თევზს გავდა, თვალები კი შავ მინას. ვკითხე თუ შეიძლება ქალბატონის ნახვა. მეგონა მეტყოდა რომ მას უბრალოდ ეძინა, მაგრამ მოსამსახურემ დეიმონს შეხედა და თქვა – მისთვის არ მითქვამს, მაგრამ თქვენ გეტყვით, ჩემი ქალბატონი აქ არა არის. დილას ადრე ადგა და ბაღში გავიდა. თქვა რომ მარტო ყოფნა და ფიქრი სჭირდებოდა. – გამიკვირდა – ასე ადრე? – დიახ. – თავი დააქნია და მე და დეიმონს შემოგვხედა. – გუშინ საღამოს ხუმრობით კი არ გაბრაზებულა, თელი ღამე ტიროდა. – ამის შემდეგ რაღაც უცნაურმა გრძნობამ მომიცვა. არა მარტო სირცხვილმა, არამედ მწუხარებამც იმის შესახებ რომ კეტრინი ასე გულნატკენი დარჩა. არა, ეს ალბათ უფრო შიში იყო. იმ წამს სულ გადამავიწყდა შიმშილი და სისუსტე. დეიმონთან ჩხუბთან დაკავშირებითაც არაფერი მახსოვდა. უცებ მივხვდი რომ აუცილებელი იყო კეტრინის მალევე მოძებნა. მაშინ დეიმონს მოვუბრუნდი და ვუთხარი რომ მის მოსაძებნად უნდა წავსულიყავით. ჩემდა გასაოცრად მან მხოლოდ სეროზულად დამიქნია თავი. თავიდან ბაღში ვეძებდით, თან მის სახელს ხმაძალდა ვიძახდით. ძალიან კარგად მახსოვს ის დღე-მზე უკვე ანათებდა კვიპროსისა და ნაძვის ხეებს. მე და დეიმონი დავბორიალობით და მისი სახელის ძახილს არ ვწყვეტდით. კვლავ სტეფანთან ხელჩაკიდებული, ელენა გრძნობდა როგორ იწვოდა მისი სხეული. ის ჩქარა და მძიმედ სუნთქავდა. – მაშინ როცა ბაღის თითქმის ბოლოში გავვდით, ერთი ადგილის შესახებ გამახსენდა, რომელსაც კეტრინს ძლიერ უყვარდა. ის კედლის ცოტა მოშორებით, ლიმონის ხესთან იყო. იქ დავიწყე ძებნა, თან მისი სახელის ძახილს არ ვწყვეტდი. მაგრამ, ლიმონის ხესთან მიახლოებისას ძახილი შევწყვეტე. მე ვიგრძენი.... ვიგრძენი შიში... და საშინელი წინათგრძნობა გამიჩნდა... და ვიცოდი ... ვიცოდი რომ იქ არ უნდა წავსულიყავი.

–სტეფან! – ელენამ დაიყვრა. ახლა სტეფანმა ელენას მართლაც ძლიერ მოუჭირა ხელები. მისი ჟრჟოლა უკვე ძლიერ იზრდებოდა და კრუნჩხვებად იქცეოდა. – სტეფან, გთხოვ!

მაგრამ მას არ ესმოდა

– ყველაფერი... ყველაფერი იყო როგორც კოშმარში... ყველაფერი ძალიან ნელა ხდებოდა... არ შემძლო განძრევა, მაგრამ მაინც მომიწია. მაგრამ მე წინ მივიწევდი. უკვე ვგრძნობდი სუნს... დამწვარი ხორცის სუნს. ვიცოდი რომ იქ არ უნდა წავსულიყავი. არ მინდოდა ამის ნახვა.

სტეფანის ხმა ამდლდა და უფრო დამაჯერებელი გახდა. მისი სუნთქვა არათანაბარი იყო... მწვანე თვალები გაფართოებული იყო, ისევე როგორც პატარა შეშინებულ ბავშვებს აქვთ ხოლმე. ელენას ხელში ეწირა მისი მკვეთრად დაჭიმული მუშტები.

–სტეფან, ყველაფერი კარგადაა. შენ იქ არ ხარ, შენ ჩემთან ხარ... აქ ხარ...

– არ მინდოდა ამის დანახვა. მაგრამ ვერაფერი მოვიმოქმედე... იქ რაღაც თეთრი იყო. ხის ძირას... არ დამაძლო ამის ყურება...

– სტეფან, სტეფან შემომხედე!

მაგრამ სტეფანს მისი არ ესმოდა. სიტყვები ყელში ეჩხირებოდნენ. თითქოს კრუნჩხვებში აგდებნენ, სტეფანს ამის გაკონტროლება არ შეეძლო. არ შეეძლო დრო და დრო ისინი თავისი სხეულიდან განედევნა.

– არ შემძლია უფრო ახლოს მივიდე... მაგრამ მაინც მივიღვივარ.. ვხედავ ხეს, არც ისე მაღალ კედელს. ვხედავ სითეთრეს, ხის უკან. სითეთრეს და ოქროს... მაშინ ვხვდები, ვხვდები... იქითკენ მივიღვივარ...რადგან ეს მისი კაბაა. კეტრინის თეთრი კაბა. ხეს შემოვაჯერე და აუ საშინელი სიმართლე... – აქ სტეფანის ხმაში უდოდესი საშინელება იგრძნობოდა. – მაგრამ თვითონ კეტრინი იქ არ იყო.

ელენამ უცებ სიცივე იგრძნო, თითქოს ყინულიან წყალში ჩაყვინთა. მთელი სხეული დაებურძგლა. ელენამ სცადა დალაპარაკება, მაგრამ ვერ შეძლო. სტეფანი თხრობას აგრძელებდა, თითქოს ამით იმ შიშის გაქრობა შეეძლო.

– კეტრინი იქ არ არის. ვფიქრო, იქნებ ხუმრობაა, მაგრამ კაბა იქ დევს და იგი სავსეა ფერფლით. ალბათ სწორედ ეს ფერფლი აფრქვედა დამწვარი ხორცის სუნს. საშინელი სუნია. ამ სუნისგან გული მერევა და საერთოდ ვსუსტდები. კაბის ხელებთან ქაღალდი დევს და იქვე ქვაზე ბეჭედი. ბეჭედი ლურჯი ლაზურით, კეტრინის ბეჭედი. კეტრინის ბეჭედი... – აქ სტეფანმა საშინელი ხმით დაიყვრა – ეჰ, კეტრინ, ეს რა ქენი... – შემდეგ მუხლებზე დაეცა, ელენას მოშორდა და თავი ხელებში ჩარგო. ელენას სტეფანის მხარი ეჭირა, სანამ ის გულის ამოგდებით სლუკუნებდა...

–კეტრინმა ბეჭედი მოიხსნა– თქვა გოგონამ – და მზეზე დაიწვა.

სტეფანი კვლავ ტიროდა, სანამ ელენა მას თავისი ლურჯი კაბის კალთებზე იყუდებდა და მისი მხრები ეჭირა. ის რაღაც უაზრო სიტყვებს ბუტბუტებდა, იმ იმედით რომ ეს სტეფანს ტკივილს შეუმსუბუქებდა, სინამდვილეში კი საკუთარი შიშის განდევნა სურდა. მაღე სტეფანი ოდნავ დაწყნარდა და თავი აწია. მისი ხმა კვლავ არასასიამოვნოდ ჯღერდა, მაგრამ აშკარა იყო რომ აზრზე მოვიდა.

– მან წერილი დაგვიტოვა – თქვა მან – მე და დეიმონს, სადაც წერდა რომ ჩვენთან მიმართებაში ძალიან ეგოისტურად იქცეოდა. კიდევ იქ ეწერა... მან ვერ გადაიტანა, მიზეზი, რის გამოც ჩვენ ორნი ერთმანეთს ასე ვჩხუბობდით. მას ეგონა, რომ თუ ის აღარ იქნებოდა ჩვენ აღარ გვექნებოდა მიზეზი რომ გვეჩხუბა. კეტრინი ამაზე წავიდა, რათა მე და დეიმონი შევერიგებინეთ.

– ო, სტეფან– თქვა ელენამ და იგრძნო როგორ ავსებდნენ მწველი ცრემლები მის თვალებს. – სტეფან, მე ძალიან ვწუხვარ. მაგრამ ამდენი წლის შემდეგ ვერ ხვდები რომ ის არასწორი იყო? ის მართლაც ძალიან ეგოისტურად მოიქცა. ეს ხომ მისი არჩევანი იყო, და საერთოდ ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა შენთან და დეიმონთან.

სტეფანმა ავი გააქნია, თითქოს უნდოდა ის სიმართლე დაემალა, რაც ელენას სიტყვებში იყო.

– მან სიცოცხლე გაწირა... ჩვენთვის. ის ჩვენ მოვკალით.

ახლა სტეფანი იატაკზე იჯდა. მისი თვალები ადრინდელივით დიდ შავ დისკებს გავდა, თვითონ კი დაკარგულ ბავშვს.

– დეიმონი მოვიდა იქ. წერილი აიღო, წაიკითხა და მემგონი ჰკუდიდან შეიშალა. ჩვენ ორივე შევიშალეთ. მე კეტრინის ბეჭედი ავიღე, მან კი მისი წართმევა სცადა. მას ეს არ უნდა გაეკეთებინა. შემდეგ ჩხუბი დავიწყეთ. ერთმანეთს საშინელ რაღაცეებს ვეუბნებოდით. ორივე ერთმანეთს ვაბრალებდით იმას, რაც მოხდა. არ მახსოვს სახლამდე როგორ მივედით, მაგრამ ჩემს ხელში ხმალი აღმოჩნდა. საშინლად მინდოდა მისი სახე დამესერა, მიდოდა მომეკლა ის. მახსოვს როგორ ყვროდა მამაჩემი. ჩვენ მართლა ვჩხუბობდით, გვინდოდა ერთმანეთი მოგვეკლა სანამ თვითონ ის მოვიდოდა. მაგრამ დეიმონი ოდნავ ჩემზე ძლიერი იყო. და იმ დღეს ის უფრო ჩქარა მოძრაობდა, თითქოს ის ცემზე მეტად შეიცვალა. როცა მამამ კიდევ ერთხელ იყვინა, ვიგრძენი როგორ შევიდა რაღაც ჩემს სხეულში, შემდეგ გულში.

შოკში მყოფმა ელენამ სტეფანს შეხედა, მაგრამ ის ყველანაირი პაუზის გარეშე აგრძელებდა მოყოლას:

– მე ტკივილი გიგრძენი, და სიცივე. აშკარა იყო რომ მან მე დამჭრა, ძალიან ღრმად შევიდა. დარტყმა ძლიერი იყო. შემდეგ ძალა აღარ მეყო და ქვის ბილიკზე დავეცი. – აქ სტეფანმა ელენას შეხედა და უბრალოდ მორჩა: – აი ასე მოგვკვდი.

ელენა გაშეშებული იჯდა. ის ინული, რომელსაც ადრე მხოლოდ გულში გრძნობდა, ახლა მთელ სხეულს მოედო.

– დეიმონი დაიხარა. მესმოდა მამაჩენის ყვირილი, მოსამსახურეების ყვირილი, მაგრამ მე მხოლოდ დეიმონს ვხედავდი, მის თვალებს, შავ თვალებს, რომლებიც უმთვარო ღამეებს ჰგავდნენ. ძალიან მინდოდა სამაგიერო გადამეხადა. ყველაფრისთვის რაც მან მე და კეტრინს გაგვიკეთა. – სტეფანი ცოტახანს გაჩერდა და შემდეგ ჩაფიქრინებულმა თქვა: – მაშინ ხმალი ავიღე და დიმონს გავუყარე. გულში გავუყარე.

ქექა ქუხილი შეწყდა და ახლა მხოლოდ ღამის ხმა ისმოდა. ჭრიჭინების ჭრიჭინი, ქარის ხმა ... სტეფანის ოთახში ყველაფერი გაიყინა.

– შემდეგ არაფერი მიგრძენია, სანამ სამარხში არ აღმოვჩდი. – გააგრძელა სტეფანმა, თან უკან დაიწია და თვალები დახუჭა, მის სახეს საშინელი დადლილობა ეტყობოდა, მაგრამ ის ბავშვური დაკარგულობა გაქრა. – კეტრინის სისხლი მე და დეიმონს გვეყო, რომ სიკვდილისგან გადავრჩენილიყავით. არა ჩვენ არ მოგვკვდით, ჩვენ შევიცვალეთ. ჩვენ საუკეთესო სამარხში აღმოვჩდით, საუკეთესო ტანსაცმელში ჩაცმულები. ჩვენ ერთმანეთის გვერდიგვერდ ვიწექით. ჩვენ ძალიან სუსტად ვიყავით და იმის შანსიც არ იყო, რომ ერთმანეთისთვის რაიმე დაგვეშავებინა. ძალები ილეოდა და ძლივს ვიგებდით რა მოხდა. მე დეიმონს დავიძახე, მაგრამ ის გაიქცა. საბედნიეროდ ჩვენ იმ ბეჭდებით დგვმარხეს, რომელს კეტრინმა მოგვცა. და მისი ბეჭედი ჩემს ჯიბეში ვიპოვე. ვფიქრობ ყველამ იფიქრა რომ ეს მან მაჩუქა. შევეცადე სახლში დავბრუნებულიყავი. რა სისულელეა! ჩემს დანახვაზე მოსამსახურეები გაიქცნენ მღვდილის დასაძახებლად. წმოსვლა მომიწია. მე იქ წავედი სადაც შემეძლო თავი დაცულად მეგრძნო, სიბნელეში. სწორედ მანდ ვიყავი აქამდე. იცი ელენა, სწორედ მანდა ჩემი ადგილი. მე მოვკალი კეტრინი, ჩემი სიამაყით და ეჭვიანობით. მე მოვკალი დეიმონი, მაგრამ მე ის ჩვეულებრივად კი არ მოვკალი, არამედ დავეწყველე. ნეტავ დეიმონი მაშინ არ მომკვდარიყო როცა მის სხეულში ვკვლავ იყო კეტრინის სისხლი, მას შანსი ექნებოდა. დროის განმავლობაში ის მისი სხეულიდან გაქრებოდა და დეიმონი კვლავ ადამიანი იქნებოდა. მისი სიკვდილით, წავართვი შანსი ყველანაირი ბედნიერებისა და მუდმივი სახლი მივუჩინე სიბნელეში. – აქ სტეფანს მოწყენილად ჩაეცინა. – იცი ელენა რას ნიშნავს გვარი სლვატორე იტალიურად? შველას, მხსნელს. და სახელი წმინდა სტეფანის საპატივცემულოდ დამარქვეს. წამებული ქრისტიანის. ასე რომ მე ჩავკეტე იგი ჯოჯოხეთში.

– არა! – უპასუხა ელენამ და შემდეგ უფრო ტავდაჯერებული ხმით დაამატა – მან თვითონ დაიწყევლა თავი, მან შენ მოგკლა. მერე რა მოუვიდა?

– დეიმონი ყაჩარღებს შეუერთდა, მათთან ერთად დაბორილობდა, აწყობდა ჩხუბებს და სისხლის ბოლო წვეტამდე ცლიდა თავის მსხვერპლს. მაშინ მე უკვე ქალაქგარეთ ვცხოვრობდი. ნახევრად ვმომშობილბდი, მხოლოდ ცხოველის სისხლით ვიკვებებოდი. ადამიანის არსებობა გაცილებით ძლიერია, სისხლი გარკვეულ ძალას აძლევს მას. უცნაური სიკვდილის შემდეგ კი სისხლი არის უფრო ძლიერი. თითქოს სიცოცხლის ბოლო წამები უფრო ძლიერს გამოაღვიძებენ. და სწორედ მაგის გამო რომ დეიმონი ადამიანის სისხლს სვამდა, მოახერხა ეს ძალა დაეგროვებინა.

– რა ძალა?

ამ დროს ელენას თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა.

– ფიზიკური ძალა და სიჩქარე. ემოციების გამოიერება, განსაკუთრებით ღამით. ეს ძირითადი ძალებია. და კიდევ შეგვიძლია... გრძობა. ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ სხვისი ყოფნა და მათი აზრების წაკითხვა. კიდევ შეგვიძლია ადამიანს ტვინი ავუროთ, თუ ის სუსტია. ან დავიმორჩილოთ. კიდევ ბევრი სხვა შეგვიძლია. საკმარისი რაოდენობის სისხლის მიღების შემთხვევაში შეგვიძლია რომელიმე ცხოველის სახე მივიღოთ. და რაც უფრო მეტ ადამიანის სისხლს იღებ მით უფრო ძლიერდება ეს ძალები. მისი ხმა ჩემთვის ძალიან ნათელი იყო. მითხრა რომ ახლა ის საკუთარი ბანდის ლიდერი იყო და ფლორენციაში დაბრუნებას აპირებდა. და კიდევ მითხრა რომ თუ იქ აღმოვჩნდებოდი მომკლავდა. მე მას დაუჯერე და იქაურობა დავტოვე. მაგის მერე რამდენჯერმე შევხვდი. მუქარა ისევ და ისევ ერთი და იგივე იყო, მაგრამ დეიმონი უფრო ძლიერდებოდა. როგორც ჩანს მისი ახლანდელი მდგომარეობა ზუსტად შეესაბამებოდა მის ბუნებას. ის თავისი ძალის ყველაზე ბნელ მხარეებს იყენებდა. მეც ასეთი ვარ. ზუსტად ის სიბნელეა ჩემშიც. მეგონა რომ მას დავიმორჩილებდი, მაგრამ შევცდი. აი ამიტომ მოვედი აქ, ფელს–ჩერჩში. ვფიქრობდი რომ თუ პატარა ქალაქში მოვეწყობოდი, მოგონებებისგან და წარსულისგან შორს, შევძლებდი მის დამარცხებას. ამის მაგივრად კიდევ ადამიანი მოვკალი.

არა! – ხმამაღლა თქვა ელენამ – სტეფან, მე ამას ვერ დავიჯერებ. ამ ისტორიამ გოგონა საშინელებით აავსო, ამან შეაშინა. მაგრამ ეს მალევე გაქრა და ახლა ელენა მხოლოდ ერთში იყო დარწმუნებული, სტეფანი ნამდვილად არ იყო მკვლელი.

–სტეფან – გააგრძელა მან – დღეს რა მოხდა? შენ და ტანერმა იჩხუბეთ?

–მე.. მე არ მახსოვს. – სუსტად თქვა მან – როგორი შეიძლება იყოს ამის ახსნა? მე მართლა დავლიე იმ მოხუცის სისხლი ხიდის ქვეშ. იმ საღამოს როცა შენ, მეგობრებთან ერთად სასაფლაოზე იყავი. შემემლო დამეფიცა, რომ იმდენი სისხლი არ ამიღია ის რომ მოეკლა, მაგრამ ძლივს გადარჩა. და მე მაშინაც იქ ვიყავი როცა ვიკის და ტაერს დაესხნენ თავს.

– ესეიგი არ გახსოვს როგორ დაესხი თავს? – შვებით თქვა ელენამ. ის ერთი აზრი რომელიც ელენას თავში უტრიალებდა თითქმის დამტკიცებული იყო.

–რა მნიშვნელობა აქვს? ჩემს გარდა ამას ვინ გაკეთებდა?

–დეიმონი. – თქვა ელენამ.

სტეფანი შეხტა და ელენამ შეამჩნია როგორ დაიძაბა ის.

–გადასარევი აზრია. თავიდან მეც ვეძებდი მსგავს ახსნას. ვიმედოვნებდი რომ ამის უკან სხვა უნდა მდგარიყო. ისეთი ვირაც როგორც დეიმონია. მაგრამ მე მთელი ჩემი ტვინი გადავქექე და სხვა ვერაფერ ვიპოვე. ყველაზე მარტივი ამონახსნი კი ისაა, რომ მე ვარ ის მკვლელი.

–არა – შეეპასუხა ელენა. – არა შენ ვერ გამიგე. მე არ მიგულისხმია ვიღაც ვინც დეიმონს გავს. მე ვთქვი რომ დეიმონი ახლა ფელს–ჩერჩშია. მე ის დავინახე.

სტეფანმა მხოლოდ გაურკვევლად შეხედა გოგონას.

–ალბათ ისაა. მე ის ორჯერ ვნახე, შეიძლება სამჯერაც. – თქვა ელენამ. – შე დიდი ისტორია მომიყვები ახლა ჩემი ჯერია.

რაც შეიძლება ჩქარა ელენამ სტეფანს ყველაფერი მოუყვა, რა მოხდა ფიზიკულტურის დარბაზში, ბონის სახლში. სტეფანი კინაღამ გაგიჟდა როცა გაიგო რომ დეიმონს მისი კოცნა უნდოდა. ელენას კი ლოყები გაუწითლდა როცა ყვებოდა რომ კინაღამ დანებდა. მაგრამ ელენამ ყველაფერი დაწვრილებით მოყვა. სხვათა შორის ყვავზეც მოყვა და ყველაფერ სიგიჟეზე რაც საფრანგეთიდან ჩამოსვლის მერე გადახდა თავს.

–იცი სტეფან, მე მგონია რომ დღეს ის მოჩვენებათა სახლში იყო. – დაამთავრა ელენამ, – მას შემდეგ რაც თავბრუსხვევა იგრძენი მე ვიღაცამ ჩამიჭროლა. ის ასე იყო ჩაცმული... როგორც მოხუცი ნაწნავით, შავ მანტიანში, კაპიშონით. მაგრამ მისი სახის დანახვა ვერ შევძელი. უბრალოდ მოძრაობა ნაცნობი მეჩვენა. ხო ეს ალბათ ის იყო. დეიმონი დღეს მოჩვენებათა სახლში იყო.

–თუნდაც მასე ყოფილიყო, ეს წინა შემთხვევას მაინც არ ხსნის. ვიკის და იმ მოხუცს ვგულისხმობ. მე მართლა დავლიე მისი სისხლი. – სტეფანის სახე დამაბული იყო, თითქო მას ეშინოდა იმედის ქონის.

– ხო მაგრამ შენ თქვი რომ მისთვის სეროზული ზიანი არ მიგიყენებია. შენ რა იცი რა მოხდა შენი წამოსვლის შემდეგ. განა დეიმონისთვის უმარტივესი არ იქნებოდა მასზე თავდასხმა? მითუმეტეს თუ სულ გითვალთვალებდა. შეიძლება საერთოდ სხვა სახე მიიღო...

– ყვავი – წაიცურჩულა მან.

– დიახ, ყვავი. ვიკის რაც შეეხება... შენ თვითონ თქვი რომ ვამპირებს შეუძლიათ სუსტი გონების დამორჩილება. ისე არ შეიძლება და მომხდარ იყო, რომ დეიმონს ეს შენთვის გაეკეთებინა? ისევე როგორც შენ ადამიანს უშვები...

– ალბათ... თან ის მაღაზდა მის იქ ყოფნას. – სტეფანის ხმაში დამაბულობა იზრდებოდა. – აი რატომ ვერ ვიგრძენი მისი იქ ყოფნა. მას უნდოდა...

– მას უნდოდა რომ მომხდარიყო ის რაც მოხდა. მას სურდა რომ შენ შენი თავი დაგენაშაულებინა, თავი მკვლელად გეგრძნო. მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი იცი... და შენ აღარ უნდა გეშინოდეს. – ელენა წამოდაგა, გულში სიხარული და შვება იგრძნო. ეს საშინელი რამე როგორც იქნა სიხარულმა გაანათა.

– ალბათ ამიტომ იყავი ჩემს მიმართ ასე ცივი, არა? – თქვა ელენამ და მისკენ ხელები გაიშვირა. – გეშინოდა იმისი თუ რისი გაკეთება შეგემლო ჩემთვის.. – მაგრამ ეს ასე აღარაა

– მართლა? – სტეფანი ჩქარა სუნთქავდა და ელენას ხელებს ისე ათვარიელებდა, თითქოს ორი გველი ყოფილიყო. – შენ ფიქრობ რომ აღარ არსებობს შიშის მიზეზი? შეიძლება ეს ყველაფერი დეიმონის ნამოქმედარია, მაგრამ ის ჩემს ფიქრებს ვერ აკონტროლებს. შენ კიდევ არ იცი მე შენზე რას ვფიქრობდი...

– არაფერს ცუდს – თავდაჯერებულად თქვა გოგონამ.

– მართლა? საიდან იცი? რამდენჯერმე თავი ძლივს შევიკავე რომ არ შეგხებოდი. როგორ მომწონდა შენ ნაზი თეთრი ყელი, ღია ცისფერი ვენებით მის შიგნით!... – სტეფანის მზერა ელენას ყელისკენ იყო მიმართული, ისევე როგორც იმ დღეს ზონის სახლში დეიმონთან ერთად. ელენას გული აუჩქარდა. – რამდენჯერ მიფიქრია რომ იქვე, სკოლაში გიკვებდი და დავიკმაყოფილებდი ჩემს მადას.

– არა არის აუცილებელი ძალა დამატანო – გააგრძელა გოგონამ, რომელიც ახლა პულსს მთელ სხეულში გრძნობდა...

განსაკუთრებით თითებთან... და ყელზე... – იცი, სტეფან მე უკვე მივიღე გადაწყვეტილება – ჩუმად გააგრძელა მან – მე ეს მინდა .

სტეფანმა ძლივს სუნთქავდა.

– შენ თვითონაც არ იცი რას მთხოვ

– მე მგონია რომ ვიცი. სტეფან ხომ მომიყვები როგორ იყავი კეტრინთან. მეც მინდა რომ ჩვენ ასე ვიყოთ. სიმართლე გითხრა, არ მინდა რომ გავხდე ვამპირი. მაგრამ ამის გარეშე ხომ შეიძლება სისხლი მოგცე-ვიცი – ჩუმად დაამატა მან – ვიცი როგორ გიყვარდა კეტრინი, მაგრამ ის აქ არაა. მე კი აქ ვარ და მე შენ მიყვარხარ. მე მინდა შენთან ყოფნა.

– შენ ვერ ხვდები რაზე ლაპარაკობ! ნუთუ ვერ ხვდები რომ ერთხელ თუ დავიწყებ ცემი გაჩერება ძალიან ძნელი იქნება. შეიძლება გადაგაქციო ან საერთოდ მოგკლა, გესმის? გაიგე ელენა, ეს გრძნობა ძალიან ძლიერი, იმაზე ძლიერი ვიდრე შენ წარმოგიდგენია. ნუთუ ვერ ხვდები რისი გამკეთებელი ვარ?

ელენა ჩუმად იდგა და უსმენდა. თუმცა მის სახეს სიამაყე ეტყობოდა. სტეფანის სიტყვებმა ის აშკარად გააზრა.

– ეს შენთვის საკმარისი არაა? – გააგრძელა მან – ნუთუ ვერ ხვდები რისი გაკეთება შემიძლია? თუ კიდევ გაჩვენო რისი გაკეთება შემიძლია... შენთვის? – სტეფანი ბუხართან მივიდა და იქიდან სქელი და დიდი მორი გამოიღო. შემდეგ ერთი ხელის მოსმით გადატეხა, თითქოს თხელი ტოტი ყოფილიყო. – წარმოიდგინე რომ ეს შენი ძვლებია – დაამატა მან. იქვე ლოგინზე ბალიში იყო. სტეფანმა ის ხელში აიღო და ერთი ხელის გასმით მისგან მხოლოდ ნაგლეჯები დარჩა.

– წარმოიდგინე რომ ეს შენი კანია – შემდეგ სტეფანი ზებუნებრივი სიჩქარით ელენას წინ გაჩნდა. იქმანდე სანამ გოგონა გაიგებდა რა მოხდა სტეფანს ის უკვე ძლიერ ჰყავდა ჩახუტებულს. რამდენიმე წამი ის ელენას თვალებში უყურებდა, შემდეგ ისე მაგრად გააკრაჭუნა კბილები რომ ელენას ზურგზე ბურმგლებმა დაეყარა. ელენამ სწორედ ეს დაინახა სახურავზე. ის უზარმაზარი ეშვები რომელიც, გარეული ცხოველისას გავდა.

– წარმოიდგინა რომ ესენი შეგესობა ყელში – არა თავისი ხმით წარმოთქვა სტეფანმა. ელენა რამდენიმე ხანი იდგა, როგორც პარალიზებული, თითქოს ვიღაცა აძალებდა ასე მოქცევას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავი ხელში აიყვანა. ელენამ ხელები გაინთავისუფლა და სტეფანის ცივ სახეს მოკიდა. სტეფანს ეგონა რომ მას მხოლოდ თავის დაღწევა სურდა, მაგრამ პირიქით ელენას უნდოდა სტეფანი გაემხნეებინა, დაემღობინა უფრო მაგრად ჩახუტებოდა.

ელენა ელოდა სანამ სტეფანს ის ბრაზი და ტკივილი გადაუვლიდა. ახლა გოგონას სახეზე სიმამაცე, თავდაჯერებულობა და ოდნავი დამაბულობა ჩანდა. სტეფანს კი სახეზე ეტყობოდა რომ ჯერ კიდევ კეტრინზე ფიქრობდა, ვერ გადაეტანა ის საშინელი ტკივილი. გოგონამ ტუჩები ოდნავ დააშორა ერთმანეთს და სტეფანის სახისკენ გაიწია.

სტეფანს სურდა ის შეეჩერებინა, მაგრამ სინაზის ძალა უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე მისი არაადამიანური სიძლიერე. გოგონამ თვალები დახუჭა და სტეფანზე ფიქრებს მიენდო. იმ ყველაფრის მერე რაც ელენამ ამ დამეს გაიგო სტეფანზე რომელიც ახლა მის თმეში ნაზად აცურებდა ხელს, ელენას თავისუფლად შეეძლო მის მკლავებში გული წასვლოდა. ელენამ მტაცებელ ტუჩებს ნაზად აკოცა, რომელის სულ ახლახანს მას ასე ემოუქრებოდა. გოგონამ ტუჩების ტრანსფორმაცია იგრძნო, სანამ სტეფანის მის კოცნას სრულიად მინდობილიყო. ელენამ იგრძნო როგორ დაუარა სტეფანს სიცივემ მთელს სხეულში. მისი ხელები რომელიც ელენას მკლავებზე იყო ძლიერ შემოხვეული მოეშვა და ნამდვილ სასიყვარულო ჩახუტებაში გადაიზარდა. ელენა მიხვდა რომ მოიგო. ამ კოცნის შემდეგ მათი დამალული შიში, მარტოობა და განდგომილება განქარწყლდა. ელენა მთელი სხეული სიხარულმა აავსო, ტითქოს ზაფხულის ელვა განათდა მასში. რაც მთავარია ელენამ ეს ყველაფერი სტეფანშიც შეამჩნია. ყველაფერი კარგად იყო და ამან ელენა ცოტათი შეაშინა კიდევ. არ იყო ძალის არანაირი საჭიროება სანამ სტეფანი ელენას ნაზად აწვევდა ლოგინზე.

შიგადაშიგ კოცნა უფრო შეუპოვარი ხდებოდა. ელენას მტელ სხეულში ელვამ გაუარა, რომელმაც ის დამუხტა და მისი გული უფრო ააჩქარა. მათი სუნთქვა პეროდული იყო. ამის გამო ელენამ სისუსტე და თავბრუსხვევა იგრძნო. ელენამ თვალები დახუჭა <<დროა სტეფან >> – გაიფიქრა მან. შემდეგ ნელა, მაგრამ დაჟინებით სტეფანის ტუჩები ელენას კისერს შეეხო. გოგონა გრძნობდა მის სუნთქვას, ცივს მაგრამ თბილს... და ბოლოს ბასრი ჩხვლეტა... მაგრამ ტკივილი მალევე გაქრა და ის უფრო სიამოვნებამ შეცვალა, რომელმაც ელენას კანკალი დააწყებინა. განცხრომამ ელენა მთლიანად აავსო და შიგადაშინ სტეფანს გადაეცემოდა. ელენა მიხვდა რომ ახლა სახეს უყურებდა, იმ სახეს რომელიც აღარ იყო დამალული ნიღბით. და ამ სახის გამომეტყველებამ ელენას სასიამოვნო სისუსტე მოჰგვარა.

– მენდობი? – ჩასჩურჩულა სტეფანმა. და როცა ელენამ მხოლოდ თავი დააქნია სტეფანმა საწოლის გვერდით მდებარე ნივთი აიღო. ეს დანა იყო. ელენამ ჯერ დანას შეხედა და შემდეგ შეუპოვრად სტეფანზე გადაიტანა ყურადღება. ბიჭი არ შემობრუნებულა, დანა აიღო და მსუბუქად გაიჭრა ყელი. ელენამ გაფართოებული თვალებით სისხლს შეხედა, ნათელს როგორც ბარბარისი. და როცა სტეფანამ ის მისკენ მიიწია, წინააღმდეგობის გაწევა არც კი უცდია. შემდეგ დიდი ხმის განმავლობაში ისინი უბრალოდ ერთმანეთს ეხუტებოდნენ და თან ჭრიჭინების ღამის კონცერს უსმენდნენ. ბოლოს სტეფანი როგორც იქნა გაინაძრა.

– როგორ მიწადა რომ აქ დარჩე – ტქვა მან. – როგორ მიწადა რომ აქ დარჩე სამუდამოდ, მაგრამ ეს შეუძლებელია.

– ვიცი – ასევე ჩუმად უპასუხა ელენამ. და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ახლა, როცა მათ ამდენი მიზეზი ჰქონდათ ერთად ყოფნისთვის, ძალიან ბევრი რამის თქვა სურდათ.

–ხვალამდე – წაიჩურჩულა ელენამ და სტეფანის მხარისკენ დაიხარა – რაც არ უნდა მოხდეს, მე შენთან ვიქნები... მითხარი რომ შენც გჯერა ამის

– კი ელენა... – ჩურჩულით თქვა მან. – მე ამის მჯერა. რაც არ უნდა მოხდეს ჩვენ ერთად ვიქნებით.

– კი ელენა... – ჩურჩულით თქვა მან. – მე ამის მჯერა. რაც არ უნდა მოხდეს ჩვენ ერთად ვიქნებით.

სტეფანმა ელენა სახლმადე მიაცილა და ტყისაკენ წავიდა.

მოქუფრულ ღრუბლებს ქვეშ, რომელთა შორის ზეცის ერთი ნაგეჯიც კი არ ჩანდა ის მოძრაობდა იმ ადგილისკენ სადაც მანქანა გააჩერა სკოლის პირველ დღეს.

სტეფანმა მანქანა იქვე დატოვა და საკუთარ ნაკვალევს მიჰყვა იმ ველამდე სადაც ყვავი ნახა. მონადირის ინსტინქტმა მას ძალიან დაეხმარა. ის დადგა გაშლილ ადგილას ძველ მუხებს შორის და ზუსტად გაიხსენა ბუჩქისა და ჩაკოჭილი ფესვის ფორმა.

აქ, აქ, ამ ბინძური ყავისფერი ფოთლების საფარის ქვეშ შესაძლოა დარჩენილიყო იმ კურდღელის ძვლები.

სტეფანმა ღრმად დაიწყო სუნთქვა, რომ თავი ხელში აეყვანა და მოისროლა გაელვებული აზრები.

და აი, პირველად რაც ის ფელს-ჩერჩში ჩამოვიდა ახალგაზრდამ მიიღო საპასუხო ვიბრაცია. მაგრამ ვიბრაცია იმდენად სუსტი და მერყევი აღმოჩნდა რომ მისი სივრცეში დაფიქსირება არ გამოვიდა.

სტეფანმა მომიოხედა და ადგილზე გაშეშდა.

მის წინ ყველაზე მაღალ მუხასთან, იდგა დეიმონი გადაჯვარედინებული ხელებით. იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოს ის იქ უკვე რამოდენიმე საათი იდგა.

-აი, ძმაო-დაიწყო სტეფანმა მძიმე გრძნობით გულის არეში-ეს სიმართლეა. დიდი ხანია არ შევხვედრილვართ.

-არც ისე დიდხანს, როგორც შენ გგონია ძმაო-სტეფანმა მაშინვე გაიხსენა ეს ხმა ხავერდული, ირონიული ტონით-მე ბევრი წელია რაც გითვალთვალე-მშვიდად აღიარა დეიმონმა. ქერქის ნაწილი თავისი ქურთუკიდან ისეთივე გულგრილობით ჩამოიბერტყა, როგორც რამოდენიმე წამის წინ სახელოებს ისწორებდა.-მაგრამ ეს არც კი შეგიმჩნევია არა? ვფიქრობ შენ ისეთივე არარაობა ხარ როგორც იყავი.

-ფრთხილად იყავი, დეიმონ-ხმადაბლა გააფრთხილა სტეფანმა-განსაკუთრებით ამ ღამით. არ ვაპირებ შენს დიდ ხანს მოთმენას.

-წმინდანი სტეფანი გაბრაზდა? წარმოუდგენელია! ალბათ ეს ჩემი შემოჭრების ბრალია შენს ტერიტორიაზე მაგარამ ამას იმიტომ ვაკეთებ რომ შენთან ვიყო ახლოს. ძმები ახლოს უნდა იყვნენ.

-ამ ღამით შენ ადამიანი მოკალი. და ეცადე ჩემი დარწმუნება თითქოს ეს მე გავაკეთე.

-დარწმუნებული ხარ რომ შენ არ გააკეთე? შეიძლება, ეს ერთად გავაკეთეთ. ფრთხილად იყავი!-გააფრთხილა როცა დაინახა რომ სტეფანი მისკენ მიდიოდა-არც მე ვარ კარგ ხასიათზე. არცაა გასაკვირი. მე მხოლოდ სუსტი ისტორიის მასწავლებელი შემხვდა, როდესაც შენ მშვენიერი ქალბატონი.

ბრაზი სტეფანის შიგნით ერთ ადგილას შეიკრიბა როგორც პატარა მოგიზგიზე მზე.

-ელენასგან თავი შორს დაიჭირე-დაიჩურჩულა მან ისეთი მუქარით რომ დეიმონმა ოდნავ დახარა თავი-თავი შორს დაიჭირე მისგან, დეიმონ. ვიცი რომ უთვალთვალე-უბრალოდ გაზედე მასთან მიახლოება და ინანებ.

-აჰ, ძვირფასო ძამიკო შენ ყოველთვის ზედმეტად ეგოისტური იყავი. ანუ, ახლა არაფრის გაყოფას არ აპირებ?-უცრად დეიმონის ტუჩები თვითკმაყოფილ ღიმილში მოიხარნენ.-საბედნიეროდ, შენი ელენა უფრო გულუხვია. ნუთუ მას არ მოუყვლია პატარა ინტრიგის

შესახებ რომელიც ჩვენს შორის გაება? უნდა ვაღიარო, რომ როდესაც შევხდით კინალამ იქვე გახდა ჩემი.

-ეს ტყულია!

-ო, არა ძამიკო ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე არ ვიტყუები. ან უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა უმნიშვნელო საკითხებზე? ასეა თუ ისე შენი მშვენიერი ქალბატონი პირადპირ კისერზე ჩამომეკიდა. ვთვლი, რომ მას იზიდავს მამაკაცები შავში-როდესაც სტეფანმა, რომელიც ღრმად სუნთქავდა გრძნობების გასაკონტროლებლად დეიმონს შეხედა, მან თითქმის ნაზად დაამატა-იცი, ელენასთან დაკავშირებით ცდები. შენ თვლი, რომ ის დამჯერი და რბილია როგორც კატერინა. მაგრამ მას აქვს ის სულიერი ცეცხლი რომელსაც არც კი იცი რა მოუხერხო.

-და შენ, როგორც ვხდები იცი.

დეიმონმა ხელები გაშალა და ისევ ნელა გაიღიმა:

-რათმაუნდა.

სტეფანს უნდოდა მივარდნოდა დეიმონს, უნდოდა ამ დამცინავი ღიმილის დასახიჩრება, შუაში გახლეჩა. უკვე ზღვარს მისულმა სტეფანმა წარმოსთქვა:

-შენ მართალი ხარ ერთ რამეში. ელენა ძლიერია. ის საკმარისად ძლიერია, რომ თავიდან მოგიშოროს. და ახლა, როცა მან იცის ვინ ხარ ის მოგიშორებს. არაფერს ზიზღის გარდა ის შენსადმი არ გრძნობს.

დეიმონმა მატყუარა გაკვირვებით ასწია წარბები:

-ასე ფიქრობ? მართლა? ამასაც ვნახავთ. შესაძლოა ელენა აღმოაჩენს რომ მას უფრო სიბნელე იზიდავს ვიდრე სუსტი ბინდი. მე ყოველ შემთხვევაში არ მეშინია საკუთარუ ბუნების აღიარების. შენ კი, ძამიკო სუსტად და უქმელად გამოიყურები. ალბათ ელენას უყვარს წაქეზება, არა? მართალი ვარ?

"მოკალი-უეცრად მოითხოვა რაღაცამ სტეფანის თავში-მოკალი, გახლიჩე ის სისხლის ნაკუწებად."

მაგრამ მან იცოდა რომ დეიმონი ამ სადამოს კარგად დანაყრდა. მისი უფროსი ძმის შავი აურის პულსირება ძლიერი და ზუსტი იყო. დეიმონი სავსე იყო სიცოცხლით, რომელიც მან სხვას წაართვა

-დიახ, დღეს მე ნამდვილად მოვიკალი წყურვილი-სასიამოვნო ხმით თქვა დეიმონმა, თითქოს წაიკითხა ძმის აზრებო და ენას გაუსვა თუჩებს, აშკარად სიამოვნებდა მოგონებები-დიახ, გაბორიტებით ის მასწავლებელი არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ მასში საოცრად ბერვი წვენი იყო. რათქმაუნდა ის არ იყო ისეთი ლამაზი როგორც ელენა და ისეთი არომატით, სამაგიეროდ ყოველთვის სასიამოვნოა როდესაც შენში ახალი სისხლი მღერის.

დეიმონმა გრძნობით ამოისუნთქა, ხეს მოშორდა და მიმოიხედა. სტეფანმა მომენტალურად გაიხსენა ეს დახვეწილი მოძრაობები, გათვლილი ჟესტები. განვლილმა საუკუნეებმა მხოლოდ დახვეწეს დეიმონის ბუნებრივი გრაცია.

-სწორედ ამიტომ მომწონს ამის კეთება-დეიმონი ახალგაზრდა მუხას მიუახლოვდა რომელიც რამოდენიმე იარდში იდგა.



რამოდენიმე მახვილი მოძრაობა, დეიმონის კუნთები დაიძაბა პერანგის ქვეშ და ხე მიწას მოსწყდა. ფესვები ჰაერში თავისუფლად ეკიდნენ და სტეფანმა ნესტის სუნი იგრძნო.

-მაინც არ მომწონდა რომ ის აქ იზრდებოდა-ახსნა დეიმონმა და ხე შორს მოისროლა.

შემდეგ სტეფანს მიუბრუნდა და გაუღიმა-აჰ, რომ იცოდე როგორ მომწონს ეს ძალა!

ამას რაღაც აგელვება მოჰყვა და დეიმონი გაუჩინარდა. სტეფანმა მიმოიხედა მაგრამ ძმა ვერსად დაინახა.

-აქ, ძამიკო-მოისმა ხმა ზევიდან.

სტეფანმა აიხედა და მუხის ტოტებზე მდგარი დეიმონი დაინახა. ამას ისევ ფოთლების უცნაური შრიალი მოჰყვა და უფროსი ძმა კვლავ გაუჩინარდა.

-აქ, ძამიკო-სტეფანი მიბრუნდა როცა მას მხარზე ხელი დაჰკრეს მაგრამ იქ არავინ არ აღმოჩნდა.-ახლა, აქ-ის ისევ მოტრიალდა-არა, სცადე აქ.

გაბრაზებული სტეფანი ბრუნავდა და ცდილობდა დეიმონის დაჭერას მაგრამ თითები მხოლოდ ჰაერს პოულობდნენ.

"აქ სტეფან"

ამჯერად ხმა მის თავში გაისმა და სტეფანი გაოცდა ხმის სიძლიერით. მას საოცარი ძალა დასჭირდა ნათელი გონების შესანარჩუნებლად. სტეფანი ისევ მიბრუნდა, ამჯერად ნელა. დეიმონი საწყის პოზაში, მუხაზე მიყრდნობილი იდგა. მაგრამ ახლა მის თვალებში დაცინვა არ იყო, თვალები უძირო და შავი გამხდარიყო, ტუჩები კი სწორ ხაზად გაწელილი.

"კიდევ რა მტკიცებულება გჭირდება სტეფან? მე იმდენად ვარ ძლიერი შენზე რამდენადაც შენ მოკვდავებზე. მე შენზე სწრაფი ვარ და მაქვს ძალები რომლებზე წარმოდგენაც არ გაქვს. უძველესი ძალები სტეფან.და მე არ მეშინია მათი გამოყენება. მე გამოვიყენებ მათ შენს წინააღმდეგ."

-ამისთვის ჩამოხვედი? ჩემი დატანჯვა მოგიინდა?

"მე ბევრჯერ შემეძლო შენი მოკვლა, მაგრამ შეგინარჩუნე სიცოცხლე.ახლა კი ყველაფერი სხვაგვარდაა"

დეიმონი ხეს მოშორდა და ხმამაღლა დაიწყო საუბარი:

-გაფრთხილებ სტეფან, არ გაბედო წინააღმდეგობის გაწევა. არც ისე მნიშვნელოვანია რატომ ჩამოვედი. ახლა მე ელენა მჭირდება. თუ ხელს შემეშლი, მოგვლავ.

-სცადე.

მისი სიბრაზის ცხელი წეტლი ძალას იკრებდა და სინათლე უკვე მთელი გალაქტიკისა ჰქონდა. სტეფანი უცნაურად გრძნობდა რომ ეს წეტლი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა დეიმონის სიბნელეს.

-ფიქრობ, ვერ შევძლებ? როგორც ჩანს უმცროსო ძამიკო ვერასოდეს ისწავლი საკუთარ შეცდომებზე.

სტეფანს ეყო დრო რომ დაენახა როგორ აქანებდა დეიმონი თავს დადლილად. შემდეგ კი ისევ რაღაც მოძრაობამ გაიღვდა და ის ძლიერმა ხელებმა შეიპყრეს. მან გარღვევა სცადა, მთელი ძალით ურტყამდა მაგრამ ხელები თითქოს რკინისა იყო. სტეფანმა სცადა დაერტყა ყბის ქვეშ, მაგრამ შედეგში ის ხეს მიაკრეს მოძრაობის საშუალების გარეშე. სტეფანი ხაფანგში იყო. წამით ის მოდუნდა თითქოს დანებებას აპირებდნო, შემდეგ კი

კუნთები დაიძაბა, თუმცა ძლიერმა დარტყმებმა ის უფრო შებოჭეს და ბრძოლა უაზრო და მტკივნეული გახადეს.

“ყოველთვის ჯიუტი იყავი. შესაძლოა ეს შეგიცვლის აზრს.”

სტეფანმა ძმის სიკვდილივით ფერმკრთალ სახეს დააკვირდა, ჩახედა შავ, აბსოლუტიურად უძირო თვალებში. შემდეგ კი იგრძნო რომ რკინის ხელებმა თავი გადაუწიეს ისე რომ კისერი გამოჩენილიყო. სტეფანმა ისევ სცადა განთავისუფლება. “არ ეცადო”-გაისმა ხმა გონებაში და ტკვილი ყელში როდესაც კანს კბილები შეეხო. სტეფანმა დამცირება და უსუსურობა იგრძნო-ის, მონადირე მოიმწყვდიეს ხაფანგში. ტკივილის ახალი ტალღა დაიწყო როდესაც დეიმონმა სისხლის ამოწოვას შეუდგა. სტეფანი არ აპირებდა დანებებას და ამით ტკივილი უფრო აუტანელი გახდა, მის სულს თითქოს გლეჯდნენ სხეულიდან როგორც იმ ახალგაზრდა ხეს. თითქოს ცეცხლი ეკიდა იმ ადგილს სადაც დეიმონის კბილებმა კანი გაგლიჯა. ტკივილი ჯერ კისერსა და ნაკვეთებში იყო შემდეგ მკერდზე გადავიდა, ყველაფერი დატრიალდა და სტეფანი მიხვდა რომ გრძნობას კარგავდა. უეცრად ხელებმა ის გაუშვეს და სტეფანი მუხის ხის ფოთლებით მოფენილ მიწაზე დაეცა. სუნთქვა უჭირდა და ოთხზე ძლივს დადგა. -ხომ ხედავ, ძამიკო შენზე ძლიერი ვარ. მე საკმაოდ ძლიერი ვარ, რომ წაგართვა სიცოცხლე და სისხლი როცა მომესურვება. დამითმე ელენა მე, თორემ ასეც მოვიქცევი. სტეფანმა თვალები ასწია დეიმონზე. ის გამარჯვებულის იერით იდგა, თუჩებზე კი თითქოს იწვოდა ძმის სისხლი.

სტეფანი სიძულვილმა აიტანა. ყოვლისმომცველმა სიძულვილმა, იმდენად დიდმა რომ ძველი გრძნობა დეიმონისადმი მხოლოდ წვეთათ მოეჩვენა ოკეანეში. უამრავჯერ გასულ საუკუნეებში სტეფანს უნანიებია რაც ძმას გაუკეთა ახლა კი მხოლოდ ერთი სურვილი ქონდა. გაუკეთოს იგივე კიდევ ერთხელ.

-ელენა შენი არაა-თქვა მან ბოხი ხმით სანამ ფეხზე დადგომისას ეცადა დაემალა რა ძალის ფასად დაუჯდა ეს-და არსოდეს იქნება შენი-საშინელი ძალისხმევის ძალად ის წავიდა სხვა მიმართულებით.

მთელი სხეული სტკიოდა, სირცხვილი დამარცხების გამო კი ფიზიკურ ტკივილზე მეტად ტანჯავდა. ტანსაცლემს ფოთლები და მიწა მიჰკროდა მაგრამ ის მა თარ იშორებდა.

“შენ ვერასოდეს ისწავლი საკუთარ შეცდომებზე”

სტეფანს არც კი უცდია მიბრუნება და პასუხის გაცემა. მან უბრალოდ სვლა განაგრძო. კიდევ ერთი ნაბიჯი. კიდევ ერთი.

რომ შეიძლებოდეს ცოტა ხნით შესვენება...

კიდევ ნაბიჯი, კიდევ. მანქანა სადღაც ახლოსაა. სტეფანმა გაიგონა ფოთლების შრიალი ფეხევექვეშ შემდეგ კი შრიალმა ზურგს უკან გადაინაცვლა.

სტეფანმა ეცადა მიბრუნება მაგრამ რეფლექსები უკვე აღარ მუშაობდნენ. ასეთი სწრაფი მოძრაობდა უბრალოდ შეუძლებელი აღმოჩნდა. სიბნელემ აავსო მისი სხეულიც და სულიც, შემდეგ კი ვარდნა დაიწყო. ეცემოდა უსასრლოდ, ღამის წყვილიაღში. როგორც იქნა, გონება თითქოს მოწყალეების ნიშნად წავიდა.

ელენა რობერტ ლის სახელობის სკოლისკენ ისე მისწრაფვოდა, თითქოს უკვე რამდენიმე წელი არ ყოფილა იქ. ახლა გუშინდელი ღამე ბავშვობის მოგონებად იქცა და ელენას ის არც კი ახსოვდა. მაგრამ მალე მომდევნო მოვლენების გამკლავება მოუწევდა. გუშინ დეიდა ჯუდიტის თვალების გამკლავება მოუხდა. დეიდა ძალიან გაბრაზდა როცა მეგობრებმა მკვლელობის შესახებ უთხრეს. მაგრამ ამაზე მეტად იმან გააბრაზა რომ ელენას ვერსად პოულობდა. და იმ დროს როცა ძლივს, ღამის 2 საათზე გოგონა სახლში დაბრუნდა, დეიდა უფრო გამწარდა. და ელენა ვერაფერს ეუბნებოდა გარდა იმისა რომ სტეფანთან იყო, იცოდა მკვლელობაზე, მაგრამ სტეფანის უდანაშაულობაში ეჭვი არ ეპარებოდა. ყველაფერი დანარჩენი ელენამ ვერ თქვა და რომ ეთქვა, იცოდა დეიდა მას ვერ გაუგებდა. დილას ელენას ჩაეძინა და სკოლაში აგვიანდებოდა. ქარი ამოვარდა. გოგონას ძალიან სურდა სტეფანის ნახვა. მთელი ღამე კომმარები ეზიზმრებოდა. ერთი სიზმარი რეალურს გავდა. სტეფანი ელენას მიუახლოვდა და გაბრაზებულმა წიგნი აჩვენა. <<ეს როგორ გააკეთე?>> – თქვა მან და წიგნი ელენას ფეხებთან დააგდო. შემდეგ სიზნელეში გაუჩინარდა. თხოვდა, ემუდარებოდა არ წასულიყო, მაგრამ ის გაქრა. შენდეგ ელენამ წიგნი ამოუიციო, ეს მისი დღიური იყო. ამის წარმოდგენამ გოგონას შიში მოჰგვარა. რა ეწერა ესეთი იქ? რატომ გაბრაზდა სტეფანი? ეს ელენამ არ იცოდა, მაგრამ იცოდა რომ სასწრაფოდ სჭირდებოდა სტეფანის ნახვა, მისი ხელების შეგრძნობა. მასთან დაშორება საკუთარ თავთან დაშორების ტოლფასი იყო. გოგონამ სკოლის კიბეებზე აირბინა და თითქმის ცარიელი კოლიდორით უცხო ენების კაბინეტისკენ გაექანა. იცოდა პირველი გაკვეთილი სტეფანს ლათინური ჰქონდა, მისი ერთი წამით დანხვა კი ყველაფერს წესსა და რიგში ჩააყენებდა. მაგრამ სტეფანის სკამი ცარიელი იყო. კლასში მეტი იყო, რომლის დანახვამ ელენა ძალიან შეაშინა. ბიჭმაც გაკვირვებულად შეხედა სტეფანის ადგილს. ელენამ სრული სისწრაფით დაიწყო სვლა ტრიგონომეტრიის კაბინეტისკენ. იქ შესვლის ყველა მას მიაჩერდა, ამიტომ სწრაფად მერიდიტის გვერდით მდებარე ცარიელ სკამზე დაჯდა. მასწავლებელმა ელენას შეხედა, შემდეგ გაკვეთილი გააგრძელა და დაფისკენ იბრუნდა. მერიდიტმა ელენას ხელს მოჰკიდა ხელი.

–კარგად ხარ? – იკითხა ჩუმად.

–არ ვიცი – შიშისგან დამძიმებულმა თქვა მან. – მისმინე, არ იცი სტეფანი სადაა?

–გინდა მითხრა რომ არ იცი? – გოგონას თვალები გაუფართოვდა. ელენას შიში კი უკვე აუტანელი ხდებოდა, თითქოს დიდ სიღრმეზე სკაფანდრის გარეშე აღმოჩნდა.

– ხომ არ... ხომ არ დაიჭირეს? – შეშინებულმა იკითხა მან.

–არა, ელენა, ყველაფერი გაცირებით უარესადაა. იგი დაიკარგა. დილას პოლიცია საერთო საცხოვრებელში მივიდა. ის იქ არ იყო. შემდეგ სკოლაშიც მოვიდნენ, მაგრამ აქაც არ დახვდათ. მისი მანქანა ბილიკის პირას იზოვეს. გადაწყდა რომ დანაშაულს გაექცა. მას ადანაშაულებენ ტანერის მკვლელობაში.

–ეს ტყუილია – გამოცრა ტუჩებს შუა ელენამ. მთელი კლასი მისკენ შემობრუნდა, მაგრამ ელენას ეს არ ანაღვლებდა. – ის უდანაშაულოა.

– დარწმუნებული ვარ მასეა, ელენა, მაგრამ რატომ გაიქცა?

– ის არ გაქცეულა, არა! – მთელი მისი სხეული უკიდევანო შიშმა დაიპყრო. – საკუთარი ნებით ფელს–ჩარჩს არ დატოვებდა.

–გინდა თქვა რომ ვიღაცამ აიძულა? მაგრამ ვინ? ტაილერი ამაში არ ჩაერეოდა.

–კარგია თუ მხოლოდ დატოვება აიძულა... ყველაფერი უარესად შეიძლებოდა ყოფილიყო – ახლა მთელი კლასი მათ მიჩერებოდა და მასწავლებელიც უკვე საყვედურის თქმას აპირებდა როცა ელენა წამოდგა და კარებისკენ წავიდა – ფრთხილად იყოს თუ სტეფანს რამე დაუშავა, ფრთხილად იყოს...

–ელენა, მოიცა, ელენა!

უკნიდან ემახოდნენ, მაგრამ ელენა წინ მიიწევდა და მხოლოდ ერთ რამეზე

ფიქრობდა.

მოკლედ, ყველას ეგონა რომ ტაილერის მოსაძებნად წავიდა. ამიტომ ელენამ დრო მოიგო და მან ზუსტად იცოდა რა უნდა ექნა. სკოლიდან გამოსულმა ბილიკს ჩაუარა, შემდეგ წნული ღობის ხიდზე გაუხვია და გეზი სასაფლაოსკენ აიღო. ცივი ჰაერი თმებს უჩეჩავდა და სახეზე ესობოდა. მაგრამ ყველანაირ სიცივეს ელენას გულში არსებული ცეცხლი ფარავდა. ახლა მან კარგად იცოდა რა იყო სრული სიბრაზე. სასაფლაოს ზუსტად ცენტრში გოგონამ აქეთ–იქით მიმოიხედა. ცაზე ღუბლები ნაცრისფერი მდინარესავით მიიკლავნებოდნენ. ხეების ტოტები ერთმანეთზე იყვნენ გადაბმულები. ასე გეგონებოდა, თითქოს სასაფლაო ელენას გაგდებას ცდილობდა. მის მთელ ძალას აჩვენებდა. თითქოს მისთვის ძალიან ცუდი რამის გაკეთებას აპირებდა. მაგრამ ელენამ ეს ყველაფერი დააიგნორა და ახლა მზერა საფლავის ქვებისკენ სწრაფად გადაიტანა. შემდეგ ელენამ იყვირა. იყვირა მხოლოდ ერთი სიტყვა. ამასთან ერთად ელენამ კარგად იცოდა რომ სწორედ მას შეეძლო სტეფანის დაბრუნება.

–დეიმონ!